

იბორ კეკელია
ელიშვილ ბაღათური

ასე იწყებოდა სენაკი

(ქალაქის წარმოქმნისა და
ზრდა-განვითარების ისტორიიდან)

ქუთაისი
2022

*წიგნი ეძღვნება სენაკის სახელოვან, 150-წლიან წარსულს და ყველას,
ვისთვისაც ძვირფასია ამ ქალაქის ისტორია და თანამედროვეობა*

წიგნში საისტორიო წყაროების, მათ შორის საარქივო მასალების, პერიოდული პრესის, აგრეთვე მემუარული და სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, პირველად, მონოგრაფიულად შესწავლილია დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული და კოლორიტული ქალაქის – სენაკის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ზრდა-განვითარება XIX ს-ის 70-90-იანი წლებიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდამდე, სარკინიგზო ტრანსპორტის როლი მისი ქალაქად ჩამოყალიბებისა და კულტურულ-ეკონომიკური დაწინაურების საქმეში, განაშენიანება და გარეგნული იერსახე, საქალაქო თვითმმართველობისათვის ბრძოლისა და საკრედიტო დაწესებულებების დაარსების ისტორიის საკითხები.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს ქალაქების ისტორიით დაინტერესებული მკითხველებისა და სპეციალისტებისათვის.

რედაქტორი ბექან ხორავა, ისტორიის დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: ლია გულორდავა, ისტორიის დოქტორი

რევაზ გრიგოლავა, ისტორიკოსი

დავით ჭითანავა, ისტორიის დოქტორი

ISBN 978-9941-8-5703-4

© ი.მ. „მარიამ იობაძე“

ყველა ქალაქს აქვს რაღაც, რის გამოც ის შეიძლება გიყვარდეს,
და ეს ხშირად აღმოსაჩენი და გამოსარკვევია.
*ამერიკელი ურბანისტის — რიჩარდ ფლორიდას
საჯარო ლექციიდან (2016 წ.)*

წინათქმა

დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული და კოლორიტული ქალაქი სენაკი ყოველთვის თვალსაჩინო როლს თამაშობდა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. გასული საუკუნის 70-იან წლებში ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის გაყვანამ და რკინიგზის სადგურის მშენებლობამ ხელი შეუწყო ქალაქის წარმოქმნასა და შემდგომ ზრდა-განვითარებას. იგი დღესაც საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სარკინიგზო კვანძს წარმოადგენს. სენაკმა თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით მალე დაიწყო სენაკის მაზრის (აღრინდელი ოლქის) ყოფილი ცენტრი, რომელსაც მოგვიანებით ძველი სენაკი ეწოდა, ხოლო დღევანდელ სენაკს - ახალსენაკი (Сенаки, Новоместечко).

სენაკის ქალაქად ფორმირება 1870 წლიდან იწყება. აქედან მოყოლებული, მისთვის მინიჭებული ფუნქციის მიხედვით, იგი წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ცენტრს და სავაჭრო-სახელოსნო დაბას, სადაც განვითარებული იყო სოფლის მეურნეობა, შინამრეწველობა და სხვ.

XIX ს-ის 60-იან წლებში გატარებულ საგლეხო რეფორმას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარებისათვის. ნატურალური მეურნეობის ძველმა ფორმებმა რღვევა დაიწყო და თანდათან დაცემის გზას დაადგა, რასაც მოჰყვა წარმოების ახლებური წესი და, შესაბამისად, ახალი სოციალური ურთი-

ერთობების წარმოქმნა¹.

რეფორმის მომდევნო ხანაში დაიწყო გლენთა კლასობრივი დიფერენციაცია და ორ ძირითად ფენად დაყოფის ტენდენცია².

დროებით ვალდებული გლენები, აუტანელი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო (მცირემიწიანობა, მუშა პირუტყვის უყოლობა) იძულებული იყვნენ, რომ დაეტოვებინათ მშობლიური კერა და ფულის საშოვნელად დიდ ქალაქებში წასულიყვნენ. თავისუფალი მუშახელის სამრეწველო ქალაქებში კონცენტრაცია, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ამ ქალაქებში სამრეწველო საქმიანობის გაძლიერებას.

XIX ს-ის II ნახევარში ქალაქებისა და საქალაქო ტიპის დასახლებების წარმოქმნა ბურჟუაზიული ურთიერთობის შედეგია, რომლებმაც შემდეგში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. კაპიტალიზმის ეპოქაში კიდევ უფრო დაჩქარდა და გაღრმავდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და დარგობრივი სპეციალიზაციის ადრე დაწყებული პროცესი, რაშიც დიდი როლი შეასრულა მიმოსვლისა და გადაზიდვის საშუალებათა სრულყოფამ, განსაკუთრებით – რკინიგზის მაგისტრალებმა. საქონელწარმოებისა და საქონელმიმოქცევის განვითარების, აგრეთვე ქალაქების, წინაქალაქებისა და სავაჭრო-სამრეწველო დაბების წარმოქმნისათვის ხელსაყრელ პირობებს სწორედ რკინიგზებისა და სარკინიგზო სადგურების მშენებლობა ქმნიდა³.

რკინიგზის განვითარებამ და სარკინიგზო სადგურების წარმოქმნამ გამოიწვია კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება, ვაჭრობისა და

¹ იხ. ბენდიანიშვილი ა., აგრარული ურთიერთობანი საქართველოში, თბ., 1967, გვ. 130.

² უთურაშვილი ი., გლენობის კლასობრივი დიფერენციაცია საქართველოში XIX ს. II ნახევარში, თბ., 1957.

³ იხ. ნიკოლეიშვილი მ., დასავლეთ საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სარკინიგზო მშენებლობის ისტორიიდან (XIX ს. რეფორმისშემდგომი პერიოდი), ქუთ., 1994, გვ. 3.

შინაური ბაზრის თვალსაჩინო ზრდა. საშინაო და საგარეო ვაჭრობის საფუძველზე ახალი სამრეწველო ცენტრების შექმნა ქალაქებისა და საქალაქო მოსახლეობის ხარჯზე, კაპიტალისტური მეურნეობისათვის არსებით და დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა¹.

ამდენად, ახალი საწარმოო ურთიერთობის შექმნა-დამკვიდრებამ ხელი შეუწყო არა მხოლოდ არსებული ქალაქების ბურჟუაზიულ გარდაქმნას, არამედ სრულიად ახალი ქალაქების წარმოშობასაც. ამასთანავე, რეფორმის შემდგომი ხანის საქართველოს სამეურნეო განვითარებას მოჰყვა სავაჭრო-სამრეწველო დაბა-სოფლების აღმოცენება-დაწინაურება, რასაც ხელს უწყობდა მათი ხელსაყრელი მდებარეობა, სავაჭრო გზაჯვარედინებსა თუ რკინიგზის მაგისტრალზე ყოფნა². ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი მაგისტრალის გაყვანით ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირდა შავი და კასპიის ზღვები და ამიერკავკასიის სამი შედარებით მსხვილი სამრეწველო ქალაქი – ბაქო, თბილისი და ბათუმი. რკინიგზის მთავარი მაგისტრალის მშენებლობის დამთავრებას, აღნიშნავს ნ. ტყეშელაშვილი, მთელი მისი მრავალრიცხოვანი განშტოებით, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მხარის კულტურულ-ეკონომიკური განვითარებისათვის. რკინიგზის გაყვანამ ხელი შეუწყო ამიერკავკასიის ხალხებს შორის ერთიანი სამეურნეო-კულტურული კავშირის დამყარებასა და განმტკიცებას. 1900 წელს ამიერკავკასიის რკინიგზის რუსეთის იმპერიის სარკინიგზო ქსელთან შეერთებით კი მტკიცე და მოხერხებული სამეურნეო და კულტურული კავშირი დამყარდა ამიერკავკასიისა და

¹ მსჯელობისთვის იხ. ტყეშელაშვილი ნ., ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან (1864-1920 წწ.), თბ., 1958, გვ. 84-85; ნიკოლეიშვილი მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

² ხოშტარია ე., მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება მე-19 ს. საქართველოში. ტ. II, თბ., 1968, გვ. 89-91; მისივე, კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში რეფორმის შემდეგ (1865-1900 წწ.). ვაჭრობა და კრედიტი. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. V, თბ., 1970, გვ. 435.

იმპერიის სამრეწველო-კულტურულ ცენტრებს შორის¹.

პროფ. მ. ნიკოლეიშვილი, რომელმაც საარქივო და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული განხილვის საფუძველზე მონოგრაფიულად შეისწავლა დასავლეთ საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორია XIX ს-ის რეფორმის შემდგომ პერიოდში, ახალქალაქების, სავაჭრო-სახელოსნო დაბებისა და ქალაქების (სამტრედია, ახალი სენაკი, ყვირილა, აბაშა და სხვ.) წარმოქმნის უმთავრეს მიზეზად, სავსებით სამართლიანად მიიჩნევს საქართველოში რკინიგზების გაყვანასა და სარკინიგზო სადგურების მშენებლობას, სამრეწველო საწარმოთა გამოცალკევებას სამიწათმოქმედო საწარმოთაგან და მრეწველობის მუშებისას – მიწათმოქმედთაგან². რკინიგზის მშენებლობამ, ამასთან ერთად, – წერს მკვლევარი, – მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა საქართველოში არსებული ქალაქების სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებაში. დიდად შეფერხდა იმ ქალაქების ზრდა-განვითარება, რომლებსაც ასცდა ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზი. ეცემა მათი ეკონომიკური პოტენციალი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში. ბევრი მათგანი კარგავს თავის პირვანდელ დანიშნულებას, ზოგიერთი კი, როგორც ქალაქი, წყვეტს არსებობას და მათ მაგივრად ჩნდებიან სრულიად ახალი დასახლებული პუნქტები, დაბები და ქალაქებიც კი. საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარში იწყება მეტოქეობა ძველ და ახალწარმოქმნილ ქალაქებს (წინაქალაქებს) შორის. ამ მეტოქეობის დროს, როგორც წესი, გამარჯვება ახლადწარმოქმნილ ქალაქებს დარჩა, რომლებიც ძირითადად რკინიგზის ხაზზე იყვნენ განლაგებული, ანდა შეცვლილ გარემოში მოხვდნენ და ამიტომ, ბუნებრივია, მათ

¹ ტყეშელაშვილი ნ., დასახლებული ნაშრომი, გვ. 27.

² ნიკოლეიშვილი მ., დასახლებული ნაშრომი, გვ. 25.

შექმნათ რეალური პირობები ზრდა-განვითარებისათვის¹.

ზემოთ აღნიშნული მიზეზების შედეგად წარმოქმნილი წინაქალაქის ტიპური მაგალითია ახალსენაკი (ახლანდელი ქალაქი სენაკი), რომელიც სწრაფად დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას და დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო კერად გადაიქცა.

სენაკის ისტორიასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შესახებ საინტერესოა არქანჯელო ლამბერტის, იოჰან ანტონ გიულდენშტედტის, ვახუშტი ბატონიშვილის, ნიკო დადიანის, ედუარდ აიხვალდის, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს, ჟაკ ფრანსუა გამბას, კორნელი ბოროზდინის, ჟიულ მურიეს, ბარონ დე ბაის, თედო სანოკიას, იპოლიტე ვართაგავას, შალვა დადიანის მოგონებანი და სამოგზაურო ჩანაწერები და მოგონებანი.

ქალაქ სენაკისა და მისი შემოგარენის ძველი ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმის საკითხებს სათანადო ადგილი ეთმობა ს. მაკალათიას, ს. ყაუხჩიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, თ. ბერაძის, ა. აფაქიძის, ლ. მუსხელიშვილის, თ. ჟორდანიას, ი. ადამიას, კ. მელითაურის, პ. ზაქარაიას, ნ. ლომოურის, ვ. ლექვინაძის, გ. გვინჩიძის, თ. კაპანაძის, მ. იაშვილის, გ. ელიავას, პ. ცხადაიას, დ. უჩანეიშვილის, ო. სოსელიას, შ. ჯღარკავას, ს. კაკაბაძის, ა. ბენდიანიშვილის, მ. ნიკოლეიშვილის, გ. ფარულავას, ბ. შენგელიას, რ. გრიგოლაფას, მ. პაჭკორიას, ვ. საბანტარიშვილის, პ. ჯიშკარიანის, ო. ხუხუას, ბ. დავითაიას, ბ. ბარკალაიას, დ. ლომიტაშვილის, ნ. მურღულიას, ბ. ძაგანიას, დ. გეგენავას, ი. კეკელიას, დ. ჭითანავას, დ. ოდიშარიას, ნ. სულავას, ე. ბალათურიასა და სხვათა, დიდი თუ მცირე მოცულობის გამოკვლევებსა და სტატიებში.

სამწუხაროდ, სენაკის ახალი და უახლესი ისტორია ფაქტობრივად

¹ იქვე, გვ. 25-26. საბუთებში გვხვდება ტერმინი „პოსადი“. წინაქალაქსა და პოსადს შორის არსებითი განსხვავება არ არის. პოსადიც საქალაქო ტიპის დასახლებას გულისხმობს. იხ. Сербина К., Очерки из социально-экономической истории русского города. 1954, с. 6.

შეუსწავლელია. რეფორმის შემდგომი ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის, განაშენიანებისა და გარეგნული იერსახის, კეთილმოწყობის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის, განათლებისა და კულტურის საკითხები ინტენსიურად შექდებოდა ქართული პრესის ფურცლებზე: „დროება“, „ივერია“, „მწყემსი“, „ცნობის ფურცელი“, „ისარი“, „შრომა“, „ამირანი“, „მეგობარი“, „ფონი“, „ხომლი“, „ლახვარი“, „თეატრის მაცნე“, „თანამედროვე ქვეყანა“, „ელვა“, „ერთობა“, „საქართველო“, „კოლხიდა“, „თანამედროვე აზრი“, „ჩვენი საქმე“, „ჩვენი სიტყვა“, „განთიადი“, „წყარო“, „სხივი“, „ჩანგი“, „მერცხალი“, „ეკალი“ და ა. შ.

სენაკის შესახებ მცირე მოცულობის საინტერესო სტატიები და წერილები ქვეყნდებოდა რაიონული გაზეთის („ავანგარდი“, „კოლხეთის ცისკარი“, „კოლხეთი“) ფურცლებზე. პუბლიკაციებში ნახვენებია სენაკის ისტორიული სიძველეების, ტოპონიმების, კულტურისა და რევოლუციური მოძრაობის ესა თუ ის საკითხი, რევოლუციამდელი პერიოდის სახალხო განათლების, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ადგილობრივი განყოფილების, თეატრისა და სტამბის ისტორია. მნიშვნელოვანი მასალაა დაცული აგრეთვე საქართველოს არქივებსა და მუზეუმებში, სტატისტიკური კომიტეტების კრებულებსა და სხვ.

წინამდებარე ნაშრომში მიზნად ვისახავთ საარქივო, წერილობითი და საველე მასალების, ასევე სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე მონოგრაფიულად შევისწავლოთ და წარმოვაჩინოთ სარკინიგზო ტრანსპორტის როლი ახალსენაკის სავაჭრო-სახელოსნო დაბად ჩამოყალიბებისა და კულტურულ-ეკონომიკური ცხოვრების დაწინაურების საქმეში, მისი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ზრდა-განვითარება XIX ს. 70-90-იან წლებში, საქალაქო თვითმმართველობისათვის ბრძოლის, განაშენიანებისა და გარეგნული იერსახის ზოგიერთი საკითხი.

თავი I. კველი სენაკის ისტორიის ზოგიერთი საკითხი

XVII ს. იტალიელი მისიონერის – არქანჯელო ლამბერტის მიერ შედგენილ ოდიშის სამთავროს რუკაზე, მდინარეებს – ტეხურსა და ხობისწყალს შორის, Sinaghi-ს ფორმით დატანილი და იმერეთის მეფის – ალექსანდრე V-ის ბრძანებით 1737 წელს შედგენილ „ლიხთ-იმერეთის“ რუკაზე აღნიშნული „სენაკები“ ერთსა და იმავე პუნქტს, დღევანდელი სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველ სენაკს გულისხმობს¹.

სენაკს მოიხსენიებს აგრეთვე XVIII ს. ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი. ტეხურის ხეობის აღწერისას მეცნიერი წერს: „ხოლო ტეხურისა და აბაშის შესართავს ზეით, უნაგირას მთის ძირზედ და ტეხურის დასავლის კიდეზედ, არს შხეთს ციხე დიდნაშენი და სასახლე დადიანისა. ამას ზეით, კიდევ ტეხურისავე კიდეზედ, არს სენაკს ეკლესია გუნბათიანი, კეთილშენი, საყოფელი აფხაზთა კათალიკოსისა“.²

1696-1742 წლებს შორის პერიოდში შედგენილი ერთი საბუთის მიხედვით „სენაკს გიორგი გურიელი ცოლშვილითა“ ბიჭვინთვისათვის შეუწირავთ³. 1733 წლით დათარიღებულ გუჯარში გრიგოლ კათალიკოსი წერს: დათუნა გულაია „სენაკის კანდელაკის სისხლშიდ ამოვიყვანე მისის ცოლშვილით...“⁴.

სოფელი სენაკი გვხვდება არაერთ ისტორიულ საბუთში. ლევან V დადიანის (1791-1846 წწ., ოდიშის მთავარი 1805-1840 წწ.) მიერ გიორგი გუგუშვილისადმი მიცემულ წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „გიბოძე

¹ იხ. ბერაძე თ., ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, „მაცნე“, ისტორიის... სერია, 3, თბ., 1971, გვ. 151.

² ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV, თბ., 1973, გვ. 777.

³ კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, 1921, გვ. 155.

⁴ იქვე, გვ. 142.

შენ ჩემის ოჯახის დიდად მამებელს და ნამსახურს ერდგულს გუგუშვილს გიორგის და შენთა ძეთა და მოძაუალთა, ასრე რომ ჩემს სასურველს მეფის ასულს დედის ბატონს დედუფალს ნინას რუსეთს იახელი და წყალობა ექმნა შენთვის სენაკს. გლეხები საბაია ქავთარია და მისი ძმა ქრისტეშია, მესამე გლეხი დავითაია. ჯარუია გულუა და მათი ძმის წული სვისვია. მეოთხე გლეხი ჯანჯღავა ბებურა, მისი ძმა მარკოზია, მეხუთე გლეხი კუპრეიშვილი ხოსიელა, მისი ძმა ხუტუია და მათი ძმის წული ცუღუნია. მოჯალაბე ქომიკორდი ჯაკოფია და მისი ძმა გიორგია და ივანიკა და ჩვენ ესენი დაგვიმტკიცებია ჩვენს ერთგულად სამსახურშიდ ყოვლის კაცის უცილებლად გყავდეს...“¹.

დედოფალ ნინოს „წყალობის წიგნი“², გადასახადისაგან მღვდელ ჭკადუას განთავისუფლების შესახებ, იხსენიება „სენაკის წმინდის გიორგის ეკლესიის დეკანოზი მღვდელი“ გრიგოლ ჭკადუა და მისი ძმა თედორიკა².

1826 წლით დათარიღებული „წყალობის წიგნიდან“ ირკვევა, რომ ოდიშის მთავარ ლევან V დადიანს სენაკის ეკლესიის დეკანოზ იოანე ქავთარაძისათვის ყმა-გლეხები უბოძებია სოფელ სენაკში. „მაკოია, მამუკა, და ივანიკა არჩაია ჭირვების წელს განბნევიყვნენ და მე შეეკრიბე და შენი გიბოძე თავის ცოლ-შვილით, ადგილ-მამულით, და თავის ყოვლის ქონებით, საძებარ-უძებრით“, – ვკითხულობთ დოკუმენტში³.

სენაკის შესახებ არსებული, ზემოთ დამოწმებული ისტორიული საბუთების მიხედვით შესაძლებელია იმ გვარების დადგენა, რომლებიც აქ მოსახლეობდნენ XVII-XIX საუკუნეებში. ესენია: გურიელი, გულაია, ქავთარია (ქავთარაძე), დავითაია, ჯანჯღავა, კუპრეიშვილი, ჯაკობია, ჭკა-

¹ ქიმ, №1292; კეკელია ი., ოდიშარია დ., სენაკის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, ქუთ., 2012, გვ. 71.

² ქიმ., №1069; კეკელია ი., ოდიშარია დ., დასახ. ნაშრომი, გვ., 71.

³ ქიმ, №1090; კეკელია ი., ოდიშარია დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

დუა, არჩაია. წოდებრივი შემაღვენლობის მიხედვით აქ ცხოვრობდნენ სასულიერო პირები და საეკლესიო გლეხები.

როგორც აღვნიშნეთ, ყველა ზემოთ დამოწმებულ საეკლესიო-ისტორიულ საბუთში დასახელებული „სენაკი“ და „სენაკები“ გულისხმობს სოფელ ძველ სენაკს, რაც მდებარეობს ქ. სენაკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. ტეხურის მარჯვენა ნაპირას, სენაკი-მარტვილის საავტომობილო გზაზე, ქალაქ სენაკსა და სოფ. ქვედა სორტას შუა. სენაკთან საზღვარია ისტორიული შხეფის ნაწილი, ერთ დროს სოფლის სტატუსის მქონე პატარა შხეფი. თვით შხეფი ქ. სენაკის უბანია. სწორედ მის გაგრძელებას წარმოადგენს პატარა შხეფი. ჩრდილო-დასავლეთით ძველ სენაკს საჩიქობავო ესაზღვრება. ძველი სენაკის თემი მდ. ტეხურის ორივე მხარეს მდებარეობს და აერთიანებს რამდენიმე სოფელს: ძველ სენაკს (ცენტრი), ზედა და ქვედა სორტას, კვარჩხილას, კოტიანეთს¹, პირველ ნოსირსა და საჩიქობავოს. ძველი სენაკის თემს ჩრდილოეთით ნოქალაქევის, სამხრეთ-აღმოსავლეთით კი ნოსირის თემი ესაზღვრება, დასავლეთით – საჩიქობავოს მიმართულებით, ეკის მთამდე ვრცელდება. აღმოსავლეთით გეჯეთს ემიჯნება, ხოლო სამხრეთით – ქალაქ სენაკს.

XIX-XX საუკუნეებში ძველ სენაკში სხვა გვარებიც დასახლებულან. სოფლის უბნების სახელწოდებანი – საბაქრაძო, საგიგბერიო, სადავითაიო, საქანთარიო, საჩიქობავო, საჯღანჯღა, საშაფათო, სამიქაძო, საბედიო, საესებუო, აგრეთვე მიკროტოპონიმები – გეგიაშ მუხური, გამსახურდიაშ(ი) ნოხორი, ნაათშილო, ქორქიაშ(ი) ნოხორი, კიზირიაშ(ი) ნოხორი, ჭუბაბრიეთიშ(ი) ნოხორი და სხვ., მიუთითებს ძველ სენაკსა და

¹ 1911 წელს სოფ. კოტიანეთის შესახებ გაზეთი „კოლხიდა“ წერდა: „ეს სოფელი ძვეს ძველ სენაკსა და ნოქალაქევის შორის. მთაგორიანი ადგილია, მაგრამ ჭალაც საკმარისი აქვს. შუა გაუდის დიდი სათემო გზა, სადაც ყოველ წამს მიჰქრის ეტლები. 10-15 წლის წინათ ქცევა სამოსახლო მიწა იშოვებოდა 15-20 მანეთად. მცხოვრებნი ესახლნენ ზევით ეკლესიის ირგვლივ, მაგრამ მერე ნელნელა იწყეს ქვევით ჩამოსვლა“. „კოლხიდა“, №186, 1911.

ადმინისტრაციულ ერთეულში შემაჯალ სოფლებში (ზედა სორტა, კვარჩხილანი, კოტიანეთი, პირველი ნოსირი, საჩიქობავო, ქვედა სორტა) ბაქრაძეების, გიგბერების, დავითაიების, ქანთარების, ჩიქობავების, ჯანჯღავების, შათათაიების, მიქაძეების, ბედიების, ესებუების, გეგიას, გამსახურდიას, აფშილავას, ქორქიას, კიზირიას, ჭყუბაბრიების გვარისკაცთა ცხოვრებას.

გერმანელი მეცნიერი და მოგზაური ედუარდ აიხვალდი, რომელიც კავკასიაში 1825-1826 წლებში იმყოფებოდა, გურიის საზღვრების აღწერისას მიუთითებს, რომ მას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება სამეგრელოს მხარე სენაკი¹.

ოდიშ-ლენინის დავით დადიანისეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის ჩვენებით სენაკი (ძველი სენაკი) სუჯუნის მაზრაში შემაჯალი სოფელია². სენაკის სახელითაა იგი მითითებული 1886 წელს რუსეთის იმპერიის მიერ განხორციელებული ამიერკავკასიის კომლობრივი აღწერის ცნობარში, რომლის მიხედვით არსებობდა ნაქალაქევის უბნის სენაკის სოფლის საზოგადოება. მასში შედიოდა ექვსი სოფელი: კოტიანეთი – 121 კომლი (694 სული), სორტა – 81 კომლი (410 სული), სენაკი – 18 კომლი (855 სული), სენაკი-ძველი დაბა – 16 კომლი (62 სული), სენაკი-ახალდაბა – 19 კომლი (101 სული). ჯამში სენაკის სოფლის საზოგადოებაში ცხოვრობდა 491 კომლი, 2446 სული³.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1930 წლის ცნობარში ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს უკვე „ძველი სენაკის სასოფლო საბჭო“ ეწოდება და აერთიან-

¹ ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი მესამედი), თბ., 2005, გვ. 207.

² მეუნარგია ი., სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი. მასალები და დოკუმენტები, სოლომონ ცაიშვილის რედაქციით. თბ., 1939.

³ კეკელია ი., ოდიშარია დ., დასახლებული ნაშრომი, გვ. 113.

ნებს შემდეგ სოფლებს: კვარჩხიდალს (24 კომლი, 114 სული), კოტიანეთს (17) კომლი, 816 სული), საჩიქობაოს (52 კომლი, 126 სული)¹.

საგულისხმოა, აგრეთვე, ის ფაქტი, რომ 1930 წლის გამოცემის მიხედვით უკვე შექმნილია „ახალი სენაკის სასოფლო საბჭო“, რომელშიც შედის ერთადერთი დასახლებული პუნქტი – ქალაქი ახალსენაკი (1389 კომლი, 5498 სული; მ. შ. ქართველი – 5151, ქართველი ებრაელი – 118, რუსი – 89, სომეხი – 50, ბერძენი – 29, პოლონელი – 1, დანარჩენი – 60²).

მითითებული ორი წლის მონაცემების შედარებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 1886 წლის ცნობარში დასახლებული **Сенаки, Старо-местечко** (სენაკი — ძველი დაბა) ახლანდ. ძველი სენაკი (ცენტრი) უნდა იყოს, ხოლო **Сенаки, Ново-местечко** ძველი სენაკის ის უბანია, რასაც ამჟამად **ჭიჭე შხეფი** ჰქვია, 1930 წლის ცნობარში კი **შხეფი მეორის** სახელითაა შეტანილი.



მრავალსაუკუნოვანი ჭადრის ხე ძველი სენაკის ცენტრში

¹ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ტფ., 1930.

² იხ. კეკელია ი., ოდიშარია დ., დასახლებული ნაშრომი, გვ. 116.

ძველი სენაკის თემში შემაჯავალ შეიდივე სოფელში ამჟამად მრავალ-კომლიანი გვარებია: ქავთარაძე, ჩიქობავა, ჯანჯღავა, კირცხალია, ჩი-ლაჩავა, ჭუბაბრია, კუჭავა, მილორავა, გიგიბერია, ჯინორიძე, ლომია, სახოკია, კუპრეიშვილი, ესებუა, პირტახია, ჯაიანი, ნინუა, კერძაია, ჯა-კობია, დავითაია, არჩაია, ძიძიგური, დუდუჩავა, გოგია, შათათავა¹.

სოფელი მდიდარია ისტორიული და ბუნების ძეგლებით. სოფლის შუ-აგულში დგას რვაასწლოვანი ჭადრის ხე. ძველი სენაკი ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია გორაკ-ბორცვების ზოლით, რაც „უნაგირას“ სახე-ლითაა ცნობილი. მის ტერიტორიაზე იზრდება კოლხური ტყისათვის დამახასიათებელი მცენარეულობა: რცხილა, წიფელა, თელა, კოპიტე, მუხა, ცაცხვი, მურყანი, აკაცია, წაბლი, ბზა, თხილი და ბროწეული, ტყის განაპირა ზოლში – ასკილი, მაყვალი და იელი. ფერდობებზე ხელოვნუ-რადაა გაშენებული ტუნგო. ფრინველებიდან გვხვდება: შაშვი, ჩხიკვი, წიწკანა, წივწივა, ბელურა, კოდალა, ბულბული და მწყერი, იშვიათად – ოფოფი და ხოხობი, მტაცებელი ფრინველებიდან – ქორი, ძერა, მიმინო და ყვავი. ჭაობიან ადგილებში გვხვდება ყანხა, ზამთრობით კი მოფრი-ნავენ ხვები. ტყის ზონაში მტაცებელი ცხოველებიდან გვხვდება მგე-ლი, ტურა, მელა, მაჩვი, კურდღელი და კვერნა, მღრღნელებიდან – მინ-დვრის თაგვი, ვირთაგვა, მემინდვრია, ზღარბი და თხუნელა. ბუნებრივი სიმდიდრეებიდან აღსანიშნავია კირქვის საბადო.

სამეგრელოს ეპარქიის 1838 წლის სტატისტიკურ აღწერილობაში ეპარქიაში შემაჯავალ ეკლესიებს შორის დასახელებულია სენაკის წმ. გი-ორგისა და მაცხოვრის სახელობის ეკლესიები. დ. ჭითანავას ცნობით, ამათგან პირველი, რომლის კედლების ნაშთია შემორჩენილი, მდებარე-ობდა მდ. ნახურის მარჯვენა მხარეს, ხოლო მეორე – ტეხურსა და ნა-

¹ ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VII, სენაკის რაიონი, თბ., 2013, გვ. 107.

ხურს შუა¹.

ვახუშტი ბატონიშვილის მიერ დასახელებული სენაკის „ეკლესია გუნბათიანი, კეთილშენი, საყოფელი აფხაზთა კათალიკოსისა“, უნდა იყოს ძველი სენაკის ცენტრში, ნახურის მარცხენა მხარეს, სოფლის სასაფლაოზე მდგარი მაცხოვრის შობის სახელობის ეკლესია. იგი მოიხსენიება უფრო ადრინდელ (1657-1660 წწ.) საეკლესიო-სამართლებრივ ძეგლებში. ერთგან ხაზგასმით მითითებულია „სენაკს საყდარი მაცხოვრისა“².



ძველი სენაკის ტაძარი

სენაკის (ძვ. სენაკის) მაცხოვარი და წმ. მთავარმოწამე გიორგი დასახელებულია სამეგრელოს ეპარქიის 1855 წლის აღწერაში, როგორც სუ-

¹ ჭითანავა დ., ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, თბ., 2010, გვ. 60.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საქართველოს საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), თბ., 1970, გვ. 533.

ჯუნის მაზრაში მდებარე ეკლესიები¹. 1873 წლის სტატისტიკური აღწერის მასალებში, ტეხურისა და მისი შენაკადების გასწვრივ მდებარე პუნქტების ჩამონათვალში დასახელებულია **ს. სორგდა (სორტა)** – ერთი ეკლესიით, სენაკი (ახლანდ. ძველი სენაკი), სადაც დგას აფხაზეთის კათალიკოსის ყოფილი კათედრა – კარგი არქიტექტურის ეკლესია და სკოლა. მითითებულია აგრეთვე სოფ. საჩიქობავო, ეკლესიის გარეშე².

სენაკი აფხაზეთის კათალიკოსის სამყოფელი გახდა XVII-XVIII საუკუნეებში, აფხაზეთიდან ქართველთა გამოდევნის შემდეგ. ეკლესია, როგორც მიუთითებთ, დგას სენაკი-მარტვილის საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს, სასაფლაოზე, მდინარეებს – ტეხურსა და ნახურს შორის, და მაცხოვრის შობის სახელობისაა. ეკლესია დიდი ზომის, გუმბათიანი ნაგებობაა. გუმბათქვეშა სივრცე სფერული კონქით არის გადახურული, რაც ეფუძნება ორ წყვილ სვეტს და მათ საბჯენ თაღებს. ნახევარწრიული ფორმის თაღები გადადის ერთსაფეხურიანი პილასტრებით, როგორც განივი, ასევე გრძივი მიმართულებით. ინტერიერი სვეტებით სამნავადაა დანაწევრებული. ცენტრალური ნაფი აღმოსავლეთიდან სრულდება ნახევარწრიული ფორმის აფსიდით, სადაც წყვილი თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლების ძირში დგას მასიური ტრაპეზის ქვა. აფსიდის გვერდებზე დატანებულია ცილინდრული კამარით გადახურული სამკვეთლო და სადიაკვნე. მათ თაღოვანი სარკმლები აღმოსავლეთის მხარეს აქვთ. სამკვეთლოს სამხრეთის კედელში მოწყობილ მცირე სამალავს გეგმით ჯვრის ფორმა აქვს. საკურთხევლის წინ ერთსაფეხურიანი სოლეაა. ეკლესიას შესასვლელი სამი მხრიდან (დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან) აქვს. სამივე შესასვლელის ზემოთ წყვილ-

¹ სცია, ფ. 487, აღწ. 6; ჭითანავა დ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 64.

² ჭითანავა დ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 76.

წყვილი, თაღოვანი და წრიული სარკმლებია გაჭრილი. წახნაგოვანი ფორმის გუმბათის ყელი ასევე წახნაგოვანი სახურავით სრულდება. გადახურულია თუნუქით. გუმბათის ყელში მ თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლები მრგვალი ფორმისაა, ხოლო თაღები – ნახევარწრიული ფორმისა. კარ-სარკმლების მოხარჩობა დამახასიათებელია XIX საუკუნის არქიტექტურისათვის. ეკლესია დგას ორსაფეხურიან ცოკოლზე. აქვს ფართო და მაღალი შესასვლელები და ასევე დიდი ზომის სარკმლები¹. ეკლესიის გუმბათი 1905 წელს დაუშენებიათ ქალბატონების – მარიამ ჯაფარიძის, მექმარიაშვილისა და ნინა კუხალეიშვილის (ცაგეროდან) თაოსნობით. აქ მღვდელმსახურები ყოფილან დავით და სიმონ ქავთარაძეები².

1856 წელს სენაკს (ძველ სენაკს) სწვევია ინგლისელი მოგზაური და დიპლომატი ლოურენს ოლიფანტი (1829-1888 წწ.). თავის წიგნში – „თურქეთის არმიის ტრანსკავკასიური კამპანია ომარ ფაშას მეთაურობით: პირადი ჩანაწერები“, ოლიფანტი აღნიშნავს: „სინაკია (იგულისხმება დღევანდელი ძველი სენაკი – ავტ.) ჩვენთვის ყველაზე პოპულარული ადგილი იყო, რომელიც შედარებით ახლოს იყო ცივილიზაციასთან. ის შედგებოდა ორი ქუჩისგან, რომლის გასწვრივ ჩამწკრივებული იყო ხის სახლები. ჩვენი გამოჩენისთანავე მაცხოვრებლებმა ტყეს შეაფარეს თავი, თავიანთ სავაჭრო საქონელთან ერთად. მაგრამ როდესაც ჩვენი უწყინარი ხასიათი და ზღაპრული ფასების გადახდის მზადყოფნა აღმოაჩინეს, ხუთი თუ ექვი ვაჭარი დაბრუნდა და გააღეს თავიანთი სავაჭრო ადგილები, სადაც ცივილიზაციის რამდენიმე პროდუქტის შექენა იყო შესაძლებელი, თუმცა ადგილობრივი ღვინო სასმელად არ ვარგოდა... ქალაქი (იგულისხმება დღევანდელი ძველი სენაკი – ავტ.) მდებარეობდა

¹ იქვე, გვ. 429.

² ჭითანავა დ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 428-429.

ბორცვების ძირში, რომელთა სიმაღლე ორი ათასი ფუტი იქნებოდა, ერთ-ერთ ბორცვზე კი აღმართული იყო ძალიან მომხიბვლელი ძველი ციხე **Scheppe** (იგულისხმება შხეფის ციხე – ავტ.), თავისი ძნელად გამოსათქმელი სახელით და მასიური კოშკით, რომელსაც გადაჭრილი კონუსის ფორმა აქვს და მისი სქელი კედლები დაფარულია სურათი. ეს იყო დადიანების ერთ-ერთი რეზიდენცია და ახლაც ერთ-ერთ მათგანს ეკუთვნობდა¹.

ოიკონიმ „სენაკის“ ეტიმოლოგიის შესახებ მსჯელობს ომარ ხუხუა. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ოიკონიმი „სენაკი“ კომპოზიტია, სადაც გამოიყოფა -კი მაწარმოებელი, რასაც უძველეს კოლხურ სიტყვას – სკი/-/სქის უკავშირებს (სკირი//სქირი → შვილი). ო. ხუხუა ფიქრობს, რომ **სანასკიზანასკი** იგივეა, რაც სანაშვილი, ზანაშვილი, სანაძეზანაძე, სანაია და ა. შ. „ეს თვალსაზრისი იმდენად გამჭვირვალეა, რომ დაეჭვებისთვის ადგილი არ რჩება“, – კატეგორიულად დაასკვნის ო. ხუხუა². არადა, დაეჭვებას სწორედ ის გარემოება იწვევს, რომ **სანაკი//სენაკი** მცირე სახლაკს, მონაზენისათვის, განდეგილისათვის განკუთვნილ ცალკე ოთახს ნიშნავს და, აქედან გამომდინარე, ოიკონიმი სანაკი//სენაკი ეკლესიონიმად უნდა მივიჩნიოთ³. ამ თვალსაზრისს იზიარებს ენათმეცნიერი პ. ცხადაია⁴.

ძველად „სენაკად“ იწოდებოდა აგრეთვე სოფლის ან მინდვრის მცირე ეკლესია. იგი ბერძნულიდან შეთვისებული სიტყვაა და, როგორც პ. ცხადაია მიუთითებს, მრავალ ლექსიკონშია განმარტებული: „სენაკი – მცირე სახლაკი, მონაზენის სადგომი“ (სულხან-საბა); „სენაკი – სამარ-

¹ Oliphant, L., *The Trans-Caucasian Campaign of the Turkish Army under Omar Pasha: A Personal Narrative*, Edinburgh/London, 1856

² ხუხუა ო., „სანაკი“ თუ „სენაკი?“ ანუ ვინ არიან სანიკები, სანიგები, სანიხები? ჟურნ. „სათანო“, №4, მარტვი, 2007, გვ. 24.

³ კეკელია ი., ოდიშარია დ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 75.

⁴ ცხადაია პ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 110.

ტვილო ოთახი“ (ნ. ჩუბინაშვილი). პ. ცხადაია იმოწმებს სენაკ- სიტყვის სემანტიკურ ამპლიტუდას, რაც ძველი და ახალი ქართული ენის ლექსიკონებშია ასახული: „სენა, სენაკი – ბერის სადგომი, ქონი, საყუდარი“ (ი. აბულაძე); „სენაკი, სენად – ოთახი“ (ზ. სარჯველაძე); „სენაკი – ცალკე ოთახი ბერისათვის, მონაზვნისათვის, განდევილისათვის“ (ქეგლ); „სანაკი, სენაკი – პატარა ოთახი“ (ა. ქობალია). სიტყვის სემანტიკა და სახელდების მოტივი მართებულიაა წარმოდგენილი კ. ჰანთან: „სენაკი (ქართ., მეგრ. – სენაკი келья). „სენაკი – პატარა ქალაქი, დაარსდა იმ ადგილას, სადაც უწინ მონაზონთა საყუდებელი იყო“ (იგულისხმება დღევანდელი ძველი სენაკი).

მაშასადამე, დასძენს პ. ცხადაია, ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად ქართულში შეთვისებული „სენაკი“ ნიშნავს მცირე სახლაკს (ქონს) ან ცალკე ოთახს, განკუთვნილს მონაზვნისათვის, განდევილისათვის. ამის შემდეგ უმედგო და უსაფუძვლოა სენაკ- სიტყვის ქართული წარმომავლობის ძიება. პ. ცხადაია სოფ. ჯინაშეკარში, საზარანდიოში მდებარე სასაფლაოს სახელწოდებად ასახელებს ტოპონიმ „სასენაკოს“, და იმოწმებს რესპონდენტის განმარტებასაც: „სენაკი არის წვიმისაგან თავშესაფარი ან ყარაულის ღამის სათევი შენობა“¹.

1890 წელს დაწერილი ერთ-ერთი საგაზეთო სტატიის ავტორი, სენაკელი პედაგოგი ს. სანებლიძე აღნიშნავდა: „Общество Сенак получил своё название от слова „Сенаки“, т. е. келья, ибо в разных частях этого общества были разбросаны келья“. სტატიაში აღნიშნულია, რომ 1890 წელს სენაკის სოფლის საზოგადოებაში მკვიდრობდა 1235 კაცი და 1079 ქალი. სოფლის მაცხოვრის ეკლესიაში ყოველწლიურად იმართებოდა 6 რელიგიური დღესასწაული და თითოეულ დღესასწაულზე იმართებოდა ბაზრობა².

¹ ცხადაია პ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 110-111.

² Санелидзе С. М., Сенакское сельское общество. СМОМПК, выпуск десятый, Тифлис, 1890, с. 969. მსჯელობისთვის იხ.: ცხადაია პ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 109.



გლახის კარ-მიღამო. XIX ს-ის I ნახევარი. ძველი სენაკი.

საგულისხმოა XVII ს. იტალიელი მისიონერის – არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერაში“ მოცემული მსჯელობა მდ. ტეხურისა და სახელწოდება „სენაკის“ შესახებ: „ტეხური შეიძლება იყოს არიანეს სიგამე... არიანე ამტკიცებს, რომ ეს მდინარე ჩაუდის ერთ ადგილს, რომელსაც მდინარის გამო ეწოდება სიგამე. ამის მსგავსი სახელი მართლა ჰქვია იმ ადგილს, რომელსაც ჰქვია ტეხური. ამ ადგილის სახელია სენაკი. ადვილად შესაძლებელია, რომ ენის განუვითარებლობის გამო სიგამე გადაიქცა სენაკად და მდინარემ რომ თავისი სახელი მისცა ამ ადგილს, ადვილმა შეინახა და თვით მდინარემ გამოიცვალა ეს სახელი სხვაზე“¹.

ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემებზე დაყრდნობით გ. ელიავა შენიშნავს, რომ შუა საუკუნეებში ბერებს ეკლესიასთან მოუწყვიათ მცირე ქოხები, სამარტვილო ოთახები, სენაკები – საცხოვრებლად. აქვე

¹ ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, თბ., 1991, გვ. 162.

ჰქონიათ სტუმართა დასასვენებელი ქოხები, რის გამოც ადგილს დარქმევია „სენაკი“.¹

დასახლებული პუნქტი „სენაკის“ ფორმითაა დასახლებული ერთხალხურ ლექსში: სანაკი დო ფუთი შქას, მეფორჩილო ღუმე ჩანც, ცოროფილქ მეშიდინუ, ფერ დო ხორცის მუ მუჩანც. „სენაკსა და ფოთს შორის მობიბინე ღომი ხარობს, საყვარელი დაგვარგე და ფერსა და ხორცს რა მომცემს“².

XIX საუკუნის 10-20-იან წლებში სამეგრელოში მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრებს წარმოადგენდა ზუგდიდი, რედუტ-კალე (ყულევი), სენაკი, სუჯუნა, ანაკლია, სადაც სავაჭრო დუქნები იყო გამართული³. დავით დადიანის დროს ბაზრობები, ანუ როგორც მაშინ ეძახდნენ – იარმუკები, იმართებოდა სენაკში – ფერისცვალების კვირას; ცაგერში – ენკენობას; ჯვარში – 10 გიორგობისთვის; ხობში – 15 მარიაობას⁴. იარმუკები დასავლეთ საქართველოს დაბა-ქალაქებსა და სოფლებში ეწყობოდა პარასკეობით, რაიმე რელიგიურ, თუ სხვა სახის დღესასწაულთან დაკავშირებით. იონა მეუნარგიას ცნობით, სენაკის კაპიტალი ებარა გიგო გობეჩიას, რომელსაც წლისთავზე შემოსდიოდა 5-6 ათასი მანეთი⁵. 1820 წლის ცნობით დადიანს სენაკში ჰყავდა 68 ოჯახი ვაჭარი და ხელოსანი, ზუგდიდში – 120, ანაკლიაში – 18⁶. 20-იანი წლების ერთი საბუთის მიხედვით ლევან დადიანს ეკლესიისათვის შეუწირავს 4 კომლი ვა-

¹ ელიავა გ., სენაკის რაიონის ტოპონიმის, თბ., 1989, გვ. 69.

² ცანავა ა., ქართული ფოლკლორის საკითხები (მეგრული მასალების მიხედვით, თბ., 1990, გვ. 265.

³ მეუნარგია ი., დასახლებული ნაშრომი, გვ. 148; ტულუში ა., ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან, გვ. 19

⁴ მეუნარგია ი., დასახლებული ნაშრომი, გვ. 148; გაზ. „ივერია“, №153, 19 ივლისი, 1894.

⁵ მეუნარგია ი., დასახლებული ნაშრომი, გვ. 150.

⁶ იობაშვილი გ., დასავლეთ საქართველოს ქალაქები XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში, თბ., 1983, გვ. 113.

ჭარბი¹. სენაკიდან შეძლებული ვაჭრები ყოფილან ბეჟან ქავთარაძე და იესე სალაყაია².

ბეჟან ქავთარაძე წვრილმან ვაჭრობას ეწეოდა. მან ხაზინიდან კომერციული საქმიანობისათვის მიიღო 500 მან. 1854 წლისათვის ქავთარაძეს ბრუნვაში 6000 მანეთამდე ჰქონდა. სენაკშივე არსებობდა მიხეილ ქავთარაძის მაღაზია, რომელსაც საზღვარგარეთ მხოლოდ ერთხელ წასვლით 2500 მანეთის საქონელი შეუსყიდია³.

ამავე პერიოდში (XIX ს-ის 50-იანი წლები) ცნობილი ვაჭარი ყოფილა სოფელ ეკის მცხოვრები ვატა პაჭკორია, რომელსაც მაღაზია ჰქონდა სენაკში. მის მაღაზიაში იყიდებოდა შემოტანილი და ადგილობრივი საქონელი – ხავერდი, შალეული, ტრიკოტაჟი, ჩითი, ნარმა, ნონები, ქამრები, რუსული საპონი, ქოლგები, სანთლები და სხვ.⁴

გ. იობაშვილის დაკვირვებით, XIX ს-ის 50-იანი წლებისათვის შესამჩნევად დაწინაურდნენ დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პუნქტები და დაბები, კერძოდ, ჩხარბი, ონი, საჩხერე, სენაკი, ლანჩხუთი, სუჯუხა, ლაილაში და ანაკლია. რეფორმამდელი პერიოდის ბოლოსათვის ჩამოთვლილ პუნქტებში მოსახლეობის საერთო რაოდენობა 8000-მდე აღწევდა⁵. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მცხოვრებთა ამ საერთო რაოდენობიდან ვაჭრობა-ხელოსნობასა და წვრილ მესარეწვეობას მისდევდა⁶.

XIX ს-ის 50-60-იან წლებში დასავლეთ საქართველოში დაბებისა და

¹ იქვე, გვ. 122.

² მეუნარგია ი., დასახელებული ნაშრომი, გვ. 174; იობაშვილი გ., დასავლეთ საქართველოს ქალაქები XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში, თბ., 1983, გვ. 145.

³ ლემონჯავა დ., გლახთა აჯანყება სამეგრელოში (1856-1857), თბ., 1957, გვ. 13.

⁴ ზუგდიდის მუზეუმი, ფონდი 3, საქმე 4654, ფურცელი 5-6; ლემონჯავა დ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 13.

⁵ იხ. სსცია, ფ. 220, საქმე 1076, ფურც. 174-177; იობაშვილი გ., დასავლეთ საქართველოს ქალაქები XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში, თბ., 1983, გვ. 100.

⁶ იქვე, გვ. 100.

მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო სოფლების ეკონომიკური მნიშვნელობისა და მოსახლეობის რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდამ გამოიწვია მთავრობის მიერ ამ პუნქტების „სავაჭრო დაბებად“ და „ქალაქებად“ იურიდიული გაფორმება. ერთ-ერთი საარქივო საქმის მიხედვით, „Во время нашего в Мингрелию и Имеретию торговые местечки: Зугдиди, Сенаки, Орпири, Анаклия, Лайлаши, Суджуни, Хони, Кулаши ещё больше населились и устроились, так, что имеют все основания для образования из них в будущем городов. Даже и теперь местечки эти служат уездным и судебным учреждением Зугдидского, Сенакского и Лечхумского уездов¹.

„სენაკში იარმარკა იმართებოდა წელიწადში 5-ჯერ, – წერს გ. იობაშვილი, – შემოტანის მთავარი საგნები იყო: მარილი და მანუფაქტურული ნაწარმი. ადგილობრივი ვაჭრობის საგნებს წარმოადგენდნენ სიმინდი, სანთელი, თაფლი, თამბაქო, ბამბა, რქოსანი საქონელი. სენაკის იარმარკა 40 ათასი მანეთის ვერცხლს ატრიალებდა. ამ პერიოდში აქ 30-მდე სავაჭრო ღუქანი ყოფილა“².

XIX ს-ის I ნახევარში ვაჭარი მოსახლეობის თანდათანობითი ზრდით წინაურდებოდნენ ორპირი, სენაკი, ლაილაში და სუჯუნა. ორპირის მოსახლეობა ამ დროს აღწევდა 950 სულამდე, აქედან 73 მსხვილი ვაჭარი იყო. ლაილაშისა და სუჯუნის მოსახლეობის დიდ ნაწილს ასევე ვაჭრები შეადგენდნენ; სენაკის მოსახლეობა ამ პერიოდში 500-მდე აღწევდა³.

30-იანი წლებიდან დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში შეინიშნება გარედან მოსული მოსახლეობის ქალაქად ლტოლვისა და ქალაქელთა რიგებში, ან უფრო ზუსტად, მოქალაქეთა ფენაში ჩარიცხ-

¹ ЦГИАЛ, ф. 1287, оп. 38, д. 1343, л. 2-3; იობაშვილი გ., დასავლეთ საქართველოს ქალაქები XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში, გვ. 102.

² იობაშვილი გ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 78.

³ იქვე, გვ. 95.

ვისკენ სწრაფვის პროცესი, რასაც ესწრაფვიან არამარტო საბატონო გლეხები, ან კიდევ ყმა ვაჭრები, არამედ სახელმწიფო და სახაზინო გლეხებიც. 1829 წლის ცნობით, ამ წელს ყულეველ მოქალაქეთა წოდებაში ჩაირიცხა 3 ადგილობრივი (ყულეველი) და 1 სენაკელი ვაჭარი, გვარად პაჭკორია¹.

სენაკში, როგორც სავაჭრო ცენტრში, ადრიდანვე უცხოვრიათ ებრაელებს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი ცნობა სენაკში მცხოვრები მოშე ებრაელის შესახებ. ანტიბატონყმური ბრძოლის ფორმას გლეხების მემამულეებისაგან აყრა-გაქცევა წარმოადგენდა. მებატონის სისასტიკეს და მძიმე ფეოდალურ ვალდებულებებს გარიდებულის გლეხი უმთავრესად სამურზაყანოსა და აფხაზეთში გარბოდა. 1847 წლის 3 აგვისტოს კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვისადმი (1844-1854 წწ.) გაგზავნილ წერილში გლეხთა გაქცევით შეშფოთებული დავით დადიანი ითხოვდა ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებში მათ დაბრუნებას. წერილს ერთოდა სხვადასხვა ღრის სამურზაყანოში გაქცეული გლეხების ვრცელი სია სოფლების მიხედვით. სიაში ჩამოთვლილია გლეხები სამეგრელოს სამთავროს სოფლებიდან – სენაკი, ბანძა, ჯოლევი, თეკლათი და საჭყონდიდლო მამული². სიაში დასახელებული ერთი ებრაელი – სოფელ სენაკში მცხოვრები მოშე ებრაელი 7 წლის წინ გაქცეულა სამურზაყანოში (1840 წ.) და შვილთან ერთად გიორგი ჯამულეთის შვილთან იმყოფებოდა³.

XIX ს-ის 50-იან წლებში ფართო მევახშეობას ეწეოდნენ და ფულად ოპერაციებს აწარმოებდნენ სენაკელი ვაჭრები – ვახტანგ სიმონის ძე

¹ სსცია, ფ. 2, აღწ. 2, ს. 684, ფურც. 88-89; იომაშვილი გ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 1342-133.

² სსსსა, ფ. 4, აღწ. 1, ს. 652, ფურც. 11-14.

³ Lordkipanidze V., Khorava B., Chitanava D., Tsimintia Q., Migration processes in the Principality of Mingrelia in the First Half of the 19th Century, Bulletin of the Georgian National Academy of sciences, vol.15, no.1, 2021, p. 107-108.

ქოჩაკიძე და ფარნაოზ უგრეხელიძე. ქოჩაკიძემ დავით დადიანისაგან იჯარით აიღო 6000 მანეთის შემოსავალი. დ. ლემონჯავას თქმით, ამ შემოსავალს დადიანი სენაკელი ვაჭრებისაგან იღებდა. ვახტანგ ქოჩაკიძემ წინასწარ გადაუხადა დადიანს აღნიშნული თანხა¹.



ბაზრობის დღე სოფელ სენაკში. მხატვარი ვასილ შერეშეტევი. 1865 წ.

სამეგრელოში – ზუგდიდსა და სენაკში სავაჭრო მალაზიები ჰქონდათ ქუთაისელ ებრაელ ვაჭრებს – დავით და კაცო იაკობაშვილებს, აგრეთვე ფარნაოზ უგრეხელიძეს და სხვ.²

ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იონა მეუნარგია აღნიშნავს, რომ ოდიშის მთავარმა დავით ლევანის ძე დადიანმა კუბიდან ჩამოაყვანინა მცოდნე კაცები და სენაკის მიდამოებში ენდროს პლანტაცია

¹ ლემონჯავა დ., გლახთა აჯანყება სამეგრელოში, თბ., 1957, გვ. 14; იხ. აგრეთვე: იობაშვილი გ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 145.

² ქუთაისის არქივი, ფ. 16, საქმე 75, ფურც. 6; ლემონჯავა დ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 14.

გააშენებინა¹. ინტუანტერიის გენერლის, თავად ვასილ ბებუთოვის (ბებუ-თაშვილის) წერილის პასუხად 1852 წელს შედგენილ და დავით დადიანის მიერ გადასწორებულ „უსტარში“ ამასთან დაკავშირებით წერია: „ენდროს ოსტატი მოყვანილ არს მთავრის მიერ კუბიდგან ხელოვანი ოსტატი ებრაელი ნათესავით, და თესლი დაბარებული კუბითგან რომელმანც დაბასა სენაკს გააკეთა ენდროს პლანტაცია, და იპოვა მარჯვე და ვარგისათ რამეთუ აქა ავაცა შესწევს ესე ვითართა ნაყოფ გამოძღუბელობათა, ვინაიდგან ველური ენდრო მრავლათ აღმოცენდებიან ველსა და სოფლისანი სთხრიან და ხმარობენ თავიანთ საჭიროებისათვის“².

მწერალი შალვა დადიანი იხსენებს, რომ „წინათ სენაკი ერთი სოფელი ყოფილა სამეგრელოში და ეს სენაკი იყო კიდევ ერთ ღრო საბაზრო და სავაჭრო ადგილი ამ არე-მარეზე. აქ მოდიოდნენ იმერლები, მოჭქონდათ ღვინო, ჰყიდდნენ და სამაგიეროდ ყიდულობდნენ ხარებს, ძროხებს, ზოგჯერ ცხენებსაც, ნაპარავს თუ „არგამას“, ე. ი. ლეგალურს; მოდიოდნენ ბერძნებიც და იქენდნენ აბრეშუმს, სიმინდს და სხვ. თვით მოსახლეობა აგრეთვე ჰყიდდა შინაურ ფრინველებს, შინ მოქსოვილ საჩოხე შალებს, პაჭიჭებს და სხვ. ერთის სიტყვით, აქ დიდად გაცხოველებული აღებ-მიცემობა იყო გაჩაღებული აგვისტოს 1-დან 15-მდე, ე. ი. მარიაობის მარხვაში, როდესაც იმ ღროს სოფელს ყანებში საქმე არა ჰქონდა და თავისუფალი დღეებით სარგებლობდნენ. სახელი სენაკი ერთ ღროს, როდესაც ფოთისაკენ რკინის გზა იქნა გაყვანილი, წაართვა თეკლათმა, მაგრამ თეკლათი კი არ დაირქვა, არამედ ახალსენაკი და ამიტომ ძველ სენაკს სიტყვა „ძველი“ მაინც შეერჩა“³.

გ. ფარულავა შენიშნავს, რომ XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუ-

¹ მეუნარგია ი., სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი. მასალები და დოკუმენტები სოლ. ცაიშვილის რედაქციით. თბ., 1939, გვ. 95.

² იქვე, გვ. 103.

³ დადიანი შ., მოგონებანი. წგნ.: რჩეული თხზულებანი, ტ. V, 1962, გვ. 47-48.

კუნის დასაწყისში ძველ სენაკში წელიწადში ხუთჯერ იმართებოდა „იარმუკობა“, განსაკუთრებით ფერიცვალების დღეს დაიწყებოდა და აგვისტოს ბოლომდე გრძელდებოდა. მარიამობის დიდ ბაზრობაზე დიდძალი ხალხი იყრიდა თავს აფხაზეთიდან, გურიიდან, აჭარიდან და იმერეთიდან, საიდანაც მოდიოდნენ ეტლებით, ურმებით, ცხენებით, ქვეითადაც. დადიოდნენ დილიჩხებიც¹.

ძველი სენაკის იარმუკობის შესახებ არაერთი პუბლიკაცია გამოქვეყნდა პერიოდული პრესის ფურცლებზე. 1893 წელს გაზეთი „ივერია“ წერდა, რომ ძველ სენაკში ყოველწლიურად მარიამობისთვის იმართება იარმუკობა, რომელიც დიდძალ ხალხს იზიდავს სავაჭროდ კავკასიის სხვადასხვა კუთხიდან. აგვისტოს პირველ რიცხვებში დაწყებული იარმუკობა გასტანს თითქმის აგვისტოს ბოლომდე. გასულ წელს ხოლერის შიშით იარმუკობა გადადეს იმავე წლის ოქტომბრისათვის, მაგრამ არც ამ დრომ შეუწყო ხელი ვაჭრობას, რადგან იმ დროში აქეთ გაცხარებული მუშაობა იყო და სავაჭროდ არავის სცხელოდა. წელს კვლავინდებურად გამართეს კარვები და საცაა კიდევ დაიწყება იარმუკობა. კარვები გასულ წლებთან შედარებით მეტი დასცეს, რადგან წელს უფრო ბევრ მოვაჭრეს მოელიან. კარვების ფასი უწინდელზე ნაკლებია. წელს საზოგადოდ მთელს სამეგრელოში აბრეშუმის კარგი მოსავალი იყო და, რასაკვირველია, ყველას ძველი სენაკის იარმუკობაზე მოაქვს გასაყიდად. სამწუხაროდ წელს აბრეშუმის ფასი ერთობ ნაკლებია, რადგან ჯერჯერობით არავინ მოსულა მყიდველი. აქაური ებრაელები თუ იყიდიან და იმათაც ჩალის ფასად მიაქვთ. ამიტომ ვისაც სურს ბლომად აბრეშუმის ყიდვა, შეუძლია ათას ფუტობით იყიდოს საუკეთესო აბრეშუმის ძაფი

¹ ფარულავა გ., აღებ-მიცემობა და ხელოსნური საქმიანობა მხარეში ოქტომბრის რევოლუციამდე. გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის IV სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და თეზისები. ქუთ., 1965, გვ. 25; გეგენავა დ., როცა მზე ამოდოდა, თბ., 1969, გვ. 99-100.

და კარგი ქსოვილი დარაიები ამ იარმუკაზე¹.

აქ გამართული იარმარკის შესახებ გაზეთი „ხომლი“ აღნიშნავდა: „ძველ სენაკში პირველ აგვისტოდან დაიწყო სამარიობო იარმარკა; იგი გაგრძელდება დამლევ ამ თვემდე. აქ გამოაქვთ სამეგრელოს სხვა და სხვა კუთხეებიდან (უფრო მთებიდან) შემდეგი საქონლები: აბრეშუმის ძაფი, შრაფი, ჭილოფი, ჩონხა, თმები, კალათი, ქოთნები, თაფლი, სანთელი და პირუტყვები წვრილათ და ჯოგათაც“².



ძველი სენაკის აფთიაქი. XX ს-ის 10-იანი წლები

გ. ელიაშვილს თქმით, ახლანდელი სოფ. ძველი სენაკი ისტორიულად სოფლებს – ეკს, გეჯეთს, ნოქალაქევს, სენაკსა და ნოსიზს შორის მოქცეული ტერიტორიის ცენტრს და XIX ს-ის II ნახევრამდე ერთ-ერთ წამყვან ეკონომიკურ და კულტურულ დაბას წარმოადგენდა აღმოსავლეთ

¹ „ივერია“, №167, 1893.

² „ხომლი“, №26, 13 აგვისტო, 1908, გვ. 4.

სამეგრელოში. აქ არსებული ბაზარი და ხელოსნური წარმოების კერები მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში. საყოველთაოდ იყო ცნობილი აქაურ მეუნაგირეთა, ჩოხისა და ჭედური ხელოვნების ოსტატთა ნაწარმი. სენაკი ძველთაგანვე მდებარეობდა სამეგრელოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე, სადაც თავს იყრიდა არგუეთ-კლისორისა და ფოთი-მარტვილის გზები. აქ XIII-XV საუკუნეებშიც კი უნდა ყოფილიყო მგზავრთა მოსასვენებელი სენაკები – ჯიხური და სხვა ნაგებობანი. სენაკი ამ გზაზე ერთ-ერთი საფორტიფიკაციო ცენტრი იყო¹.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით 1900-იან წლებში ძველი სენაკის ცენტრი განათებული იყო მაღალ ბოძზე დამაგრებული ათიოდე ასაწევ-დასაწევი ნავთის ნათურებით. სოფლის ცენტრში იყო საბოქაულო და სტრახნიკების სახლი. სასაფლაოს გვერდით იდგა ნიკიტა ჯინორიას აფთიაქი და ფოსტა-ტელეგრაფის შენობა. სოფელს ემსახურებოდა ორი ექიმი – ხოფერია და ჯორჯიკია. ცენტრში იყო დაახლ. 150 მ სიგრძისა და 50 მ სიგანის მოედანი, სავაჭრო დუქნებით. აქ იყვნენ მჭედლები, მექათნეები, მეუნაგირეები, მეთუნეუქეები, ხარაზები, ერთი თერძი და ერთიც – მეჩექმე. აქვე სადალაქო ჰქონია კურდღელიას. ფართელით ვაჭრობდა იაგორა გუნია, ხოლო წვრილმანი საქონლით – მეთო შეროზია. აქვე სავაჭრო მაღაზიები ჰქონიათ ჭუბაბრიას და მეორე გილდიის კუპეცს², ასევე გვარად ჭუბაბრიას. ძველი სენაკის ცენტრშივე იყო ჯაკობიასა და მამა-შვილ დიმიტრი და ალექსანდრე ალასანიების სამიკიტნოები. ეკლესიის მახლობლად იდგა ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის ადგილობრივი განყოფილების შენობა. ბულვარსა და მოედნის

¹ ელიავა გ., სენაკის რაიონის ტოპონიმია, გვ. 69.

² „გილდია“ რევოლუციამდელ რუსეთში ერქვა ვაჭართა წოდებრივ იერარქიას კაპიტალის რაოდენობის მიხედვით. „კუპეცი“ იგივე ვაჭარია. შდრ. ართი კუპეცი რდღ ჯვეშ დროს „ერთი ვაჭარი იყო ძველ დროს“. ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2001.

კუთხეში იდგა მრავალსაუკუნოვანი ჭადარი. მოედნის ბოლოში, მარჯვენა მხარეს იწყებოდა მიხეილ ქავთარაძის მამული. სათავადაზნაურო სკოლის ეზოს კუთხიდან იწყებოდა ეკისკენ მიმავალი გზა¹.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ძველი სენაკის საქანთარიოს უბანში, მდ. ტეხურის მარჯვენა შენაკადის – ნახურის მარჯვენა ნაპირზე, შხეფისა და საჩიქობავოს ციხეების ხაზზე (სოსო ხარებავას ეზოში) დგას ციხე, რომლის აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლის ფრაგმენტებია შემორჩენილი. ციხე ადგილობრივ მოსახლეობაში **ნაჯინუ(რი)ს** სახელით არის ცნობილი². ნაგებობის კვალი შეიმჩნევა აგრეთვე საბჭალაშ გოლაში (სოფ. ზედა სორტა). ეს ადგილი **დადიაშ//ტახტას დადიაშ ნატახტუს** სახელით არის ცნობილი. დასაჯდომ ან დასაწოლ ფართო ლოდს სამეგრელოში ტახტს უწოდებენ (მდრ., დადიაშ ნატახტუ – მთა ეკის მთის ჩრდილოეთ ნაწილში, ბერთემ-ნოქალაქევესა და უფალკარსაგუნის შუა. გადმოცემით, ამ მთაზე სანადიროდ ამომავალი დადიანი ერთ ამორჩეულ ქვაზე დაჯდებოდა და ჩაუსაფრდებოდა ნადირს. ადგილი საზიაროა უფალკართან (საგუნო).

XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის დასაწყისში ოდიშის სამთავრო დაყოფილი იყო 12 სამოურავოდ. მათ სათავეში მდგომი მოურავები ადმინისტრაციული და სასამართლო უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი³. ცნობილია ჭაქვინჯის, საჭილაოს, სალიპარტიანოს, ჭალადიდის, სენაკის, ყულევის, ცაიშის, სუჯუნისა და სხვა სამოურავოები. ადმინისტრა-

¹ ბადრი ხურცილაეას მასალებიდან.

² ჭითანავა დ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 429; ცხადაია პ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 268.

³ ბროსე მ., არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოსა და აფხაზეთში. ტექსტი ფრანგულიდან თარგმნა ხათუნა წიკლაურმა, თბ., 2011, გვ. 64; ტულუში ა., სამეგრელოს სამთავროს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა. წგნ. სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში (არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრებისა და ეთნოლოგიის ნარკვევები), ილია ანთელავას რედაქტორობით, თბ., 1999, გვ. 250.

ციულ-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა საცინისთავო. სამოურავოები დაყოფილი იყო საცინისთავოებად. გამორჩეული სახასო ციხე მის ირგვლივ მდებარე სოფლებს იმორჩილებოდა, მათზე ბატონობდა. სენაკის სამოურავოში შედიოდა გორდის საცინისთავო, ექვსი სოფლით – გორდი, ნოლა, კინჩხა, რონდიში, ღვედი და დიდღვაბუნა. არსებობდა აგრეთვე საჭილაოს საცინისთავო, ექვსი სოფლით – კეთილარი, ტყვირი, ილორი, ეკალი, ნაფაღური, სანავარდო, გუგუნაყათი¹.

XVI-XVIII საუკუნეებში ამა თუ იმ საერო თუ საეკლესიო ფეოდალის (თავადი, აზნაური, ეპისკოპოსი, მონასტრის წინამძღვარი) რეზიდენციის – ციხე-სიმაგრის, ციხე-დარბაზის, სასახლის ეკლესიის ირგვლივ გაერთიანებული სოფლები მიმდგამ (მიმდგომ) სოფლებად იწოდებოდა. სენაკი და მისი მიმდებარე სოფლები ამ პერიოდში, ჩვენი აზრით, შხეფის ციხისა და აფხაზეთის კათალიკოსის „შემაგალი“ უნდა ყოფილიყო. მთავრის, ბატონიშვილების, თავად-აზნაურების ან ეკლესიის კუთვნილი სოფლების სათავეში მოურავი იდგა, რომლის ხელქვეითიც იყო სოფლის მამასახლისი. სამეგრელოში მამასახლისს ხელოსანი ერქვა, რაც „ხელის“, თანამდებობის მქონეს ნიშნავს².

XIX საუკუნის 50-60-იან წლებში ახლანდელი ძველი სენაკის ტერიტორიაზე გადიოდა გზა ზუგდიდიდან ცაიშის ტაძრის, მდ. ჯუშზე გადებული ხიდის, შემდეგ ხეთის, ხობის ტაძრისა და მის ქვემოთ, მდ. ხობისწყალზე გამართული ბორჩის, მდ. ცივზე გადებული ხიდის გამოვლით, მარტვილისაკენ. ქვაშიხორიდან 3 ვერსზე მდებარე სენაკში იყო მაზრის უფროსის რეზიდენცია. სენაკი იყო მნიშვნელოვანი სავაჭრო

¹ ცინცაძე ზ., ოდიშის სამთავროს გვიანი შუა საუკუნეების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. კრებული „საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები“, VIII, გვ. 276.

² ტულუში ა., სამეგრელოს სამთავროს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XVI-XIX სს-ში, თბ., 2009, გვ. 250-251.

ცენტრი. სოფლის ცენტრში დუქნები იდგა. სენაკში წელიწადში ხუთ-ჯერ იმართებოდა ბაზრობა. ქვაშიხორიდან მარტვილისაკენ მიმავალი ორი გზა ნოქალაქევეში იყრიდა თავს. ერთი მდ. ტეხურის მარცხენა, მეორე – მარჯვენა ნაპირს მიუყვებოდა. ნოქალაქევიდან გზა გადალახავდა მდ. აბაშას, ჩადიოდა ბანძაში, იქიდან კი – მარტვილში¹.

1840-იან წლებში სამეგრელოს მმართველის – დავით დადიანის მიერ სამეგრელოს სამთავრო (ოდში-ლექხუმი), სამოურავოების ნაცვლად, რვა მაზრად დაიყო. თითოეულ მაზრას სათავეში ედგა მაზრის მდივანბეგი, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა ადრინდელი მოურავის მოვალეობანი. უბნების გამგებლობა მდივანბეგ-მოურავთა ნაცვლებს ეკავათ. მდივანბეგები ფლობდნენ ადმინისტრაციულ და სამოსამართლო ხელისუფლებას. დ. დადიანის მიერ შედგენილი ინსტრუქციის თანახმად მდივანბეგს ევალებოდა პიროვნების საკუთრების დაცვა, მოსახლეობაში დავა-ცილობის აღკვეთა, ბოროტმოქმედთა დასჯა, საჩივრების მიღება-გარჩევა არსებული კანონის საფუძველზე, მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების შესწავლა, მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა შემუშავება². მეორე კლასის მდივანბეგებთან იყვნენ გათანაბრებულნი „ქალაქთუხუცესები“. მათაც ადმინისტრაციული და სამოსამართლო ფუნქციები გააჩნდათ. აღნიშნული თანამდებობა მხოლოდ ზუგდიდში, სენაკსა და სუჯუნაში არსებობდა და უწინდელი „ქალაქის ბერის“ ახალ სახეობას წარმოადგენდა. დიდი თემის სათავეში მდგარი ნაცვალთა თავის უბანში აღმასრულებელი ხელისუფალი იყო, რომელსაც უნდა აეკრიფა გადასახადები, გამოეყვანა სამთავრო სამუშაოებზე გლეხები, დაეცვა წესრიგი და ა. შ.³ დავით დადიანის მიერ შექმნილი მაზრებიდან სენაკი

¹ Эристави Р., Путевая заметки про Мингрелий. Кавказская сторона, №3, 1873, с. 73-77.

² ძაგანია ბ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (რეგიონალური ასპექტები), თბ., 2014, გვ. 29.

³ იქვე, გვ. 29-30.

და მის გარშემო მდებარე სოფლები ზუბისა და სუჯუნის მაზრებში ერთიანდებოდა. ზუბის მაზრაში შედიოდა: ზუბი, ზენი, ქვალონი, საგვასალიო, ხორში, საგაბესქირიო, ახალ-დოხოზი, ციხეთი, მეორე მოხაში, მაცხოვრისკარი, საჯიჯავო, ზანა, საწულეისკირიო, ეკი, იმანიერი, საფალავო, უფალ-კარი, უშათათი, ლეძაძამე, ნასაჯოგუ, ფოცხო, მოხაში, ლესიჭინე, ოჩხომურისპირი, საათაქიო ზანა; სუჯუნის მაზრაში: სუჯუნა, ეწერი, ესაკეთი, ზანათი, მთავარანგელოზი, მაცხოვარ-კარი ანუ კაპანა, რობა, ონტოფო, სეფიეთი, კადარი, აბაშა, გულუხეთი, სამიქაო, ონოღია, ნაგებეროუ, ბანძა, ორქა, ჯოლევი, კვაუთი, ნოქალაქევი, კოტიანეთი, სორტა, სენაკი, გეჯეთი, წყეში, ნოსირი, შხეფი, თეკლათი, სახარბელი¹. მაზრის სათავეში მდივანბეგი იდგა, რომელიც, იმავდროულად, სასამართლო ხელისუფალიც იყო.

1857 წელს არსებობა შეწყვიტა სამეგრელოს სამთავრომ და შემოდებულ იქნა რუსული მმართველობა, როგორც ღროებითი ღონისძიება, ტახტის მემკვიდრის – ნიკოლოზ დადიანის სრულწლოვანებამდე (1867 წ.). 1857 წლის 26 სექტემბერს შეიქმნა „სამეგრელოს მმართველობის საბჭო“, რომელშიც რუსი მოხელეები და ადგილობრივი, მაღალი წოდების წარმომადგენლები შედიოდნენ. სამეგრელოს მმართველად დაინიშნა გენერალი კოლუბიაკინი. „სამეგრელოს სამფლობელო“ დაიყო ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის „ოკრუგებად“. მათ უფროსებს მიენიჭათ ქუთაისის გუბერნიის მაზრის უფროსების უფლებები². სენაკის „ოკრუგის“ პირველი უფროსი იყო კორნელი ბოროზდინი³.

სამეგრელოს 1861 წლის რუკის მიხედვით სენაკის „ოკრუგში“ შედი-

¹ მეუნარგია ი., სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბ., 1939, გვ. 111.

² Иваненко В. Н., Гражданское управление Закавказьем, Тифлис, 1901, с. 500; მსჯელობისათვის იხ. ძაგანია ბ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 34.

³ იხ. ბოროზდინი კ., სამეგრელო და სვანეთი, გვ. 132.

ოდა სოფლები: ხუნწი, კეთილა(რი), კოდორი, გულეიკარი. ზუგდიდის „ოკრუგში“ სენაკის მიმდებარე სოფლებიდან დასახელებულია საგვასალიო და ნატოჩაო...

1867 წელს სამეგრელო ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა. სამთავროს ტერიტორიაზე ოლქების ნაცვლად შეიქმნა ზუგდიდისა და ახალი სენაკის მაზრები¹. სენაკის მაზრის ცენტრი ახალსენაკი გახდა. მაზრა ახლანდელი სენაკის, აბაშისა და მარტვილის მუნიციპალიტეტების ტერიტორიას მოიცავდა².

XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში სენაკის მაზრის უფროსის რეზიდენცია იყო ახალსენაკში. მაზრა იყოფოდა აბაშის, მარტვილისა და ძველი სენაკის საპოლიციო უბნებად, რომელთა სათავეშიც ბოქაულები იდგნენ. უბნები შედგებოდა სასოფლო საზოგადოებებისაგან. ახალსენაკის მაზრაში იყო 130 სოფელი, თემი და დაბა. უბნის სათავეში ბოქაული, თემისაში მამასახლისი იდგა³. სოფლის ცენტში იყო სოფლის სამმართველო, ეკლესია, ზოგჯერ სკოლაც⁴.

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ ინფორმაციის მიხედვით 1890 წლისათვის სენაკის მაზრის ტერიტორია შეიცავდა 1700 ოთხკუთხედ ვერსს და მის შემადგენლობაში შედიოდა აბაშის, სუჯუნის, მარტვილის, ნოქალაქევისა და სენაკის საბოქაულოები⁵.

1859-1860 წლებში რუსი მოხელეების მიერ ჩატარებული პირველი კამერალური აღწერის მიხედვით სენაკის ოლქში იყო 25479 კომლი, ხო-

¹ დავითაია ბ., სენაკის მაზრის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა ოქტომბრის რევოლუციამდე. წგნ.: „ახალი ცხოვრების გარიჟრაჟზე“, თბ., 1976, გვ. 5-6.

² იხ. შენგელია ბ., ახალსენაკის ისტორიიდან. გაზ. „კოლხეთი“, №61, 23 მაისი, 1989, გვ. 1.

³ ჟიულ მურიე, სამეგრელო (ძველი კოლხეთი), ფრანგულიდან თარგმნა ვლ. ანთელავამ. ორიგინალს შეადარა, შეასწორა და გამოტოვებული ადგილები თარგმნა ა. ჭეიშვილმა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ბ. ხორავამ. 2018, გვ. 238.

⁴ იქვე.

⁵ გაზ. „ცნობის ფურცელი“, იანვარი, 1901.

ლო მოსახლეობა შეადგენდა 127395 კაცს. მ. შ. მაღალი წოდებისა ყოფილა 14225 კომლი, სასულიერო წოდებისა — 2340 კომლი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ციფრი ზუსტად არ არის მიჩნეული¹. აღნიშნული აღწერით მიახლოებითი წარმოდგენა გვეძლევა სენაკის მაზრის კლასობრივ დაყოფაზე XIX საუკუნის 50-60-იან წლებში.



სენაკის საოლქო ადმინისტრაცია. XIX ს. II ნახევარი

1916 წელს საარქივო მასალების მიხედვით სენაკის მაზრაში შემაჯავალ 130 სოფელსა და დასახლებულ პუნქტში 119688 სული ცხოვრობდა².

სენაკისა და მისი მიმდებარე სოფლების მოსახლეობის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს 1886 წელს რუსეთის სახელმწიფო

¹ შენგელია ბ., ახალსენაკის ისტორიიდან. გაზ. „კოლხეთი“, №61, 23 მაისი, 1989, გვ. 1.

² სცსა, ფ. 1863, აღწ. 1, საქმე 616, გვ. 45.

საბჭოს დადგენილებით შედგენილი ამიერკავკასიის მხარის მოსახლეობის საოჯახო სიები. იგი გვაწვდის ინფორმაციას შემდეგ მონაცემებზე: მაზრების ადმინისტრაციული დაყოფა, კომლების რაოდენობა და შემადგენლობა სქესის მიხედვით, მოსახლეობის ეთნიკური, რელიგიური და წოდებრივი შემადგენლობა; საოჯახო სიების მიხედვით შედგენილი სტატისტიკური მონაცემები 1893 წელს რუსულ ენაზე დაიბეჭდა. სიების მიხედვით სენაკის მაზრა დაყოფილი იყო აბაშის, მარტვილისა და ნაქალაქევის უბნებად. აბაშის უბანში გაერთიანებული იყო 9 თემი, მარტვილის უბანში – 9, ხოლო ნაქალაქევის უბანში – 11 თემი. ამდენად, სენაკის მაზრაში 29 სასოფლო საზოგადოება შედიოდა.



ქავთარაძეების საუკუნოვანი ოდა სახლი ძველ სენაკში

ახლანდელი სენაკის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ნოსიჩის თემი სენაკის მაზრის აბაშის უბანში შედიოდა, გეჯეთის, ნაქალაქევის, ფოცხის, სენაკის, თეკლათის, უშაფათის, ჭალადიდისა და ეკის თემები –

ნაქალაქევის უბანში, ხორშის თემი – ზუგდიდის მაზრის წალენჯიხის უბანში¹.

1897 წელს რუსეთის იმპერიაში ჩატარებული მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის მონაცემებით სენაკის მაზრის ტერიტორია შეადგენდა 1520 კვ. ვერსს, ხოლო მოსახლეობა – 115 785 სულს².

1893 წლის მონაცემებით სენაკის მაზრაში მამულების რაოდენობა 1625, ზუგდიდის მაზრაში 1174-ს შეადგენდა. თავად-აზნაურები ფლობდნენ 18 დესეტინაზე ნაკლებ ფართობს, ე. ი. მცირემიწიანები იყვნენ. ყველაზე დიდი მამული სენაკის მაზრაში – 6 ათას დესეტინაზე მეტი ფართობი – მხოლოდ ერთ მემამულეს ჰქონდა³.

¹ Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из семейных списков 1886 г. Тифлис. 1893.

² Первая всеобщая перепись населения Российской империи, 1897 г, под ред. Н. А. Троицкого, LXVI Кутаисская губерния СПб, 1905 г. с.1; ჭითანავა დ., ხორავა ბ., ციმინტია ქ., შენგელია ი., სამეგრელოს სოფელი ძველად და ახლა (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), თბ., 2021, გვ. 158.

³ გურული ვ., საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918) წ. III, თბ., 2019, გვ., 221; ჭითანავა დ., ხორავა ბ., ციმინტია ქ., შენგელია ი., დასახელებული ნაშრომი, გვ. 158.

თავი II. ახალსენაკის წარმოქმნის წინაპირობები. სენაკის/საკალანდარიშვილოს ციხე მბრის-ლაზიკის ბამაბრების სისტემაში

აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: თუკი შევადარებთ XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოს ისტორიული, ე. ი. საზოგადოებრივი ცხოვრების გეოგრაფიას დღევანდელ ისტორიულ გეოგრაფიასთან, თვალნათლივ დავინახავთ, რომ „საზოგადოებრივი ცხოვრების“ ნაკვალევს სამი ათეული წლის მანძილზე ცვლილება განუცდია. რევოლუციამდელი და თანამედროვე საქართველოს რუკების ერთმანეთთან შედარებით დავინახავთ, რომ საოცრად შეცვლილია „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკვალევი“, სულ სხვა ქალაქები (ახალქალაქები), სულ სხვა ეკონომიური და ადმინისტრაციული ცენტრები (რაიონული ცენტრები), სულ სხვა „დაბები“ (საბჭოთა მეურნეობანი, მსხვილი კოლმეურნეობანი), სულ სხვა გზები. მდინარეებსაც კი მიმართულება უცვლიათ. გამქრალა ან დაკნინებულა ზოგიერთი ძველი პუნქტი, წარმოშობილა მრავალი ახალი. გაზრდილან და სულ ერთიანად სახე შეუცვლიათ ძველ ცენტრებს. ქვეყანა დაუსერავს ახალ გზებს, წარმოშობილა ახალი სამეურნეო-ეკონომიური რაიონები, – ქვეყანას „პირი შეუცვლია“¹.

აქედან გამომდინარე, დასკვნა: ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოზე ადამიანთა ზემოქმედებით იცვლება გეოგრაფიული გარემო, საზოგადოების მიერ იქმნება მისი ეპოქის შესაფერისი ისტორიული გეოგრაფია².

სახელოვანი მეცნიერის მსჯელობის უტყუარობაში უმაღლეს დარწმუნდებით, თუკი, ზოგადად მაინც, თვალს გადავავლებთ, ამ კონკრე-

¹ ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 8.

² იქვე.

ტულ შემთხვევაში, ქალაქ სენაკის ისტორიულ გეოგრაფიას, კერძოდ, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ისტორიის საკითხებს.

ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, უნდა არსებულიყო „ნოქალაქევის ქვეყანა“, ხოლო ეკონომიკურად უშუალოდ მასზე დაქვემდებარებული ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული უნდა ყოფილიყო „ონოგურისის ქვეყანა“.

სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით დაწინაურებული პუნქტები, რომელსაც ეგრისის პოლიტიკური ცენტრი არქეოპოლისი-ციხეგოჯი აკონტროლებდა, აბაშისა და ტეხურის ხეობებში მდებარეობდა. დასავლეთით ეს „ქვეყანა“, ალბათ, ციხე//ცივის ხეობამდე ვრცელდებოდა, ხოლო აღმოსავლეთით ცხენისწყალი ესაზღვრებოდა. ამ სექტორში თითქმის ყველგან გვხვდება ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ძეგლები – „ნაონვამუები“, „დინაგუძუბები“ და „დინაზურგები“. გორა-ნამოსახლარების სიმრავლე თვალსაჩინო მოწმობაა მოსახლეობით ამ მიკროქვეყნის მჭიდროდ დასახლებისა წინაფეოდალურ და ფეოდალურ ხანაში¹.

სენაკისა და მისი შემოგარენის ეკონომიკურ დაწინაურებაზე მიაწინებებს მდიდარი არქეოლოგიური მასალა. ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრიდან ამ სექტორში სამოსახლოების არსებობა დადასტურებულია ნოქალაქევიში, მუხურჩაში, ნოსირსა და სხვაგან².

აბაშის, ტეხურისა და ციხე//ცივის აუზებში მჭიდროდ დასახლებული სოფლების არსებობაზე ასევე არანაკლებ საყურადღებო ცნობებს

¹ ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 8.

² გოგაძე ე., კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა, თბ., 1982; მიქელაძე თ., კოლხეთის ადრე რკინის ხანის სამაროვნები, თბ., 1985; ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატეგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია, თბ., 1997; ლომიტაშვილი დ., ცენტრალური კოლხეთი ძვ. წ. VIII—ახ. წ. VI სს. (ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2003.

გვაწვდის ბიზანტიური წერილობითი წყაროები. კერძოდ, ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე I-ის (527-565 წწ.) თანამედროვე ბიზანტიელი ჟამთააღმწერლის, იუსტინიანეს კარის ისტორიკოსის, იურისტისა და დიპლომატის – პროკოპი კესარიელის ცნობით, ფაზისის (რიონის) მარჯვენა სანაპირო განსაკუთრებით დასახლებულია. „ლანთა სოფლები ხომ აქ ყველა მდებარეობს მდინარის აქეთა (მარჯვენა – ავტ.) ნაპირას და ქალაქებიც მათ ძველთაგანვე აქ უშენებიათ. მათ შორის არის არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული, სევასტოპოლისიც არის აქ და პიტიუნტის სიმაგრეც, ხოლო სკანდა და სარაპანი – იბერიის საზღვრებისაკენ“¹. მისივე ცნობით, სწორედ ფაზისის მარჯვენა მხარეს მდებარეობს ერთი ქალაქი – არქეოპოლისი, „რომელიც არის მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში“².

ბუნებრივია, ლაზების უდიდესი, მთავარი, უპირველესი და ძალიან გამაგრებული ქალაქი არქეოპოლისი, როგორც ლაზეთის სამეფოს დედაქალაქი, გულისხმობს მის გარშემო, „საკონტროლო ზონაში“ მდებარე, მჭიდროდ დასახლებულ სოფლებს, საეკლესიო და საფორტიფიკაციო ნაგებობებს, ფიზიკურ-გეოგრაფიული, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით ერთიან რაიონს – „ქუეყანას“ („არქეოპოლისის ქვეყანა“) და მასზე დამოკიდებულ, უფრო მცირე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს, ანდა სულაც – სამეურნეო ზონას (ადრე-ფეოდალურ ხანაში – „ონოგურისის ქვეყანა“?).

უნდა ვიფიქროთ, რომ არქეოპოლისი-ციხეგოჯი, როგორც ეგრისის პოლიტიკური ცენტრი, პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ვერ დაწინაურდებოდა, თავისი სასოფლო-სამეურნეო რაიონი, თავისი საგარეუბნო-სამეურნეო ზონა, საკუთარი „სამოქალაქო“ რომ არ ჰქონოდა

¹ გეორგიკა, II, გვ. 101.

² იქვე, გვ. 182.

(„მდრ., „მოხიზისი“//„მუხიზისი“, „ქუთათისის სამოქალაქო“). ასეთ რაი-
ონს კი მის ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით მდებარე აბა-
შის ხეობა წარმოადგენდა, რაც უშუალოდ ეკვროდა ეგრისის (ლაზი-
კის) დედაქალაქს, და სადაც გადიოდა ძირითადი საგზაო არტერიები
აღმოსავლეთ ლაზიკისაკენ.



ზედა ნოქალაქევის ციხე

„ონოგურისის ქვეყანა“, ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, ეკონომიკუ-
რად უშუალოდ ნოქალაქევის ქვეყანას დაქვემდებარებული ისტორი-
ულ-გეოგრაფიული ერთეული უნდა ყოფილიყო. სტრატეგიული თვალ-
საზრისით გამორჩეული პუნქტები, რომლებსაც ონოგურისი აკონტრო-
ლებდა, აბაშისა და ნოდელის თბილ და ნაყოფიერ ხეობებში მდებარე-
ობდა, მდ. ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირამდე. ასეთი იყო სეფიეთი, მუ-
ხურჩა, ონოღია, ბობოთ-სერგეთი, ნახუნაო და, უპირველეს ყოვლისა,
ბანძა, მასზე გამავალი უმნიშვნელოვანესი მაგისტრალით, რაც სწორედ
ამ სოფელში განტოტდებოდა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სოფელი
გვიანბრინჯაო-ადრერკინის, ანტიკური, ელინისტური და ადრეფეოდა-

ლური ხანის მნიშვნელოვანი ძეგლებითაა ცნობილი და დღესაც მჭიდროდ არის დაკავშირებული აბაშის ხეობასთან გზებით, სასმელი წყლებით, ბალ-ვენახებით, სამეურნეო ტრადიციებით. საკულტო ძეგლებიდან აქ ყველაზე მნიშვნელოვანია სეფიეთის ბაზილიკა, ბანძის ტეტრაკონქი („ნოჯხივე“) და რვაათსიდიანი ეკლესია და ჭყონდიდის ტაძარი. საერო ხუროთმოძღვრების ძეგლებიდან უმნიშვნელოვანესია „ქაჯიშ ნამარანუ“ მარტვილში და თვით „ონოგურისად“ მიჩნეული ციხე სოფ. აბედათში. ამ ორი ციხის გაბატონებას ხელს უწყობდა მათი სტრატეგიული დანიშნულება, ეგრისის სამეფოს დედაქალაქის – ციხეგოჯ-არქეოპოლისის „საკონტროლო ზონაში“ მდებარეობა. მეტი მნიშვნელობის მქონე „თავადი ციხის“ გაბატონება სხვა, უფრო მცირე ზომისა და ლოკალური დანიშნულების ციხეზე ფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი მოვლენაა.

ამრიგად, აბაშის ხეობა აღრეფეოდალურ ხანაში ფიზიკურ-გეოგრაფიულად კარგად გამოკვეთილი რაიონი („ქუეყანა“) იყო, რაც დასავლეთით უნაგირას მთათა სისტემით (ბჟერის, აბედათის, კალამონის, შქანთის მთები) იყო შემოზღუდული. უნდა ითქვას, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ ლაზიკის საზღვარი სწორედ უნაგირას („ონოგურისის“) მთებზე გადიოდა. აღმოსავლეთით ეს ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონი, როგორც აღვნიშნეთ, ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირამდე ვრცელდებოდა, ხოლო ჩრდილოეთით მოიცავდა აბაშის ხეობის ზემო წელზე მდებარე სოფლებს – ნალეთსაოს, ინჩხურს, ბაღდას, რაჩხის მთამდე, და, შესაძლებელია, უფრო ჩრდილოეთითაც, ლეჩხუმის საზღვრამდე მდებარე ტერიტორიას. სამხრეთით ვრცელდებოდა აბაშა-ტეხურის „ხერთვისამდე“, აბაშის ორივე ნაპირას მდებარე ტერიტორიის თანხათვლით, სადაც მდებარეობს ახლანდ. აბაშის მუნიციპალიტეტის (ისტორიული „საჭილაოს“) სოფლები: სუჯუნა, შუაქალაქი, ონტოფო, კადარი, ზანათი, რომლებიც, მართალია, გეოგრაფიულად თვალსაჩინოდ არ იყო გამიჯნული და რიონის მარჯვენა სანაპიროთი იზღუდებოდა, მაგრამ ეს იყო

აბაშის ხეობის ქვემო წელის ტიპიური სასოფლო-სამეურნეო რაიონი, სადაც მაღალ დონეზე იყო განვითარებული მესაქონლეობა და მიწათმოქმედება. ამ სოფლების მნიშვნელობას ზრდიდა ისიც, რომ გაშლილ ველზე მოედინება მდ. რიონი – „ბაჟს ქვეით ფრიად მდორე და განიერი ზღვადმდე, და უფრო ცხენისწყალს ქვეით განვრცელებული“¹. ვახუშტის ცნობით, „ამას რიონს მიერთვის ჩრდილოდამ აბაშა-ტეხურის მდინარე“². რიონი (ფაზისი) იყო სანაოსნო მდინარე, ხოლო მის ნაპირს მიუყვებოდა სახმელეთო გზა ფაზისი-ისულა-შუაქალაქი-ორპირი-კოტაისის (ქუთაისი) მიმართულებით, რასაც დიდი ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა უძველესი დროიდან. ტაონი-მიაში ეს სახმელეთო მაგისტრალი **ჯვეში ნაშარუს** (ძველი ნაგზაური) სახელწოდებითაა ცნობილი, რომლის ცენტრებსაც წარმოადგენდა ისულა/ნესოსი, შუაქალაქი და ორპირი³.

რიონის სამდინარო-სანაოსნო გზის შესახებ ცნობას გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილიც: რიონზე „...ვლენან ნავებითა ზღვიდამ ბაჟამდე“ –
ო⁴. **ბაჟი** ახლანდელი სოფელი ბაშია სამტრედიის მუნიციპალიტეტში. რიონზე ნაოსნობის უეჭველი მოწმობაა ოდიშის მთავარ შამადავლეს (1470-1474 წწ.) ერთ სიგელში მოხსენიებული საბაჟო, რაც „წყლისპირს ჭალადიდს“ მდებარეობდა⁵. ჭალადიდი სოფელია სენაკის მახლობლად, მდ. რიონის ორივე ნაპირზე. თეოდორე ხანაში რიონზე ნავიგაციამ ხელი შეუწყო მის პირას მდებარე პუნქტის – ჭალადიდის დაწინაურებას, რომლის მოსახლეობა საშუაშაგლო ვაჭრობას ეწეოდა. აქვე იყო სამღებროებიც. XIX ს-ის დასაწყისში სამდინარო ნაგებობის უმრავლესობა

¹ ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997. გვ. 148.

² იქვე, გვ. 149.

³ ელიავა გ., რიონისპირეთის ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, გმმ VI, სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, ქუთ., 1965, გვ. 29-30.

⁴ იქვე, გვ. 148.

⁵ ბერაძე თ., ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1981, გვ. 138.

რიონის ქვემო წელზე ჭალადიდელი მენავეების საკუთრებას წარმოადგენდა¹.

მაშასადამე, სტრაბონის ცნობა – „ფაზისზე აღმა ცურვა შეიძლება შორაპნამდე“, დასტურდება მოგვიანო ხანის ისტორიული საბუთებითაც.

ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასასვლელად ნავის გამოყენება ფეოდალურ ხანაში სამდინარო მიმოსვლის უმნიშვნელო ნაწილი იყო. სამდინარო ტრანსპორტის ძირითად მოვალეობას, ისტორიკოს თამაზ ბერაძის აზრით, მდინარის გასწვრივ ცურვა წარმოადგენდა. ამის შესახებ საინტერესო ცნობები მოიპოვება XIX ს. I ნახევრის რუსი და ევროპელი მოგზაურების ჩანაწერებში, საარქივო მასალებში და ა.შ.²

სანაოსნოდ გამოიყენებოდა რიონის რამდენიმე მარჯვენა შენაკადიც. ფოთის მცხოვრებთა მიერ 1839 წელს მთავრობისადმი წარდგენილ ერთობლივ თხოვნაში ვკითხულობთ: „წყლის ტრანსპორტის გამოყენებით, იმერეთისა და სამეგრელოს მცხოვრებლებს შეუძლიათ თავიანთი ოჯახური ნაწარმი ჩამოიტანონ ფოთამდე... მდ. რიონით და მდინარეებით, რომლებიც მას მარჯვენა მხრიდან ერთვიან: ცხენისწყალით, აბაშათი, ტეხურით და ცივის წყალით“³.

იმერეთის მართებლის – სიმონოვიჩის მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ ტეხურზე ნავით ცურვასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა: „ფოთიდან სამეგრელომდე სანაოსნო კავშირი არის მდ. ტეხურით ნოსირამდე, რომელიც ახლოა სოფ. სენაკთან“. სენაკში იგულისხმება თანამედროვე სოფ. ძველი სენაკი, საიდანაც ტეხურით ათიოდე კილომეტრი თუ იქნება ეგრისის დედაქალაქ ციხე-გოჯამდე (დღევანდელი ნოქალა-

¹ იქვე, გვ. 139-140.

² იქვე, გვ. 138-139.

³ იქვე, გვ. 137.

ქვე). თავის დროზე შავი ზღვიდან ნავეები ალბათ ეგრისის დედაქალაქამდეც ამოდიოდა¹.

ტეხურ-ცხენისწყლის ორმდინარეთი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით – ხე-ტყით, სამშენებლო მასალით, კერამიკული თიხებით და ა. შ. რელიეფური მრავალფეროვნება (გორაკ-ბორცვები, მდინარეთა ვიწრო თუ განიერი ხეობები, დაბლობები) და ბუნებრივი რესურსების არსებობა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ამ სექტორში დასახლებათა უძველესი დროიდან არსებობისათვის².

კლიმატური გარემო ხელს უწყობდა აგარული მეურნეობის, კერძოდ, მიწათმოქმედების განვითარებას. მეცხოველეობის, მეთევზეობისა და ნადირობის განვითარებაზე მეტყველებს არქეოლოგიური ძიების გზით გამოვლენილი მდიდარი ოსტეოლოგიური მასალა, კერძოდ, შინაური ცხოველების – ძროხის, ცხვრის, თხისა და ღორის ძვლები. მნიშვნელოვანია აგრეთვე მეთევზეობასთან დაკავშირებული ისეთი არტეფაქტების გამოვლენა, როგორცაა ბადის საწაფები, ანკესები და სათევზე ლანგრები³.

„ქვეყნის“ სოციალურ-ეკონომიკური დაწინაურება, ბუნებრივია, გულისხმობს მოსახლეობის კონცენტრაციას და საკმაოდ დაწინაურებული და მჭიდროდ დასახლებული პუნქტების არსებობასაც. ასეთი სამოსახლოები ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრიდან არსებობდა ნოქალაქევიში,

¹ ბერაძე თ., დასახლებული ნაშრომი, გვ. 138-139.

² ლომიტაშვილი დ., ცენტრალური კოლხეთი ძვ. წ. VIII-ახ. წ. VI სს. (ციხე-გოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2003, გვ. 2-3; გამყრელიძე გ., ბიოგეოგრაფიის ზეგავლენის შესახებ ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე. კრ. „სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში“, თბ.,-ზუგდი, 1999, გვ. 13; მურღულია ნ., ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-VI საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით). არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2012, გვ. 140-141.

³ მურღულია ნ., დასახლებული ნაშრომი, გვ. 141.

ნოსიროში, აგრეთვე მეზობელ დასახლებულ პუნქტებში — მუხურჩასა და ოჩნომურში¹.



მდ. ტეხური რიონის შესართავთან

ახალსენაკის სავაჭრო-სახელოსნო დაბად დაწინაურება არ ყოფილა მხოლოდ რკინიგზის ხაზის გაყვანით განპირობებული. ამა თუ იმ პუნქტის გასახენად აუცილებელი პირობა ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ ბუნებრივად ხელსაყრელი გარემოს შერჩევა იყო. უმთავრესი პირობა უნდა ყოფილიყო კოლხეთის ჭაობიანი დაბლობისაგან გამორჩეული, შედარებით მშრალი ადგილი, რათა ადამიანს ჯანმრთელ კლიმატურ პი-

¹ იხ. გოგაძე ე., კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა, თბ., 1982; მიქელაძე თ., კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები (ურეკისა და ნიგეზიანის სამაროვნები), კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები. ტ. I, რედაქტორი ოთარ ლორთქიფანიძე, თბ., 1985; ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატეგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია, თბ., 1997; ლომიტაშვილი დ., დასახლებული ნაშრომი, 2003.

რობებში, სუფთა ჰაერზე ცხოვრება შეძლებოდა. მეორე პირობად, აუცილებელი ქალაქისა თუ დაბა-სოფლის შექმნისათვის, მიჩნეულია მისი გარშემორტყმა სამეურნეო რაიონით. ქვეყნის შუაგულში, ტეხურის ნაპირზე მდებარე პოლიტიკური ცენტრის – ცხეგოჯ-არქეოპოლისის (რომლის სანახებშიც მდებარეობს დღევანდელი სენაკი) ირგვლივ სწორედ სოფლის მურნეობისათვის მეტად ნოყიერი მიწებია, რაც თვით ქალაქის მარჩენალია. მესამე პირობაც – გზის სიახლოვე, ცხეგოჯ-არქეოპოლისში დადებითად იყო გადაწყვეტილი.



ცხეგოჯ-არქეოპოლისის (ნოქალაქევი) კომპლექსის ზედხედი

პროფ. ნოდარ ლომოური ნოქალაქევი-არქეოპოლისის უბველესი ისტორიის საკითხებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ ნოქალაქევიში შემონახული ძველი ქალაქის „გაქალაქება“ და „გადედაქალაქება“ IV საუკუნეში უნდა მომხდარიყო. ამ ტერიტორიის არჩევა ეგრისის სამეფოს დედაქალაქისათვის სავსებით გამართლებული იყო, პირველ რიგში, შესანიშნავი სტრატეგიული მდებარეობის გათვალისწინებით. ამასთანავე,

მდ. ფაზის-რიონიდან დაშორებული ეს პუნქტი განზე რჩებოდა იმ გზიდან, რომელიც დასავლეთ საქართველოში შემოსული მტრისათვის ძირითად საკომუნიკაციო ხაზს წარმოადგენდა და, ფაქტობრივად, ამ გზის ზურგში იყო განლაგებული. თავისთავად ძნელი წარმოსადგენია, რომ ეგრისის სამეფოს დედაქალაქი მოშორებული ყოფილიყო მნიშვნელოვან გზებს. ეს თუ სამხედრო თვალსაზრისით გამართლებული იყო, დასძენს ნ. ლომოური, – ეკონომიკური თვალსაზრისით ქალაქისათვის მეტად საზარალო იქნებოდა. აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, იმპორტული ნივთების სახით, მკვლევარს ავარაუდებინებს, რომ არქეოპოლისი ეკონომიკურად საკმაოდ მჭიდროდ იყო დაკავშირებული გარესსამყაროსთან და, მაშასადამე, ის სრულიადაც არ რჩებოდა განზე მთავარი საკომუნიკაციო მაგისტრალებიდან. ერთ-ერთ საშუალებად, რომლითაც არქეოპოლის-ნოქალაქევი გარესსამყაროს, კერძოდ, შავიზღვისპირეთს უკავშირდებოდა, მკვლევრის მიერ სამდინარო გზაა მიჩნეული. ფაზისი (რიონი) და მისი შენაკადები, მათ შორის მდ. ტეხურიც, რომელიც სწორედ ნოქალაქევთან გამოდის ვიწრო ხეობიდან, ადრე უფრო წყალუხვი უნდა ყოფილიყო. ამიტომ, სავარაუდოა, რომ დიდი ნაგებობით თავისუფლად შეიძლებოდა ზღვიდან ჯერ რიონით, შემდეგ ტეხურით ნოქალაქევამდე მიღწევა. ასეთ ვარაუდს მხარს უჭერს ნოქალაქევში დღემდე შემორჩენილი ჩასასვლელი (გვირაბი) ტეხურზე, რაც, საფიქრებელია, რომ ქალაქის ერთ-ერთი „წყლის კარი“ ყოფილიყო¹.

ნ. ლომოურის აზრით, ქ. ფაზისიდან (ფოთიდან) აღმოსავლეთისკენ მიმავალ გზას შეუძლებელია აწინდელი სენაკის ქვემოთ, მდინარიდან დაშორებით გაეგლო და პირდაპირ ნოქალაქევში მისულიყო, რადგან მას გადასალახავი ექნებოდა მდ. ტეხურის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით,

¹ ლომოური ნ., ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხეგოჯი (ისტორიული ნარკვევი). კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, I, არქეოლოგიური გათხრები (1973-1977), თბ., 1981, გვ. 34-34.

სენაკამდე აღმართული საკმაოდ მაღალი მთები. ფაზის-ფოთიდან მომავალი გზა, საფიქრებელია, თავდაპირველად გამოჰყოლოდა მდ. რიონის ნაპირს, მაგრამ სენაკიდან ნოქალაქევისკენ გადმოიხვია, ისევე როგორც დღეს მიემართება სენაკი-მარტვილის (ყოფილი გეგეჭკორის) გზატკეცილი. და რომ გზა სწორედ ასე მოდიოდა, ამას, ნ. ლომოურის მოსაზრებით, შესაძლოა ისიც ადასტურებდეს, რომ ამ გზაზეა სენაკში შემონახული და შხეფში მდებარე ადრეფეოდალური ციხეები – ეგრისის სამეფოს დედაქალაქის – არქეოპოლისის (ნოქალაქევის) მისადგომების დამცველები და ფორპოსტები ამ გზაზე¹.



ტეხურზე ჩასასვლელი გვირაბი. სოფ. ნოქალაქევი.

მკვლევარი, მსჯელობს რა „არქეოპოლისის“ ლოკალიზაციაზე, იმოწმებს პროკოპი კესარიელის ცნობას მერმეროეს ეგრისში (ლაზიკაში) ლაშქრობის შესახებ, რომლის მიხედვით იბერიიდან შემოსული სპარსელთა ჯარი გადალახავს ფაზისს (ამ შემთხვევაში – ყვირილას),

¹ იქვე, გვ. 35.

შემდეგ მდ. რეონს – რიონ-ყვირილის შესართავს ზემოთ, და გაემართება ქალაქ არქეოპოლისისკენ, რომელიც მდებარეობს თაზისის აქეთა (ე. ი. მარჯვენა) ნაპირას. როცა მერმეროე გაიგებს, რომ რომაელთა (ე. ი. ბიზანტიელთა) ძირითადი ჯარი, არქეოპოლისის გარდა, თაზისის შესართავთან იმყოფება, იქითკენ გაემართება და როცა არქეოპოლისს ჩაუვლის, იქ მყოფთ დამცინავად მიესალმება და დაუბარებს – მალე დაგებრუნდებითო¹. ცხადია, მერმეროე რომ რიონ-თაზისის ნაპირ-ნაპირ, ე. ი. მდინარის დინების მიმართულებით წამოსულიყო, იგი ისე ახლოს ვერ ჩაუვლიდა არქეოპოლისს, რომ იქ მყოფთ შეხმანებოდა. მისაღები და გასაზიარებელია ნ. ლომოურის მოსაზრება, რომ რიონის გადალახვის შემდეგ მერმეროე სწორედ წყალტუბო-გვიშტიბი-კასტირის ფონი-საწულუკიძეო-ხონი-მარტვილის გზით გამოემართა, რაც უშუალოდ არქეოპოლის-ნოქალაქევს ჩაუვლიდა. ამრიგად, ნოქალაქევზე გადიოდა ზღვისპირეთიდან აღმოსავლეთისკენ მიმავალი მთავარი მაგისტრალი, რაც ამ ქალაქის სტრატეგიულ და ეკონომიკურ მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდიდა².

ეს მოსაზრება გაიზიარა და დამატებითი არგუმენტები წარმოადგინა ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა, პროფესორმა პარმენ ზაქარაიამ. მკვლევარი ციხეგოჯის გამაგრებაზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ ანტიკური და შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მთავარი მაგისტრალის მიმართულება საბოლოოდ დადგენილი არ არის, მაგრამ მისაღები ვარაუდების საფუძველზე უნდა ითქვას შემდეგი: ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში კოლხეთის დაბლობი შავი ზღვის სიახლოვეს თითქმის ყველგან გაუფალი იყო და, შესაბამისად, ჭაობიან ადგილზე მთავარი

¹ ლომოური ნ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 28—29, 36 და იქვე მითითებული ლიტერატურა.

² იქვე, გვ. 36.

სახმელეთო გზა ვერ გაივლიდა. გზა მხოლოდ მშრალ ადგილებზე უნდა გასულიყო. ასეთს კი წარმოადგენდა ჩრდილოეთი მხარე, მთებისძირი. ცხენისწყალზე მდებარე „ბამბუას ხიდის“ („პომპეუსის ხიდის“?) გამოვლით გზა გადაჭრიდა მარტვილს, მთების ფერდობებს გაჰყვებოდა და შედარებით ადვილად მიაღწევდა ფაზისს. ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, ისევ ფერდობების გაყოლებით, შესაძლებელი იყო ზღვის სანაპიროზე მდებარე კელასურ-სოხუმის მიდამოებში მოხვედრა. ეს გზა, ცხადია, გაივლიდა ზედ ციხეგოჯზე, ან იქვე ახლოს მაინც. თუ ეს ასეა, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ ციხეგოჯი ელინისტურ ხანაშიც კოლხეთის სახელმწიფოს მთავარ მაგისტრალზე მდებარეობდა, რამაც განსაზღვრა ძვ. წ. III საუკუნეში ქუჯის მიერ ამ ადგილის ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრად არჩევა¹.

ეგრის-ლაზიკის სამეფოს ცენტრალურ ნაწილში გამავალი გზები განაპირობებდა ვაჭრობის განვითარებას. „ისტორიული წყაროების, არქეოლოგიური და ძველი კარტოგრაფიული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზე, უძველესი დროიდან და, განსაკუთრებით IV-VI სს-ში, არაერთი მნიშვნელოვანი გზა გადიოდა: ცენტრალური ეგრისი ერთმანეთთან აფხაზეთის, იმერეთის და გურიის რეგიონებს აკავშირებდა“².

სენაკის გარემოს ბუნებრივი თავისებურებანი სამხედრო თვალსაზრისით ძველ ეგრისელებს შესანიშნავად ჰქონდათ გააზრებული და გამოყენებული. სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, უნაგირას მთის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთებზე განლაგებული ციხე-სიმაგრეებით შექმნილი იყო ქვეყნის თავდაცვის ერთიანი, უწყვეტი ხაზი. ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთის დამცველი საბრძოლო-სასი-

¹ ზაქარაია პ., კაპანაძე თ., ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება. თბ., 1991, გვ. 7-8.

² მურღულია ნ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 142.

მაგრო ერთეულები თავისებურ გეგმარებით სტრუქტურას ქმნიდნენ. უნაგირას მთა ეგრისის ქედის ერთ-ერთი განშტოებაა. წაგრძელებული ფორმის მქონე მთის სრული სიგრძე 35 კმ-ია, ხოლო სიგანე 2-5 კმ-ს შეადგენს. მაქსიმალური სიმაღლე ზ. დ. 590 მ-ია. უნაგირა სენაკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ხოლო მარტვილის ჩრდილოეთით, 3 კმ-ში მდებარეობს. კვაუთთან მთა მკვეთრად უხვევს სამხრეთისკენ და 8 კმ-ის მანძილზე ნოქალაქევისკენ მიემართება. აქ მთა მდ. ტეხურით შუაშია გაჭრილი. ტეხურიდან კიდევ უფრო სამხრეთით დახრილი მთა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, 15 კმ-ის მანძილზე, ქალაქ სენაკამდე გრძელდება და სოფელ მენჯთან სრულდება. „უნაგირას მთა ერთგვარ ბუნებრივ დაბრკოლებას წარმოადგენს სამეგრელოს მთიან რეგიონში მოსახვედრად. მასზე მრავლად გადის საცალფეხო ბილიკები, თუმცა სავაჭრო ქარავნებისა და საჯარისო შენაერთებისათვის ამ მთის ჩრდილო-დასავლეთით მოხვედრა მხოლოდ 3-4 გადასასვლელის მეშვეობით იყო შესაძლებელი“, – წერს ნ. მურღულია¹. იმ ადგილას, დასძენს მკვლევარი, სადაც ტეხურის მიერ უნაგირა ღრმად არის ჩაჭრილი, მეტად ხელსაყრელი და კომფორტული გადასასვლელი არსებულა, რაც ეგრისის სამეფოს დედაქალაქის სწორედ ნოქალაქევი დაარსების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი უნდა ყოფილიყო. ამ გადასასვლელით ერთმანეთს უკავშირდებოდა კოლხეთის (ეგრისის, დასავლეთ საქართველოს) სამხრეთ-აღმოსავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი რეგიონები².

ნოქალაქევი-არქეოპოლისის სამხრეთით, ქ. სენაკამდე ხუთი ციხე-სიმაგრის – კოტიანეთის, სორტის, შხეფის, საკალანდარიშვილოსა და მენჯის განლაგებაც ამ ხაზზე მნიშვნელოვანი გზის არსებობით უნდა აიხსნას³. „შეიძლება ვიფიქროთ, რომ არქეოპოლისიდან წამოსული სახმე-

¹ იქვე, გვ. 143.

² მურღულია ნ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 145.

³ იქვე.

ლეთო გზა, რომელიც მდ. ტეხურას და უნაგირა მთას შორის მდებარეობდა, მას შემდეგ, რაც მენჯამდე მიაღწევდა და გასცდებოდა მთიან რელიეფს, მიემართებოდა მდ. რიონისაკენ და უკვე სანაოსნო გზის მეშვეობით უკავშირდებოდა თაზისს¹.

კოტიანეთისა და სორტას ციხეებს შორის საკმაოდ განიერი, ბუნებრივი გადასასვლელი, რითაც შესაძლებელია სოფ. ეკთან დაკავშირება, ჯერ კიდევ ელინისტური ხანიდან გზის ფუნქციას ასრულებდა, რასაც მოწმობს სორტის ციხის მახლობლად, არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად, ძვ. წ. III საუკუნის სინოპური ამფორის დამდიანი ყურის ნატუნის გამოვლენაც². „ასეთივე გადასასვლელი და საურმე გზები შეინიშნება შხეფის და საკალანდარიშვილოს ციხეების მიმდებარედ. აღნიშნული გზების დახმარებით უშუალოდ ციხეებს შორის მიმოსვლაც და უნაგირა მთის ჩრდილო-დასავლეთ კალთებზე მოხვედრაც არის შესაძლებელი“³.

სენაკიდან გზა მიემართებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფელ ნოსირისკენაც, რასაც მოწმობს სხვადასხვა დროს აქ გამოვლენილი მატერიალური კულტურის ძეგლები. ნოქალაქევის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1982 წელს სოფლის დასავლეთით, ტეხურის მარცხენა მხარეს, დაფნის პლანტაციაში, გამოავლინა საძირკველამდე დანგრეული აბანო, რომლის კარების ზღურბლიც კი არ არის დარჩენილი. იგი წარმოადგენს ორიგინალური გეგმის მქონე გრძელ ნაგებობას, რომელსაც კარი, სავარაუდოდ, ჩრდილოეთით, ხოლო საცეცხლური, აშკარად და გამოკვეთილად, სამხრეთით ჰქონია. გათხრების შემდეგ, ჩრდილოეთით გამოვლენილი ორი სწორკუთხა სათავსოდან აღმოსავლეთის სათავსოს

¹ იქვე.

² ლომიტაშვილი დ., დასახელებული ნაშრომი, 2003, გვ. 216; მურღულია ნ., დასახელებული ნაშრომი, 2012, გვ. 145-146.

³ მურღულია ნ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 146.

მიწური იატაკი აქვს, ხოლო მეორე სათავსოს იატაკისა და კედლების ნაშთები ჰიდრაულიკური ხსნარით კარგად მოუღესიათ. აბანოში აბაზანის დონე ჩაწეული ყოფილა 50-70 სმ-ზე. თვით აბაზანის ფართი კი 25 მ²-ია. აბანოს თბილი სათავსი – ტეპიდარიუმი კვადრატული გეგმისაა, დაახლ. 36 მ²-ია¹.

ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ ქალაქის გარეთ აღმოჩენილი აბანოების ხასიათზე დაყრდნობით მ. იაშვილი და პ. ზაქარაია ვარაუდობენ, რომ ნოსირის აბანოც მიეკუთვნებოდა ვილას ტიპის დასახლებას. ძეგლის დათარიღებისათვის საჭირო სათანადო მასალის უქონლობის გამო მკვლევრები ნოსირის აბანოს IV-V ათარიღებენ. იგი ამ ეპოქაში მცხოვრებ ეგრისელ დიდებულს აუგია².

ნოსირის აბანოზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ მისი აგების დროისთვის იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი იყო არქეოპოლისის სანახებში. ამაზე შესაძლებელია მიუთითებდეს აბანოდან აღმოსავლეთით, დაახლოებით 1 კმ-ის დაშორებით აღმოჩენილი ბერძნული წარწერა, რაც ადასტურებს სოფლის ტერიტორიაზე წმ. სტეფანეს სახელობის ეკლესიის არსებობას. სამწუხაროდ, ეკლესიის ნაშთი არ არის მიკვლეული³.

ეგრისის სამეფოს ცენტრალური ნაწილის გამაგრების სისტემა ძირითადად უნაგირას მთაზეა, რაც სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით ქ. სენაკამდე გრძელდება და კურორტ მენჯთან სრულდება. სწორედ ამ ხაზზეა განლაგებული თამაკონის, აბედათის, კვაუთის, ნოქალაქევის, კოტიანეთის, სორტის, საჩიქობავოს, შხეფის, სენაკის//საკალანდარიშ-

¹ იაშვილი მ., ზაქარაია პ., ნოსირის აბანო, ნ. ა, III, 1993, გვ. 200-203.

² იქვე, გვ. 207.

³ ყაუხჩიშვილი ს., ნოსირის ბერძნული წარწერები. თსუ შრომები, XVIII, თბ., 1941, გვ. 141-147; ყაუხჩიშვილი თ., ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, გვ. 86-88; მსჯელობისათვის იხ. იაშვილი მ., ზაქარაია პ., დასახლებული ნაშრომი, გვ. 207.

ვილოსა და მენჯის ციხეები.


ნოქალაქევის სამხრეთით რამდენიმე ციხის 15 კმ-ში განლაგება ამ ხაზზე მნიშვნელოვანი გზის არსებობის უტყუარი საბუთია. უნაგირას მთის გამაგრების სისტემა მენჯის ციხით სრულდებოდა. „შეიძლება ვიფიქროთ, რომ არქეოპოლისიდან წამოსული სახმელეთო გზა, რომელიც მდ. ტეხურას და უნაგირა მთას შორის მდებარეობდა, მას შემდეგ, რაც მენჯამდე მიაღწევდა და გასცდებოდა მთიან რელიეფს, მიემართებოდა მდ. რიონისაკენ და უკვე სანაოსნო გზის მეშვეობით უკავშირდებოდა ფაზისს. ფაქტია, რომ ისეთივე მნიშვნელოვანი ქალაქს შორის, როგორც არქეოპოლისი და ფაზისი იყო, პირდაპირი გზის არსებობა აუცილებელი იქნებოდა და, რა თქმა უნდა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნებოდა ამ გზის დაცვაც... ამასთან ერთად... ნოქალაქევი-სენაკის გზის გასწვრივ განლაგებული ციხეებიც უნაგირა მთაზე არსებული გადასასვლელების გასაკონტროლებლად იყო აშენებული“¹.

რამდენადაც ჩვენი კვლევის ობიექტს ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქ. სენაკი და მისი განაპირა სოფლები წარმოადგენს, შევეცდებით, ამ ტერიტორიაზე გამავალი სახმელეთო გზის მაკონტროლებლად აგებული, არქეოპოლისის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ციხე-სიმაგრეების (კოტიანეთი, სორტა, საჩიქობავო, შხეფი, სენაკი/საკალანდარიშვილო, მენჯი, ეკი) ზოგადი აღწერა წარმოვადგინოთ.

კოტიანეთის ციხე. ქ. სენაკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 12 კმ-ის დაშორებით, მდ. ნახურის ორივე ნაპირზე მდებარეობს სოფ. კოტიანეთი. იგი ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში შედის. V საუკუნის ავტორის – სტეფანე ბიზანტიელის ცნობით, „აია: კოლხთა ქალაქი, აიეტის დაფუძნებული, ზღვისგან მოშორებული სამასი სტადიონით; მას ჩამოუდის ორი მდინარე: ჰიპპოსი და კიანეოსი, რომელიც ქალაქს ნახე-

¹ მურღულია ნ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 145.

ვარკუნძულად ჰქმნიან“¹. ამ ცნობაზე დაყრდნობით მკვლევარი დ. ჭითანავა გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ქალაქი აია საძიებელია ისულასა და კოტიანეთის ხაზზე. შესაძლოა ამის გამოძახილი იყოს ნაქალაქევის სამხრეთით, ტეხურის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფლის სახელწოდება კოტიანეთი, სადაც არაერთი ციხე-სიმაგრის ნაშთიაო შემორჩენილი².



კოტიანეთის ციხის გეგმა

¹ ურუშაძე ა., ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964, გვ. 230.

² ჭითანავა დ., ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2010, გვ. 33.



კოტიანეთის ციხის ნაშთი

სოფლის ჩრდილოეთით, ერთ-ერთი მთის ქიმზე შემორჩენილია პატარა ზომის ციხის ნაშთი, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში კოტიანეთის ციხის სახელწოდებით არის ცნობილი. ციხის სამხრეთით შესაძლებელია საკმაოდ დიდი ტერიტორიის დაზვერვა (GPS კოორდინატები: №42°20'30.18'E 42°951.84'. სიმაღლე: 163 მ). უწესო ოვალის ფორმის მქონე ციხის ზომებია: სიგრძე – 20.1 მ., სიგანე 14.5 მ. ციხის კომპლექსი აერთიანებს გალავანს, კოშკსა და მცირე ზომის ეკლესიას. გალავანს გარს ეკვრის ღრმა და განიერი ხელოვნური თხრილი. ციხის მახლობლად ძველი საურმე გზაც შეინიშნება¹. ციხე ორი ნაწილისაგან შედგება. ჩრდილოეთი ნაწილი გზას წარმოადგენს, აღმოსავლეთ მონაკვეთში კი კოშკი და ეკლესიაა განლაგებული. გეგმით კვადრატს მიახლოებული კოშკის ზომებია 463.7 მ). შემორჩენილია მეორე სართულის ძირი და სარდაფი. კოშკს შესასვლელი მეორე სართულზე უნდა ჰქონოდა. ციხის გალავნის შემორჩენილი ნაშთის სისქე 1 მ-ია. ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მდგარი დარბაზული ეკლესიის ზომებია 6.168.2 მ), რაც, სავარაუდოდ, გარნიზონისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. ეკლე-

¹ ლომიტაშვილი დ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 211.

სია ამჟამად სანახევროდ მიწაში ზის. მისი კამარა ჩანგრეულია. დაზიანებულია კედლებიც. ეკლესიას შესასვლელი დასავლეთის კედლის შუაზე ჰქონია, ხოლო განათება შესაძლებელი იყო აღმოსავლეთის ერთადერთი სარკმლით. გალავნისა და ეკლესიის ასაშენებლად გამოუყენებიათ საშუალო და დიდი ზომის თლილი ქვები.



საჩიქობავოს ციხის ნაშთი

ჩრდილო-აღმოსავლეთის ხაზზე გალავანი ვერტიკალურ კლდეს ებჯინება, რაც ციხეს ამ მხრიდან მიუდგომელს ხდის.

გალავანს, როგორც აღინიშნა, სამი მხრიდან გარს უვლის ღრმა და განიერი თხრილი, რითაც მშენებლებს ციხე უფრო მიუდგომელი გაუხდიათ. თხრილის სიღრმე 3-4 მ-ს არ აღემატება, თუმცა ციხის აგების პერიოდისათვის გაცილებით ღრმა უნდა ყოფილიყო და დროთა ვითარებაში ნაწილობრივ ამოვსებულა. სიგანე 9-10 მ-ია¹. პ. ზაქარაიას თქმით,

¹ ზაქარაია პ., კაპანაძე თ., ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება, გვ. 137-138.

კოტიანეთის ციხის შიგნით და გარეთ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების გზით გამოვლინდა მცირე რაოდენობის, ეგრისის სამეფოს პერიოდის მასალა¹. თხრილის არსებობაც დამახასიათებელია ეგრისის სამეფოს ფოტტიფიკაციისათვის.

დ. ლომიტაშვილი შენიშნავს, რომ ადრეული შუასაუკუნეების კერამიკული მასალა – IV-VI სს-ის სუფრისა და სამზარეულოს კერამიკული ჭურჭელი გამოვლენილია ციხის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში². ეგრისის სამეფოს დაცემის შემდეგ ციხემ ფუნქცია დაკარგა და სიცოცხლე შეწყვიტა. ყველა მონაცემი იმაზე მიუთითებს, რომ კოტიანეთის ციხე ეგრისის სამეფოს ძლიერების ხანის, IV-V საუკუნეების სიმაგრეა³.

კოტიანეთის ციხე, როგორც ჩანს, ნოქალაქევისა და სორტის სიმაგრეებს შორის არსებულ ტერიტორიას და მის სიახლოვეს, უნაგირას მთის თხემზე გამაფალ გზას აკონტროლებდა⁴.

სორტის ციხე. ქ. სენაკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 8 კმ-ის დაშორებით მდებარე ციხე პირობითად სორტის ციხის სახელწოდებით არის ცნობილი და აგებულია სოფ. სორტის ჩრდილოეთით, მომიჯნავე მთის ერთ-ერთ ქიმზე (GPS კოორდინატები: N^o42^o19'21.16" E 42^o9'6.74"). ციხე ზ. დ. 124 მ. სიმაღლეზეა აგებული. გ. ელიაშვილმა მიერ „ძველი სენაკის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში დასახელებულია **ჯიხა** „ციხე“, როგორც ნაომარი ადგილი, და იქვე აღნიშნულია, რომ „ეს და შხეფის ჯიხა ერთ სწორ ხაზზე იყვნენ და ერთმანეთს გაყურებდნენ“⁵. ტოპონიმი დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშეა მითითებული და მასში უთუოდ სორტის ციხე უნდა იგულისხმებოდეს.

¹ იქვე, გვ. 138.

² ლომიტაშვილი დ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 212.

³ ზაქარაია პ., კაპანაძე თ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 138-139; ჭუმბურიძე მ., ეგრისის სამეფოს თავდაცვის სისტემა (ახ. წ. აღ. I-VIII სს.), ქუთ., 2009, გვ. 139.

⁴ მურღულია ნ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 145

⁵ ელიაშვილი გ., სენაკის რაიონის ტოპონიმია, თბ., 1989, გვ. 78.



სორტის ციხის ნაშთი

ბუჩქნარით დაფარულ ფართობზე ზედაპირული დაზვერვებით და ვიზუალური დაკვირვებით იკვეთება საძირკვლამდე დანგრეული გალავნისა და კოშკის ნაშთები. შემოგარენი ჩამონგრეული ნაყარი ქვებით არის დაფარული. კოტიანეთის ციხის მსგავსად, აქაც შეიმჩნევა ციხის გარშემო შემოვლებული თხრილისა და მიწაყრილის კვალი. სორტის ციხე არქეოლოგიურად შესწავლილი არ არის. ზედაპირულად მიკვლეულია ძვ. წ. III ს-ის სინოპური ამფორის ყურის ფრაგმენტები, IV-VI სს. ქოთნების, ღოქების, ქვევრებისა და ამფორების ნატეხები, რის საფუძველზეც არქეოლოგი დ. ლომიტაშვილი ძეგლს ზოგადად IV-VI საუკუნეებით ათარიღებს¹. კოტიანეთისა და შხეფის ციხეებს შორის აგებული სორტის ციხის ძირითადი დანიშნულება, ნ. მურღულიას აზრით, ამ ორი ციხისთვის სიგნალის გადაცემა და მის სიახლოვეს, დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით გამავალი გზის კონტროლი უნდა ყოფი-

¹ ლომიტაშვილი დ., დასახლებული ნაშრომი, გვ. 163; ჭუმბურიძე მ., ეგრისის სამეფოს თავდაცვის სისტემა (ახ. წ. აღ. I-VIII სს.), ქუთ., 2009, გვ. 138-139.

ლიყო. ეს გზა „უნაგირა მთის დასავლეთ მხარეს ამავე მთის აღმოსავლეთ მხარესთან აკავშირებდა“¹.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ცენტრში შექმავალ სოფლებში, უნაგირას მთაზე გზა-გადასასვლელების არსებობაზე მიუთითებს ტოპონიმიკური მასალაც. ასე, მაგალითად, ტოპონიმი **ნაუნანგირუ** უნაგირა გადასასვლელის სახელწოდებაა². **ჯვეში შარა** „ძველი გზა“ ეწოდებოდა გზას, რაც სვანეთისკენ ეკის გავლით მიემართებოდა³. **უნანგერეში//ონანგერეში** ეწოდება უღელტეხილის მსგავს ხადაბლებას სერზე, კვარჩხიდალსა და სოფ. ძველ სენაკს შუა. ჯვარი-სენაკის ძველი გზა სწორედ ამ სერზე გადადიოდა. უნანგერი „უნაგირი“ მეგრულში, როგორც მეტათურულ-ოროგრაფიული ნომენი, მთაზე, სერზე არსებული უღელტეხილის, ხალრმავებული გადასასვლელის აღმნიშვნელია.



სორტის ციხე

¹ მურღულია ნ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 164.

² ელიავა გ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 76.

³ იქვე, გვ. 75.



ხელი სორტის ციხიდან

საჩიქობავოს ციხე. ტეხურის მარჯვენა მხარეს, ეკის მთის აღმოსავლეთ კალთაზე, ზ. დ. 220 მ-ზე მდებარეობს სოფელი საჩიქობავო. სენაკს დაშორებულია 5 კმ-ით, ხოლო თემის ცენტრს – ძველ სენაკს – 2 კმ-ით. სოფლის სახელწოდების ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია **საჩიქობა//საჩიქობო**. სოფელს სამხრეთით ესაზღვრება დიდი შხეფი (ქ. სენაკი), ხოლო აღმოსავლეთით – ძველი სენაკი. ეგრისის სამეფოს დასავლეთი ნაწილის დაცვის სისტემაზე მსჯელობისას პ. ზაქარაია უნაგირას მთაზე განლაგებული ციხეებიდან აღწერს აბედათის, კოტიანეთის, შხეფისა და საკალანდარიშვილოს ციხეებს, მაგრამ საჩიქობავოს არ ასახელებს¹.

დ. ლომიტაშვილისა და ნ. მურღულიას მიერ ამ სექტორში განლაგებული ციხეების რიგი შეივსო კვაუთის, სორტისა და მენჯის ციხეებით, მაგრამ ისინიც არ ასახელებენ „საჩიქობავოს ციხეს“. თუმცა, ამ სოფელში ციხის არსებობაზე მითითება მოცემულია გ. ელიაშვილის წიგნში. მკვლევ-

¹ ზაქარაია პ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 126-152.

ვარი „ძველი სენაკის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე ასახელებს „საჩიქობაოში ჯიხა“-ს (საჩიქობაოს ციხეს), რასაც ერთვის ინფორმანტის ლაკონური ცნობა: „აქაც, საჩიქობაოშიც მდგარა საყარაულო ჯიხა. დღეს ნანგრევია“¹.



საჩიქობაოს ციხის კედლის ფრაგმენტი



საჩიქობაოს გორაკები. წინა პლანზე მოჩანს შხეფის ციხე

¹ ელიავა გ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 73.

შხეფის ციხე. სოფელი შხეფი მდებარეობს სენაკიდან მარტვილისკენ მიმავალ გზაზე. სენაკს 3 კმ-ით არის დაშორებული. ციხე აგებულია სოფლის ჩრდილოეთით, მაღალ მთაზე, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს კოლხეთის დაბლობი. ციხის შესწავლას აწარმოებდა ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიცია.

ისტორიული ცნობები ძეგლის შესახებ მეტად მცირეა. ვახუშტის ცნობით, „უნაგირას მთის ძირზედ და ტეხურის დასავლეთის კიდეზედ, არს შხეთს ციხე დიდნაშენი და სასახლე დადიანისა“¹. აქედან ირკვევა, რომ შხეფის ციხე ოდიშის მმართველ დადიანთა გვარის ერთ-ერთი შტოს წარმომადგენლის მფლობელობაში იყო და, მაშასადამე, ციხის გარშემო მდებარე სოფლებიც სადადიანოს საკუთრებას წარმოადგენდა.

ფეოდალური სამყაროსათვის დამახასიათებელი ტახტისათვის ცილობის ერთ-ერთი ტრაგიკული ეპიზოდი, კერძოდ, ძმების – გიორგი და მამია დადიანების ურთიერთქიშპი, დაკავშირებულია შხეფის ციხესთან. 1582 წელს გიორგის გარდაცვალების შემდეგ ტახტი მამიას დარჩა, მაგრამ მოსვენებას არ აძლევდა გიორგის მცირეწლოვანი მემკვიდრე ლევანი. „დაშთა დადიანს ძე ერთი, რომელსა ეწოდა ლეონ. მაშინ განირისხა ღმერთი მამია დადიანმა, წაართუა დედასა მისსა, და წარმოიყვანა ყრმა იგი, და შხეფის ციხეში დაატყვევა, და იყო ყრმა იგი გამოუცდელი, და ვერ გაუძლო ტყუეობასა, შეწუხდა ყრმა იგი განშორებისათვის, დედისა თუისისა, და გარდმოიგდო თავი თუისი ციხისა მისგან და ესთე აღესრულა იგი“².

საინტერესოა შხეფის ციხესთან დაკავშირებული მეორე ეპიზოდიც. ქართლის მეფე სიმონ I-თან (1556-1569 წწ., 1578-1599 წწ.) გამართული

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. „ქართლის ცხოვრება“, IV, 1973, გვ. 777.

² ქართლის ცხოვრება“, II, თბ., 1959, გვ. 504.

ომის ღროს მამია IV დადიანი (1573-1578 წწ., 1582-1590 წწ.) – ლევან I დადიანის ძე, არ მიეშველა იმერეთის მეფე ლევანს (1583-1590 წწ.), გიორგი II-ის ძეს. სიმონ I-თან დამარცხებული იმერეთის მეფე შურისძიების მიზნით ოდიშს შეესია, მაგრამ „გაემარჯუა დადიანსა და შეიპყრა მპყრობელი იმერეთისა ლეონ. და პყრობილ ყვეს იგი ოდიშის ციხესა შხეფისასა, და მუნ მოკუდა ლეონ“¹.



შხეფის ციხე

ციხის ასაშენებლად მეტად მოხერხებული ადგილი შეუჩვენიათ. ესაა მთისწვერი, სამხრეთით – ციცაბო კალთებით და აღმოსავლეთით, მთასა და ფლატეს შორის ვიწრო გასასვლელით. ციხეს ირგვლივ ღრმა თხრილი სამი მხრიდან უვლიდა (აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან). გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში სამანქანო გზის გაყვანისას ეს თხრილი ამოუვსიათ. მისი ნახაზი მოცემულია კ. მელითაურის ნაშრომში².


¹ ქართლის ცხოვრება“, II, თბ., 1959, გვ. 532.

² Мелитаури К., Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии, кн. II, Тб., 1972, стр. 40


არქეოლოგიური გათხრებით გამოვლინდა, რომ თავდაპირველად აქ ერთი ოთხკუთხა კოშკი მდგარა, მცირე გალავნით. აღნიშნული გალავნის ფლეთილი ქვებით ნაგები ნაშთი ირგვლივ უვლის შემდგომი პერიოდის დიდ კოშკს და ჩრდილოეთ გალავანს ებჯინება. პირველი ფენა IV ს-ით თარიღდება. მეორე ფენის კოშკი პირველი ფენის კოშკის კედლებზეა აღმართული, რაც გეგმით, პირველის მსგავსად, კვადრატს მიახლოებული ოთხკუთხედიანია. ციხის გალავნის ზედა ნაწილში სათოფურებია დატანილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გალავანი XVI ან XVII საუკუნეშია აღდგენილი.

ეზოს გალავანში ორი კოშკია. ერთი მათგანი, უფრო დიდი და მასიური – ძველია, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მდგარი გვიანდელია. ძველი კოშკი ოთხართულიანია და პირამიდული მოყვანილობისაა. კოშკს ერთადერთი კარი სამხრეთიდან აქვს, 4 მ სიმაღლეზე. კოშკის პირველი სართული ხანძრის შედეგად ზემოდან ჩამოცვენილი დამწვარი კოჭებით და მიწით არის ამოვსებული. კოშკის სამ კედელში სხვადასხვა ზომის სწორკუთხა ნიშებია. კოშკის გაწმენდის შემდეგ, ჩრდილოეთის კედელთან აღმოჩნდა იატაკში ჩაფლული ორი პატარა ქვევრი და ერთი დერგი. სამივე ჭურჭელი სავსე იყო თოფების კაჟის „ჩასართებით“. მათი საერთო რაოდენობა 543 ცალია. კოშკის სარკმლებს დაზვერვის დანიშნულებაც უნდა ჰქონოდათ.

შვეიცარიელი მოგზაურის – ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს მიერ XIX ს-ის 30-იან წლებში შესრულებული ნახატის მიხედვით ციხის სამივე კოშკი ყავრით ყოფილა გადახურული. ცენტრში მდგარ დიდ კოშკს ორფერდა სახურავი აქვს, დასავლეთით მდგარ ოთხკუთხა კოშკს – პირამიდული, ხოლო აღმოსავლეთით მდგარ ცილინდრულ კოშკს – კონუსური. გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღმოსავლეთით მდგარი ცილინდრული კოშკი XVI ან XVII ს-ში უნდა აეშენებინათ.



შხეფის ციხე დიუბუა დე მონპერეს ჩანახატის მიხედვით. XIX ს.



შხეფის ციხის გეგმა

ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში დგას ორსართულიანი, ცილინდრული კოშკი, საბრძოლო ბანით. პირველ სართულზე კარი გვიან გაუჭრიათ, ხოლო თავდაპირველი კარი მეორე სართულზეა. პირველ სართულზე სამი სარკმელია გაჭრილი. მეორე სართულზე სარკმლები და სათოფურები სხვადასხვა დონეზეა. მესამე სართული საბრძოლო ბანს წარმოადგენს.

ცილინდრული კოშკის სიახლოვეს, სამხრეთ გალავანში არსებული კარის მსგავსი ჭრილი შეფერილ ტუალეტად გამოიყენებოდა, რომელსაც გარე კედელი მონგრეული აქვს.


ციხის ზედა ეზოში მდგარი ნაგებობებიდან აღსანიშნავია დიდი კოშკის აღმოსავლეთით, ჩრდილოეთ გალავანზე მიდგმული მცირე ზომის დარბაზული ეკლესია, აღმოსავლეთის აფსიდით. ეკლესიის კედლები მიწის დონიდან ოციოდე სმ-ის სიმაღლეზეა შეჩენილი.



შხეფის ციხის ჭა-რეზერვუარი

ორ კოშკს შორის და ეკლესიის სამხრეთით მდებარეობს ბუნების იშვიათი ქმნილება – წყაროს წყალი. მასზე აუზია გაკეთებული (ზომები:

სიგრძე 4,5 მ, სიგანე 3,5 მ და სიღრმე 3 მ). ვინაიდან ციხის გარნიზონი-სათვის აუზის წყალი საკმარისი არ ყოფილა, ამიტომ დამატებით წყალ-სადენი გაუყვანიათ. ციხის გარეთ, ჩრდილოეთით არსებული ჭისებრი ორმოც ციხის წყლით მომარაგებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. კლდეში ჩაჭრილი ჭის სიღრმე 6 მ-ს აღწევს.



შხეფის ციხის წარწერა

ციხის ზედა ტერასაზე მდგარი ნაგებობებიდან საინტერესოა სამ-ხრეთ-დასავლეთის კუთხეში აღმართული ნაგებობის კვალი ბუხრით. მონპერეს ნახატის მიხედვით აქ საცხოვრებელი სახლი მდგარა. პირველი სართულის იატაკში სხვადასხვა ზომის ქვევრია ჩაყრილი. ზედა სართუ-ლიდან დარჩენილია მხოლოდ ბუხარი. დიუბუას ნახატზე სახლს ერთქა-ნობიანი სახურავი აქვს. ეს შენობა უნდა იყოს ვახუშტის მიერ მითითე-

ბული „სასახლე დადიანისა“¹.

საინტერესოა შხეფის ციხის ერთ-ერთი კოშკის წარწერა. იგი პირველად გამოსცა მარი ბროსემ 1849 წელს. წარწერა ასე იკითხება: „ქრისტე, კოშკი ესე კარის თუვალი შედან აღაშენა, შეუნდოს ღმერთმან, ამინ. ვინცა სთქუა, შეუნდოს ღმერთმან“. წარწერის პირველი გამომცემი მარი ბროსე ფიქრობდა, რომ წარწერაში მოხსენიებული პირი „ბედანი“ (და არა „შედანი“) XIII ს-ის ისტორიული პირია, დადიანთა საგვარეულოდან. მის აზრს იმეორებს მოსე ჯანაშვილიც, რომელსაც წარწერა მცირე ცვლილებებით მოჰყავს და ფიქრობს, რომ ბედანი 1243-1259 წლებში მოხსენიებული პირია. წარწერას იმეორებს ს. მაკალათიაც, მაგრამ იგი კომენტარს არ აკეთებს. მკვლევარ თამაზ ბერაძის მოსაზრებით, შხეფის ციხის წარწერაში მოხსენიებული შედანი ჭილაძეების ფეოდალური გვარის წარმომადგენელი უნდა იყოს და არა დადიანებისა. ამ თვალსაზრისს არ იზიარებენ პარმენ ზაქარაია და თამილა კაპანაძე და დაასკვნიან, რომ XVI-XVIII საუკუნეებში, დღემდე მოღწეული ყველა საბუთით, შხეფის ციხე და მასთან ახლოს მდებარე ობიექტები (ნოქალაქევი, მარტვილი) სადადიანოში შედიოდა. ამასთანავე, მკვლევართა აზრით, არსად არაა ნათქვამი, რომ ჭილაძეების სამფლობელოს საზღვარი მდ. რიონის ხეობიდან ასე შორს, ჩრდილო-დასავლეთით გადიოდა².

ადრე შუა საუკუნეების შხეფის ციხე სხვა თანადროული სიმაგრე-

¹ ზაქარაია პ., კაპანაძე თ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 139-150; ციხის შესახებ იხ. აგრეთვე: ადამია ი., შხეფის ციხესიმაგრე. „ძეგლის მეგობარი“, №51, 1979, გვ. 11-23; იაშვილი მ., ზაქარაია პ., შხეფის ციხე. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, II, თბ., 1987; ზაქარაია პ., საქართველოს ციხე-ქალაქები, ციხესიმაგრეები, ციხედარბაზები, ციხეგალავნები, თბ., 2001, გვ. 80; ჭუმბურიძე მ., ეგრისის სამეფოს თავდაცვის სისტემა (ახ. წ. აღ. I-VIII სს.), ქუთ., 2009, გვ. 138.

² Джанашвили М., от Ново-Сенака до сёло Дихазурга. Изв. кавказского отделения импер. московского археологического общества, вып. II, Тифлис, 1907, с. 22; ზაქარაია პ., კაპანაძე თ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 149-150, და იქვე მითითებული ლიტერატურა.

ბისაგან განსხვავებით მთელი შუა საუკუნეების მანძილზე გამოიყენებოდა, რაც მისი ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობით და საიმედოობით აიხსნება¹.

სენაკის //საკალანდარიშვილოს ციხე. პროფ. პ. ზაქარაია ნოქალაქეში 1973-1977 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიშში აღნიშნავს, რომ „ნოქალაქევის ქვეყანაში“ ექსპედიციის მიერ მიკვლევული ძეგლებიდან სპეციალური შესწავლის ღირსია ნოქალაქევის სიახლოვეს მდებარე შხეფის ციხე და „ის ციხე, რომელიც ქ. ცხაკაიას (ახლანდ. სენაკის – ავტ.) ჩრდილო-აღმოსავლეთით, მთაზე მდებარეობს“².



სენაკის//საკალანდარიშვილოს ციხე. IV-V სს.

ციხის ირგვლივ სოფელი არ არის, ხოლო რადგან ქალაქ სენაკის უბნებიდან ყველაზე ახლოს საკალანდარიშვილოა, ამიტომ ჩვენც ვამჯობინეთ ამ სიმაგრისათვის პირობითად „საკალანდარიშვილოს ციხე“ გვე-

¹ ჭუმბურიძე მ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 138.

² ზაქარაია პ., ნოქალაქეში 1973-1977 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, I, თბ., 1981, გვ. 107.

წოდებინაო, – აღნიშნავს პ. ზაქარაია¹.

შხეფისა და საკალანდარიშვილოს ციხეები, პ. ზაქარაიას აზრით, უნდა წარმოშობილიყო ეგრისის სამეფოს განვითარების პირველ ეტაპზე. ქვეყნის დაცვის ერთიანი ხაზი გადიოდა იქ, სადაც თავდებოდა კოლხეთის დაბლობი და იწყებოდა მაღლობი. შემოსეული მტერი ეგრისის სამეფოს საფრთხეს ძირითადად სამხრეთიდან და ზღვიდან უქმნიდა. დაბლობზე დამარცხების შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობა იხიზნებოდა მთებში, სადაც წინა ხაზი ციხეებით იყო ჩაკეტილი. ციხეების ამ ჯაჭვში პ. ზაქარაია ასახელებს ნოქალაქევს, შხეფს, საკალანდარიშვილოს ციხეს, ეკს, ჭაქვინჯას, სათანჯოს, რეკას, წარჩეს, წებელდას და ა. შ., შავ ზღვამდე, კელასურ–სოხუმამდე².

ციხის აღწერა მოცემულია პ. ზაქარაიას მიერ რუსულ ენაზე გამოცემულ მონოგრაფიაში³.



სენაკის//საკალანდარიშვილოს ციხე. IV-V სს.

¹ იქვე.

² იქვე, გვ. 108.


³ Закаря П., Древнее крепости Грузии, Тб., 1969, с. 21.

აღნიშნულ ციხეზე მსჯელობისას ვეყრდნობით პ. ზაქარაიასა და თ. კაპანაძის 1991 წელს გამოცემულ მონოგრაფიას, სადაც ციხის შედარებით ვრცელი აღწერაა წარმოდგენილი. ციხის სიახლოვეს მდებარე ქალაქის გარეუბანში მცხოვრები კალანდარიშვილების გვარის მიხედვით გარეუბნისთვის „საკალანდარიშვილო“ უწოდებიათ. რადგან სხვა სახელებს კიდევ ეს ჯობს, ამიტომ ჩვენ მასზე შევჩერდით, – აღნიშნავს აქაც პ. ზაქარაია და იქვე დასძენს, რომ ყველა მონაცემით ეს ციხეც ეგრისის სამეფოს IV-V საუკუნეების ციხეების თანადროულად უნდა ჩაითვალოს. ციხის ასაგებად შეჩვენებულია შემადგენელი მალაქა, გრძელ მთაზე, რაც ჩრდილოეთით ქარაფით, დანარჩენი მხარეები კი თხრილითაა შემოსაზღვრული. თხრილი გალავანს კონცენტრულად მიუყვება და იმის მიუხედავად, რომ თხრილისა და ციხის მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ ათას წელზე მეტია გასული, იგი დღესაც შთამბეჭდავია. თხრილის სიღრმე ამჟამად 4-6 მ-ს, ხოლო სიგანე 8-10 მ-ს აღემატება. ცხადია, თხრილის ნაპირები მისი მოქმედების პერიოდში ვერტიკალური იქნებოდა და ასეთი პროფილის მქონე თხრილის გადალახვა მტრის ცხენოსან და ქვეით ჯარს გაუჭირდებოდა. ფაქტობრივად, ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მტრის შესამჩნევად ჭარბი ძალებით.

თვით ციხე შედგება ერთი კოშკისა და ორი გალავნისაგან. პირველი გალავნით აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრული იყო კოშკში შესასვლელი, ხოლო მეორე გალავანი კოშკს სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან უვლიდა. გალავნის ხაზი, ისე როგორც თხრილისა, წრიულია. გალავნის მაქსიმალური ზომებია 23x26 მ.

თითქმის კვადრატული გეგმის მქონე კოშკის გარე ზომებია 7,0x7,2 მ. მისი აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლები შუაზეა გარღვეული. მორღვეულია კოშკის თავიც, ამიტომ სამსართულიანობა არ ირკვევა. აღმოსავლეთის კედლის ცენტრალური ნაწილი გამორღვეულია, მაგრამ ერთგან დარჩენილი მცირე ფრაგმენტით დგინდება, რომ კარი მეორე

სართულზე ყოფილა. კოშკის პირველი სართული ჩამონაცარი ქვებით არის ამოვსებული, მაგრამ ჩანს, რომ სარდაფი კამაროვანი ყოფილა. ზედა ორი სართულის სართულშუა გადახურვა კოჭოვანი უნდა ყოფილიყო. დარჩენილ კედლებში ამბრაზურები არ არის.



სენაკის//საკალანდარიშვილოს ციხის გეგმა

კოშკის კედლების ასაგებად გამოყენებულია კირქვა. თასადები მოუპირკეთებიათ მქისედ გათლილი ზედაპირის მქონე ქვით. წყობა, იმ ეპოქის სხვა ძეგლების მსგავსად, ჰორიზონტალურია. გალავანიც კოშკის მსგავსად არის მოპირკეთებული, მაგრამ ქვები უფრო მოზრდილია და წყობაც ჩამოუვარდება კოშკისას.

კოშკზე მეტად დაზიანებული გალავნის შემორჩენილი სიმაღლე ზოგან 4-5 მეტრია. არც გალავნის კედლებზეა შემორჩენილი ამბრაზურა და არც ის ჩანს, თუ როგორ მთავრდებოდა გალავნის ზედა ხაზი¹.

ციხის ეზოში ნოქალაქევის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, ადგილობრივი არქეოლოგ-ენტუზიასტის – ვ. წირღვაავას მონაწილეობით, 1976 წელს სადაზვერვო თხრილები გაავლო. გამოვლინდა მცირე რაოდენობის კერამიკული მასალა, რაც ადრეფეოდალური ხანის პირველი მონაკვეთით თარიღდება. ამ მცირე მასშტაბის გათხრებითაც დასტურდება აღნიშნული და ნოქალაქევის სიმაგრეების თანადროულობა².

გ. ელიავა „ქალაქ ცხაკაიას (ახალი სენაკის)“ ტოპონიმთა ნუსხაში დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე მიუთითებს **ჯიხას** „ციხეს“, და აღნიშნავს, რომ „დღეს ნანგრევია დარჩენილი“³. იქვე დასახელებულია **საკლანდარიშვილოს ჯიხა** – ციხე კლანდარიშვილების უბანში, მთის შეფენაზე. „ეს კიდევ ერთი საკმაოდ დაცული ციხეა, – წერს გ. ელიავა – იგი ნათალი ქვითაა მოპირკეთებული. ირგვლივ მაღალი გალავანი უვლის. გალავნის შიგნით, სამხრეთით და ჩრდილოეთით დგას ოთხკუთხა კოშკები. გალავანს ირგვლივ გარედან უვლის ღრმა თხრილი და მიწა-ზურგა. ციხეც მაღალ ბორცვზე დგას. იგი უფრო კეთილნაშენია, ვიდრე უხეფისა“⁴.

ციხის ზემოთ მოტანილი ვრცელი აღწერილობით, გალავნის შიგნით მხოლოდ ერთი, თითქმის კვადრატული გეგმის კოშკია შემორჩენილი. გ. ელიავას ცნობა მეორე კოშკის არსებობაზე არ დასტურდება.

¹ ზაქარაია პ., კაპანაძე თ., ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება. თბ., 1991, გვ. 150-152, სურ. 53, 54; ჭუმბურიძე მ., ეგრისის სამეფოს თავდაცვის სისტემა (ახ. წ. აღ. I-VIII სს.), ქუთ., 2009, გვ. 137.

² ზაქარაია პ., დასახელებული ნაშრომი, 1981, გვ. 108.

³ ელიავა გ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 51.

⁴ იქვე, გვ. 54.



სენაკის//საკალანდარისფილოს ციხე

პ. ცხადაია ქ. სენაკში, საკალანდარისკუოში მდებარე, გალავნით შემოზღუდული კოშკის, ციხე-სიმაგრის სახელწოდებად მიუთითებს „საკალანდარსკუოშ ჯიხას“¹.

მენჯი ბალნეოლოგიური კურორტი და თემია მდ. ციხის ხეობაში (ცენტრი: სოფ. ბათარიაში), ზ. დ. 29 მ სიმაღლეზე, სენაკიდან 3 კმ დაშორებით. ცხელი, გოგირდოვანი წყლებით ცნობილი მენჯი, აღნიშნავს გ. ელიავა, XIX ს. მეორე ნახევრიდან უკვე საკმაოდ ცნობილ და დიდი მნიშვნელობის მქონე აგარაკს წარმოადგენს. სოფელი უაღრესად საყურადღებოა ისტორიული ძეგლებით და სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკით. აქ არის ძველი ციხე-სიმაგრე, ძველი გზა და მისი ხიდი, აგრეთვე

¹ ცხადაია პ., დასახლებული ნაშრომი, გვ. 321.

მიწის ნაყოფიერების ღვთაების ძველი სალოცავი¹. ციის ნაპირებზე გამოდის გოგირდ-წყალბადიანი მინერალური წყაროები, რაც შეიცავს ნატრიუმს, კალიუმს, ქლორს, სულფატს, კალციუმს, ჰიდროკარბონატს, მაგნიუმს, სილიციუმს, რკინისა და ალუმინის ქანგეულებს, და გამოიყენება გულსისხლძარღვთა და საყრდენ-სამოძრაო ორგანოების სამკურნალოდ². კურორტის მინერალური სამკურნალო წყლების პირველი მეცნიერული შესწავლა უკავშირდება პროფ. რ. დ. კუპცისის სახელს, რომელმაც მენჯს „საქართველოს მაცესტა“ უწოდა. მენჯი იგივეა რაც ქართული „ვეძა“ – მჟავე, მინერალური წყალი; სამკურნალო ტალახი³.

სოფელში ჩაწერილი ტოპონიმები – **ჯვეში ნაშარუ** „ძველი ნაგზური“ და **ჯვეში შოშე** „ძველი სოშე“ აქ ოდესღაც ძველი გზების არსებობაზე მიუთითებს⁴. ძველი გზა გადიოდა ასევე იმ ადგილას, რასაც **კარობა** ჰქვია⁵.

„მენჯის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში გ. ელიავა დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე მიუთითებს **გოჭკადირს** „გაჭკედილს“, ხიდის სახელწოდებად. გადმოცემით, ეს ხიდი თურქობის დროინდელია. ქვეთკირის ბოძებზე ხის ხიდი ყოფილა გადებული, რაც რუსის მთავრობის დროს რკინის ხიდით შეუცვლიათ. ძველი ხიდის ნაშთი დღესაც არის შემორჩენილი. ორი ნაპირი ამ ხიდით შეუერთებიათ, გაუჭკედიათ. ამიტომ ადგილს „გოჭკადირი“ დარქმევია⁶.

¹ ელიავა გ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 38.

² კალანდარიშვილი გ., მენჯი. გაზ. „კოლხეთი“, №121(4697), 13 ოქტომბერი, 1970.

³ კეკელია ი., ოდიშარია დ., სენაკის რაიონის დასახელებული პუნქტების სახელწოდებანი. ქუთ., 2012, გვ. 45-46.


⁴ ელიავა გ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 39-40.

⁵ იქვე. გვ. 41.

⁶ იქვე. გვ. 40.



მენჯის ციხის გალანის ნაშთი და წმ. დავით მეფესალმუნის
სახელობის მშენებარე ეკლესია



მენჯის ციხის შემოგარენი

მენჯის ჩრდილო-დასავლეთით მთავრდება უნაგირას მთა. ამ მთის სამხრეთ დაბოლოებაზე შემორჩენილია ციხის ნაშთი (GPS კოორდინატები: N42 16.917E 42 01. 268. სიმაღლე: 79 მ). ციხეს ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით უნაგირას მთის კალთები ეკვრის, ხოლო სამხრეთით და აღმოსავლეთით ციცაბო ფერდობით არის შემოფარგლული. სპეციალისტთა დაკვირვებით მენჯის ციხე ოთხკომპონენტის კომპლექსს წარმოადგენს და შედგება გალავნის, ცენტრალური კოშკის, მცირე ზომის ეკლესიისა და გარშემოვლებული ხელოვნური თხრილისაგან. წაგრძელებული, ოვალური ციხის ზომებია 22×46 მ. გალავანი შემორჩენილია სამხრეთ ნაწილში, დაახლ. 2 მ სიმაღლეზე, რომლის სისქეც 1 მ-ია და აგებულია კლდის ქვით. საპირე წყობებში რიგები დაცული არ არის. ციხის დასავლეთ გალავანში ჩადგმულია მართკუთხა კოშკი, ხოლო მცირე ზომის დარბაზული ეკლესია დგას ციხის ეზოს აღმოსავლეთ ნაწილში. ციხის კოშკის შემორჩენილი სიმაღლე 1 მ-მდეა, ზომები: 6,70 მ×8,10 მ, რომელსაც შიგნიდან მთელ პერიმეტრზე შემოუყვება 40 სმ-ზე გამოწეული ბაზისი. კედლების სისქე 1,50-1,60 მ-ია. კოშკს შესასვლელი უნდა ჰქონოდა აღმოსავლეთიდან, პირველი სართულის დონეზე.

მშენებლობაში გამოყენებულია კარგად გათლილი სწორკუთხა კლდის ქვა, რიგების დაცვით, კირის დუღაბზე. მენჯის ციხის შემორჩენილი კედლების საპირე წყობის ანალიზით ის ეგრისის სამეფოს ძლიერების ხანაში (IV-VI სს.) ფუნქციონირებდა. მისი საპირე წყობის პირდაპირი ანალოგი დასტურდება ნოქალაქევის ქვედა ტერასის სამხრეთი გალავნის მთელ პერიმეტრზე.


ციხის ეკლესია დარბაზული ტიპისაა და ზომები შეადგენს 5,70მ×8 მ-ს. ეკლესიის დარბაზი, აფსიდისადაც, გარე სწორკუთხედშია მოქცეული. კლდის კარგად გათლილი ქვებით აშენებულ ეკლესიას მხოლოდ ერთი შესასვლელი კარი ჰქონია დასავლეთიდან. კარის სიგანე 1,20 მ-ია. ეკლესია ნათდებოდა სამხრეთ, ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ კედლებში

ჩატანებული სამი სარკმლით, რომლებიც შიგნიდან გარეთა მიმართულებით ვიწროვდება. ეკლესიის გარშემო გამოვლენილია ფრესკის ანაბეჭდიანი ბათქაშები და განვითარებული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ორნამენტური საპირე ქვის ფრაგმენტები. ერთ-ერთი ორნამენტური ქვა შემორჩენილია ინ სიტუ მდგომარეობაში. სპეციალისტები ამ მონაპოვარზე დაყრდნობით ვარაუდობენ, რომ მენჯის ეკლესია X-XII სს-ში უნდა გადაეკეთებინათ. ციხის გალავნებს დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან შემოვლებული აქვს ხელოვნური თხრილი, რომლის სიგანეც 4 მ-ია¹. მენჯის ციხეს, როგორც უნაგირას მთის თავდაცვითი ხაზის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ პუნქტს, კავშირი უნდა ჰქონოდა ქალაქ სენაკში მდებარე „საკალანდარიშვილოს“ ციხესთან. მაშასადამე, „ნოქალაქევის ქვეყნისაკენ“ მომავალ მგზავრს თუ მოიერიშეს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მენჯის ციხის გუშაგები დააფიქსირებდნენ და ინფორმაციას უფრო ჩრდილოეთით მდებარე სხვა ციხეებს გადასცემდნენ.

ეკის ციხე. მენჯის ჩრდილოეთით, 6 კმ-ის დაშორებით, მდ. ციხის აუზში მდებარეობს ეკის ციხე, რაც 40 მ სიმაღლის მთაზეა აგებული და ოთხივე მხრიდან ციცაბო კალთები ეკვრის. ციხეს გარშემო უფლის IV-V სს. ეგრიისის ციხეთმშენებლობისათვის დამახასიათებელი ელემენტი – გალავნიდან 20-25 მ-ით დაცილებული, 1 მ სიღრმისა და 4 მ სიგანის ხელოვნური თავდაცვითი თხრილი. თხრილის საერთო სიგრძე 270 მ-ს აღწევს, ხოლო დიამეტრი 93-99 მ-ს. ეკის ციხე გალავნებისა და შიგნით მდგარი ერთი კოშკისაგან შედგება. ოთხკუთხა კოშკის გარე ზომებია 9,5მ×12,0 მ., ხოლო შიდა – 6,30მ×9,0 მ. ყველაზე უკეთ შემორჩენილი

¹ ლომიტაშვილი დ., ცენტრალური კოლხეთი ძვ. წ. VIII-ახ. წ. VI სს. (ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი). სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2003, გვ. 211-212; ჭუმბურიძე მ., ეგრიისის სამეფოს თავდაცვის სისტემა (ახ. წ. აღ. I-VIII სს.), ქუთ., 2009, გვ. 136-137; მურღულია ნ., დასახლებული ნაშრომი, გვ. 166-17.

კოშკის სამხრეთი კედლის შემორჩენილი სიმაღლე 7,5 მ-ს აღწევს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ კოშკი მინიმუმ ორსართულიანი მაინც უნდა ყოფილიყო. კოშკის სამხრეთი კედლის ინტერიერში გამოკვეთილი ორი ფოსო სართულშუა კოჭოვანი გადახურვისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. კოშკის კედლების სისქე 2 მ-ზე მეტია. კოშკის პირველ სართულს შესასვლელი აღმოსავლეთით, კედლიდან უნდა ჰქონოდა, საიდანაც კედელი 1,5 მ სიგანეზეა გამონგრეული. იკვეთება შესასვლელი ღიობის პროფილი.



ეკის ჯიხა „ციხე“




ეკის ციხის ზედახედი

გალაფანი შემორჩენილია კოშკის სამხრეთით და ჩრდილოეთით. დასავლეთით და აღმოსავლეთით არსებული ბორცვები, სავარაუდოდ, დანგრეული გალანის კონტურებზე უნდა მიგვითითებდეს. ოთხკუთხა კოშკი წრიული გარშემოწერილობის მქონე ციხის შუაში მდგარა. კოშკის სამხრეთით შემორჩენილი გალანის მონაკვეთის სიგრძე 8 მეტრია და შემორჩენილია 1 მეტრის სიმაღლეზე, ხოლო ჩრდილოეთით შემორჩენილი მონაკვეთის სიგრძე მხოლოდ 2.75 მეტრია. ორივე მონაკვეთის კედლების სიქე 1.20 მ-ია. ციხის მთავარი შესასვლელის ადგილმდებარეობა, გალანების ძლიერი დაზიანების გამო, დაუდგენელია. ეკის ციხის ტერიტორიაზე ზედაპირულად მიკვლეული კერამიკული მასალა (ქოთნისა და ღოქის ფრაგმენტები ზოგადად IV-VI სს-ით თარიღდება, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ციხეც, სამშენებლო-საფორტიფიკაციო სტილის გათვალისწინებით (საშენი მასალა, წყობა, შემადგენლობა – კოშკი, გალანები, თხრილი, რელიეფი) იმავე პერიოდით დათარიღდეს¹. ნ. მურღულია შენიშნავს, რომ ეგრისის სამეფოს ცენტრალური მონაკვეთის ქვესისტემის შემადგენლობაში შემაჯავალი ეკის ციხის მთავარი ფუნქცია გარშემო ტერიტორიების ვიზუალური კონტროლი და სიგნალის გადაცემა უნდა ყოფილიყო. მისი კოშკიდან საკმაოდ ვრცელი ტერიტორიის დაზვერვაა შესაძლებელი, განსაკუთრებით კი, ჩრდილოეთით (5 კმ) და სამხრეთ-დასავლეთით. ეკის ციხის კოშკის ზემოდან შესაძლებელი იქნებოდა მენჯის ციხის დანახვა. აეროფოტოებით ირკვევა, რომ ამ ორი ციხის კოშკებს შორის, სწორ ხაზზე, ვაკე ადგილებია და, შესაბამისად, მათ შორის ხედვით არეს არცერთი მთა ან გორა არ ეყარება. ამასთანავე, საყურადღებოა ის გარემოება, რომ არ არის გამოჩენილი, მდ. ცივის გასწვრივ ემოქმედა რაიმე ტიპის (მაგ., საურმე) მეო-

¹ მსჯელობისათვის იხ. ზაქარაია პ., კაპანაძე თ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 153; მურღულია ნ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 168-170.

რეზარისხოვან გზას, რაც ეკის ციხის მიმდებარე ტერიტორიას დღევანდელი ჩხოროწყუსა და მარტვილის რაიონებთან დააკავშირებდა¹.



ეკის ჯიხა „ციხე“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სენაკის შემოგარენში მდებარე ციხეებიდან ეკის ციხე ზომებით აღემატება კოტიანეთისა და „საკალანდარიშვილოს“ ციხეებს². ციხეს ადგილობრივი მოსახლეობა „ჯიხას“ უწოდებს.

¹ მურღულია ნ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 169–170.

² ზაქარაია პ., კაპანაძე თ., დასახელებული ნაშრომი, გვ.153; ჭუმბურიძე მ., ეგრისის სამეფოს თავდაცვის სისტემა (ახ. წ. აღ. I-VIII სს.), ქუთ., 2009, გვ. 136.

თავი III. რკინიგზის მნიშვნელობა ახალშენის წარმოქმნაში. ახალშენაკი და ამიერკავკასიის რკინიგზა

XIX ს-ის რეფორმამდელ პერიოდში საქართველოს მანქანებისა და ოკრუგების ხელისუფალთა უფლება-მოვალეობას ძირითადად საერთო-სახელმწიფო კანონები განსაზღვრავდა. ცალკე წესებით იყო განსაზღვრული მთავარმმართველისა და სამაზრო-საოკრუგო ადმინისტრაციის ურთიერთობის ხასიათი. მანქანის უფროსს ეკისრებოდა სამაზრო ადმინისტრაციისა და პოლიციის მართვა. ასეთივე ფუნქცია ჰქონდა „ოკრუგის“ უფროსსაც. ამ მოხელეების კომპეტენციაში დამატებით შედიოდა საერობო საქმის წარმოება და სოფლის თვითმმართველობის ორგანოთა კონტროლი. რუსეთის იმპერატორის მიერ 1862 წლის 3 მარტს დამტკიცებული დებულების საფუძველზე ამიერკავკასიის მოსახლეობა თავისუფლდებოდა შეიარაღებული ცხენოსნების (ჩაფრების) გამოყვანის მოვალეობისაგან და იბეგრებოდნენ განსაკუთრებული ფულადი გამოსაღებით, რითაც მთავრობას შეეძლო საჭირო რაოდენობის ადამიანების დაქირავება და ამიერკავკასიის საერობო დაცვის სახელწოდებით შეიარაღებული ნაწილების ჩამოყალიბება. საერობო დაცვის რაზმები გამოიყენებოდა გზებისა და მიმოსვლის უშიშროების უზრუნველსაყოფად, ფოსტის დასაცავად, ყაჩაღებისა და მძარცველების შესაპყრობად. დაცვის რაზმებში დაიშვებოდნენ როგორც რუსები, ისე ადგილობრივი მცხოვრებლები. მანქანის უფროსისა და საპოლიციო უბნის ბოქაულთა ფუნქციას დაცვის რაზმებში ნებაყოფლობით დაქირავებულთა ჩარიცხვა და სტრატეგიკებისათვის ჯამაგირის დანიშვნა შეადგენდა¹. საერობო

¹ ვანიშვილი შ., ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში, 1864-1917 წწ., თბ., 1989, გვ. 74-75.

დაცვის რაზმებში ირიცხებოდნენ „სტრატეგები“, ურიადნიკები, ოფიც-რები და ცხენოსნები. დებულებამ საერობო დაცვის შესახებ თითქმის უცვლელად იმოქმედა XIX ს. 60-70-იან წლებში. მაზრის უფროსი ადმინისტრაციას განაგებდა თავისი თანამშემწეებით. მაზრას ჰყავდა პოლიც-მეისტერი, ხაზინადარი, მოსამართლე, პროკურორი, ექიმები, თარჯიმანი, ნოტარიუსი და სხვ.

1866 წელს ქუთაისის გუბერნიაში დაარსდა სოფლის საზოგადოებრივი მმართველობა. ეს იყო გლეხთა წოდებრივი (სახელმწიფო, საეკლესიო და ხიზანი) დაწესებულება, რომლის საქმიანობაშიც სოფლის მოსახლეობის სხვა ფენები (თავადაზნაურობა, სამღვდლოება, მეშხანთა წოდებაზე მიწერილი ვაჭრები და სხვ.) არ მონაწილეობდნენ. რამდენიმე პატარა სოფელი ერთ დიდ ადმინისტრაციულ-სამეურნეო ერთეულში – სასოფლო საზოგადოებაში შედიოდა¹.

სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის უმაღლესი განმკარგულებელი ორგანოს – სოფლის ყრილობის ფუნქციებში შედიოდა სასოფლო მმართველობის თანამდებობის პირთა არჩევა. ყრილობა ასევე იღებდა დადგენილებას სოფლიდან მავნე და დამნაშავე პირების გასახლების თაობაზე, ზემდგომ ინსტანციებში აღძრავდა შუამდგომლობას საზოგადოებრივ საჭიროებებზე, ანაწილებდა სახაზინო და საერობო გადასახადებს კომლთა შორის და ა. შ.²

სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის აღმასრულებელ ხელისუფალს მამასახლისი წარმოადგენდა, რომელსაც გლეხთა ყრილობა ირჩევდა. მამასახლისის ფუნქციებში გზების, ხიდების, სარწყავი არხე-

¹ იხ. კიკვიძე ა., საქართველო XIX–XX საუკუნეებში, თბ., 1950, გვ. 30; კვერნაძე ა., სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ქუთაისის მაზრაში XIX საუკუნის 60–90-იან წლებში. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ქუთ., 2005.

² ვანიშვილი შ., დასახლებული ნაშრომი, გვ. 80.

ბის, წყალსადენების შენარჩუნებისათვის მეთვალყურეობა, კამერალურ აღწერათა ჩატარების ხელმძღვანელობა და კონტროლი, სახელმწიფო, საერობო და საბატონო გადასახადთა დროულად აკრეფის, საშოვარზე გლეხის წასვლის სანებართვო ბილეთის გაცემის უზრუნველყოფა შედიოდა, რასაც თანაშემწესთან (ნაცვალთან) და გზირთან (გადასახადთა ამკრებთან) ერთად განახორციელებდა.


სოფლის ყრილობის მიერ აირჩეოდა აგრეთვე სასოფლო სასამართლოების მოსამართლეები, რომელთაც სამოქალაქო სამართლის საქმეების, 100 მანეთამდე ღირებულების ფარგლებში გლეხთა დავა-საჩივრების განხილვა ევალებოდათ. სასოფლო საზოგადოების აპარატს წარმოადგენდა კანცელარია, რომელსაც სოფლის მწერალი განაგებდა¹.

სოფლის მმართველობის გარდაქმნის მიზნით, მთავარმმართველის, კანცელარიის დირექტორის – სანდრო გაილოს მიერ 1899 წელს შედგენილი დებულების პროექტმა დიდი ცვლილებები შეიტანა სამაზრო მმართველობაში, რაც დეტალურად აქვს განხილული შ. ვანიშვილს².

ზემოთ გაანალიზებული კონკრეტული მასალის დამოწმება იმიტომ დაგეგმირდა, რომ XIX ს-ის II ნახევარში მომზადებული პროექტებით ნავარაუდები დაწესებულებები ისევე მოქმედებდა სენაკის მაზრაში, როგორც, ზოგადად, ამიერკავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში, და, თავისი არსით, რუსული სახელმწიფოებრიობისა და ადმინისტრაციული წყობის საწყისებს შეესაბამებოდა.

¹ იქვე, გვ. 80-81; კვერნაძე ა., სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ქუთაისის მაზრაში XIX საუკუნის 60-90-იან წლებში. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ქუთ., 2005; ძაგანია ბ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, გვ. 37-39.

² იქვე, გვ. 88-105.



საქართველოს რკინიგზის პირველი ლოკომოტივი

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სენაკი ქართულ საისტორიო წყაროებში (XVI-XIX სს.) არაერთხელ მოიხსენიება, თუმცა ფოთი-ყვირილის რკინიგზის მაგისტრალის გახსნამდე (1871 წლის 14 აგვისტო) იმდროინდელი სენაკი იყო არა დღევანდელი ქალაქ სენაკის ადგილას, არამედ მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადაც დღეს ძველი სენაკი და შხეფის გარკვეული ნაწილი მდებარეობს.

1872 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს რკინიგზამ თბილისი-ფოთის მიმართულებით პირველი რეისი განახორციელა.

1870-1872 წლებში ახლანდელი ძველი სენაკის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე სოფელ თეკლათის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების განვითარებამ, კერძოდ, რკინიგზის გაყვანამ, ხელი შეუწყო ახალი სამრეწველო-სავაჭრო ცენტრისა და საქალაქო ტიპის დაბის

წარმოშობას.

აღსანიშნავია თავად ქალაქის გეოგრაფიული მდებარეობაც. სენაკს სამეგრელოს რეგიონში ცენტრალური ადგილი უჭირავს, სადაც იყოფა მარტვილის, ჩხოროწყუს, ფოთისა და ზუგდიდის მიმართულებით მიმავალი გზები. ცენტრალური მდებარეობა უჭირავს სენაკს კოლხეთის დაბლობზეც. იგი ორ მდინარეს – ტეხურსა და ცივს (ციი) შორის არის მოქცეული. რელიეფის ფორმის მიხედვით ქალაქის ტერიტორია მკვეთრად გამოხატულ ორ ნაწილად იყოფა: რკინიგზის ხაზის სამხრეთით დაბლობია, ხოლო ჩრდილოეთი ნაწილი მაღლობს წარმოადგენს – ქალაქი ეკის მთაზეა შეფენილი. ამიტომ მეტაფორულად სენაკი მიიჩნევა ადგილად, სადაც „კოლხეთის დაბლობი მაღლობში გადადის“. ქალაქს წაგრძელებული ფორმა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. სენაკური ქალაქური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია ქალაქის შემოგარენის ლანდშაფტიც. ჩრდილოეთით ესაზღვრება კოლხური ტყით დაფარული ეკის მთა, რომელიც მდიდარია კირქვული წარმონაქმნებით, მღვიმეებითა და უფსკრულებით, სამხრეთით – კოლხეთის დაბლობის მწვანე კონდრები, აღმოსავლეთით – ტეხურის ანტეცედენტური ხეობა, გორაკებზე აღმართული შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეებით, დასავლეთით – მდ. ცივის ხეობა და მენჯის მონასტერი, საიდანაც კოლხეთის დაბლობის ულამაზესი პანორამა იშლება¹.

ვაჭრობისა და მრეწველობის სოფლის მეურნეობისგან გამოყოფა, შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და შინაური ბაზრის ზრდის პროცესი მიიჩნევა საქალაქო ტიპის დაბებისა (წინაქალაქების) და სავაჭრო-სამრეწველო სოფლების წარმოშობის წინაპირობად.

¹ ბაღათურია ე., ქალაქის ბრენდინგი, როგორც პოსტსაბჭოთა პატარა ქალაქის შემოქმედებითი ტრანსფორმაცია (სენაკის მაგალითი). თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. სამაგისტრო ნაშრომი საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2018, გვ. 34-35.

ხელოსნობა, როგორც ქალაქის ყოფა-ცხოვრების აუცილებელი შე-
მადგენელი კომპონენტი, მნიშვნელოვნად იყო გავრცელებული სოფ-
ლადაც, როგორც გლეხური მეურნეობის დანამატი. მიწათმოქმედებას-
თან დაკავშირებული წვრილ საწარმოთა მფლობელი ხელოსნები, გლე-
ხური მეურნეობის პარალელურად, ამუშავებენ ტყავს, კერავენ ფეხსაც-
მელსა და ტანსაცმელს, ასრულებენ სამჭედლო სამუშაოს, ღებავენ ში-
ნაურ ქსოვილებს, ალაპაზებენ გლეხურ მაუდს, ფქვავენ ხორბალს და ა.
უ.¹

მკვლევარი ლ. ბერძენიშვილი ძველი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრე-
ბის ზრდისა და ახალი ქალაქური ტიპის დასახლებების წარმოქმნის მი-
ზეზე მსჯელობისას აღნიშნავს: „სოფლის მოსახლეობის სავაჭრო-
ბი ნაწილი XIX საუკუნის ბოლოსაც აგრძელებდა მიწათმოქმედების ხე-
ლოსნობასთან და პირუკუ შეთავსებას. მაგრამ ბევრნი იყვნენ შეძლებუ-
ლი გლეხები, რომელნიც მხოლოდ სოფლის მეურნეობას მისდევდნენ და
მსხვილი სახელოსნოს მფლობელნი, რომელთაც კავშირი გაწყვეტილი
ჰქონდათ სოფლის მეურნეობასთან. ძლიერდებოდა სპეციალიზაციის,
შრომის დარგობრივი და საზოგადოებრივი დანაწილების პროცესი“².
მისაღები და გასაზიარებელია მკვლევრის შემდეგი მსჯელობაც: „რე-
ფორმის შემდგომი პერიოდის საქართველოს სამეურნეო განვითარების-
თვის დამახასიათებელი იყო სავაჭრო-სამრეწველო დაბა-სოფლების
აღმოცენება და დაწინაურება. ეს განპირობებული იყო მათი ხელსაყრე-
ლი მდებარეობით სასოფლო-სამეურნეო რაიონების შუაგულში, სავაჭ-
რო გზაჯვარედინებსა თუ რკინიგზის მაგისტრალზე და სხვ. ზოგიერთი
ასეთი დაბა თავისი სავაჭრო ბრუნვით და წვრილი საქონლური წარმოე-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 3, 1941.

² ბერძენიშვილი ლ., აღმოსავლეთ საქართველოს სავაჭრო-სახელოსნო დაბა-სოფლები
1865-1917 წლებში, თბ., 1990, გვ. 17-18.

ბის განვითარებით უთანასწორდებოდა სამაზრო ცენტრებსაც კი“¹.

თეკლათსა და სენაკს შუა დაბის (წინაქალაქის) წარმოქმნას ხელი შეუწყო მის მახლობლად რკინიგზის ხაზის გაყვანამ და სადგურის მშენებლობამ. მაგრამ რას წარმოადგენდა იგი რკინიგზის ხაზის გაყვანამდე და სადგურის აშენებამდე? რომელი სოფლის მოსახლეობის ხარჯზე გაჩნდა აქ ახალშენი?

დაბის ტიპის დასახლება „ახალსენაკის“ სახელწოდებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოიქმნა სოფელ თეკლათის ტერიტორიაზე, რომელიც დღევანდელ ქალაქ სენაკს დასავლეთით ეკვრის. ახალსენაკს, ახალი ცხოვრების შესაბამისად, განვითარებისა და ტერიტორიული გაფართოების ყოველგვარი პირობა შეექმნა. წარმოქმნის მომენტიდან დაბის ტერიტორია გაფართოვდა და აღმოსავლეთით მიუახლოვდა ახალხორის მიდამოებს. ასე ერქვა ფიცუღელესა და ნახურს შუა მდებარე ტერიტორიას, სადაც განთავსებული იყო სენაკის მაზრის აღმინისტრაციული ცენტრი. 1886 წლის აღწერის ცნობარში ახალხორს („ახალ სასახლეს“) ეწოდება **Сенаки, Ново-местечко**. ახალსენაკმა დასავლეთის მიმართულებით თითქმის მდ. ცი(ვ)ის ნაპირებს მიაღწია; ჩრდილოეთით ეკის მთის კალთები საზღვრავდა, ხოლო სამხრეთით სოფ. ძონძირის მიდამოებს ემიჯნებოდა. როგორც გივი ელიავა წერს, ახალსენაკმა თავისი არსებობის პერიოდში შემოიერთა არა მხოლოდ თეკლათის, არამედ სხვა მომიჯნავე სოფლების ტერიტორიაც. ამ შემოერთებული ტერიტორიის შიდა საზღვრებისა და მიჯნების ზუსტად განსაზღვრა ძნელია, თუმცა ადგილობრივ მცხოვრებთაგან ჩაწერილი გადმოცემებით შესაძლებელი შეიქნა, ზოგადად, შიდა საზღვრების დადგენა. გ. ელიავა შენიშნავს, რომ ესაა ქალაქის ცენტრალური ტერიტორია აკაკი ხორავას ქუჩიდან მდ. ცი(ვ)ის ნაპირებამდე, საეჯიბიო (ყოფილი დასახლებული უბანი კუ-

¹ იხ. ბერძენიშვილი ლ., აღმოსავლეთ საქართველოს სავაჭრო-სახელოსნო დაბა-სოფლები 1865-1917 წლებში, გვ. 13.

როორც მენჯთან (სენაკი). ახალსენაკის წარმოქმნის დროისათვის აღნიშნული ტერიტორია თეკლათის ნაწილს შეადგენდა¹. აგრეთვე კურორტი „მენჯი“ და მისი შემოგარენი²; ხორავასა და ხოფერიას ქუჩებს შორის მდებარეობს საკალანდარიშვილო³, ხოლო ხოფერიას ქუჩასა და ადგილ „ახალხორს“ შორის – უბანი „შხეფი“⁴.

დღევანდელი ქალაქის სამხრეთი ნაწილი ვრცელდება ამიერკავკასიის რკინიგზის მდ. ტეხურზე გადებული ხიდიდან ხალიჩების თაბრიკამდე და ახლანდ. ცერცვაძის ქუჩამდე⁵.


¹ საეჯიბო ეწოდება აგრეთვე ეჯიბიების უბანს მდ. ცივის ნაპირას. საზიარო სახარბედიოსთან და ქ. სენაკთან. საეკლესიო გლეხები – ეჯიბიები სახარბედიოს პირველმოსახლენი ყოფილან – ავტ.

² მენჯი ამჟამად ეწოდება ქალაქის უბანს და ბალნეოლოგიურ კურორტს ზედა სალომიოსა და ქვედა სალომიოს შუა, მდ. ცი(ე)ის მარცხენა მხარეს. ქალაქ სენაკს 1969 წელს შემოუერთდა – ავტ.

³ მის მდებარეობას პ. ცხადაია ასე განსაზღვრავს: საკალანდარიშვილო//საკალანდარის-კუო – კალანდარიშვილების უბანი ეკის მთისძირას, საკინწურაშვილოსა და სახაჯალიოს შუა. საქართველოს სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის 1930 წლის გამოცემაში დასახელებულია თეკლათის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელი საკალანდარიშვილო. გადმოცემით, გურიის სოფ. კვირიკეთიდან ერთი ბიჭი წამოსულა, მენჯელი სალაყაია მოსწონებია, ცოლად შეურთავს და ამ ტერიტორიაზე დასახლებულა. კალანდარიშვილები მისგან გამრავლებულან. იხ. ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VII, სენაკის რაიონი, თბ., 2013, გვ. 320; მისივე, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000, გვ. 91.

⁴ შხეფი ერქვა სოფელს ქ. სენაკიდან 3 კმ-ზე, სენაკი-მარტვილის გზის მარცხენა მხარეს. ოდიშ-ლენჩხუშის დავით დადიანისეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით შხეფი სუჯუნის მაზრაში შემავალი სოფელი ყოფილა. XIX საუკუნის 80-იან წლებში 229 კომლიანი დასახლებული პუნქტი „შხეთი“ შედიოდა ნაქალაქევის უბნის თეკლათის სოფლის საზოგადოებაში. ქ. ახალსენაკის ტერიტორიული გაფართოების შემდეგ შხეფის ერთი ნაწილი შეერწყა ქ. სენაკს. ამჟამად ეს უბანი „დიდი შხეფის“ სახელითაა ცნობილი. მეორე ნაწილი – ჭიჭე შხეფი – შეუერთდა ძველ სენაკს. შხეფი ისტორიული სოფელია. აქ, მთის თხემზე დგას შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრე. სოფელი მოიხსენიება XVIII საუკუნის ისტორიულ საბუთებში.

⁵ ელიავა გ., სენაკის რაიონის ტოპონიმია, 1989, გვ. 46.



თანამედროვე სენაკის ტერიტორიაზე გამავალი გზები. 1861 წლის რუკა.

ამჟამინდელი ქალაქის ცენტრალურ ნაწილში გაედინებოდა დეღე „ფიცუ“, რაც ბუნებრივი ხეობის, კალაპოტის თუ ხელოვნური წყალსადენი არხის უქონლობის გამო იშლებოდა მთელ ტერიტორიაზე და აჩენდა წუძქესა და ლაქაშებიან ჭაობს. დაგუბებული და აშშორებული წყალი ადამიანისთვის მავნე იყო. ეს ადგილი სოფელ თეკლათის ტერიტორიის ნაწილს წარმოადგენდა და თავადი ხეციები ფლობდნენ. ისინი ყოფილან ამ უკაცრიელი, ტყიან-ჭაობიანი ადგილის პირველმოსახლენი. ყულიშკარელ ხეციებს სამეგრელოს მთავარ დადიანისაგან ერთგული სამსახურისათვის ებოძათ თეკლათი და მისი შემოგარენი – ახლანდ. სენაკი, ისულა, ძონძირი და სხვა ადგილები¹.

¹ ელიავა გ., სენაკის რაიონის ტობონიშია, გვ. 46. სამეგრელოში გავრცელებულ თავადურ გვართა შორის ერთ-ერთი გამორჩეული იყო მხეიძეთა გვარი, რომლებიც ისტორიის არენაზე XI-XII საუკუნეებიდან გამოჩნდნენ. ფიქრობენ, რომ ბალვაში, ლიპარტაიანი და მხეიძე საერთო წარმომავლობის გვარებია. იხ. სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), I, თბ., 1973. ეს გვარი პირველად მოიხსენიება 1326 წლის დოკუმენტში, ხოლო XV ს-ის მიწურულიდან ხშირად გვხვდება. მხეიძეები ყოფილან თავადებიც და აზნაურებიც. 1904 წლის აღწერის მონაცემების თანახმად თავადი მხეიძეები მკვიდრობდნენ და მამულებს ფლობდნენ


ინხურში, ყულისკარში, დიდ ზანაში, სარაქონში, ჯგალში, ჭაქვინჯში, სენაკში, საღვამი-
ჩაგოში, პატარა ფოთში, თეკლათში, ისულაში, მხეფში, რეკაში, ონოლიაში, უშაფათში,
ჯოლევი, ალერტი, ფოცხოში, ნასაჯოში, მოხაშში, ხოლო აზნაური მხეიძეები ცხოვ-
რობდნენ ხორგაში, კირცხსა და თაიაში. იხ. ცხადაია პ., გვარები და გვართა დასახლებანი
სამეგრელოში, თბ., 2000, გვ. 116. იოანე ბატონიშვილი ქართველ თავად-აზნაურთა გვარე-
ბის „აღწერაში“ მხეიძეთა შესახებ წერს: „ფხეიძე არიან ძირითა სალიპარტიანნი, ნათესავე-
ნი ორბელიანი ლიპარტიისი“. „ძირითა სალიპარტიანნი“ ნიშნავს იმას, რომ ამ გვარისკაცნი
სალიპარტიანოდან იყვნენ. სალიპარტიანო ეწოდებოდა ტერიტორიას ჭყონდიდიდან უნა-
გირამდე.

გ. ელიავას „თეკლათის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში, დაზუსტებული ლო-
კალიზაციის გარეშე, დასახლებული აქვს **სახეციო** – ხეციების გვარის უბანი. იხ. ელიავა
გ. სენაკის რაიონის ტოპონიმია, თბ., 1989, გვ. 29. სახეციო ერქვა ტყეს გოჭყვადილის მარ-
ჯვენა მხარეს, სოფ. გოლასკურში, სადაც ამჟამად სახნავეებია. ამ ადგილას ესახლნენ ხე-
ციები. ხეციების უბანს ეკის მთის აღმოსავლეთ კალთაზე, სოფელ კოტიანეთში, ასევე სა-
ხეციო ერქვა. აქაური მცხოვრებნი შემდეგ სორტაში გადასულან საცხოვრებლად. სახეცი-
ოს სახელით უბანი მდებარეობს ზედა სორტაში, სოფ. კვარჩხილალის საზღვართან, ეკის
მთისკალთაზე. აღნიშნული უბანი ზედა სორტას დასცქერის. იხ. ცხადაია პ., სამეგრელოს
გეოგრაფიული სახელწოდებანი, VII, თბ., 2013, გვ. 345; იოანე ბაგრატიონს ოდიშის თავად-
თა შორის დასახლებული ჰყავს მხეციაც. ა. შანიძის აზრით, მხეციაე → მხეიძე. შდრ.
მეგრ. ხეცია. იხ. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 119; მხეი-
ძის გვარიდან მომდინარეობს სამეგრელოში განსახლებული მცირერიცხოვანი გვარი ხე-
ცია.

ხეციებს სააფხაზოდან ჩამოყვანიანთ გარუჩავეები და რკინიგზის გაღმა-გამოდმა ად-
გილებში დაუსახლებიათ. რკინიგზის ხაზთან, ციის მარცხენა ნაპირას მდებარე ამ ადგი-
ლებში ამჟამად სახნავეებია და **ნაგარუჩუ//ნაგარჩუ** ეწოდება. ეს ადგილი საზიაროა სე-
ნაკთან და საგვარამიოსთან. თვით გარუჩავეები მოსახლეობენ სოფელ ტყირის იმ უბანში,
რაც ციის მარცხენა ნაპირას მდებარეობს და **საგარჩა//მაჟია ტყირი** ჰქვია. გ. ელიავა
გარ(უ)ჩავეების ახალ დასახლებას დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე მიუთითებს
„თეკლათის სასოფლო საბჭოში“, ხოლო **ნაგარუჩუს** დაზუსტებული ლოკალიზაციის გა-
რეშე ასახელებს „მენჯის სასოფლო საბჭოში“. იხ. ელიავა გ., სენაკის რაიონის ტოპონი-
მია, გვ. 26, 30, 32, 44.

ხეციები ჩამოსახლებულან სოფ. ყულიშკარიდან, რომლებსაც დადიანისაგან ერთგუ-
ლი სამსახურისთვის საჩუქრად მიღებული ადგილების მომვლელად და მეთვალყურედ უმ-
რწემესი წევრი დაუნიშნავთ. იგი დაუსახლებიათ თეკლათის ჭაობიანი ადგილების მან-
ლობლად, შედარებით მშრალ ადგილზე. იხ. ელიავა გ., სენაკის რაიონის ტოპონიმია, გვ.
46.

შალვა დადიანი თავის მოგონებებში წერს, რომ მხეიძეები საერთოდ სამეგრელოში
ერთი წარჩინებული გვართაგანი იყო და ერთ დროს ატარებდნენ თავადის ხარისხს. ამ გვა-
რის წევრები ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში ცხოვრობდნენ და ორივეგან შეძლებულ



თავად მხეიძეების სასახლე ახალსენაკში.
ფოტო გაზეთ „კოლხეთის ცისკრიდან“, №16, 1965.

რკინიგზის სადგურის ასაშენებლად თეკლათელმა ხეციებმა დათმეს საჭირო რაოდენობის ტერიტორია. ჭაობიანი ადგილები ქვა-ლორლით ამოაფსეს; გაყვანილ იქნა არხი, ჯერ აღმოსავლეთისა და, შემდეგ, სამხრეთის მიმართულებით, ძონძირის ტერიტორიისაკენ¹. ამ არხით სადინა-

მებატონეებად ითვლებოდნენ. სენაკელი მხეიძეებიდან მწერალი ასახელებს დიმიტრის და ბესარიონს, რომელთა დედაც ჯოლეველი დადიანების სახლთა შვილი ყოფილა. მათი ოჯახი იყო დიდად სტუმართმოყვარე ყოფილა. ხსენებულ ორ ძმას სიკვდილამდე ეჭირათ იმ დროისათვის თვალსაჩინო თანამდებობა. ერთი, დიმიტრი, წერს შ. დადიანი, ჩემსობას იყო თითქმის უცვლელი წინამძღოლი სენაკის თავადაზნაურებისა და მეორე, ბესარიონი, მომრიგებელი შუამავალი. იმავე დროს ორივე რუსის არმიის ნასწავლი ოფიცრები იყვნენ. საზოგადოებრივი საკითხები სენაკის მაზრაში მათი გავლენით გადაიჭრებოდა ხოლმე. აქვე უნდა ითქვას, რომ მეგრული მხეიძეებიც, ისევე როგორც იმერეთის მხეიძეები, თავის თავს ხვენს ისტორიაში ცნობილი გმირების, დავით და კონსტანტინეს ჩამომავლად თვლიდნენ, რომლებიც ეწამნენ მურვან-ყრუს დროს. იხ. დადიანი შ., რჩეული თხზულებანი. ტ. V, თბ., 1962, გვ. 42-43.

¹ ფიცუღელე სათავეს იღებს ეკის მთისკალთაზე, ზედა სალომიოში. კალაპოტის უქონლობის გამო დეღე ფართოდ იშლებოდა სოფ. თეკლათის საზღვართან, დღევანდელი ახალსოფლის ტერიტორიაზე, სადაც ამჟამად აეროდრომი. სენაკიდან მომდინარე წყლები ნაწვიმარზე აქ იშლებოდა და ქმნიდა ტყე-ჭაობს. ამიტომ ამ ადგილს ოფაჩაფუს უწოდებდნენ (ოფაჩაფუ „ადგილი, სადაც წყალდიდობისას დეღე ფართოდ იშლება“). ასევე ტყე-ჭაობს ქმნიდა ფიცუს მარცხენა შენაკადი ოტორი. რესპონდენტთა განმარტებით, ოტორი დაგუბებული წყალია, რაც ხშირი წვიმების დროს იწყებს დინებას.

რი მიეცა ფიცუღელეს. ჭაობი დაშრა და შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ამ ტერიტორიაზე სამაზრო დაწესებულებების, სამრეწველო და სავაჭრო საწარმოების, საქალაქო ნაგებობების, კერძო მობინადრეთა შენობების განსათავსებლად. სენაკის მაზრის ადმინისტრაცია ახალ ტერიტორიაზე დამკვიდრდა. სამაზრო ხელმძღვანელობამ თავისი არქივი ახალხორიდან ახალსენაკში გადმოიტანა. ამან განაპირობა სახელმწიფო დანიშნულების მქონე დაწესებულებების – ხაზინის, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების, სასამართლოს, სანოტარო კანტორის, სატუსაღოსა და სხვათა, თანდათანობით ჩამოყალიბება. გაიხსნა აფთიაქი, სავაჭრო დუქნები, სასტუმრო და ბაზარი. ეს დასახლება გახდა ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო პუნქტი სამეგრელოში¹.



მხეიძეების ყოფილი მამული ახალსენაკში, სადაც საბჭოთა პერიოდში პედაგოგიური ტექნიკუმი იყო განთავსებული

¹ ელიავა გ., დასახლებული ნაშრომი, გვ. 49.

სამაზრო ცენტრის გადატანასთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციაა გამოქვეყნებული გაზეთ „დროების“ 1870 წლის №18-ში: „ქ. სენაკიდგან გვწერენ, მმართველობის გადაწყვეტილება არისო, რომ ეს უეზდის ქალაქი ოთხ ვერსზე უნდა გადაიტანონ ახლანდელი ადგილიდან სოფელს თეკლათში. გადატანის მიზეზი ის არის, რომ ჭაობიანს, ნოტიო ადგილზეა და ამის გამო ხშირი ავადმყოფობა, განსაკუთრებით ციება, იცის; მეორე მიზეზი ის არის, მგონია, რომ ისეთი მდინარეა (ტეხური) გასავლელი, რომელმანც ძალიან დიდი მომატება იცის და ხიდის გაკეთება იმაზე კი ძნელია. ჩვენი კორრესპონდენტი იწერება, რომ სენაკელები არ არიან კმაყოფილნი სენაკის თეკლათში გადატანაზე, რადგან იქ არც ხეირიანი წყალი და არც ჰაერი არისო, და უნდათ სთხოვონ მმართველობასო, რომ სოფ. ნოსირში გადაიტანონ, რომელიც უკეთესი საქალაქო ადგილიც არის და უფრო ახლოსაც (ერთ ვერსნახევარზე) მდებარეობს სენაკიდგან“¹.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის ახალსენაკის დაარსების შესახებ ბელგიელი მწერალი და მოგზაური კარლა სერენა. იგი 1876-1877 და 1881 წლებში იმყოფებოდა საქართველოში. სერენამ მისი მოგზაურობის შთაბეჭდილებები და გეოგრაფიული დაკვირვებები უხვად ილუსტრირებულ სტატიებსა და წიგნებში გადმოსცა. ახალსენაკი (სერენა იხსენიებს როგორც ნოვო-სენაკს – ავტ.), რამდენადაც ვიცო, დაარსდა 1876 წელს, როგორც „ქალაქი მინიატურა“, 300-ზე ნაკლები მაცხოვრებლით და უზარმაზარი, გარშემორტყმული ჭაობებით. ბაზარი, წერს იგი, არის ადგილობრივი ცხოვრების ცენტრი, მეეტლეებისა და უმუშევართა შეხვედრის ადგილი, და ამავე დროს უნიკალური სიფრცე, სადაც უცნობებს შეუძლიათ თავისუფლად დააკვირდნენ კავკასიის მკვიდრთა ზნე-ჩვეულებებს. ახალსენაკმა, სერენას თქმით, ჩაანაცვლა ძველი სენაკი, რო-

¹ „დროება“, №18, 7 (19) მაისი, 1870, გვ. 2.

გორც მხარის ადმინისტრაციული ცენტრი, მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი გაანადგურა 1869 წლის მაისის წყალდიდობებმა. „ეს წყალდიდობები, – წერს სერენა, – რომელთაგან ბოლო... განსაკუთრებით საშინელი იყო, გამოიწვია ტყეების გადაჭარბებულმა გაჩეხვამ. ახალ-სენაკში ევროპა და ცივილიზაცია წარმოდგენილია მხოლოდ რამდენიმე ოჯახით, მომხიბვლელი და ერთიანი პატარა საზოგადოებით. მთავარ გზატკეცილზე განლაგებული მათი სტუმართმოყვარე სახლები ყოველთვის ღიაა ნებისმიერი მოგზაურისთვის, ვინც შესაძლოა მათ კარზე დააკაკუნოს. სტუმრის პატივსაცემად ეწყობა სასიამოვნო თავყრილობა, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ამ ადგილის მიმზიდველობას“¹. ახალსენაკის დაარსების თარიღად 1876 წელს მიუთითებს, თუმცა თარიღის სისწორეში მწერალი დარწმუნებული არ არის. სწორედ ამიტომ წერს – „რამდენადაც ვიცით“.

XIX ს-ის 70-იანი წლების დასაწყისში სამეგრელოში იმოგზაურა ბრიტანელმა მწერალმა და სამხედრო პირმა – ჯონ ბუჩან ტელფერმა (1830-1907 წწ.). 1876 წელს ცალკე წიგნად გამოიცა მოგზაურობის აღწერილობა, სადაც საინტერესო ცნობებს ვაწყდებით ახალსენაკისა და მიმდებარე სოფლების შესახებ: „ქუთაისიდან მატარებლით გავემგზავრე ახალი სენაკისკენ, სამეგრელოს პატარა სოფლისკენ, სადაც ძალზე სასიამოვნოდ დავრჩი გაკვირვებული, რომ ვიპოვე სუფთა საწოლი, დუქნის (Doukann) პატარა სუფთა ნომერში, რომელიც მდებარეობდა რკინიგზის სადგურთან და ეკუთვნოდა ვინმე თეიმურაზს (Teimouraz)².

დილით რუს ჩინოვნიკთან ერთად გავემგზავრე ნოქალაქევისკენ ტროიკითა და საფოსტო ცხენებით. ჩვენ მივდიოდით მდინარე ტეხურის

¹ Serena, C., *Excursions in the Caucasus: From the Black Sea to the Caspian Sea 1875-1881*, ed. P. F. Skinner, New York, 2015.

² ჩვენი აზრით, მოგზაური გულისხმობს თეიმურაზ კაკაბაძის სასტუმროს, სადაც 1885 წელს ღამე გაუთევია ილია ჭავჭავაძეს.

(Tchour) ხეობის გასწვრივ, შხეფის (Sh'hepy), ძველი სენაკის (Staroy-Senaky), სორტისა და კოტიანეთის (Kortamety) გაჭირვებული სოფლების გავლით. სპონტანურად შეეჩერდით ძველ სენაკში, სადაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო უზარმაზარმა ბებერმა ნეკერჩხლის ხემ¹, რომელიც იყო 21 ფუნტი და 10 ინჩი გარშემოწერილობის, ხოლო მიწიდან 5 ფუტის სიმაღლისა“².

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახალსენაკის შემოგარენი უწინ ტყე-ჭაობიანი ყოფილა, განსაკუთრებით ტეხურსა და ფიცუს შუა მდებარე ტერიტორია, სადაც ტორჩინავენს უცხოვრიათ. ამ დასახლებას **ნატორჩუ/-ნალარჩუ** ეწოდება. რესპოდენტის ცნობით, ტყე-ჭაობში ლარჩვას – შუაგაპობილ ხეს, ნახლექს ალაგებდნენ და ისე გადიოდნენ. სალექსიკონო მასალებში ლარჩვი განმარტებულია როგორც საყავრე მორი; უკაპო და უტოტო ხის ნახლექი³.

თუკი ერთ დროს, – წერდა გაზეთი „კვალი“, – სოფელი სენაკი წარმოადგენდა ქონებრივი და გონებრივი მოძრაობის ცენტრს, თუკი იგი თვალსაჩინო როლს თამაშობდა სენაკის მაზრის ეკონომიკურ და გონებრივ ცხოვრებაში, დღეს უკვე საცოდავად მობუხული, შურის თვალთ გაჰყურებს თავის მოსისხლე მტერს – ახალ სენაკს. დუქნებისა და მაღაზიების ნახევარზე მეტი დაიკეტა, თხუთმეტი თუ ოცი წლის წინათ აქ არსებული ყველა დაწესებულება, სამაზრო მმართველობა, მომრიგებელი სამსჯავრო და სხვა დაწესებულებები ახალ სენაკში გადავიდა. მანამდე ძველი სენაკი იყო ახლომახლო სოფლების სავაჭრო ადგილი, მაგრამ დახე დროთა უკუღმართობას – ერთ დროს ლაღი და ამაყი სო-

¹სავარაუდოდ იგულისხმება ძველი სენაკის ცნობილი ჭადარი.

² Telfer, J. B., *The Crimea and Transcaucasia: Being the Narrative of a Journey in the Kouban, in Gouria, Georgia, Armenia, Ossety, Imeritia, Swannety, and Mingrelia, and in the Tauric Range*, vol. 2, London, 1876.

³ ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VII, სენაკის რაიონი, თბ., 2013, გვ. 258.

ფული ღირსებაჩამოხდილ თავადს დაამსგავსა. რამ მოახდინა ეს სასწაული? სულ ცოტა რამემ – რკინიგზის ხაზმა. ძველი სენაკის უკუშვლელობის ისტორია ახალ სენაკში რკინიგზის გავლის შემდეგ იწყება. ასეთია ტენდენცია კაპიტალისა¹.

ძველ და ახალსენაკს შორის გაჩაღებული მეტოქეობის საკითხი საინტერესოდ არის გაშუქებული შუბნელის წერილში, სადაც აღნიშნულია, რომ ერთი უბრალო თქმულება არის: ვისაც ჩემი ახალგაზრდობა არ უნახავს, ღმერთო, ნურც ჩემ სიბერეს აჩვენებო და ეს სწორედ ძველ სენაკს ეთქმის. იყო ღრო და არც ისე დიდი ხანია მას აქეთ, როცა ძველი სენაკი სამეგრელოს დიდ ნაწილს მეთაურობდა, როცა მაზრის ყველა დაწესებულებას აქ მოეყარა თავი და აქაური ღირსშესანიშნავი ბაზრობა აურაცხელ ხალხს იზიდავდა არათუ სამეგრელოს ოთხივე მხრიდან, არამედ სამურზაყანო-აფხაზეთიდანაც კი. თუმცა ძველი სენაკის ბაზრობა ახლაც პირველია სამეგრელოში და ამ მხრივ ამაოდ ეცილება მისი მახლობელი მეზობელი ახალსენაკი, მაგრამ ყოველივე ეს წარსულთან შედარებით მაინც მხოლოდ აჩრდილად უნდა ჩაითვალოს. რა თქმა უნდა, ძველი სენაკის ასე დაძაბუნებაში დიდი ცოდვა უძევს რკინიგზას, რომელიც ერთობ უსამართლოდ მოექცა ამ დაბას, გვერდი აუქცია მას. აქვე სულ შვიდი ვერსის მანძილზე ახალსენაკი გამოჩეკა და რითაც უკანასკნელის სახელის მოზიარეს თავი მოჰქონდა, ყველა ამას ახალსენაკში მოუყარა თავი. პირველ სენაკს რაღა დარჩენოდა? ამას ძალაუფლებურად უნდა მოეხდინებინათ თავის სახელწოდების თავში „ძველი“ და შერიგებოდა იმ მდგომარეობას, რომელშიაც ცხოვრების უღმობელმა ვითარებამ ჩააყენა და აკი შეურიგდა კიდევ².

¹ გაზ. „კვალი“, №43, 1898, გვ. 709.

² შუბნელი, წერილი სამეგრელოდან. გაზ. „ივერია“, № 15, 21 იანვარი, 1904, გვ. 2-3.



ქვაშხორის სასახლის ნანგრევები

ორპირად ჩამწკრივებული, მიგრებილ-მოგრებილი და ხავსმოკიდებული ფიცრული ღუქნები სიცოცხლეს ჰმატებდა ძველ სენაკს. ერთხელაც აქ სიცოცხლე დუღდა, მაგრამ მისი დაქვეითება გამოიწვია ახალ-სენაკმა. რკინიგზის ლიანდაგს აეტუზა ბუნებისაგან არაფრით გამორჩეული ახალი სენაკი და ისე გაიზარდა, რომ უფროსობის პატივისცემაც დაკარგა, – ვკითხულობთ გაზეთ „ივერიაში“¹.

სენაკელები თუმცა ქალაქის დამტკიცებას ელიან, – წერდა გაზეთი „დროება“, – მაგრამ ხალხი და ვაჭრები ხვდებიან, რომ ერთი წლის განმავლობაში ძლივს საღდება რუსეთიდან მოტანილი საქონელი. ახალ-სენაკი ტალახიანი და ტბა ადგილი არის. შოსსე, ორმოცჯერ ქვა რომ დაყარო აქ, თავს მით არ იჭერს და ქვესკნელში მიდის... ვინც თავდაპირვე-

¹ გაზ. „ივერია“, №219, 1898.

ლად იფიქრა ახალსენაკის უეზდის ქალაქად დაარსება, იმაზე უარესი ადგილი ვეღარ უპოვია. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ახალსენაკში ვაჭრობა არ არისო.



იოანე ნათლისმცემლის ხატი ქვაშ(ი)ხორის ეკლესიიდან

თქვენ წარმოიდგინეთ, საიდან იქნება ვაჭრობა? ახალსენაკის აღმოსავლეთით, სამ ვერსზე, მდებარეობს მდ. ტეხური, და წყლის გამოღმა მცხოვრებლები გაღმა ვერ გადიან სავაჭროდ. ისინი მიდიან სუჯუნაში ან აბაშაში. სამხრეთით მცხოვრებნი ძველ სენაკში დაიარებიან და ჩრდილოეთით ჭაობისა და ტყის მეტი არა არის რა. სენაკი უკაცოდ და უსოფელოდ რჩება. საკვირველია, ღმერთმა იცოდეს, ვინც იქ ქალაქის დაარსება იფიქრა, გზით მაინც ვერ გამოიარა აბაშის სტანციის ახლო-მახლო? ვერ დაინახა ეს მშვენიერი, გაშლილი, მშრალი და ყოველივე საქები ადგილი? არც ჭაობი არის აქ და გარშემოც ძლიერი სოფლები არის. წყალი არ არის საკმაო, მაგრამ წყლის გამოყვანა ადვილი იქნებოდა. აბაშაში ახლა კარგი გაჩაღებული ვაჭრობა არის. აქ ორმოციოდე ღუქანია და ვაჭრობა ნიადაგ მატულობს, მაშინ, როდესაც მანამდე ოთხი ღუქანიც არ ყოფილა¹.

ძველ და ახლადწარმოქმნილ დაბა-ქალაქებს შორის მეტოქეობა იყო საერთო დამახასიათებელი მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა XIX საუკუნის II ნახევარში.

უნდა ითქვას, რომ ახალსენაკის წარმოქმნა თეკლათის დაუსახლებელ ტერიტორიაზე უმტკივნეულო პროცესი არ ყოფილა. ფოთი-ყვირილის რკინიგზის ხაზზე სადგურის გაშენება, პროექტის შესაბამისად, თავდაპირველად განზრახული ყოფილა ნოსირის ტერიტორიაზე, რაც სენაკის აღმოსავლეთით, 5 კმ-ის დაშორებით მდებარეობს, მაგრამ ამ სოფლის მულობელმა თავადმა ნორაკიძეებმა და დადიანებმა სადგურის ასაშენებლად ადგილის დათმობაზე უარი განაცხადეს. თეკლათელმა ხეციებმა რკინიგზის სადგურის მშენებლობის შესვეურებს სადგურისათვის საჭირო ოდენობის ტერიტორიისათვის საკუთარი მამული შესთავაზეს. არხის გაყვანით ჭაობიანი ადგილები ამოაშრეს და დაიწყეს

¹ „ღროება“, №160, 1 აგვისტო, 1881, გვ. 1-2.

სადგურის მშენებლობა.

რკინიგზის სადგურის გარშემო შეიქმნა სამაზრო ადმინისტრაციული ცენტრი და სენაკის მაზრის ხელმძღვანელობამაც მუდმივ რეზიდენციად, ახალხორისა და ქვაშხორის ნაცვლად, ეს ახალი პუნქტი აირჩია. მაზრის ახალ ცენტრს „ახალსენაკი“ ეწოდა, ხოლო უწინდელ სენაკს – „ძველი სენაკი“. ამრიგად, ძველ სენაკს წაერთვა ყველა პრივილეგია, რაც მანამდე გააჩნდა, და გადაეცა სამაზრო ცენტრს – ახალსენაკს¹.


¹ ელიავა გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 48. პ. ცხადაიას ცნობით, **ახალხორი** „ახალი სასახლე“ ერქვა სენაკის მაზრის ადმინისტრაციულ ცენტრს ფიცუსა და ტეხურს შუა. 1886 წლის აღწერის ცნობარში ესაა **Сенаки, Ново-местечко**. იხ. ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VII, 2013, გვ. 139. გ. ელიავა ახალხორში მიუთითებს ელიზბარ დადიანის სასახლეს, სადაც დროებით დაბანაკებულა სამეგრელოს მმართველი ნ. კოლუბიაკინი. იხ. ელიავა გ., სენაკის რაიონის ტოპონიმია, გვ. 74. ბოროზდინის ცნობით მდ. ტეხურის პირას, სერების ძირში მოსახლეობდნენ ბატონიშვილები. პირველი — **ახალხორის** მამული, ეკუთვნოდა ელიზბარ ბატონიშვილს, რომლის სასახლეშიც დროებით იდგა ნ. კოლუბიაკინი. მას ჰყავდა სხვადასხვა კატეგორიის ხუთასი კომლი და აზნაური და ნამდვილი ბატონი იყო ყველაფრით. ცოლად ჰყავდა წულუკიძის ქალი. შვილებიდან ორი ერევნის პოლკის ოფიცერი იყო, სხვები კი ჯერ კიდევ სწავლობდნენ. სამი ქალიშვილიდან ორი გათხოვილი იყო და შინ მარტო უმცროსი, 13 წლის ჯახანა ჰყავდათ. ელიზბარის ორსართულიანი ქვითკირის სასახლე საშვილიშვილოდ იყო აშენებული. ბოროზდინი ელიზბარ დადიანს ახასიათებს, როგორც პატივსაცემ, სტუმართმოყვარე მემამულეს, რომელსაც არავინ უჩიოდა, რადგან თვითონაც არავის აწყენინებდა და არავის უჩიოდა. 60 წელს გადაცილებული თავის ოჯახში უფროსი იყო და შვილები პატიოსნად აღზარდა. სწორედ ელიზბარ დადიანის მამულის შემდეგ იწყებოდა მისი ძმისწულის – კენიანა მენიკი (მარიამ) დადიანის მამული **ქვაშხორი**. მენიკი იყო ელიზბარის უფროსი ძმის – ნიკოლოზ დადიანის ერთადერთი შვილი, ერთ დროს განთქმული თავისი სილამაზით. მოხუცობაში შესული ცოლად გაჰყვა იმერეთის თავადიშვილ წულუკიძეს, მაგრამ ერთი წელიც არ იყო გასული, რომ ქმარი გარდაეცვალა და ისევ მამის სახლს დაუბრუნდა. შემდეგ აფხაზეთის მთავარს – მიხეილ (ჰამუთბეი) შარვაშიძეს მოეწონა და ჯვარიც დაიწერეს. აფხაზეთის მთავარმა ერთი თვე ქვაშხორში გაატარა თავის ცოლთან და მერე აფხაზეთში წავიდა, სადაც ლოდინი დაუწყია თავის მეუღლეს. ამას ზედ დაერთო ქალის მზითევის გამო სიძე-სიმამრს შორის ჩამოვარდნილი უსიამოვნება, რაც ერთი წელიწადი გაგრძელდა. ბოლოს მიხეილ შარვაშიძემ უარი თქვა მენიკი დადიანის ცოლობაზე და ქვაშხორში შემოთვალა, რომ ცოლად უკვე შეერთო გიორგი ბატონიშვილის ქალიშვილი. სიძის საქციელით შეურაცხყოფილმა ნიკოლოზმა სიკვდილის წინ ანდერძი დატოვა, რომლის ძალით მისი ქონება მენიკის რჩებოდა სიცოცხლეში, მერე კი ელიზბარზე უნდა გადასულიყო.

სწორედ ამ მენიკის სასახლეში ბრძანდებოდა სტუმრად დედოფალი ეკატერინე (ჭავჭავაძე-დადიანისა), რომელმაც აქედან გაატანა მიქაძეს წერილი კოლუბიაკინთან. მენიკის სასახლე ორსართულიანი იყო, – შენიშნავს კ. ბოროზდინი, – გრძელი და განიერტერასიანი, რომელიც ტეხურზე გამოდიოდა, ხოლო უკნიდან ედო ვრცელი ეზო ცამდე აშვერილი ასწლოვანი ჭადრებით, მუხებითა და კაკლის ხეებით. ამ ვრცელი კარ-მიდამოს იქით იწყებოდა სოფელი შხეფი, გორაკის ძირას გაშლილი. კონუსის ფორმის გორაკის თავზე იყო აღმართული დადიანების ძველებური ციხის ნანგრევები. 1855 წელს, ოსმალთა შემოსევის დროს, ქვაშხორში ექვს თვეზე მეტს ცხოვრობდა ეკატერინე ჭავჭავაძე, თავის შეილებთან და დასთან – ნინოსთან ერთად. აქვე, ქვაშხორში შეხვდა ეკატერინე ბებუთოვს, ომერ-ფაშას მიერ სამეგრელოს დაპყრობამდე რამდენიმე თვით ადრე. ბოროზდინის ცნობით, ქვაშხორიდან ორ ვერსზე, ტეხურსგაღმა მდებარეობდა სოფელი სორტა.

ბოროზდინი ქვაშხორს იქით, ერთ ვერსზე ასახელებს თავის მომავალ რეზიდენციას – დაბა **ახალსენაკს**, სადაც შენდებოდა სახლი საოლქო სამმართველოსათვის, აგრეთვე სატუსალო და ყაზახ-რუსების სადგომი ყაზარმები. რუსი მოხელის ცნობით სენაკში (იგულისხმება ძველი სენაკი) იყო ბაზარი, რამდენიმე რიგად ჩარიგებული ხის დუქნებით, სადაც კარგი ვაჭრობა იყო გაჩაღებული. ყოველ პარასკევს ყველა მხრიდან მოდიოდნენ სოფლები თავიანთი ნაწარმის გასაყიდად. წელიწადში რამდენიმე ბაზრობა იმართებოდა ხოლმე. იხ. ბოროზდინი კ., სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861. მოგონებანი. ტფ., 1934, გვ. 106-107, 109, 237-240. ახალხორში, შხეფი-ძველი სენაკის საზღვარზე, მდ. ტეხურის მარჯვენა ნაპირზე მდებარე მინდორი **ელიზბარიშ ნადოხორუს** სახელით არის ცნობილი. აქ ელიზბარ დადიანის სასახლე მდგარა.

„ქვაშხორის“ (Сенаки, Старо-местечко) ლოკალიზაციის შესახებ ცნობილი მწერალი და დრამატურგი შალვა დადიანი თავის მოგონებებში წერს: „სენაკიდან გამოხვალთ თუ არა, მაშინვე მოხვდებით მშვენიერ სანახაობის სოფ. შხეფში. ჩრდილოეთით გორებმოზღუდული, დობილოებშეფენილი სოფელი, ქვეით, გზატკეცილის მარჯვენა მხარეს ფართო, დაცემული ჭალა მდ. ტეხურამდე, რომელიც სოფელზე კარგა დიდი მანძილით არის დაშორებული. შხეფის შემდეგ კი ქვაშხორი თავის კარგა მოზრდილი ძველებური ციხის ნანგრევებით. ამ ციხეს ზოგჯერ შხეფის ციხესაც ეძახიან, მაგრამ სინამდვილეში ის ქვაშხორია, რადგან „ქუაში ოხორუ“ მეგრულად ნიშნავს ქვის სამოსახლოს, სადაც ერთ დროს უცხოვრიათ სამეგრელოს მთავრებს და იმ დროს, როდესაც ირგვლივ წნელით მოწნულ ფაცხებში ცხოვრობდნენ მოსახლეები, მთავრებს ქვის სასახლე ჰქონიათ და სასახლესთან ციხეც. ციხე მათი თავდასაცავი სიმაგრეც იყო და ამავე დროს დასასჯელ პირთა საპატიმროც... ამავე ქვაშხორის ციხეში რამდენი უსამართლოდ დასჯილი გლეხი, ან მთავრის ურჩი თავადი, ან აზნაური დაღუპულა: თვალები დაუთხრიათ, ან თავი მოუკვეთიათ, ან ხუნდებზე დაუსვამთ და უჭმელ-უსმელი, სრულიად უპატრონოთ ციხეში ჩაუღებიათ... ქვაშხორში, სხვებთან ერთად, აკერ ახლამდე კიდევ ცხოვრობდნენ დადიანების შთამომავლები. ხოლო ქვაშხორს რომ გაცდებით, თქვენ მოხვდებით პატარა ქალაქის მსგავს ალაგზე. ეს არის ძველი სენაკი“. იხ. დადიანი შ., რჩეული თხზულებანი, ტ. V, 1962, გვ. 56-47.

სენაკის ოლქის მაზრად გარდაქმნას წინ უსწრებდა სამამასახლისო-ებად დაყოფის პროცესი, რაც საოლქო სამმართველოს ხელმძღვანელობით განხორციელდა 1868-1869 წლებში. სენაკის ოლქში ჩამოყალიბებული 28 სამამასახლისოდან ერთ-ერთის – თეკლათის სამამასახლისოს ცენტრი განთავსებული იყო ქ. სენაკის რკინიგზის აწინდელი სადგურის მახლობლად, ხეციას მამულში. ამავე პერიოდში სენაკის ოლქს სახელი გადაერქვა და სენაკის მაზრა ეწოდა¹.



სენაკის მაზრის პირველი უფროსი
კორნელი ბოროზდინი (1828-1896 წწ.)

სენაკის მაცხოვრისა და მის შემოგარენში მდებარე ქვაშიხორის წმ. ნიკოლოზის, სორტის იოანე ნათლისმცემლის, ხორშის მაცხოვრისა და ხორშის წმ. გიორგის ეკლესიები დაარბიეს და გაძარცვეს ომერ-ფაშას შემოსევისას. იხ. სიჭინავა ა., ეკის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, თბ., 2016. გვ. 17.

¹ ელიავა გ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 47.

სენაკის ოლქის რუსული მმართველობის დასახლება და ადმინისტრაციული ცენტრი XIX საუკუნის მიწურულამდე იყო ქვაშ(ი)ხორსა და ახალხორში, ელიზბარ და მენიკი დადიანების სასახლეებში (ძველი სენაკი), ხოლო სენაკის მაზრის უფროსი კორნელი ბოროზდინი დაბინავებული ყოფილა სოფელ თეკლათში, ივანე (კინტირია) ხეციას მრავალთვალთან ხის სახლში.

სენაკის ოლქის გეოგრაფიული მდებარეობისა და ისტორიული მნიშვნელობის გათვალისწინებით, კორნელი ბოროზდინს ოლქის სამმართველოს მუდმივ რეზიდენციად სოფ. ნოქალაქევის გამოცხადება განუზრახავს და სამმართველოს დასაბინავებლად საჭირო ქვის კაპიტალური შენობის ასაშენებლად ნოქალაქეველი ბატონიშვილებისათვის უთხოვია, რომ დაეთმოთ ადგილი თავიანთი მამულიდან. მათ უარი განუცხადებიათ – მამული დაგვიქუცმაცდება, ხალხით გაივსება და ჩვენ გავლატაკდებითო. ბოროზდინმა თავი დაანება ბატონიშვილებს. ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის გაყვანამდე სენაკის ოლქის ხელმძღვანელობა დარჩა ახალხორისა და ქვაშ(ი)ხორის დროებით ბინებში¹.

¹ იქვე. რკინიგზის ხაზის გაყვანას ხშირად წინააღმდეგობებიც რომ ახლდა, ამის არაერთი მაგალითია ცნობილი. მაგ., ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანის შემდეგ (1872 წ.) გარკვეული პერსპექტივები დაისახა ქალაქ ჩხარის სამურნეო-ეკონომიკური ცხოვრებისათვის, რადგან ტყიბულის რკინიგზის 4 პროექტიდან ერთი ითვალისწინებდა რკინიგზის გაყვანას ტყიბულიდან ძვერულის აუზში, ჩხარის გავლით, ამიერკავკასიის მაგისტრალამდე. მოთხოვნას ჩხარის „პოსადად“ დამტკიცების შესახებ ჩხარის საზოგადოების ნაწილმა მხარი არ დაუჭირა, რადგან, როგორც გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა, რკინიგზა მათ ღვთის რისხვად მიიჩნიეს. იხ. გაზ. „ივერია“, №86, 1894. ასევე რკინიგზის გაყვანას სოფელ ბანძაში წინააღმდეგობას უწევდნენ მეშამულე ფაღაველები, რადგან რკინიგზის ხაზს მათ მამულებზე უნდა გაეგლო. ფაღავეები ფიქრობდნენ, რომ რკინიგზის გაყვანით ისინი მიწის გარკვეულ ნაწილს დაკარგავდნენ. ამასთანავე, მათი აზრით, რკინიგზა ხელს შეუწყობდა ბანძასა და მომიჯნავე სოფლებში საქონლის ქურდების მომრავლებას, რომელთა ნაკლებობასაც სოფელი ისედაც არ უჩიოდა. იხ. კეკელია ი., სოფელ ბანძაში სარკინიგზო ხაზის მშენებლობის მცდელობის ისტორიიდან. ჟურნ. „დისკუსია“, №4-5, 2020, გვ. 16 (ელ. ვერსია); მისივე, ბანძა – ესკიზები სოფლის წარსულიდან, I, ქუთ., 2020, გვ. 82-83. სვირის სადგურთან (ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი) დაკავშირებით „სასოფლო გაზეთი“ (1912, №12)

მას შემდეგ, რაც სენაკის მაზრის ადმინისტრაცია ახალსენაკში დაბინავდა, დაჩქარდა ჭაობიანი ტერიტორიის ამოშრობა და ახალშენის დაგეგმარება. გაყვანილ იქნა განიერი ქუჩები; სახელმწიფო დაწესებულებების განსათავსებლად აშენდა ახალი ბინები. ხალხმა დაიწყო დასახლება დაგეგმილ ადგილზე. ასე თანდათან შეიქმნა ქალაქის ტიპის დასახლება ხეციების მამულზე. 1871 წელს ახალსენაკის სადგურზე ჩამომდგარმა პირველმა მატარებელმა მხარის მოსახლეობას ამცნო ახალი დროის დადგომა. ახალსენაკი გადაიქცა სამეგრელოში ვაჭრობის, აღებმიცემობის მთავარ პუნქტად. ახლომანლო სოფლების შრომის უნარით დაჯილდოებულმა ადამიანებმა ახალსენაკს მიაშურეს, სხვადასხვა სახის სამუშაოებში ჩაებნენ და აქ სახლ-კარიც გაიჩინეს¹.

რკინიგზის მშენებლობამ ახალსენაკის დაწინაურებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. ამასთან დაკავშირებით „დროების“ კორესპონდენტი 1871 წელს წერდა: „ფოთიდან დაწყებული ქუთაისამდე რამდენიმე სტანცია იქნება. ერთი ჭალადიდს, ერთი ახალ-სენაკს, ერთი კულაშს (იგულისხმება სამტრედია – ავტ.), და ორი სხვა, უცროსები. **ჩემი აზრით ამ სტანციებში კარგი მომავალი ელის განსაკუთრებით ახალსენაკს** (ამ ქალაქს თუ წყლის უქონლობამ არ ავნო), კულაშს და ქუთაისს, აგრეთვე როგორც ყვირილის სტანციას. თუ თქვენ ჩვენი ქვეყნის მდებარეობას გაიხსენებთ, ან იმერეთის კარტას თვალს გადაავლებთ, დაინახავთ, რომ ამ ადგილებს ჩრდილოეთისა და სამხრეთისკენ ან დიდრონი და სქლათ დასახლებული ხეობები ახლავთ, ანა და ხალხით სავსე სოფლები. ახალი სტანციები ამ ხეობებისთვის და სოფლებისთვის ცალ-ცალკე ცენტრე-

წერდა: „სვირელები დიდი წინააღმდეგი იყვნენ სვირის რკინიგზის სადგურის დაარსებისა – „თუ სადგური დაარსდა, სვირში მეგრელები მოვლენ და ცხენებს და საქონლებს დაგვაპარავენ, „სასვიროში“ საბალახოდ გაშვებულსო“, და რომ განსვენებული თავადი ნიჟარაძე არა, რომელმაც უფასოდ დაუთმო რკინის გზის უწყებას სასადგურე ადგილი და მისი ახლო მიდამო, ნამდვილად არ იქნებოდა სადგური „სვირი“.

¹ ელიავა გ., სენაკის რაიონის ტოპონიმია, გვ. 49.

ბათ შიეიქნებთან, საითკენაც მიმართავს იმ არე-მარეს ხალხი თავის მოსავლის და ნაშრომის გასაზიდველათ და საჭირო ნივთების და ხორაგის საყიდველათ“¹.



ფოთი-თბილისის მატარებლის პირველი ზარი.
ინახება ფოთის კოლხური კულტურის ისტორიის მუზეუმში

ფოთი-თბილისის რკინიგზის მაგისტრალზე აშენდა შემდეგი სადგურები: ფოთი, ჭალადიდი, ახალსენაკი, სამტრედია, ქუთაისი („ცარსკაია პოლიანა“), ყვირილა, ძირულა, ბელოგორი (ახლანდ. ხარაგაული), ლელვანი, ბეჟათუბანი, ფონი, სურამი, მიხაილოვო (ხაშური), ქარელი, გორი, გრაკალი, კასპი, ქსანი, მცხეთა, ავჭალა და თბილისი. სადგურებზე ფუნქციონირებდა ფოსტა-ტელეგრაფი, სასტუმრო და სხვ.²

¹ „დროება“, №31, 1871, გვ. 1-2.

² «Кавказский календарь», 1874, გვ. 106; კვერნაძე ა., სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ქუთაისის მაზრაში XIX ს-ის 60-90-იან წლებში. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ქუთ., 2005, გვ. 147.



ფოთი-თბილისის პირველი მატარებლის მაკეტი.
ფოთის კოლხური კულტურის ისტორიის მუზეუმი

პირველი ორთქლძაღვის გამოჩენა ახალსენაკში ასეა აღწერილი გა-
ზეთ „დროებაში“, შორაპნელის მიერ გამოქვეყნებულ კორესპონდენცი-
აში: ყვირილის სტანციაში მოვიდა რკინიგზით ლოკომოტივი, რამდენი-
მე სამუშაო ვაგონით... საზოგადოებაში ზოგი პირჯვარს იწერდა, ზოგი
– დაილოცა, ღმერთო, შენი სახელიო, ყვირის... ერთი სიტყვით, ჩვენ
ხალხს არ გაჰკვირვებია ამისთანა არასოდეს... 14 აგვისტოს, 7 საათზე
აკურთხეს ჩვენ სტანციაში რკინიგზა... მაშინისტმა მისცა სიგნალი წას-
ვლისა, მუზიკანტებმა დაუკრეს მარში და ვაგონები, ხალხის ყვირილით
და „ურას“ ძახილით დაიძრნენ ადგილიდან. თითქმის ნახევარ საათში ჩა-
ვედით რიონზედ. იქ ჩამობრძანდა ყოვლად სამღვდელო (გაბრიელ ეპის-
კოპოსი – ავტ.) კრებით და წაბრძანდა ქუთაისში. მაშინამ გასწია და...
ჩავედით ახალ სენაკში. აქაც აუარებელი ხალხი იყო შეკრებილი. სტან-
ციებში ზოგან თხუთმეტი მინუტი ჩერდებოდა და ზოგან ათი. სამი საა-

თის განმავლობაში ჩავედით ფოთში, სადაც იყო დამდგარი ჯარი და მუზიკანტებიც. აქაც კიდევ აუარება მაყურებლები. ფოთში იყო მომზადებული კამპანიისაგან მშვენიერი სადილი. სადილი იყო გაწყობილი ერთ დიდ შენობაში, რომელიც ლოკომოტივების და ვაგონების დასაყენებლათ ყოფილა აშენებული...“¹.


რკინიგზის ხაზის გაყვანის წყალობით აღმოცენებული ახალსენაკის ტერიტორია ფართოვდებოდა, ხოლო მცხოვრებთა რაოდენობა სოფლებიდან გადმოსახლებულთა ხარჯზე იმატებდა. 1890 წლისათვის მისი მოსახლეობა 1500-მდე იყო, ხოლო 1900 წლისათვის უკვე 3000 სულს შეადგენდა².

ახალსენაკის რკინიგზის სადგურის საკითხები პერიოდულად შექდებოდა იმდროინდელი გაზეთების ფურცლებზე. გაზეთი „ივერია“ 1898 წელს წერდა: ახალსენაკს უვლის ფოთი-ტფილისის რკინიგზის ლიანდაგი. დაარსებულია რკინიგზის სადგური, საქონლის მისაცემ-გამოსატანი ბაქანი და ამავე სადგურის მოსამსახურეთა თავშესაფარიც. არა გვეგონია, რომ ფოთის შტოს რკინიგზის რომელიმე სადგური იყოს ისეთი შემოსავლიანი, როგორც ახალსენაკის სადგურია. სამეგრელოს მცხოვრებთა უმეტეს ნაწილს და აფხაზეთიდანაც ამ სადგურიდან აქვთ მიმოსვლა სხვადასხვა დაბა-ქალაქში. ადგილობრივ ნაწარმსაც ამ გზით ეზიდებიან, მაგრამ სადგური რკინიგზისა ერთობ უხერხულსა და შეუფერებელ ადგილზეა გამართული. ვიდრე სადგურამდე კაცი მივა, სამთუ ოთხ ლიანდაგს უნდა გადავიდეს, საცა ხშირად ხვდება მზად დატვირთული ან ცარიელი, გამწკრივებული ვაგონები. მეტი ღონე არა აქვს, ამ გამწკრივებულს ვაგონებს ქვეშ უნდა გაძვრეს, ისე ვერ მიდის სადგურამდე...³


¹ „დროება“, №25, 26 ივნისი; №34, 27 აგვისტო, 1871.

² ელიავა გ., დასახლებული ნაშრომი, გვ. 50.

³ ტელეფონი, წერილი ახალ-სენაკიდან. „ივერია“, №191, 5 ნოემბერი, 1898, გვ. 2.



ახალსენაკის რკინიგზის სადგური. 1912 წ.



ახალსენაკის რკინიგზის სადგური. XX ს-ის დასაწყისი.

მწერალი შალვა დადიანი იგონებდა: სამეგრელოში ახალსენაკს ჩავდიოდით რკინიგზით. აქ ჩამოვხტებოდით ვინმე ლაბახუას სასტუმროში. ეს იყო იმ დროის, მგონი ერთადერთი, დაბალი ერთსართულიანი სახლი მთელს დაბაში. მაშინ ახალი სენაკი სამაზრო ცენტრი იყო, მაგრამ დაბად ითვლებოდა. ქალაქად 900-იან წლებში მოიწონა თავი, თორემ წინათ ნაგებობით და ქუჩებით ბევრს არას წარმოადგენდა. ქუჩაც მხოლოდ ერთი გრძელი ქუჩა იყო, დაბის შუაგულში, და პატარა შესახვევები უფრო რკინიგზის სადგურისკენ იყვნენ გაისრულნი. რკინიგზის სადგური მაშინ ქალაქის განაპირად იყო მოთავსებული და მის გადაღმა ქალაქი აღარ იყო, არამედ ცხოვრობდნენ შეძლებული თავადი მხეიძეები, თავიანთი მოხდენილი კარ-მიდამოთი, განმარტოებულად. ფართო ეზოებს ამშვენებდა ჭადრისა თუ ცაცხვის ხეების ხეივანი, ხეხილი და ლამაზი, იმერულ ყაიდაზე აგებული ოდები. მხეიძეები საერთოდ სამეგრელოში ერთი წარჩინებული გვართავანი იყო და ერთ დროს ატარებდნენ თავადის ხარისხს. ამ გვარის წევრები სამეგრელოს ორივე მაზრაში – ზუგდიდისა და სენაკის მაზრაში ცხოვრობდნენ და ორივეგან შეძლებულ მებატონეებად ითვლებოდნენ¹.

ამრიგად, დაბა ახალსენაკის წარმოქმნის პერიოდში მიწების ძირითადი ფონდი, რაც გამოყენებული იქნა ახალი დაბის შესაქმნელად, თეკლათის სოფლის საზოგადოებას ეკუთვნოდა, ხოლო მოსახლეობის ძირითადი მასა, რომელმაც ეს დასახლება შექმნა, სახარბედიოს, თეკლათის, ნოსირის, ძონძირის, შხეუისა და ახლანდელი ძველი სენაკის მესაკუთრე გლეხები იყვნენ. რკინიგზის სადგურის გარშემო, ახლომახლო სოფლების მოსახლეობის დაჯგუფების შემდეგ, ახალსენაკი უფრო გაფართოვდა და განმტკიცდა, რადგან რუსული მმართველობის ადმინისტრაციამ და კანცელარიამ სენაკიდან (ძველი სენაკიდან) აქ გადმოინაც-

¹ დადიანი შ., რჩეული თხზულებანი, ტ. V, თბ., 1962, გვ. 42.

გლა.

როცა ვსაუბრობთ ახალსენაკის წარმოქმნასა და მის ზრდა-განვითარებაზე, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული დაბის დასავლეთით მდებარე თეკლათის სოფლის საზოგადოების ფაქტორი, რადგან თავისი გეოგრაფიული მდებარეობით პრიორიტეტი სწორედ ამ სოფელს ეკუთვნის. მხეიძეები (ხეციები), როგორც სავაჭრო საქმით და ახალსენაკში ეკონომიკური ცენტრის გადმოტანით დიდად დაინტერესებული მემამულეები, სწორედ თეკლათში სახლობდნენ და თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ ამ ეკონომიკური ცენტრის საშინაო ცხოვრებაში. თეკლათი სოფელი და თემის ცენტრია ცი(ვ)ის ნაპირზე, ზ. დ. 21 მ-ზე. ქალაქ სენაკს 3 კმ-ით არის დაშორებული და აერთიანებს ხუთ სოფელს – საკუთრივ თეკლათს, გოლასკურს, რეკას, საგვარამიოსა და ტყირს. სოფელი „თეკათის“ (Tecati) ფორმით აღნიშნულია XVII ს-ის იტალიელი მისიონერის – არქანჯელო ლამბერტის რუკაზე, ხოლო „თეკლანის“ ფორმით – იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის რუკაზე¹. თეკლათს არ ახსენებს ვახუშტი ბატონიშვილი, მაგრამ გვხვდება XVIII ს. გერმანელი მოგზაურის – იოჰან ანტონ გიულდენშტედტის ნაშრომში². ლევან II დადიანის მიერ 1628 წელს ბიჭვინთის ტაძრისადმი „შეწირულების სიგელში“ იხსენიება „ორი მოსახლე სალაყაია თეკლათს...“. 1696-1742 წლებს შორის პერიოდით თარიღდება „პირობის წიგნი“, საიდანაც ირკვევა, რომ გრიგოლ კათალიკოსს (ლორთქიფანიძეს) გიორგი ბერძე-

¹ იხ. ბერძე თ., ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. III, თბ., 1967, გვ. 47; მისივე, ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან (XII-XVII სს.). სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. იხსნება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. თბ., 1967; მისივე, ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით. „მაცნე“, ისტორიის... სერია, 3, თბ., 1971, გვ. 151.

² იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანიტურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1962, გვ. 323.

ნისტვის უბოძებია „თეკლათს მოსახლე კაცი ფუცხუტია...“¹ გრიგოლ კათალიკოსის გარჩევის წიგნში, რაც 1712 წლით თარიღდება, გვხვდება „თეკლათს კანდელაკის შვილი სალაყაია კოჩაილეი“, ასევე ბიჭვინთის ღვთისმშობლის ტაძრისადმი შეწირული². 1696-1742 წლების ახლო პერიოდში დაწერილ საბუთში აღნიშნულია, რომ გრიგოლ კათალიკოსს ბიჭვინთისთვის შეუწირავს „თეკლათს მოსახლე კაცი ღვაკალაი გრიგოლა“³. 1733 წლით დათარიღებული გუჯარის მიხედვით, „...თეკლათს ერთი მოსახლე გარუჩავა ერისთვის ქალმა დედოფალმა შესწირა მისის ყოვლისფერიანათ“ ბიჭვინთის ტაძარს⁴.

სენაკი-თეკლათის ტერიტორიას გაივლიდა „შუა სამეგრელოს გზა“, რაც ტოპონიმიაში **შქაში შარას** „შუაგზის“ სახელითაა დამოწმებული⁵.

XIX ს-ის 30-იანი წლების ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ჩვენებით თეკლათი სუჯუნის მაზრაში შემავალი სოფელია⁶.

კავკასიის მხარის 1886 წლის კომლობრივი აღწერის მასალების თანახმად სენაკის მაზრაში არსებობდა თეკლათის სასოფლო საზოგადოება, სადაც გაერთიანებული იყო ექვსი სოფელი:

- ძონძირი – 23 კომლი (მ. შ. 74 კაცი, 60 ქალი; სულ 134 სული);
- ისულა – 32 კომლი (მ. შ. 74 კაცი, 63 ქალი; სულ 137 სული);
- რეკა – 53 კომლი (მ. შ. 130 კაცი, 132 ქალი; სულ 262 სული);
- სახარბედო – 229 კომლი (მ. შ. 328 კაცი, 298 ქალი; სულ 626 სული);
- თეკლათი – 507 კომლი (მ. შ. 1288 კაცი, 1118 ქალი; სულ 2406 სული);

¹ კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, ტფ., 1921, გვ. 175.

² კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, ტფ., 1921, გვ. 43, 106.

³ იქვე, გვ. 156.

⁴ იქვე, გვ. 143.

⁵ იქვე, გვ. 31.

⁶ მეუნარგია ი., სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი. მასალები და დოკუმენტები სოლ. ცაიშვილის რედაქციით, თბ., 1939, გვ. 113.

შხეთი – 229 კომლი (მ. შ. 649 კაცი, 564 ქალი; სულ 1213 სული).


ექვსივე სოფელში კომლთა რაოდენობა იყო 972 (მ. შ. 2543 კაცი, 2235 ქალი; სულ 4778 სული).

XX ს-ის დამდეგს (1904 წლის „აღწერის“ მონაცემებით) თეკლათში მამულებს ფლობდა ორი კომლი თევზაია აზნაურის წოდებით, აგრეთვე ქოჩაკიძეები, ჩხეტიები, ხოფერიები და ჯაიანები. მამულები ჰქონიათ თავად მხეიძეებსაც¹.




თეკლათის მონასტერი. XIX ს.

¹ იხ. კეკელია ი., ოდიშარია დ., სენაკის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, ქუთ., 2012, გვ. 27-29.



საქართველოს რკინიგზის ერთ-ერთი პირველი ჩანახატი –
„რკინიგზა ფოთის მისადგომებთან“.
ჟიულ მურიეს წიგნიდან



რკინიგზა ფოთის ნავსადგურში. ნახატი ჟურნალ **Illustration**
journal universel-იდან. 1873 წ.

თეკლათში მიწებს ფლობდნენ აგრეთვე დადიანები. ეს ადგილები სა-
დადიოსს//პატონიში დიხას „პატონის მიწის“ სახელითაა ცნობილი¹.

სარკინიგზო მშენებლობა დადებით გავლენას ახდენდა საქართვე-

¹ გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, თბ., 1989, გვ. 29.

ლოს საქალაქო-ეკონომიკურ ცხოვრებაზე. სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების იმდროინდელი აღმავალი ტენდენცია საუცხოოდ არის გადმოცემული ქართული კულტურისა და პროგრესული საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთი თვალსაჩინო მესვეურის, შესანიშნავი ბელეტრისტის – გიორგი წერეთლის (1842-1900 წ.) საყოველთაოდ ცნობილ ნაწარმოებში – „პირველი ნაბიჯი“. იყო დრო, როცა ქალაქ ფოთის ნავსადგურში პირველად იკივლა ცეცხლის გემმა და განუფრთხო ძილი მტრისგან მოუძღვრებულ საქართველოს. ეს იყო ახალი დროის მამლის ყვილი დასავლეთ საქართველოში. შავი ზღვის კიდეზე ფოთი გახდა კავკასიის ბოლანჯი. სამეგრელოში ატყდა დიდი ფაცი-ფუცი. დიდი და პატარა ფულის მოსაგებ კუთხეში – ფოთში გარბოდა. მალე გაიკვერა კავკასიის შუაგულზე ქვეყნის სავაჭრო გზატკეცილი. დასავლეთით ფოთი გახდა ევროპისკენ მიქცეული სავაჭრო ყურე კავკასიისა, ხოლო ბაქო – მეორე სავაჭრო ყურე, აზიისკენ მიქცეული... ფოთში უცხო ტომისკაცნი იმ დროს ჭიანჭველასავით ირეოდნენ. ისინი ყიდულობდნენ კავკასიის ნაწარმს იაფად და გაჰქონდათ უცხო ქვეყნებში. იმ დროს რიონის შესართავთან შეხვდებოდით ბერძენს, ინგლისელს, ფრანგს, გერმანელს, ამერიკელს, ოსმალელს და სლოვენის ტომის სხვადასხვა გვარობას. მათ ჰქონდათ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოსთან, აგრეთვე სპარსეთთან და ინდოეთთან ვაჭრობა. გაჰქონდათ ზღვით და ხმელეთით ნიგვზის კუნძები, ბზა, ურთხველი, ყოველნაირი ხე-ტყე, მატყლი, აბრეშუმი, სიმინდი, პური, ღვინო, ბეწვეულობა, საქონლის ტყავები, თივთიკი, ლეკის შალები, ნაბდები და ნუხური ხალები. მრავალი მათგანი ამ ნაწარმში ცვლიდა უცხო ქვეყნიდან მოტანილ ფართალს, აბრეშუმის ქსოვილებს, მაუდებს, სხვადასხვა კოლონიის საქონელს, ავეჯეულობას... მაშინ მეგრელისათვის რომ გეკითხა: „სო მეურქო“ (სად მიხვალო)? – „ფოთიშა მეურქო, პატონი“ (ფოთს მივდივარ, ბატონო) – მოგიგებდა: „ეგება ჟირი-ოდე ფარა ივშუა“ (ეგება ორიოდე ფარა ვიშოვო). შემდეგ მწერალი

გვიხატავს რომანის მთავარი გმირის – ბახვა ფულავას ბავშვობის პორტრეტს და გადმოგვცემს თეკლათის იმდროინდელ ყოფას: მდინარე ცივი მოშორებით მიშხუოდა. გაღმით კლდეში მოჩანდა თეკლათის უზარმაზარი ქვის სამტვრევი, სადაც ჭიანჭველასავით ირეოდნენ მუშები; დროგამოშვებით მოისმოდა ნაღმის გრიალი. იქიდან მოკიდებული, შორს, მინდორზე, გველივით თანატოლად მოიკლაკნებოდა ორი ალმასის რკინის ზოდები. ამ დროს მატარებლის მანქანამ იწივლა და ბახვა მაშინვე გაუარდა მდინარე ცივს გაღმა და მიაშურა მუშებს, რომ მატარებლის მოსვლას იქ დასწრებოდა. ეს იყო პირველი რკინის გზის მატარებლის ახლოს ნახვისა, თუმცა მისი სტვენისა და შორიდან მისი ვეშაპისნაირი სრიალისთვის რკინის ზოდებზე ხშირად უყურებია.

იმ დროს ამ ალაგას თეკლათის ქვის ცემენტი მზადდებოდა. ზედ ქვის სატენში რკინის გზა იყო შეყვანილი, რომ აქიდან ცემენტის ფქვილი და ქვის ლოდები წაეღოთ ფოთის პორტისთვის. მუშებმა გაჩქარებით დაუწყეს ზესადგრებს (პლატფორმებს) დატვირთვა... ორ საათში მატარებლის ყველა ზესადგარი დატვირთული იყო...



ქვის სამტვრელო საკირეს მთაზე, საიდანაც გაჰქონდათ კირქვა ფოთის ნავსადგურის მშენებლობისათვის

თეკლათიდან მოკიდებული დიდ გზამდე, შვიდი ვერსის სიგრძეზე, რკინის გზის ტოტი იყო გაკეთებული. იქ, დიდ გზაზე, დატვირთულ ზესადგრებს სხვა მატარებელს მოუბამდნენ და გაისტუმრებდნენ ფოთისკენ. ცარიელი ზესადგრები ისევ ბრუნდებოდა თეკლათის ქვის სატენში დასატვირთავად¹.



ვახტანგ გორგასლის ქუჩის ჩიხი სენაკში, სადაც გადიოდა
საკირესკენ მიმავალი რკინიგზა

გ. წერეთლის რომანში აღწერილი ნაგზაური სენაკსა და სახარბედი-
ოში დღეს **ნაკინაშარუს** „ნარკინიგზალის“ სახელით არის ცნობილი. ცი-
ვის მარცხენა მხარეს გამავალი რკინიგზის ხაზით XIX საუკუნის II ნახე-
ვარში ქვა გადაჭქონდათ ქალაქ ფოთში, პორტის ასაშენებლად. პ. ცხა-

¹ წერეთელი გ., პირველი ნაბიჯი, თბ., 1991, გვ. 55-56, 59.

დაია აღნიშნავს, რომ ქვა იყო განსაკუთრებული და უძლებდა ზღვის ძალაზე წყალს. ეს გზა აღწევდა სახარბედიოსა და საწულეისკიროს საზღვრებამდე¹. ქვის კარიერი ეკის მთის დასავლეთ კალთაზე **ნაქარხანუს** სახელით არის ცნობილი².

თეკლათში რკინიგზის ბაქანს „ბუტკა“ ეწოდება. რკინიგზის გაყვანისას აქ აუცილებელი პირველი „ბუტკა“, ქოხი³. რკინიგზის ბაქანის გვერდით აღგილს ეწოდება **ნაყაზარმუ** „ნაყაზარმალი“. აქ რუსის ჯარის ყაზარმა ყოფილა გამართული. გადმოცემით, ისინი გზას თურქი ყურსალებისაგან იცავდნენ. აქვე ყოფილა აბრეშუმის ყაზარმაც, სადაც ებრაელი აბრეშუმის პარკს აშრობდა და გასაყიდად გაჰქონდა საზღვარგარეთ⁴.

ამრიგად, თეკლათის დაუსახლებელ და ჭანჭრობიან ტერიტორიაზე რკინიგზის სადგურის აშენებისა და დასახლების შექმნის სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ ამ სურვილს არახელსაყრელმა მდებარეობამ და კლიმატურმა პირობებმაც ვერ შეუშალა ხელი. 1894 წელს გაზეთი „კვალი“ წერდა: ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის გაყვანამდე, იმ ადგილებში, სადაც დღეს რკინიგზის სადგურია გამართული, მოსახლეობა ძვირად თუ სადმე იყო და ისინიც ციებ-ცხელებით იხოცებოდნენ. აჯამეთში, სარბევეში, სამტრედიაში, ახალსენაკსა და ჭალადიდში ისეთი ცუდი ჰავა იყო, რომ ქათმებს აციებდათ. დღეს კი, რკინიგზის გაყოლებაზე – ყვირილა, სამტრედია, ახალსენაკი, აბაშა და სხვა მომცრო სადგურები ქალაქები გახდნენ. რიონის ჭალები მოსახლეობით აივსო. სოფელი სოფელზეა მიბმული, მაშინ, როდესაც რკინიგზის გაყვანამდე, ცუდი ჰავის გამო ყველა ერიდებოდა ამ ადგილებში დასახლებას. რიონ-

¹ ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VII, სენაკის რაიონი, თბ., 2013, გვ. 248;

² იქვე, გვ. 260.

³ ელიავა გ., სენაკის რაიონის ტოპონიმია, თბ., 1989, გვ. 26

⁴ ელიავა გ., სენაკის რაიონის ტოპონიმია, გვ. 27

ნის ჭალა შავ ზღვამდე ჭაობიან ტყეს წარმოადგენდა. რკინიგზამ ხალხი გაამრავლა, ტყე გაამინდვრა, ჰავა გააკეთა, ვაჭრობა და აღებ-მიცემობა ააღორძინა. უცხო ქვეყნებიდან ვაჭარი ხალხი მოიყვანა და ჩვენს ხალხს მათგან ფული აშოვნინა¹.

1870 წელს წარმოქმნილ ახალსენაკს რკინიგზის ლიანდაგის გაყვანამ იერსახე შეუცვალა. ერთ დროს დაუსახლებელი ტერიტორია თვალსაჩინო დაბად და ფოთი-სამტრედიის სარკინიგზო ხაზზე, ამიერკავკასიაში, ერთ-ერთი პირველი რიგის საკვანძო პუნქტად გადაიქცა. ახლადწარმოქმნილი დაბა სწრაფად განვითარდა და მნიშვნელოვანი სავაჭრო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი გახდა ქვემო სამეგრელოში.

¹ გაზ. „კვალი“, 1894, გვ. 300.

თავი IV. სავაჭრო-სამომოსვლო და სარკინიგზო გზების მშენებლობის საკითხისათვის (XIX ს.)

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერია საქართველოსა და ამიერკავკასიაში დაინტერესებული იყო სამდინარო-სახმელეთო გზების მშენებლობით და მანამდე არსებული გზების მოწესრიგებით, რაც უმთავრესად სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებით ხორციელდებოდა, მაგრამ, ამასთანავე, რუსეთის მეფის მთავრობას კარგად ჰქონდა გათავისებული მისი ეკონომიკური მნიშვნელობაც: შავ და კასპიის ზღვებს შორის გზების გაყვანა მიმართული იყო რუსეთის სავაჭრო კაპიტალის ინტერესების დასაცავად. მდ. ხობისწყლის შესართავთან რუსებმა 1805 წელს ააგეს რედუტ-კალეს ციხე-სიმაგრე. გაყვანილ იქნა ცივის არხი, რაც 1806 წელს გაიხსნა. რედუტ-კალედან (ყულევი) ხობისწყლით, შემდეგ მისი შენაკადის – ცივის არხით, საქონელი გადაჰქონდათ მდ. რიონში, საიდანაც ნაგები ამოდითდნენ ცხენისწყლისა და რიონის შესართავთან მდებარე ორპირამდე, ხოლო ორპირიდან ცხენისწყლით მარანამდე. მარანთან იწყებოდა სახმელეთო გზა, რომელიც ქუთაისის გავლით აღმოსავლეთ საქართველოში, სურამთან მთავრდებოდა. სურამში სახმელეთო გზას კვლავ სამდინარო გზა ენაცვლებოდა და გრძელდებოდა კასპიის ზღვამდე¹.

მოგვიანებით, 1858 წლის 3 აპრილს, იმპერატორ ალექსანდრე II-ის ხელმოწერილი ბრძანების საფუძველზე ფოთში გაიხსნა უცხოეთის სავაჭრო პორტი, 19 მაისს გაცემული განკარგულებით კი დაწესდა მდ. რიონზე საბუქსირო გემთმომოსვლა და ვაჭრობა. ასე გაიხსნა სამდინარო-სანაოსნო გზა მდ. რიონზე, ფოთიდან ორპირამდე. იმავე წელს გემებმა

¹ მეუნარგია ი., სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, 1939, გვ. 107-110.

დაიწყეს რეგულარული მიმოსვლა¹.

რიონის სამდინარო გზამ თავისი მნიშვნელობა შეინარჩუნა XIX საუკუნის 60-იანი წლების მიწურულამდე, ხოლო მას შემდეგ, რაც გაყვანილ იქნა ფოთი-თბილისის რკინიგზა, გემთმიმოსვლა რიონზე საგრძნობლად შესუსტდა, სულ მალე კი შეწყდა კიდევ².

ფოთი-თბილისის რკინიგზის შტოს გაყვანის აუცილებლობის შესახებ რუსეთის იმპერატორის სამოქალაქო მრჩეველი ვ. ზგურსკი და სამხედრო ინჟინერი ჩერევენი, რომელთაც ეკუთვნით ამიერკავკასიაში რკინიგზის მშენებლობის დაწყების ინიციატივა, ჯერ კიდევ 1857 წელს წერდნენ: „რკინიგზა ძირფესვიან გადატრიალებას მოახდენს ამ მხარეში ყოველ მხრივ და, განსაკუთრებით, კომერციულის მხრივ: იგი გააკეთებულ შობილებს მრეწველობას და ადგილობრივ მცხოვრებთ დანახებს ფულის ტრიალის განსაკუთრებულ, მათთვის ჯერ უცნობ ხერხს“³. მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი ფინანსთა მინისტრისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა: ეკონომიკურ ურთიერთობათა თვალსაზრისით ფოთი-თბილისის რკინიგზას უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა. რკინიგზის სატრანზიტო გზით განხორციელდებოდა ევროპის ქვეყნების ვაჭრობა შუა აზიასთან. ამიტომ, ამიერკავკასიის რკინიგზა იქნებოდა ის, რაც არის მაგნიტი რკინისათვის⁴.

ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის მშენებლობა დაიწყო 1865 წელს. რკინიგზა, როგორც მთავარი სამიმოსვლო-სავაჭრო გზა საქართველოში, „ჩაენაცვლა“ რიონისა და მტკვრის მანამდე არსებულ სამდინარო გზებს. ამასთანავე, 1872 წლიდან დაწყებული ადგილობრივი შიდასამი-

¹ ნიკოლეიშვილი მ., სამტრედიის ისტორიიდან, 2005, გვ. 25.

² იქვე, გვ. 25.

³ ბაბილოძე კ., აგრაარული ურთიერთობა დასავლეთ საქართველოში XIX-XX სს-ის მიჯნაზე, წ. I, ბათ., 1952, გვ. 25.

⁴ ნიკოლეიშვილი მ., დასავლეთ საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სარკინიგზო მშენებლობის ისტორიიდან, გვ. 35.

მოსვლო გზების გაყვანით შესაძლებელი გახდა პირდაპირი კავშირი საგუბერნიო ქალაქებსა და მხარეებს შორის, რითაც მნიშვნელოვნად განვითარდა ვაჭრობა-მრეწველობა რკინიგზის იმ პუნქტებში, რომელთაც რკინიგზა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები ემიჯნებოდნენ¹.




ფოთი-ახალსენაკის მატარებლის ბილეთი

ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის პირველი უბანი, როგორც აღვნიშნეთ, 1871 წლის 14 აგვისტოს გაიხსნა, ფოთიდან ყვირილამდე, რასაც მოჰყვა ფოთში, ჭალადიდში, ახალსენაკში, სამტრედიაში, ქუთაისსა (რიონი) და ყვირილაში სადგურების მოწყობა და ახალი სახელოსნო-სავაჭრო პუნქტების, დაბა-ქალაქების (სამტრედია, ახალსენაკი, ზესტაფონი...) წარმოქმნა. ამ ახალწარმოქმნილი პუნქტების ირგვლივ მოსახლეობის თანდათან დაჯგუფებას შედეგად მოჰყვა ვაჭრობა-მრეწველობის ჩასახვა და სწრაფი განვითარება. ადგილობრივი და შემოტანილი პროდუქციის გასაღების პუნქტებად სწორედ ეს ადგილები იქცა².

¹ ნიკოლეიშვილი მ., სამტრედიის ისტორიიდან, 2005, გვ. 26-27.

² სკსია, ფ. 17, ი. 8990, ფურც. 105-106; ნიკოლეიშვილი მ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 39.



ახალსენაკზე გამავალი რკინიგზის ხაზი ყოფილ მურის მხედვით

უნდა ითქვას, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზის მიმართულების შესახებ იმთავითვე ორი პროექტი გამოიკვეთა. პირვანდელი პროექტით რკინიგზის ხაზს ქუთაისში უნდა გაეგლო¹. ეს პროექტი ითვალისწინებდა სარკინიგზო ხაზის გავლას ახალსენაკში, ქუთაისში, ყვირილასა და გორში. დიდი მცდელობის მიუხედავად, აღნიშნავს მ. ნიკოლეიშვილი, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი ქუთაისი მაინც დარჩა რკინიგზის მთავარი მაგისტრალის გარეშე, თუმცა ეს საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა, რასაც, ალბათ, ისიც განაპირობებდა, რომ პირვანდელი პროექტი ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზის სწორედ ქუთაისში გაყვანას ითვალისწინებდა².

¹ იხ. Аргутинский-Долгоруков Б., История сооружения и эксплуатации. Зак. Ж. д., 1871-1896 гг., Тб., 1896. с. 1.

² ნიკოლეიშვილი მ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 41.



სამტრედიის რკინიგზის სადგური

სხვადასხვა მიზეზების გამო ამ პროექტის შეცვლით ქუთაისს ასცდა რკინიგზის მთავარი ხაზი, რაც ქალაქს ეკონომიკური ცხოვრების დაქვეითებას უქადდა. ცნობილ პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს – ნიკო ნიკოლაძეს კარგად ჰქონდა გააზრებული ის საფალალო შედეგი, რაც უნდა მოჰყოლოდა რკინიგზის გარეშე საქართველოს მეორე ქალაქის დატოვებას. 1869 წელს „პეტერბურგის უწყებებში“ იგი აქვეყნებს სპეციალურ წერილს და მოითხოვს, რომ სარკინიგზო მაგისტრალს გაეგლო მჭიდროდ დასახლებული პუნქტებში: ფოთიდან ძველი სენაკის, ბანძის, ხონის, ქუთაისის, გოდოგან-სიმონეთის გავლით – ყვირილამდე¹. ნიკო ნიკოლაძე აღნიშნული წერილით მხარს უჭერდა რკინიგზის ხაზის | პროექტის განხორციელებას; თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ეს მოთხოვნა მაშინ არ დაკმაყოფილდა. ნაკლებად დასახლებულ პუნქტებში რკი-

¹ ნ. ნიკოლაძის არქივი, საბ. 31/17-24; გაზ. „იმერეთი“, №150, 1911; მსჯელობისათვის იხ.: ნიკოლეიშვილი მ., დასავლეთ საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სარკინიგზო მშენებლობის ისტორიიდან, გვ. 42-43.

ნიგზის გაყვანამ უარყოფითად იმოქმედა სწორედ ძველ სენაკზე, ბანძაზე, მარტვილზე, ხონსა და ქუთაისზე. 1873 წელს ნიკო ნიკოლაძე წერდა: „ქალაქ ქუთაისის მოსახლეობა ყოველდღიურად სულ უფრო ხმამაღლა აცხადებს საჩივარს ვაჭრობისა და ამ ქალაქის ეკონომიური მნიშვნელობის არაჩვეულებრივი დაქვეითების გამო. რკინიგზის გახსნით, რომელმაც ქალაქს 7,5 ვერსით აუხვია გვერდი, ქუთაისმა თანდათან დაიწყო დაცარიელება, დაქვეითება და უმთავრესად სავაჭრო და სამრეწველო ქალაქი დაეშვა მესამე ხარისხოვან ადმინისტრაციული ცენტრის დონეზე. სახლები სანახევროდ დაცარიელდა, – ძველმა ფასებმა ორჯერ და სამჯერ დაიწია. მალაზიები უიძედოდ ელოდებოდა ნისიად მყიდველებს და მთელი ქალაქის ცხოვრება ტრიალებს სასამართლო და საპოლიციო სამმართველოების ან მრავალრიცხოვანი აუქციონებების ირგვლივ...“¹. ქუთაისის ეკონომიური მნიშვნელობის დაქვეითების ნიკოლაძისეული დახასიათება შეიძლება განზოგადდეს ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი მაგისტრალის გარეშე დარჩენილ სავაჭრო ცენტრებზეც. ფოთი–თბილისის ხაზის საგუბერნიო ქალაქიდან 8 კმ-ის დაშორებით გაყვანამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ქუთაისს. როდესაც აბაშამ და ახალსენაკმა დაიწყო აღორძინება, ეს პუნქტები ბანძის სერიოზული კონკრენტები შეიქნა. ძველი სენაკის ნაცვლად ახალსენაკი დაწინაურდა, ძველ აბაშას აბაშა ჩაენაცვლა, ორპირს – სამტრედია, რედუტ-კალეს (ყულევს) – ფოთი და ა. შ.

რკინიგზის ხაზის ამ მიმართულების შეცვლის მიზეზზე ქუთაისის ქალაქისთავი ლუარსაბ თეიმურაზის ძე ლოლოუა (იურისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე) წერდა, რომ „ამიერკავკასიის რკინიგზის გაყვანის დროს ამიერკავკასიის უძველესი და უმნიშვნელოვანესი ქალაქის – ქუთაისის ინტერესები კერძო ინტერესებს შეეწირა და ამ ისტორიულ-

¹ ნიკოლაძე ნ., თხზულებანი, ტ. I, თბ., 1962, გვ. 559.

მა უსამართლობამ ქუთაისის ზრდას უდიდესი ზიანი მიაყენა“¹.

რას გულისხმობდა ქალაქისთავი კერძო ინტერესებში? ამ კითხვაზე პასუხი მოცემულია გაზეთ „შრომაში“, 1882 წლის 21 ივლისს გამოქვეყნებულ მეთაურ წერილში, საიდანაც ირკვევა შემდეგი: ვიდრე თბილისიდან ფოთამდე რკინიგზა გაიმართებოდა, მთელი ამიერკავკასიის მხარის სავაჭრო-საქარავნო გზა ქუთაისზე გადიოდა – მგზავრები, ვაჭრები, ხალვადრები, მეფურგონეები, თავიანი ცხენებით, – განჯელები, ერევნელები და უფრო შორიდან მოსული თათრები თავიანთი აქლემებით, ასობით და ათასობით მგზავრი ბინავდებოდა ქუთაისში. დღითიდღე მატულობდა ამ გზაზე მათი მოძრაობა და ამათგან ქუთაისის სარგებლობაც. თავიდანვე გადაწყვეტილი იყო ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის ქუთაისის გავლით გაყვანა. აქვე უნდა ყოფილიყო სარკინიგზო სახელოსნოები. ეს მაშინ არავითარ ეჭვს არ იწვევდა. საზრუნავი იყო მხოლოდ ის, თუ რა ადგილზე მოეწყობოდა სადგური, მაგრამ როცა შეუდგნენ გზის მშენებლობას, აღმოჩნდა, რომ რკინიგზა ქუთაისიდან 7 ვერსის დაცილებით გაჰყავდათ – თავად მირსკისა და ანანოვის – აჯამეთის ტყეების ახლოს. როცა ქუთაისის საზოგადოებრიობამ ამ საკითხზე შეშფოთება გამოთქვა, პასუხად მიიღეს: „აჯამეთის მიმართულებით რკინიგზის ხაზი უფრო მოკლეა და იგი რამდენიმე ათასი თუმნით იათვი ჯდება“.

ქუთაისის საზოგადოებრიობა მიხვდა, რომ ეს სიმართლეს არ შეეფერებოდა, რადგან აღნიშნული გზა ქუთაისში გაყვანით უფრო მოკლდებოდა. ქალაქის მცხოვრებნი მზად იყვნენ ოცი ათასი თუმანი გადაეხადათ, თუ ამ თანხის გადაუხდელობა აძნელებდა ქუთაისზე რკინიგზის ხაზის გაყვანას. წერილის ავტორი აცხადებს, რომ გზა იმ მიმართულებით გაიყვანეს, საიდანაც შესაძლებელი იყო სარგებელი ენახა ორ კაცს

¹ ნიკოლეიშვილი მ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 44-45.

– თავად მიწისკის და მილიონერ ანანოვს. ქუთაისში გათვალისწინებული სადგური გამართეს ქუთაისიდან 7 ვერსის დაშორებით, მდ. რიონის ახლოს. გაიმართა ორი სადგური – ანანოვისათვის, აჯამეთის ტყის მახლობლად, რომელსაც „ქუთაისი“ უწოდეს, და მეორე სადგური იქვე – „აჯამეთი“, თავად მიწისკისათვის¹. ქუთაისიდან ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ ხაზამდე (სად. „სარბევი“) ცალკე ტოტის გაყვანა დამთავრდა 1877 წელს. შეერთების პუნქტს „ქუთაისის“ ნაცვლად „რიონი“ ეწოდა, ხოლო სადგურ ქუთაისის სახელწოდება ქალაქის სადგურს დაუბრუნდა². „ქუთაის-რიონის რკინიგზის ხაზი, ეს იყო უშედეგო და დაგვიანებული საჩუქარი ქუთაისისათვის, იმ უსამართლობის ასანაზღაურებლად, რაც დაშვებულ იქნა ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის დროს³.

როგორც აღვნიშნეთ, ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი ხაზის (მთავარი მკვეთავი არტერიის) გარეშე დატოვება უარყოფითად მოქმედებდა არა მხოლოდ საქართველოს მეორე ქალაქის – ქუთაისის საქალაქო-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, არამედ მის დასავლეთით მდებარე სხვა სავაჭრო-სამრეწველო და სახელოსნო პუნქტებზეც (ხონი, მარტვილი, ბანძა).

ქუთაისზე გავლით რკინიგზის ხაზის გაყვანის საკითხმა პრინციპული ხასიათი მიიღო 1895 წლის ბოლოს. ქუთაისის ქალაქისათვის – ლუარსაბ ლოლუას ხელმოწერით, პეტერბურგის გზათა სამინისტროში გაიგზავნა სტამბური წესით დაბეჭდილი, ვრცელი მოხსენებითი ბარათი, სადაც ვრცლად არის განხილული და დასაბუთებული აღნიშნული ხაზის

¹ გაზ. „შრომა“, 21 ივლისი, 1882; მსჯელობისათვის იხ. ნიკოლეიშვილი მ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 45.

² იქვე, გვ. 46.

³ იქვე, გვ. 46.

გაყვანის აუცილებლობა და უპირატესობა¹.

ფოთსა და სამტრედიას შუა			სამტრედიასა და ფოთს შუა		
სტანციები.	რს დროს მოდის.	რს დროს გადის.	სტანციები.	რს დროს მოდის.	რს დროს გადის.
ფოთი . . .	—	9.15	სამტრედია.	—	7.30
ჭალადიდი .	9.48	9.53	ახაშა	8.07	8.20
ახალსენაკი .	10.47	10.57	ახალსენაკი .	8.56	9.11
ახაშა . . .	11.33	11.43	ჭალადიდი .	10.01	10.07
სამტრედია.	12.15	—	ფოთი . . .	10.40	—

მატარებლის მოძრაობის განრიგი ფოთსა და სამტრედიას შუა.
ამონარიდი ვალერიან გუნიას „საქართველოს კალენდრიდან“, 1892 წ.

ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის ახალი მიმართულებით შეცვლა ყვირილის უბანზე, ცხადია, იწვევდა ქუთაისიდან რკინიგზის მიმართულების შეცვლას შავი ზღვისკენაც. შემუშავებული სამი ვარიანტიდან პირველი ითვალისწინებდა რკინიგზის ხაზის გაყვანას ქუთაისიდან ახალსენაკამდე. თუკი არსებული მდგომარეობით სადგურ „რიონიდან“ ახალსენაკი დაშორებული იყო 55 ვერსით, რკინიგზით ქუთაისიდან ახალსენაკამდე მანძილი 63 ვერსს შეადგენდა. ახალი მიმართულებით რკინიგზის ხაზის გაყვანის შემთხვევაში ქუთაისსა და ახალსენაკს შორის მანძილი 15 ვერსით შემცირდებოდა. ამასთანავე, ბაქო-თბილისის მთელ ხაზზე მანძილი ახალი მიმართულებით რკინიგზის ხაზის გაყვანის შემთხვევაში თუ არ მცირდებოდა, არც იზრდებოდა და ორივე შემთხვევაში ყვირილიდან ახალსენაკამდე მანძილი შეადგენდა 63 ვერსს².

ლუარსაბ ლოლუას მოხსენებითი ბარათი უაღრესად საყურადღებოა ეკონომიკური თვალსაზრისითაც. იგი აანალიზებს რკინიგზის ახალ მი-

¹ ვრცლად იხ. ნიკოლეიშვილი მ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 51-56.

² იხ. ქსა, ფ. 108, ს. 2373, ფურ. 22; ნიკოლეიშვილი მ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 56.

მართულებაზე მცხოვრები მოსახლეობის საქმიანობას და აღნიშნავს, რომ ქუთაის-ახალსენაკის რკინიგზას უნდა გაეგლო ისეთ ადგილებში, სადაც განლაგებული იყო ქუთაისის გუბერნიის მწარმოებელი და სამრეწველო მოსახლეობა. ამ ხაზზე განსახლებული 80 ათასზე მეტი მოსახლისათვის რკინიგზას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რკინიგზით სარგებლობას მოკლებული ხონი და მისი შემოგარენი ახალ ხაზზე მოხვდებოდა. მას ეკვროდა სამეგრელოსა და ლეჩხუმის ტყით მდიდარი მხარეები. ეს ტყეები საჭიროებდა სწორ ექსპლუატაციას. ამის გარეშე ისინი კარგავდნენ თავიანთ ღირებულებას¹.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ რკინიგზის ფართო მშენებლობამ ბიძგი მისცა საქართველოს სატყეო მეურნეობაში კაპიტალიზმის შეჭრას, ხე-ტყის დამამუშავებელი მრეწველობის სახით, რადგან რკინიგზის მშენებლობა საჭიროებდა დიდი ოდენობით ხე-ტყის მასალას – შპალებს, მორებს, ფიცარს, შეშას და ა. შ. ამასთანავე, ხე-ტყის მრეწველ კაპიტალისტებს რკინიგზის საშუალებით ხე-ტყის მასალა, მოგების მიზნით, გაჰქონდათ ფართო ბაზარზე. ამასთანავე, გაიზარდა ნავთობის, მარგანეცისა და ქვანახშირის წარმოება².

ქუთაის-ახალსენაკის რკინიგზის მშენებლობა 1500 000 მანეთი ჯდებოდა, წერს მ. ნიკოლეიშვილი, ბაქოდან ფოთამდე გზის საერთო სიგრძე 805 ვერსს, ხოლო ქუთაისსა და რიონს შორის 8 ვერსს შეადგენდა, ე. ი. ამიერკავკასიის სამმართველოს სულ 813 ვერსი სიგრძის გზის შენახვა უხდებოდა. 1893 წლის გამოანგარიშებით რკინიგზის თითოეული კილომეტრი ხაზინას 7565 მან. უჯდებოდა, მაგრამ ქუთაისსა და სენაკს შორის პირდაპირი ხაზის გაყვანის შემთხვევაში საერთო გზის სიგრძე 805 ვერსი რჩებოდა, ე. ი. შესანახი ხარჯებიც შესაბამისად მცირდებოდა. ხა-

¹ ნიკოლეიშვილი მ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 57.

² ნიკოლეიშვილი მ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 13-17.

ზინას ამ შემთხვევაში ყოველწლიურად ამიერკავკასიის რკინიგზის შესანახად ბაქოდან ფოთამდე 60000 მანეთით (7.565×8) ნაკლები უზღდებოდა. ქუთაის-ახალსენაკის რკინიგზის მშენებლობაზე მილიონ 500 ათასი მანეთი იხარჯებოდა, მაგრამ ეს გზა პირველივე წლიდან 60 ათასი მანეთის ეკონომიას იძლეოდა. თუ მხედველობაში მივიღებთ ახალი მიმართულებით გზის შეცვლის ეკონომიკურ შედეგებს, მაშინ რკინიგზის მშენებლობაზე დახარჯული თანხიდან სარგებლიანობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა. ამგვარად, დასძენს მკვლევარი, ყველა მოსაზრებით, როგორც ფინანსური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, გზის ახალი მიმართულება ხელსაყრელი ჩანდა¹.

მ. ნიკოლეიშვილი დაწვრილებით ჩერდება ლ. ლოლუას მოხსენებითი ბარათის იმ ადგილზე, სადაც საუბარია ბათუმის რკინიგზის ხაზის სირთულის შესახებ. თუკი ახალი მიმართულებით რკინიგზის ხაზის გაყვანას სამტრედია-ბათუმის უბანზე სირთულე მოჰყვებოდა, არც ამ პრობლემის მოგვარება იქნებოდა რთული. პროექტის ავტორების აზრით, ნავთობით დატვირთული ცისტერნები ჩვეულებრივ გაიგზავნებოდა ბათუმის მიმართულებით. სადგური სამტრედია, სადაც იმყოფებოდა რკინიგზის კაპიტალური ნაგებობანი, არ უქმდებოდა, მაგრამ ცხადი იყო, რომ ბათუმის ხაზი უნდა გაგრძელებულიყო რამდენიმე კმ-ით და შეერთებოდა ქუთაის-ახალსენაკის ხაზს².

1896 წლის დასაწყისში პეტერბურგის გზათა მინისტრის – ხილკოვის განკარგულების საფუძველზე დაკმაყოფილდა ქუთაისის საქალაქო გამგეობის შუამდგომლობა რკინიგზის ხაზის ახალი მიმართულების გამოკვლევის შესახებ³. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ საკითხზე გადაწყვეტი პასუხის გაცემა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში

¹ ნიკოლეიშვილი მ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 57-58.

² ნიკოლეიშვილი მ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 58-59.

³ იქვე, გვ. 60.

ჭიანურდებოდა. ქუთაისელთა ინიციატივას მხარს უჭერდნენ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, გუბერნიის თავად-ახნაურთა წინამძღოლი, სოფლის მეურნეობის საიმპერატორო რაზმის ქუთაისის განყოფილება და ქვანახშირისა და შავი ქვის მრეწველობის წარმომადგენლები¹.

1895-96 წლების გულისხმობის მცდელობა 1896 წლის გაზაფხულზე მხოლოდ მაგისტრალის გაყვანის გეგმისა და ყვირილიდან ახალსენაკამდე ქუთაისზე გავლით სიგრიძის პროფილის შედგენით ამოიწურა².

ცხრაასიანი წლების დასაწყისში, კერძოდ, 1902 წლის 20 ივლისს, ქუთაისის საქალაქო მმართველობაში განცხადება წარადგინა პ. თუმანიშვილმა, სადაც მოითხოვდა შუამდგომლობის კვლავ აღძვრას ქუთაისზე ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზის გაყვანის შესახებ, ვინაიდან ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს გადაწყვეტილი ჰქონდა მეორე სალიანდაგო გზის მშენებლობის დაწყება სადგურ ყვირილიდან ახალსენაკამდე. განცხადების ავტორი მიიხსენებდა, რომ რკინიგზისათვის ხელსაყრელი იქნებოდა ყვირილისა და ახალსენაკის სადგურების შეერთება ქუთაისზე ხაზის გატარებით, რასაც რამდენიმე არგუმენტით ასაბუთებდა:

1. ქუთაისში რკინიგზის მთავარი ხაზის გაყვანით გზის სიგრძე მოკლდებოდა, ამ მიმართულებით გზის სისწორის გამო, მაშინ როდესაც არსებული გზა საგრძნობლად დაკლაკნილია.
2. გზის სისწორის გამო რკინიგზის გაყვანა იათვი დაჯდებოდა.
3. რკინიგზას მეტი შემოსავალი ექნებოდა მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში ახალი გზის გაყვანის შემთხვევაში.
4. გზის დამოკლებით არა მარტო დაჩქარდებოდა მოძრაობა, არამედ გაიაფდებოდა ტვირთის გადაზიდვა.

¹ მაიაშვილი გ., რჩეული ნაწარები, II, გვ. 239.

² ნიკოლეიშვილი მ., დასახლებული ნაშრომი, გვ. 60-62.

პ. თუმანიშვილის წინადადება ყვირილასა და ახალსენაკს შორის მეორე სალიანდაგო გზის ქუთაისზე გატარების შესახებ, 1902 წლის 24 ივლისს ქუთაისის საქალაქო საბჭომ განიხილა თავის სხდომაზე. ქალაქის თავს – დ. ლორთქიფანიძეს დაევალა შუამდგომლობის აღძვრა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს წინაშე¹. თუმცა 14 აგვისტოს ამ შუამდგომლობაზე რკინიგზის სამმართველომ ქუთაისის ქალაქის მმართველობას უარყოფითი პასუხი გაუგზავნა, იმ მოტივით, რომ მეორე სალიანდაგის ქუთაისზე გაყვანით გაუარესდებოდა გზის პროფილი და გეგმა, გადიდებოდა ტვირთის გადასაზიდი გზის მანძილი, რაც წელიწადში 80000 მანეთის დახარჯვას გამოიწვევდა და, საერთოდ, მისი მშენებლობა ძვირი დაჯდება (7,5 მლნ მან.)².

1902 წლის 28 დეკემბერს დ. ლორთქიფანიძემ ვრცელი მოხსენებით ბარათი გააგზავნა პეტერბურგის გზათა სამინისტროში, სადაც მოტანილი ციფრობრივი მონაცემებით შეეცადა სვირის, აჯამეთის, რიონის, მუხიანისა და კოპიტნარის მიმართულებით მეორე ხაზის გაყვანის უმოქმედობის მტკიცებას ეკონომიკური თვალსაზრისით. ამიტომ ახლა არის შესაძლებლობა იმისა, რომ გამოსწორდეს 30 წლის წინათ დაშვებული შეცდომა – მეორე ხაზის გაყვანა ახალსენაკსა და ყვირილას შორის უნდა განხორციელდეს ქუთაისის მიმართულებით და მასზე გავლით, რომელიც, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ისე რკინიგზისათვის, უფრო მოსახერხებელია და სასარგებლო³.

ახალსენაკსა და ყვირილას შორის მეორე სალიანდაგო გზის გაყვანას ქუთაისზე გავლით, ქუთაისის მმართველობა შემდეგი არგუმენტებით ასაბუთებდა:

1. ქუთაისში რკინიგზის გაყვანით მანძილი არ იზრდება.

¹ ქუთაისის ისტ. არქივი, ფ. 108, ს. 2372, ფურც. 87.

² იქვე, ფურც. 29; ნიკოლეიშვილი მ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 63-64.

³ იქვე, ფურც. 47.

2. ვინაიდან გზა ყვირილის მარჯვენა ნაპირზე გაივლიდა, ეს გამოორბ-
ცხავდა გზის დაზიანებას წყალდიდობის შემთხვევაში. ამასთანა-
ვე, არსებული გზის დაზიანების შემთხვევაში მეორე მაგისტრალი
ყოველთვის თადარიგში იქნებოდა.

3. აღნიშნული გზა გაივლიდა სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებზე –
ხონსა და კუხზე, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული
ქუთაისთან. ეს მხარე მოწყვეტილი იყო რკინიგზას, რაც საგ-
რძნობლად აფერხებდა მის შემდგომ ზრდას, შეუძლებელს ხდიდა
ამ მხარის მდიდარი ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავებას. ამ დაბ-
რკოლების გადალახვა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ რკინიგ-
ზით.

ქალაქის მმართველობა მნიშვნელოვნად მიიხნევიდა იმ გარემოება-
საც, რომ ტექნიკური თვალსაზრისით რკინიგზის გაყვანას მეორე სალი-
ანდაგო გზაზე არაფითარი დაბრკოლება არ ელოებოდა, რადგან მთელ
მანძილზე გზა რელიეფურად სწორი იყო. ამ მიმართულებით გაყვანილი
გზით ისარგებლებდა ნოსირის, სენაკის, სეფიეთის, მაიდნის, სამიქაოს,
ქარჩხაბის, ხონის, ივანდიდის, ჯიხაიშის, ქუტირის, გუბის, კუხის, ნამა-
შევის, მალლაკის, ქვიტირის, ქუთაისის, ნაგარევის, ჭოგნარის, ნახშირ-
ღელის, სიმონეთის, ეწრის, სიქთარვის, თერჯოლის, ღვანკითის, ზოვრე-
თის, საქარის, ამასთანავე აღნიშნული გზიდან 3-5 ვერსით დაშორებული
დასახლებული პუნქტების მოსახლეობა, რომელთა რაოდენობაც, დ-
ლორთქიფანიძის აზრით, 150-200 ათას კაცს შეადგენდა. მაგრამ მთავა-
რი ის იყო, დასძენს ქუთაისის ქალაქისთავი, რომ ეს იყო სავაჭრო-სამ-
რეწველო თვალსაზრისით ყველაზე მეტად დაწინაურებული მხარე ქუ-
თაისის გუბერნიაში, სადაც განვითარებული იყო სასოფლო-სამეურნეო
მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგები – მევენახეობა, მეაბრეშუმეობა,

მეფრინველეობა¹.

სენაკის, როგორც მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძის, ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, ინტერესს იწვევს ზემოთ განხილული საქმის პარალელურად წამოჭრილი მეორე საკითხი. კერძოდ, წერს მ. ნიკოლეიშვილი, XX საუკუნის დასაწყისში, ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა უმრავლესობის მთავარი საზრუნავი შავი ზღვის რკინიგზის ქუთაისის გუბერნიის თარგლებში გაყვანის პრობლემა იყო. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ქუთაისის, როგორც საგუბერნიო ცენტრის, რკინიგზის საკითხი იდგა, მაგრამ შავი ზღვის რკინიგზის გაყვანის საკითხით დაინტერესებული იყო სამაზრო ქალაქი ზუგდიდი და საპორტო ქალაქი ფოთი. შავი ზღვის რკინიგზის გაყვანის უფლება მიღებული ჰქონდა ვლადიკავკაზის რკინიგზის სამმართველოს. პროექტი ითვალისწინებდა ახალი ათონიდან რკინიგზის სამხრეთის უბნის დაწყებას და ახალსენაკში ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზზე შეერთებას. მშენებლობაში სახსრების ეკონომიის დაცვის მიზნით სამმართველო ვარაუდობდა რკინიგზის გაყვანას ოტობაის მიმართულებით. მასზე გავლით მანძილი ახალ ათონსა და ახალსენაკს შორის, მართალია, მოკლე იყო, თუმცა ამ ტერიტორიაზე გზას ბევრი დაბრკოლება ელოებოდა. მათ შორის ის, რომ ამ მიმართულებით ტერიტორია ჭაობიანი იყო².

უპირატესობა გააჩნდა რკინიგზის ხაზის გაყვანას სოფელ რუხსა და ზუგდიდზე გავლით. გზა გადიოდა მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე. ასე, მაგალითად, რუხიდან სადგურ ქვალონამდე, ზუგდიდის გავლით, იყო 20 სასოფლო საზოგადოება, 75 ათასი სული მოსახლით. ამ მონაკვეთში 800-მდე სხვადასხვა სახის სამრეწველო ობიექტი იყო განლაგებული. ამასთანავე, ზუგდიდი დიდი ხნიდან ითვლებოდა სამეგრელოსა და, ნაწილობრივ, სვანეთისა და აფხაზეთის სავაჭრო ურთიერთობის ცენტრად. ზუგდიდი წარმოადგენდა სამეგრელოსა და სვანეთის

¹ იქვე, ფურც. 51; ნიკოლეიშვილი მ., დასახლებული ნაშრომი, გვ. 66.

² საქ. ცსია, ფ. 12, აღწ. 8, საქმე 3025, ფურც. 2.

ტყის მრეწველთა უახლოეს დასახლებულ პუნქტს ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის მაზრებში. ეს და სხვა გარემოებები განსაზღვრავდა იმას, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის ქუთაისში გაყვანის მოსურნეები მხარს უჭერდნენ სწორედ მეორე ვარიანტს, რადგან შავი ზღვის რკინიგზის ზუგდიდზე გაყვანის შემდეგ თავისთავად დგებოდა დღის წესრიგში საკითხი ამ ხაზის ხონისა და ქუთაისის მიმართულებით გაგრძელების შესახებ. 1902 წლის 29 ნოემბერს გზათა მინისტრის სახელზე გაგზავნილ ვრცელ მოხსენებით ბარათში დ. ლორთქიფანიძე ყურადღებას ამახვილებდა ამ გზის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე. მიუხედავად იმისა, შენიშნავს მ. ნიკოლუიშვილი, რომ გზა ოტობაიიდან ახალსენაკამდე შედარებით მოკლე იყო ზუგდიდი-ხონი-ქუთაისის მიმართულებაზე, ქალაქის მმართველობის აზრით მაინც პირველი მიმართულება უფრო ძვირი ჯდება. ისინი მიიჩნევდნენ, რომ მეორე მიმართულება სასარგებლო იყო, როგორც სახელმწიფოსათვის, ისე გზისა და ადგილობრივი მხარისათვის. გათვალისწინებული იყო ზუგდიდის საზოგადოების მოთხოვნაც, რომელიც ითვალისწინებდა შავი ზღვის სანაპიროს რკინიგზის ზუგდიდზე გატარებით გაყვანას და ამ მიმართულებით ამიერკავკასიის რკინიგზასთან შეერთებას.



სენაკის რკინიგზის სადგურის შენობის ფასადის
საერთო ხედი. გაზ. „ავანგარდი“, 1959 წ.

Общество
ЧЕРНОМОРСКОЙ
ЖЕЛѢЗНОЙ ДОРОГИ
У п р а в л е н і е
ПО СООРУЖЕНІЮ
ЖЕЛѢЗНОДОРОЖНОЙ ЛИНИИ
ТУАПСЕ-НОВОСЕНАКИ

Хозяйственный Отдѣлъ
„24.“ января 1917 г.

№ М 809 / 25756.

С о ч и. 25806. Нас

Черноморской губ. риществу

СТРОИТЕЛ

შავი-ზღვის რკინიგზის საზოგადოების დადგენილება ტუაფსე-ახალსენაკის
რკინიგზის ხაზის მშენებლობასთან დაკავშირებით. 1917 წ.

სოხუმსა და ახალსენაკს შორის რკინიგზის ხაზის გაყვანის საკითხი აქტიურად შექდებოდა პრესის ფურცლებზე. ანთიმოზ ჯუღელი („გადაღმელი“) გაზეთ „დროებაში“ 1883 წელს წერდა, რომ „ოცდაათს ნომერს შეიკრიბნენ სოხუმს მცხოვრებნი და ილაპარაკეს სოხუმიდან ახალ სენაკამდის რკინის გზის გაყვანაზე“¹. იმავე გაზეთის 1885 წლის N40-ში აღნიშნულია, რომ ზუგდიდელ თავადაზნაურობას გადაუწყვეტია, ასი ათასი მანეთი კიდევ მიუმატოს იმ კაპიტალს, რომელიც გადადო ზუგდიდის მაზრამ და სთხოვს მმართველობას, ამ ფულით გახსნან ზუგდიდში პროგიმნაზია და სოხუმისკენ ზუგდიდის გავლით გაჭრან რკინიგზა². „ზაკ“-ს სწერენ პეტერბურგიდან, რომ კომისია შეუდგა სოხუმიდან ახალსენაკამდე რკინიგზის ხაზის გაყვანის შესახებ სოხუმის ქალაქის მოურავის, თავდგირიძის პროექტის განხილვას. პროექტის ავტორის აზრით, გზის გაყვანა სააქციონერო საზოგადოებას უნდა ეკისრა³.

ზუგდიდის საზოგადოებრიობისა და ქუთაისის საქალაქო მმართველობის დიდი მცდელობის მიუხედავად, აღნიშნული სურვილი – ახალი ათონიდან დაწყებული რკინიგზის სამხრეთის უბნის სოფ. რუხზე, ზუგდიდსა და ახალსენაკზე გავლით, ქუთაისისაკენ გაყვანის საქმე კვლავ უშედეგოდ დამთავრდა. ამ საქმის სისრულეში მოყვანას ხელს უშლიდა რევოლუციური მოძრაობისა და რეაქციის პერიოდი. თუმცა XX საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისიდან ეს საკითხი კვლავ მწვავედ დაისვა. სახელმწიფო სათათბირო და სახელმწიფო საბჭო დაინტერესებული იყო ამიერკავკასიის რუსეთთან სალიანდაგო გზის შეერთების საკითხით, რომლის განხილვაც მიმდინარეობდა ორივე საკანონმდებლო ორგანოში, 1911 წელს. მიღებული დადგენილება ითვალისწინებდა შავი

¹ „დროება“, №252, 14 დეკემბერი, 1883, გვ. 2.

² „დროება“, №40, 21 თებერვალი, 1885, გვ. 2-3.

³ ახალი ამბავი. გაზ. „ისარი“, №269, 6 დეკემბერი, 1907, გვ. 3.

ზღვისპირეთის რკინიგზის გაყვანას და ამ გზით რუსეთის შიდა გუბერნიების ამიერკავკასიასთან შეერთებას. გათვალისწინებული იყო, რომ შავი ზღვის რკინიგზა ახალსენაკში შეერთებოდა ამიერკავკასიის რკინიგზას¹.

ქუთაისის ქალაქის გამგეობამ გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ ესარგებლა ამ მომენტით და დაიწყო ზრუნვა იმაზე, რომ ზუგდიდიდან გასაყვანი შავი ზღვის რკინიგზა მიმართულიყო ქუთაისისაკენ და ამიერკავკასიის რკინიგზას სადგურ „რიონში“ შეერთებოდა. 1911 წლის 19 თებერვალს ქუთაისის ქალაქისთავის – ი. ჩიქოვანის მიერ შედგენილ და გზათა მინისტრისადმი გაგზავნილ წერილში დაწვრილებით არის ჩამოყალიბებული ქუთაისის თვითმმართველობის აზრი შავი ზღვის რკინიგზის მეორე მიმართულების შესახებ. აგვისტოს მეორე ნახევარში ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებით ქალაქისთავმა მეფისნაცვლის მოადგილეს, სენატორ ვაცეტს გადასცა ვრცელი მოხსენებითი ბარათი, შავი ზღვის რკინიგზის მეორე მიმართულების პროექტის ესკიზთან ერთად. მასში აღწერილია, თუ რისთვის უნდა მიეცეს უპირატესობა მეორე მიმართულებას.

ამ პროექტის მიხედვით, ახალი მიმართულების რკინიგზა დაიწყება რიონის სადგურზე, გაივლის რიონის ხიდს, დაჰყვება რიონის მარჯვენა მხარეს და მეშვიდე ვერსზე შემოვა ქუთაისში; შემდეგ გზა მიიღებს ჩრდილოეთ-დასავლეთის მიმართულებას, მეთვრამეტე ვერსზე გადაჭრის მდინარე წყალტუბოს და მეცხრამეტე ვერსზე შევა სოფელ წყალტუბოში, რომელიც მთელ კავკასიაში ცნობილია თავისი სამკურნალო წყლებით; შემდეგ გზა გადაჭრის ორ მდინარეს – გუბისწყალს და ზემო-კუხას; აქედან მიიღებს ჩრდილოეთის მიმართულებას, 24-ე ვერსზე

¹ ქუთაისის საისტორიო არქივი, ფ. 108, ს.425, ფურც. პ; ნიკოლეიშვილი მ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 69.

გადაჭრის შუა-კუხს და გაივლის შემდეგ სოფლებს: კუხს, ივანდიდს, ქარჩხაბს, ხონს, საწულიკიძეოს, ნახახულევს, მათხოჯს და კონტუათს; 31-ე ვერსზე რკინიგზა გადაჭრის ცხენისწყალს, შემდეგ პატარა მდინარე ნოდელას და გაივლის სოფლებს: ლერცისხევს (ლეციცხვაიეს – ავტ.), ნაგვაზაოს, მარტვილს, ლეხანდრაოს, ნოჯიხევს, ურიასკარს (ბანძას ასე უწოდებდნენ – ავტ.) და სხვ. მე-40 ვერსზე გზა გადაჭრის მდინარე აბაშას. რიონის სადგურიდან დაწყებული 43-ე ვერსიდან კი 82 ვერსამდე გზას მთაგორიან ადგილებზე მოუხდება გავლა, რომელთაც ისეთივე ხასიათი აქვთ, როგორც მთაგორიან ადგილებს სოხუმიდან დაწყებული ტუაფსემდე, სადაც უნდა გაიაროს მთავრობის მიერ განზრახულმა რკინიგზამ¹.

ი. ჩიქოვანის წერილს თან ერთვის მოხსენებითი ბარათი და უწყისები, სათანადო დანაგარიშებებით. ბარათში ნათქვამია, რომ ზუგდიდიდან ქუთაისამდე საჭირო იქნება 362 საყენი საერთო სიგრძის 17 ხიდის აგება. ამ მიმართულების სარგებლიანობა დასაბუთებული იყო დარგის მცოდნის, ჯუმათის რკინიგზის სადგურის უფროსის – ვ. მასხულიას მიერ ქუთაისში „ვესტნიკ ზაკავკასკის ქელეზნი დაროგის“ 1911 წლის N8-ში გამოქვეყნებულ წერილში („შავი ზღვის რკინიგზა და მისი მიმართულება“, აგრეთვე გაზეთ „ზაკავკასკაია რეჩის“ ზოგიერთ კორესპონდენციაში²).

მთაგორიანი რელიეფის სახით დაბრკოლების დაძლევის ქალაქის თვითმიმართველობა სამი პატარა გვირაბის გაყვანით ფიქრობდა. ამ ადგილებში გზის გაყვანა პირველი შეხედვით ძლიერ საძნელოა, წერდა გაზეთი „კოლხიდა“, მაგრამ ეს საძნელე ადვილად დაიძლევა, თუ გაკეთდება სამი პატარა გვირაბი, პირველი 49-ე ვერსზე (რიონის სადგურ-

¹ ქუთაისის ისტორიული არქივი, ფ. 108, ს. 425, ფურც. 5-7; გაზ. „კოლხიდა“, №122, 27. 08, 1911; კეკელია ი., ბანძა – ესკიზები სოფლის წარსულიდან, I, ქუთ., 2020, გვ. 81-82.

² მჭედლიძე გ., ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები (1892-1921 წწ.), ქუთ., 1993, გვ. 94.

რიდან), სიგრძით 250 ვერსი; მეორე გვირაბი 67-ე ვერსზე, სიგრძით 250 საჟენი, და მესამე 69-ე ვერსზე, სიგრძით 800 საჟენი; ეს ორი უკანასკნელი გვირაბი შეამოკლებს გზას 2,40 ვერსით. 82-ე ვერსზე რკინიგზა ისევ ვაკეზე დაეშვება და 84-ე ვერსზე მიაღებება ზუგდიდს სამხრეთ-დასავლეთის მხრით.

ამ მიმართულების გზას, სამი გვირაბის გაკეთების შემდეგ ექნება სიგრძე რიონის სადგურიდან ზუგდიდამდე 79,25 ვერსი; იმ შემთხვევაში კი, თუ შავი ზღვის რკინიგზა, მთავრობის პროექტის თანახმად, ახალსენაკში შეუერთდა არსებულ ამიერკავკასიის რკინიგზას, სიგრძე ექნება რიონიდან ახალსენაკამდე 54,70 ვერსი და ახალსენაკიდან ზუგდიდამდე 37,38 ვერსი, სულ რიონიდან ზუგდიდამდე – 92 ვერსი; ამგვარად, მეორე მიმართულების რკინიგზა 12,75 უფრო მოკლე იქნება პირველზე, მთავრობის მიერ განზრახულზე (92-79,2512,75 ვერსი)¹.

ახალსენაკიდან დაბა ზუგდიდის მიმართულებით სოხუმისაკენ რკინიგზის ხაზის გაყვანის საკითხი არაერთხელ გამოუქმებულა XIX ს-ის 80-იანი წლების ქართულ პერიოდულ პრესაში. გიორგი ჩიჩუა გიორგი ერისთავისადმი გაგზავნილ წერილში ითხოვდა, რომ რკინიგზის გაყვანა მომხდარიყო ახალი სენაკის სტანციიდან ზუგდიდზე, სოხუმამდის. თუ ეს ასე მოხდება, სამეგრელოს თავადი უფასოდ აძლევს საკუთარ ადგილს, რაც რკინიგზის ლიანდაგისთვის იქნება საჭირო, და აგრეთვე, რაც მას ხვედრი ტყიდან დასჭირდებათ ტრავერსებისათვის. აქედან ჩანს, რომ თავადი ნიკოლოზ მეგრელიისა დიდად თანაუგრძნობს და თავის მხრით ყოველს ღონისძიებას ხმარობს ამ საგნის განხორციელებისათვის, – აღნიშნავს გაზეთი „ღროება“².

ქუთაისის ახალი სადგურის გარდა, აღნიშნავს გაზ. „კოლხიდა“, –

¹ გაზ. „კოლხიდა“, №122, 27 აგვისტო, 1911, გვ. 2; ნიკოლეიშვილი მ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 70-71.

² „ღროება“, №72, 6 აპრილი, 1885, გვ. 3-4.

რომელიც რიონის სადგურიდან 7 ვერსით იქნება დაშორებული, განზრახულია გაკეთდეს კიდევ შემდეგი სადგურები: წყალტუბო (მე-19-ე ვერსზე რიონის სადგურიდან), ხონი (30-ე ვერსზე), მახაში (48-ე ვერსზე), ჭანის-წყალი (68-ე ვერსზე) და ზუგდიდი (84-ე ვერსზე). განმარტებით ბარათში ყურადღება გამახვილებულია იმ გარემოებაზე, რომ, თუ რკინიგზას მეორე მიმართულება მიეცემა, შესაძლებელი იქნება მატარებლების მოძრაობისათვის გამოყენებულ იქნეს მთის მდინარეების ჰიდროავლიკური ძალა. ამ მხრით რკინიგზის გაყვანას ზუგდიდიდან ქუთაისისკენ ძლიერ დიდი უპირატესობა ექნება ზუგდიდ-ახალსენაკის მიმართულებაზე: დიდი და ჩქარი მდინარეები – ცხენისწყალი, აბაშა და ტენური აუარებელ ძალას მოგვცემენ ელექტრონული მოძრაობისათვის და სხვა საჭიროებათათვის. მარტო მდინარე ცხენისწყალი ხონის სადგურის მახლობლად მოგვცემს 50 000 ცხენის ძალას. ის მეტი ძალა, რაც რკინიგზისათვის საჭირო არ იქნება, შეიძლებოდა გამოეყენებინა კაცს მექანიკური და ელექტრომექანურული მიზნებისათვის¹.

საბოლოოდ, შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობასა და მისი ახალსენაკის გავლით ქუთაისში გაყვანის საკითხს წერტილი დაესვა 1914 წელს დაწყებული | მსოფლიო ომით. მხოლოდ ორი ათეული წლის შემდეგ, 1936 წელს განხორციელდა რკინიგზის ხაზის გაყვანა ახალსენაკიდან სოხუმაძედ, რითაც შესაძლებელი გახდა საქართველოს დედაქალაქთან – თბილისთან დაკავშირება.

ახალი ტიპის სატრანსპორტო საშუალებების – მატარებლის გამოჩენა ახალი ეპოქის დასაწყისად აღიქმებოდა ადგილობრივებისათვის, რასაც განსაკუთრებული ენთუზიაზმით ხვდებოდნენ. ეს განწყობა აღიბეჭდა ერთ-ერთ ხალხურ ლექსში, რომელიც დღემდე შემორჩა ქალაქს (მთქმელი როლანდ თოდუა, ჩამწერი ედიშერ ბალათურია): მატარებელ მოურ-

¹ გაზ. „კოლხიდა“, №122, 27 აგვისტო, 1911, გვ. 2.

სია, რაგადი' ე, ფაცია, ჯგეშ სანაკის დახირთუნი (ლ)არჩვას ნოდვე სტანცია. მუ ნძალა რე ურთანსუნი თეზმა ბარბალამსია, ქვაბი გოფურა-ფილი' ე დულა გვარგვალანსია „მატარებელი მოდისო, საუბარია, ფაცი-ფუცი, ძველ სენაკს რომ გამოსცდება, ლარჩვაში ჰქონია „სტანცია“ (სადგური). რა ძალაა, რომ აბრუნებს ნეტა ამდენ ბორბლიანსა, ქვაბი გა-ხურებულია, ცხელი წყალი კი დულს“¹.

1870 წელს წარმოქმნილ ახალსენაკს რკინიგზის ლიანდაგის გაყვანამ იერსახე შეუცვალა. ერთ დროს დაუსახლებელი ტერიტორია თვალსაჩინო დაბად და ფოთი-სამტრედიის სარკინიგზო ხაზზე, ამიერკავკასიაში, ერთ-ერთი პირველი რიგის საკვანძო პუნქტად გადაიქცა. ახლადწარმოქმნილი დაბა სწრაფად განვითარდა და მნიშვნელოვანი სავაჭრო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი გახდა ქვემო სამეგრელოში.

ინტერესს იწვევს კიდევ ერთი კორესპონდენცია, გამოქვეყნებული გაზეთ „დროებაში“, 1883 წლის №119-ში, სადაც საუბარია ახალსენაკელებისათვის რკინიგზის სიშორით შექმნილ პრობლემებზე. ბათუმის რკინიგზის გახსნამ სენაკელებს დავთარი აურიან. მოგვაკლდა საზოგადოების ნახვა, მოგვაკლდა კმაყოფილება. ამასთან, რა თქმა უნდა, სარგებლობაც მოგვაკლდება. ხალხისთვის განკუთვნილ ერთს-ორ ვაგონს მოაკონწიალებენ საბარგო ვაგონების ბოლოს და ასე გადაჰყავთ ხალხი ფოთიდან სამტრედიამდე. საკუთარი ხალხი მატარებლით არ დაჰყავთ ახლა ამ მანძილზე. ამ გარემოებას ისიც რომ მივუმატოთ, რომ სტანციი-

¹ ბალათურია ე., ქალაქის ბრენდინგი, როგორც პოსტსაბჭოთა პატარა ქალაქის შემოქმედებითი ტრანსფორმაცია (სენაკის მაგალითი). თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. სამაგისტრო ნაშრომი საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2018, გვ. 30-31; არსებობს ამ ლექსის მეორე ვარიანტიც: „მატარებელ მოურსია რაგადი' ე, ფაცია, სენაკიშე გინილენსი, ლარჩვას ი' ი სტანცია, ირფელ ართო გაფინთებე, მუ რე მოდვარანსია, მუ ძალა რე ურთანს(ი)ნი, თეზმა ბარბალამცია?! ირფელ ართო გაკოტირნ', რეიცას დახირთასია(ნ)“. ჩამწერის აზრით, ლექსში გადმოცემულია სენაკი-სოხუმის რკინიგზის ხაზის გაყვანის ისტორია, ანუ XX ს-ის 30-იანი წლები.

დან თითქმის ნახევარი ვერსის მოშორებით აჩერებენ მატარებლის ვაგონებს და მით მგზავრს უძნელდება სტანციაზე მოსვლა, სწორედ როგორც მგზავრნი, შესაბრალისნი ვართ, – აღნიშნავს ავტორი¹.

ამდენად, XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანით დაიწყო ახალი ეტაპი სამაზრო და სხვა დაბების ზრდა-განვითარებაში. რკინიგზის ხაზმა გავლენა იქონია საქართველოს ცალკეული მხარეების სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობაზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა სატრანსპორტო ვაჭრობა და სავაჭრო ოპერაციების მოძრაობა. გაიზარდა მოთხოვნილება სამშენებლო მასალაზე, განვითარდა ხე-ტყის დამამუშავებელი მრეწველობა.

¹ „დროება“, №119, 23 ივნისი, 1883, გვ. 3.

**თავი V. ახალსენაკის სოციალურ-
ეკონომიკური ვითარება
XIX ს. 70-იან-XX ს. 10-იან წლებში**

საქართველოში, ძველი დროიდანვე განვითარებული მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ქვეყანაში, უშუალოდ მწარმოებელ ძალას გლეხი წარმოადგენდა. მეურნეობის ძირითადი უჯრედი გლეხის ფუძე, საკომლო მიწა იყო. მრავალსაუკუნოვანი დაკვირვებისა და ემპირიული გამოცდილების შედეგად სწორედ გლეხს გამოჰყავდა მარცვლეულის, ვაზისა და ხეხილის სხვადასხვა ჯიშები, მოაშენებდა ცხენს, ხარს, ძროხას, კამეჩს, ცხვარს, თხას, ღორს, ფრინველს. მისდევდა მეფუტკრეობას და მეაბრეშუმეობას. წარმატებას მიაღწია შინამრეწველობაშიც. სახელმწიფოს ძლიერების ძირითად საფუძველს გლეხური მეურნეობა შეადგენდა¹.

გლეხობის საშოვარზე გასვლის ძირითად მიზეზად პ. გუგუშვილი ეკონომიკურ გაჭირვებას ასახელებს. 1870-80-იანი წლებიდან სოფლის შემდგომი დიფერენციაციის პროცესში მცირემიწიანი და უმიწაწყლო გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი ადრე თუ გვიან იძულებული ხდებოდა დაეტოვებინა მამაპაპური საცხოვრებელი ადგილი და შორეულ თუ ახლობელ რაიონებში გადახვეწილიყო, ჯერ, როგორც წესი, დროებით საშოვარზე წასვლის სახით, ხოლო შემდეგ სამუდამოდაც².

ფულადი-სასაქონლო და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ერთ-ერთი გამოხატულება რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოში ვაჭართა სოციალური ფენის რიცხოვნობის ზრდა იყო, რომლის უდიდესი ნაწილი ქალაქებსა და სავაჭრო-სამრეწველო დაბა-სოფ-

¹ ბენდიანიშვილი ა., გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში, თბ., 1989, გვ. 14.

² გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. II, თბ., 1956, გვ. 784.

ლებში ეწეოდა კომერციულ საქმიანობას¹.

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ვაჭართა უძრავლესობა გლახობა წრიდან იყო გამოსული, მაგრამ, ამასთანავე, ვაჭრობაში ჩაბმული იყვნენ თითქმის ყველა სოციალური წრის, ყველა წოდების წარმომადგენლები: ხელოსნები, აზნაურები, თავადები, მოხელეები².

როგორც აღინიშნა, სასაქონლო წარმოების სწრაფი ზრდის პირობებში გლახი იძულებული იყო, რომ ფულის საშოვნად გასულიყო და თავისი სამუშაო ძალა გაეყიდა. ამასთანავე, სოფლის წვრილ ბურჟუად ქცეული გლახი ვაჭრობით დიდხალ ქონებას აგროვებდა. ვაჭრობის განვითარებისათვის ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა ქალაქების მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა, სავაჭრო მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ზრდა და ფაბრიკულ საქონელზე მოთხოვნილების გადიდება. ქალაქში გასული გლახობა ეწერებოდა მეშხანთა და ვაჭართა წოდებაში. ლ. ბერძენიშვილი ყურადღებას ამახვილებს ამ ფაქტის თანხლებ პროცესზეც, კერძოდ, ამავე პერიოდში ძალიან ძლიერი იყო ტენდენცია ქალაქელი ვაჭარ-მრეწველების სოფლად დამკვიდრებისა. ისინი დიდი რაოდენობით ყიდულობდნენ ადგილ-მამულს, ხსნიდნენ სავაჭრო მაღაზიებს, ფარდულებს³.

გლახობის საშოვარზე გასვლას მასობრივი ხასიათი ჰქონდა განსაკუთრებით მოუსავლიან წლებში, XIX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულიდან XX საუკუნის 10-იან წლებამდე, რაც ზოგიერთ მაზრას, გუბერნიას თუ მთელ ქვეყანას ერთად, პერიოდულად დაატყდებოდა გვალვების, ხშირი წვიმების, სეტყვის, ფილოქსერის, საქონლის ჭირისა

¹ იქვე, გვ. 44.

² საქ. ცსია, ფ. 254, აღწ. 3, საქ. 3546, გვ. 23-25; საქ. 3513, გვ. 7-12, საქ. 3384, გვ. 1-7.

³ საქ. ცსია, ფ. 254, აღწ. 3, საქ. 2229, გვ. 603-611, 1013, 838-842, 1040-1046, 1166-1170, 1176-1178, 1181-1183; ბერძენიშვილი ლ., აღმოსავლეთ საქართველოს სავაჭრო-სახელოსნო დაბასოფლები 1865-1917 წლებში, თბ., 1990, გვ. 44-45.

და სხვათა შედეგად. ასეთი პერიოდები აუძლურებდა გლახობას, აძლიერებდა სოფლის სოციალურ დიფერენციაციას და აძლიერებდა გადატაკებული გლახობის საშოვარზე ლტოლვას¹.

მიწის სივიწროვით გამოწვეული გლახობა გაჭირვება განსაკუთრებით საგრძნობი იყო ქუთაისის გუბერნიაში. ამიტომ მცირემიწიანი გლეხები დამატებით საშოვარს რკინიგზის ხაზზე და ქვის კარიერებზე ეძებდნენ, ხელს კიდებდნენ ხე-ტყის დაცურებას, ყავრის დამზადებას, ამზადებდნენ და ყიდდნენ ხის ნახშირს, შეშას, კაკლის ხეს და ა. შ. ეს პროცესი, თავისთავად, იყო ერთგვარი ხელშემწყობი ფაქტორი სოფლად შინამრეწველობისა და ხელოსნობის განვითარებისა. გლახობის ნაწილისათვის შემოსავლის მნიშვნელოვან და ძირითად წყაროს წარმოადგენდა მჭედლობა, ზეინკლობა, ხარატობა, ღურგლობა, მეთუნეობა, მღესაობა და სხვ.²

მოსახლეობის სოფლიდან ქალაქებში გადასახლების ტენდენცია განსაკუთრებით შეიმჩნეოდა 90-იან და 900-იან წლებში. გლახობა მიეშორებოდა ბათუმში, ფოთში, ახალსენაკში, სამტრედიასა და სხვა სარკინიგზო პუნქტებში, ჭიათურაში – მარგანეცის მაღაროებში, სოხუმის ოკრუგში – თამბაქოს პლანტაციებზე სამუშაოდ. „ყველას კარგად მოეხსენება, – წერდა 1903 წელს ალ. წულუკიძე, – თუ როგორ აამოძრავა ეკონომიურმა სივიწროვემ ჩვენებური გლეხები: სვანი, რაჭველი, იმერელი, კახელი, ქართლელი ურიცხვად მოედინებთან ქალაქებისაკენ და ადგილს დაეძებენ“³.

900-იან წლებში, განსაკუთრებით 1907-08 წლებიდან მოყოლებული,

¹ გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. V, გვ. 784-785.

² გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. V, გვ. 789.

³ წულუკიძე ალ., თხზულებანი, 1943, გვ. 116.

შეიძინევა სამხრეთ რუსეთის მრეწველობის ცენტრებში დამზადებული სოფლის მეურნეობის (მიწათმოქმედების) გაუმჯობესებული სახვნელი იარაღ-მანქანების შემოზიდვა, ძირითადად – ფოთის ნავსადგურიდან, რაც შეუჩერებლად იზრდებოდა | მსოფლიო ომამდე. უშუალოდ რკინიგზის რაიონში მდებარე მაზრებს შორის დასავლეთ საქართველოში აღსანიშნავია ქუთაისისა და სენაკის მაზრები, სადაც უფრო მეტად ვრცელდებოდა შემოტანილი იარაღ-მანქანები¹.

სენაკის მაზრის მოსახლეობა, წერს ბ. შენგელია, ძირითადად მიწათმოქმედებით იყო დაკავებული. უხვად მოჰყავდათ სიმინდი, მისდევდნენ მეცხოველეობას, მევენახეობას და მებარეშუმეობას. ვაჭრობის თანდათანობით განვითარების შემდეგ დაიწყო უცხოეთის ბაზრებზე აქაური სიმინდის, ხე-ტყისა და აბრეშუმის გატანა².

ღვინო საყოველთაო მოხმარების საგანი იყო სამეგრელოსა და ლეჩხუმში, ჯერ კიდევ XIX ს. 30-იან წლებში. ზუგდიდის სამოურავოდან ღვინო სავაჭროდ გაჰქონდათ ქუთაისში, ხოლო სენაკის სამოურავოდან – რედუტ-კალეში. 40-50-იან წლებში გურია-სამეგრელოში ღვინით ვაჭრობის განვითარებაზე მეტყველებს ამ მხარეებიდან ღვინოების ქუთაისში, ყულევში, ახალციხესა და გორში, ხოლო ზღვით – ქერჩში, ნოვოროსიისკში, ფეოდოსიაში, ტაგანროგსა და ოდესაში გატანა³. სენაკი და მისი მიმდებარე სოფლები მევენახეობა-მელვინეობის განთქმულ მიკრორაიონს წარმოადგენდა.

XIX ს. მიწურულს სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში სოკოვანი დაავადებების (ფილოქსერას) გავრცელებით ვაზის ადგილობრივი ჯიშების

¹Кавказское хозяйство, 1910, #12, ст. 4-5; გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. III, თბ., 1959, გვ. 111.

² შენგელია ბ., ახალსენაკის ისტორიიდან. გაზ. „კოლხეთი“, №61, 23 მაისი, 1989, გვ. 1.

³ გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. V, 1962, გვ. 502

შემცირებისა და თითქმის განადგურების გამო, სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში მევენახეობა დაეცა და ვენახებისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთები თანდათან სიმინდის სათეს ფართობებად იქცა¹.

XIX საუკუნის სამეგრელოში საყოველთაო მოხმარების მარცვლეულ კულტურას ღომი და სიმინდი შეადგენდა. 1880-იან წლებში სენაკის მაზრის სოფლებში, ე. ი. მისი გავრცელების მთავარ რაიონში, ღომი კარგ მიწას და განსაკუთრებით მეტ მუშაობას მოითხოვდა. ამასთანავე, სიმინდთან შედარებით ნაკლებ მოსავალს იძლეოდა და მხოლოდ შეძლებული გლეხები თესდნენ². XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან სამეგრელოში ღომი საკმაოდ იშვიათ საკვებს წარმოადგენდა. „სიმინდმა არა მხოლოდ ღომი... გამოდევნა, არამედ უწინარეს ძალზე შეავიწროვა და თითქმის მოსპო ჭადი... ჭადისაგან გაკეთებული პური შეცვალა სიმინდისაგან წარმოებულმა, რაც იქიდანაც ჩანს, რომ სიმინდისაგან გაკეთებულმა მთავარმა საკვებმა სწორედ მისი სახელწოდება მიიღო, რაც სიმინდის მიერ ჭადის როლისა და მნიშვნელობის დაკავების მაჩვენებელია“³.

სიმინდის კულტურა ფრიალ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სენაკის მაზრის მარცვლეულ მეურნეობაში. XIX საუკუნის II ნახევარში ის უკვე საფსებით იყო გაბატონებული ქუთაისის გუბერნიაში. 1884 წლის მონაცემებით ქუთაისის გუბერნიაში აღებული 4651 ათასი ჰექტერტი სიმინდიდან ნახევარზე მეტი მხოლოდ სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში მოდიოდა⁴. უმეტესი წილი სიმინდი სენაკის მაზრიდან რიონით ფოთში ჩაჰქონდათ. გადატანის ფასი ძალიან იაფი ჯდებოდა.

¹ ჯიშკარიანი პ., ზუგდიდის მაზრის სოციალ-ეკონომიური და კულტურული მიმოხილვა (1870-1921 წწ.). გაზ. „მებრძოლი“, №3, 1963, 4 იანვარი.

² გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. III, თბ., 1959, გვ. 263.

³ იქვე, გვ. 263-264.

⁴ იქვე, გვ. 268.



ახალსენაკი. ბარონ დე ბაის ფოტო. 1901 წ.

სამეგრელოში სიმინდი მთავარი საექსპორტო პროდუქტი იყო. მსხვილ ვაჭართა მიერ მოწოდებული ცნობების მიხედვით ფრანგი მოგზაური ჟიულ მურიე აღნიშნავს, რომ რედუტ-კალედან და ანაკლიიდან ყოველწლიურად ორი მილიონი ფუთი სიმინდი იგზავნება კონსტანტინოპოლში, რუსეთსა და საფრანგეთში და ვაჭრობის ეს დარგი ქვეყანას წელიწადში მილიონ რუბლ შემოსავალს აძლევს¹.

ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანის შემდეგ, 1900-იან წლებამდე, ახალსენაკიდან ფოთის ნავსადგურით დასავლეთ საქართველოდან გატანილი საექსპორტო სიმინდის 35% სენაკის მაზრაზე მოდიოდა. 1909-

¹ ჟიულ მურიე, სამეგრელო, გვ. 279.

1913 წლებში 1 დესეტიანა მიწაზე სენაკის მაზრაში მოდიოდა საშემოდგომო ხორბალი 45 ფუთი, საგანაფხულო – 41, ხოლო ქერი – 48 ფუთი¹.

სენაკის მაზრის ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა და გლეხური მეურნეობის ერთგვარ აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა მეძეობა და მეფრინველეობა. პ. გუგუშვილი იმოწმებს დ. ნოსოვიჩის ცნობას, რომ 1884 წელს სამეგრელოს დაბებში ყოველკვირეულ ბაზრობებზე მახლობელი სოფლებიდან სისტემატურად მოჰქონდათ გასაყიდად, ან სხვადასხვა სამრეწველო საქონელზე გასაცვლელად, როგორც ყველი და აბრეშუმი, აგრეთვე მეფრინველეობის პროდუქტები – კვერცხი და სხვ.² საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სენაკი, აბაშა, კულაში, საჯავახო, ქუთაისი, ლანჩხუთი და, განსაკუთრებით სამტრედია, 1880-1890-იანი წლებიდან მეფრინველეობის პროდუქტთა მთავარი მიმწოდებელი პუნქტები იყვნენ³. ამიერკავკასიის მთელი სავაჭრო-სამრეწველო და ადმინისტრაციული ცენტრებისა და კურორტების მომარაგება ცოცხალი თუ დაკლული ფრინველითა და კვერცხით ამ პუნქტებიდან ხდებოდა.

1890-იან წლებში მეფრინველეობა ყველაზე უფრო გავრცელებული ყოფილა ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის, სენაკის, ოზურგეთის, ქუთაისისა და შორაპნის მაზრებში. გუბერნიის ოფიციალური მიმოხილვა იუწყებოდა, რომ 1906 წელს, ჩამოთვლილ მაზრებში გვხვდება მეურნეობანი, რომლებიც ზრდიან 500 ცალზე მეტ სხვადასხვა სახეობის შინაურ ფრინველს... მეფრინველეობის პროდუქტებზე უზარმაზარი მოთხოვნილების მიუხედავად, ფრინველის ხორცი ახლა უფრო ხშირად გლეხობის

¹ იქვე, გვ. 268.

² გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. III, თბ., 1959, გვ. 625.

³ Журн. «Кавказское сельское хозяйство», №420, 1902, с. 3.

მიერ მოიხმარება, ვინემ წინა წლებში¹. XIX საუკუნის 90-იან წლებში საშუალოწლიურად გაზრდილი ფრინველიდან (ქათამი, ინდაური, ბატი) სენაკის მაზრის მოსახლეობის ერთ კომლზე საშუალოდ მოდიოდა 389 ფრთა².

სამეგრელოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და უძველეს დარგს მეაბრეშუმეობა წარმოადგენდა. XIX ს-ის 40-60-იან წლებში დასავლეთ საქართველოს მეაბრეშუმეობის რაიონებში დაარსებული აბრეშუმის ძაფსახვევი საწარმოებიდან ცნობილია 1847 წელს ფრანგი ვაჭრის, გრაფ როზმორდიუკის მიერ ზუგდიდში გახსნილი აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა (იარსება 1865 წლამდე), ქართველი აზნაურის – ჩიჯავაძის მიერ 1852 წელს სოფ. საბეკაში გახსნილი საწარმო; ამავე წელს აბრეშუმის ძაფსახვევი საწარმო ნ. რაიკომ გახსნა სოფ. მარანში, 1858 წელს ვარიანცმა – სოფ. ორპირში, დეფურმა – ქუთაისში, 1860 წელს ვაჭარმა ბ. სიჭინავამ – სოფ. ლესიჭინეში, 1861 წელს გოხშტრაზერმა – სოფ. მარანში, ცხენისწყლის შესართავთან³. ხსენებული ფაბრიკებიდან მნიშვნელოვანი იყო როზმორდიუკისა და გოხშტრაზერისა, სადაც უცხოეთიდან ჩამოტანილი ორთქლის მანქანები ყოფილა მოწყობილი⁴. ბ. სიჭინავას მიერ 1872 წელს ლესიჭინეში ხელმეორედ გახსნილი საწარმო მანუფაქტურიდან მანქანურ წარმოებაზე გარდამავალი ტიპის საწარმო იყო⁵. 1885 წელს ამ ქარხანაში 8 ორთქლის ქვაბი, ოთხი ცხენის ძალის ერთი ორთქლის მანქანა, 32 დაზგა და ამდენივე თი-

¹ Обзор Кутаисск. губ. за 1906 г., с. 33-34.

² Журн. «Кавказское сельское хозяйство», №435, 1902, с. 341.

³ ვახტანგიშვილი თ., კაპიტალისტური მრეწველობის ფაბრიკულ (მანქანურ) სტადიაზე გადასვლა საქართველოში, თბ., 1976, გვ. 45-46, და იქვე მითითებული ლიტერატურა.

⁴ იქვე, გვ. 46.

⁵ ვახტანგიშვილი თ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 57; სიჭინავა ა., საქართველოში მეაბრეშუმეობის ისტორიიდან (ბასა სიჭინავას აბრეშუმსახვევი საწარმო სოფელ ლესიჭინეში). „მოამბე“, I, ხხოროწყუს მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმის სამეცნიერო-შემოქმედებითი ჟურნალი, ხხოროწყუ, 2012, გვ. 14.

თისტარში მოქმედებდა. საწარმო 66 მუშით 10 300 მანეთის ნაწარმი და-
ამზადა¹.



ახალსენაკის გერბი. XX ს-ის დასაწყისი

თავად ვასილ ბებუთოვის თხოვნის პასუხად 1852 წელს სამეგრელოს მთავარ დავით დადიანის მიერ დაწერილ „უსტარში“ აღნიშნულია, რომ აბრეშუმს „ძველთა ღროითაგანვე გამოაკეთებდიან მომცრო თავის ოჯახის საჭიროებისათვის ჩასაცმელათ, გარნა ეს მეშვიდე წელიწადია ფაბრიკაც გაკეთდა ზუგდიდს გრაფ როზმორდუქის მიერ, რომელიც სყიდულობს პარკსა და ახვევს ფრანციულ გვარათ. ამან მოიყვანა თან ორი დედაკაცი ფრანციიდან აბრეშუმის ამოხვევის ოსტატნი და პირველ წელიწადსვე ასწავლეს ამათ სხვათა ქალთა აქაურთა გვარი ხვევისა და აწ უკვე არიან ათ-თუთხმეტი მცოდნე ქალი აქაური, რომელნიცა მსგავ-

¹ იქვე, გვ. 58.

სათ ფრანციული ქალებისა ახვევენ. ეხლა შენდება დიდი ფაბრიკა, სადა-ცა დაიდგმის თავის გამართულობით სამოცი მაშინა და წელსავე იწყებს მოქმედებას. შარშან პირველათ ამოიხვა ათსა-მეტი ფუთი ძაფი აბრეშუმისა და გაისყიდა ლიონსა შინა ორას ერგასის მანეთად თითოეული ფუთი... მცხოვრებთა ოჯახში გაკეთებული აბრეშუმი ისყიდება თბილისს, გააქვსთ ოსმალში, აგრეთვე აფხაზეთში“¹.

ფრანგი მოგზაურის – ჟიულ მურიეს ცნობით, „თითქმის ყველგან, სადაც ვაზი ხარობს, თუთის ხეები გვხვდება. მაშასადამე, თუთის მოსაშენებლად და აბრეშუმის ჭიის მოსაყვანად სამეგრელოზე უფრო შესაფერისი კუთხე არ არსებობს. მიუხედავად ამისა, გლეხობის უფიცობისა და უღარდელობის გამო წარმოების ეს დარგი, სამწუხაროდ, უყურადღებოდაა მიტოვებული“².

სენაკის „ოკრუგის“ მმართველობა ცდილობდა დახმარებოდა მოსახლეობას აბრეშუმის ჭიის ჯანსაღი თესლის მიწოდებაში. 1863 წლის 30 აპრილს სამეგრელოს, სამურზაყანოსა და სვანეთის მმართველის მიერ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისადმი წარდგენილი მოხსენებითი ბარათის მონაცემებით იმ დროს ზუგდიდისა (10 912 კომლი) და სენაკის (12 506 კომლი) „ოკრუგში“ მცხოვრები 23418 კომლიდან მებაბრეშუმეობას არანაკლებ 10000 კომლისა მისდევდა, და ითხოვდა ორივე ოკრუგის მოსახლეობისათვის 8 ფუთი აბრეშუმის ჭიის თესლის გამოწერას ნუხიდან, ანდა იაბონიდან და ჩინეთიდან³.

¹ მეუნარგია ი., სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, გვ. 102.

² ჟიულ მურიე, სამეგრელო, გვ. 271-272.

³ გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. III, გვ. 722.



ახალსენაკელი გლეხები. ბარონ დე ბაის ფოტო. 1901 წელი.

XIX საუკუნის 90-იანი წლების ამიერკავკასიაში აბრეშუმის პარკის რეალიზაციის მთავარი პუნქტები იყო სენაკი, აბაშა, ხონი, ბანძა, სამტრედია, ლესიჭინე... აბრეშუმის პარკის რეალიზაციის მხრივ მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებსა და სოფლებში გაჩნდა აბრეშუმის პარკის საწყობები, საშრობი და ძაფსახვევი ქარხნები. ასეთ პუნქტებში თავს იყრიდა მეზობელი თემების სხვა პროდუქციაც, რაც ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას¹.

¹გ. ელიავა „თეკლათის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში რკინიგზის ბაქნის მან-ლობლად მიუთითებს ადგილ „ნაყაზარმუს“, სადაც ყოფილა აბრეშუმის ყაზარმა. ტოპონიმს ახლავს სილიბისტრო და აპალონ გვარამიების გადმოცემა: აქ ებრაელი კაცი აბრეშუ-

მეაბრეშუმე გლეხის მიერ ნედლი პარკის გაყიდვა ხდებოდა უახლოეს ბაზარში გატანით. ამასთანავე, თვით წარმოების ადგილებში, სოფლებში მოსული წვრილი შემსყიდველები წვრილი მწარმოებლისაგან ადგილზე იძენდნენ ამოხვეულ აბრეშუმს. „შემსყიდველი... წინასწარ ავალიანებდა წვრილმწარმოებელს, აძლევდა მას ბეს, ასესხებდა ფულს, ან ნისიად აწვდიდა მრეწველობის საქონელს თავისი დუქნიდან, ხშირად პირობით, მომავალი მოსავლის (პარკის) ანგარიშში აძლევდა თვით გრენას, რომ გლეხმა, ბოლოს, ვალი აბრეშუმის პარკის ჩაბარებით დაფაროს – რეალიზაციის პერიოდში არსებული მაზანდის (ფასის) მიხედვით. ასეთ პირობებში წვრილი გლეხისაგან პარკის შესყიდვა ხშირად, ეკონომიკურის თვალსაზრისით, არათურით განსხვავდებოდა პირდაპირი ძარცვისაგან“¹.

გაზეთ „ივერიის“ 1893 წლის №125-ში გამოქვეყნდა ინფორმაცია ახალსენაკში მეაბრეშუმეობის მდგომარეობის შესახებ: წელს აქეთ საზოგადოდ გვარიანი მოსავალი იყო აბრეშუმისა, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ფასი არა აქვს. ჯერჯერობით არც არავინ მოსულა მყიდველი. მხოლოდ აქაური ებრაელი ვაჭრები თუ იყიდიან რჩეულ აბრეშუმის ძაფს, 4-5 მანეთად ოყას (3 გირვ.), ისიც ღვთის წყალობაა. აქაურები ისევე ჩვენებურ, ძველებურ ჯიშის აბრეშუმის ჭიის მოშენებას მისდევენ და ამიტომაც, რომ მცირე ფასსაც აძლევენ. წერილში აღნიშნულია, რომ ერთი აქაური მოვაჭრე პავლე ხმალაძე გულმოდგინედ შეუდგა, საზოგადოებისათვის დაენახვებინა, თუ რა კარგი ჯიშისა და რამდენად სასარგებლოა ევროპული ჭიის მოშენება. საბედნიეროდ ხმალაძის შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ამ კაცმა ზოგიერთ ღარიბსა და ხელმოკლე ხალხს მუქთად დაურბია სათესლედ პარკი და ჩააგონა ამ ჯიშის ყაჭი

მის პარკს აშრობდა და გასაყიდად სათათრეთში გაჰქონდა. იხ. ელიავა გ., სენაკის რაიონის ტოპონიმია, გვ. 27.

¹ იქვე, გვ. 749.

მოეშენებინათ. რაკი საზოგადოებამ ეს შეიტყო, ყველანი სულ იმის ნატვრაში არიან, ნეტა ვინმე გამოჩნდებოდეს ისეთი კაცი, რომელიც ევროპული ჭიის თესლს მოიტანდეს გასასყიდადაო. კარგას იზამდა ტიფლისის აბრეშუმის სადგურის მმართველი, რომ გამოგზავნიდეს აქ ხალხში გასავრცელებლად და გასასყიდად კარგი ფირმის ჭიის თესლს, რომელიც არამცთუ სენაკის მაზრაში გავრცელდება, არამედ მთელს სამეგრელოსთვის სასარგებლო და ხელსაყრელი იქნება“¹.



ახალსენაკელი გლეხი. ბარონ დე ბაის ფოტო. 1901 წ.

ჩარჩ-ვაჭრების მიერ გლეხ მებარეშუმეთა ძარცვის შესახებ კორესპონდენციები ხშირად ქვეყნდებოდა პრესის ფურცლებზე. გაზეთ „ივერიის“ 1894 წლის ნომერში ცნობილი საზოგადო მოღვაწე ტრიფონ კა-

¹ „ივერია“, №125, 16. 06. 1893, გვ. 2.

ლანდარშივილი წერდა, რომ სამეგრელოსა და, განსაკუთრებით სენაკის მაზრაში, აბრეშუმის კარგი მოსავალი იყო. ეს ხუთი-ექვსი წელიწადი იქნება მას აქეთ, რაც ასეთი უხვი მოსავალი არ უნახავს ჩვენს ქალებს. მაგრამ უბედურება და სავალალო ის არის, რომ ვიღაც ბერძნებისაგან მიუღიათ ჩვენს ქალებს თესლი, იმ პირობით, რომ რასაც მოიყვანდნენ, იმისი ნახევარი ბერძნებისათვის უნდა მიეცათ. მართლაც, წელს კარგი მოსავალი გამოუვიდა აბრეშუმსა და რაკი ეს ბერძნებმა დაინახეს, მაშინვე მიჰყვეს ხელი თავიანთ ხერხსა და ხრიკს, მაგრამ ამაოდ. ესენი ეუბნებოდნენ ქალებსა, ორი წილი ჩვენია და ერთი წილი თქვენიო, მაგრამ ქალებმა ამ პირობაზე უარი რომ უთხრეს, გულმოსულმა ბერძნებმა შეჰკრეს პირობა სხვა ბერძნებთანაც და ახლა ჩალის ფასად ყიდულობენ აბრეშუმსა. ცეცხლია აბრეშუმის ასე გაყიდვა, მაგრამ რა ქნან, როდესაც ისევ იმ ბერძნებისაგან ხმა დადის, ვითომც ქარხნებშიც კიტრის ფასი ჰქონდეს აბრეშუმს. თუ ვისმეს გაყიდვა უნდა, ახლა გაყიდოს, თორემ მერე მუქთადაც არავინ წაიღებსო. ამ ამბით შეშინებული ქალები ყიდიან აბრეშუმს იმ ფასად, როგორც ბერძნების სურვილი არის... ჩვენი თვალით გვინახავს: ახალსენაკში ჩამოდინან გატიტვლებული ბერძნები, ძონძებით, მეორე და მესამე თვეზე კი ისე იცვლიან ფერს, რომ ვერც კი იცნობთ¹.

1895 წელს გაზეთ „კვალში“ გამოქვეყნებული კორესპონდენციიდან ირკვევა, რომ ხონში, სენაკში, ხობსა და სხვაგან იციან ცხენების, ძროხასარების და სხვა ამგვარი ოთხფეხი საქონლის ყიდვა-გაყიდვა და გაცვლა-გამოცვლა. სამაგიეროდ ოზურგეთის მაზრის სოფელ ქვემოხეთში, თავად ვ. ერისთავის მამულში, 29 ივნისს, პეტრეპავლობას დაწყებული 12-დღიანი ბაზრობა აბრეშუმის ყიდვა-გაყიდვაზეა აღმოცენებული, სადაც ვაჭრები იკრიბებიან თითქმის ყველა ჩვენი დაბა-ქალაქიდან: ქუთაისიდან, ოზურგეთიდან, ნაგომარ-ჩოხატაურიდან, აბაშა-სუჯუნიდან,

¹ „ივერია“, №144, 8. 07. 1894, გვ. 2.

კულაშიდან და სხვ. ამ ბაზრობას მრავალი სხვადასხვა სოფლები სწვდებოდა საავაჭროდ – გურიის უმეტესი ნაწილი, აგრეთვე ნაწილი სამეგრელოში, საჭილაოს მხარე და იმერეთის სოფლები...¹

აბრეშუმის პარკზე ფასებს და უცხოეთში კოოპერატიული გზით გასაღებას „მეაბრეშუმეთა ამხანაგობა“ აწესრიგებდა. სამეგრელოში საექსპორტო აბრეშუმის მთავარი პუნქტები იყო ახალსენაკსა და აბაშაში. 1897 წელს ქუთაისსა და სენაკში ჩამოყალიბდა მეაბრეშუმეთა ამხანაგობები, რომლებიც „აბრეშუმის პარკის რეალიზაციის საქმეში თანდათანობით უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. ისინი კონკურენციას უწევდნენ პარკის შემსყიდველებს და ამ საქონელზე მინიმალური ფასების დაწესების საშუალებას არ აძლევდნენ“².

გაზეთ „ჩვენი საქმის“ 1909 წლის №7-ში გამოქვეყნდა ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის განცხადება აბრეშუმის ჭიის სალი და ხარისხიანი თესლის მიწოდების შესაძლებლობაზე. ამხანაგობის გამგის – კოლია ცაგარეიშვილის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველმა ამხანაგობამ შეიძინა უფრო კარგ პირობებში სალი და უტყუარი აბრეშუმის თესლი „ძმები პასხალიდების“ ფირმისა, რომელსაც ამხანაგობამ დაუკვეთა თავის ღროზე. ამხანაგობა ურჩევდა მეაბრეშუმეებს, რომ შეეძინათ აბრეშუმის ჭიის თესლი მეაბრეშუმეთა ამხანაგობისაგან და ყიდვის ღროს მიექციათ ყურადღება ამხანაგობის ფირმისა და ბეჭდისათვის. ამხანაგობის ჭიის თესლი იყიდებოდა სოფელ კუხში (ამხანაგობის კანტორაში), ბათოში, ოზურგეთის მაზრაში, ქუთაისში, დიდ ჯიხაიში, ხონში, სამტრედიასში, ნაოლალეხსა და სხვაგან. ჭიის თესლის შექენა შესაძლებელი იყო

¹ „კვალი“, №37, 1895, გვ. 6-7.

² ნოშტარია ე., კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში რევოლუციის შემდეგ (1865-1900 წწ.). ვაჭრობა და კრედიტი. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. V, თბ., 1970, გვ. 423.

აგრეთვე ახალსენაკში, ვარლამ ალექსის ძე ჩაჩიბაიასთან¹.

გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა მეაბრეშუმეობის, როგორც სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის პოპულარიზაციისათვის. თქმულის საილუსტრაციოდ აქვე დავიმოწმებთ გაზეთ „ივერიაში“ 1899 წელს ტრიფონ კალანდარიშვილის ავტორობით გამოქვეყნებულ პუბლიკაციას, ახალსენაკში სოფლის ნაწარმის გამოფენის მოწყობის შესახებ. 20 ივლისს ახალსენაკში გაიმართა სოფლის ნაწარმის გამოფენა იოსებ ქუთათელაძის² თაოსნობით. გამოფენამ სამ დღეს გასტანა. გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს სამინისტრო და საეკლესიო სამრევლო სკოლების მასწავლებლებმა და სოფლებმა. 20 ივნისს აქაური ნორმალური სკოლა, სადაც გამოფენა იყო მოწყობილი, მშენებელ სანახაობას წარმოადგენდა. დიდიდან ხალხი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ყველა გამოფენაზე მიეშურებოდა, სადაც მაგიდებზე ეწყო სოფლის ნაწარმი. ამ აუარებელ ხალხს ი. ქუთათელაძე უხსნიდა, თუ როგორი მოვლა-მოშენება ესაჭიროებოდა აბრეშუმის ჭიას. ხალხი დიდ მადლობას სწირავდა ქუთათელაძეს და სთხოვდა, რომ, რადგანაც იგი ესოდენ თავდადებულია ხალხის ეკონომიკური წარმატებისათვის, მომავალი წლისათვის აბრეშუმის საღი თესლი გაეგრცელებინა ხალხში. ქუთათელაძეც ამ თხოვნაზე ხალხს ჰპირდებოდა შეძლებისდაგვარად დახმარებას. მეორე დღეს, 21 ივნისს, ბატონმა ქუთათელაძემ აბრეშუმის ძაფის რიგიანი ამოხვევა აჩვენა მეაბრეშუმეებს. მესამე დღეს საპატო კაცთა თანდასწრებით გარჩევა იყო ადგილობრივი ნაწარმის სიაგეგმვისა: სხვადასხვა კაცისაგან წარმოგზავნილი იყო სულ 92 ექსპონატი. ამათში უმეტესი ნაწილი აბრეშუმის პარკი იყო სხვადასხვა ფერმისა, აგრეთვე აბრეშუმის დარაიები და აბრეშუმის ძაფი, ადგილობრივ ამოხვეული და

¹ „ჩვენი საქმე“, №7, 12. 02. 1909, გვ. 4.

² იოსებ იაკობის ძე ქუთათელაძე იყო მეაბრეშუმეობის ცნობილი სპეციალისტი, ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, წარმოშობით ქალაქ ხონიდან.

სხვ.¹

1908 წელს ახალსენაკის რკინიგზის სადგურიდან გატანილი მეაბრე-შუმეობის პროდუქტები შეადგენდა 8707 ფუთს, 1912 წლისათვის – 8799 ფუთს, 1914 წლისათვის – 3771 ფუთს. 1908 წელს აბაშის სადგურიდან გატანილ იქნა 3468, 1912 წ. – 3024, ხოლო 1914 წ. – 1190 ფუთი. ამიერკავკასიის რკინიგზის მნიშვნელოვან სადგურს წარმოადგენდა სამტრედიაც. 1908 წელს აქედან გაიტანეს 13920, 1912 წ. – 14888, 1914 წ. – 13171 ფუთი მეაბრეშუმეობის პროდუქტი².

1 მსოფლიო ომის წლებში და შემდგომ სამეურნეო პროდუქტებისა და აბრეშუმის პარკის წარმოების კოეფიციენტმა საგრძნობლად იკლო. „1914 წელს სენაკის მაზრაში წარმოებულ იქნა 3771 ფუთი აბრეშუმის პარკი, ე. ი. თითქმის 5 ათასი ფუთით ნაკლები, ვიდრე 1912 წელს, აბაშაში – 1190 ფუთი, ანუ 1834 ფუთით ნაკლები“³.

1919 წელს სენაკის მაზრის ერობის სხდომაზე სამაზრო ერობის წევრი კალანდარიშვილი აღნიშნავდა, რომ „მეაბრეშუმეობას ჩვენი ხალხი ძალიან მისდევს, მაგრამ მას ხელისშემწყობი არავენ გამოუჩნდა და წლეულს ცუდი ბედი ეწია. აბრეშუმის პარკი ბევრი იყო დამზადებული, მაგრამ მთავრობამ გამოაცხადა მცირე ფასები, მცხოვრებლებმა არ ისურვეს გაყიდვა და პარკი ძაფად ამოიღეს“⁴.

გამშრალი და დახარისხებული პარკი იყიდებოდა არა მხოლოდ სენაკის ბაზარზე, არამედ იგზავნებოდა ფოთსა და ბათუმში, აქედან კი უცხოეთში საექსპორტოდ. აბრეშუმის პარკის ექსპორტი ძირითადად ამ წესით წარმოებდა 1900-იან წლებშიც.

¹ „ივერია“, №141, 6. 07. 1899, გვ. 2.

² გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. III, გვ. 763.

³ დავითაია ბ., ახალი ცხოვრების გარიჟრაჟზე, თბ., 1976, გვ. 13.

⁴ სცსა, ფონდი 1863, აღწ. 1, საქმე 927, გვ. 31; დავითაია ბ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 13-14.



გლეხის სახლი ახალსენაკში. ბარონ დე ბაის ფოტო. 1901 წელი.

პარკისათვის საჭირო იყო ორთქლის სახრჩოლაკები. სოფლის მეურნეობისა და მეაბრეშუმეობის ამხანაგობები ქუთაისში, ხონსა და სენაკში მცხოვრებ მეაბრეშუმეებს დახმარებას უწევდნენ, რაც გამოიხატებოდა მსურველთა აბრეშუმის პარკით უნაცვალგებოდ შეხრჩოლაში. ეს შეღავათი ნაკლებ ეფექტური და, რაც მთავარია, არამასობრივი იყო¹. საზოგადოებრივი სახრჩოლაკების ორგანიზაცია მეაბრეშუმეობის რაიონებში გაცხოველდა XIX ს-ის 90-იანი წლებიდან. სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებიდან გამოირჩეოდა: მეაბრეშუმეობის ამხანაგობა „კოლხიდა“ ქუთაისში, „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა“ ხონსა და კუხში (დაარსდა 1895 წელს). 1896 წლიდან ასეთი ამხანაგობა მოქმედებდა სე-

¹ Отчет о деятельности Кавказской шелководственной станции в 1906 г., с. 21; გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, ტ. III, გვ. 760.

ნაკში, „შუამავლის“ სახელწოდებით. აბრეშუმის შენჩოვება და გაშრობა მოეწყო ახალსენაკში, წალენჯიხაში, ჭაქვინჯში, ზუგდიდში, გურიის დაბა-სოფლებსა და სხვ., რასაც მეაბრეშუმეთათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა¹. ამასთანავე, 1906 წლისათვის, აბრეშუმის პარკის ბაზარი საზოგადოებრივი სასწორით, მოეწყო ქუთაისში, ხონში, ზუგდიდში, წალენჯიხაში, აბაშაში, ნაოღალეში, სამტრედიასა და ა. შ.²

1906 წელს გაზეთ „მეგობარი“ გამოქვეყნდა მცირე ინფორმაცია დაბა ახალსენაკში სამეურნეო განათლების მქონე ახალგაზრდობის მიერ ამხანაგობის ჩამოყალიბების შესახებ. მასში აღნიშნულია, რომ ახალგაზრდებს აზრად აქვთ მეურნეობის განვითარება და გაუმჯობესებული კულტურის შეტანა სამეგრელოს მეურნეობაში. ამხანაგობას მიუძღრთავს სახელმწიფო ქონებათა გამგეობისათვის დანებების აღმოსაჩენად, როგორც მატერიალურად, ისე საჭირო ცნობების მიწოდების თვალსაზრისით³.

ამხანაგობები სამეურნეო ცოდნის გავრცელების თვალსაზრისით მნიშვნელოვან საქმიანობას ეწეოდნენ. ამხანაგობის კაპიტალიც სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობას ხმარდებოდა. ამასთანავე, კოოპერაციული გაერთიანებების მთავარ დანიშნულებას ჩარჩ-ვაჭრებისა და სპეკულიანტების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა.

სამეგრელოში სავაჭრო და სამრეწველო ამხანაგობების დაარსების აუცილებლობას ასაბუთებდა ტრიფონ კალანდარიშვილი თავის წერილში, სადაც აღნიშნავდა: სამეგრელო მოკლებულია ყოველგვარ ეკონომიურ დაწესებულებას. ამიტომ ფრიად საჭირო და სასურველია სამეგრელოს შუაგულ ადგილში დაარსდეს ე. წ. სავაჭრო და სამრეწველო ამხანაგობები. ეს მით უფრო საჭიროა, რადგან სამეგრელოში ვაჭრობა და

¹ გუგუშვილი პ., დასახელებული ნაშრომი, III, გვ. 761-762.

² იქვე, გვ. 762.

³ „მეგობარი“, №67, 15. 12. 1906, გვ. 3.

აღებშიცემობა, აქაური ნაჭირნახულები სულ ჩაღის ფასად მიაქვთ გარდმონხვეწილს და ამჟამად გამდიდრებულს ახალსენაკელ ბერძნებს... სიმინდი, რაც ერთადერთი წყაროა მთელი სამეგრელოს მცხოვრებთათვის, აგრეთვე აბრეშუმი, თუთუნი, ხურმა, თაფლი, დაუნის ფოთოლი და სხვა, დღეს ყოველივე ესე უფლისად ახალსენაკელი ბერძნების ხელშია. ახლა, რაკი სიმინდის ფასი დაეცა და გასავალი არა აქვს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს აბრეშუმის ვაჭრობას. ბერძნებმა სამეგრელოს დაბა-სოფლებში გაავრცელეს თავიანთი აბრეშუმის თესლი. მწარმოებლისაგან მეგრულს დიდს ორ ქილა უმს პარკს ღებულობენ. ამათ გამართეს აგრეთვე პარკის სახმობი ფარდულები იქ, სადაც სოფლელები უფრო ეტანებიან აბრეშუმის მოვლა-მოშენებას. ასე და ამგვარად, წლევეანდელი აბრეშუმის მოსავალი ბერძნების ხელში იქნება და ღმერთმა უწყის, თუ რა ფასად მიიღებენ ეს „ბატონები“. შარშანაც მუქთად ჩაიგდეს აბრეშუმის მოსავალი ბერძნებმა ხელში და წელს რაღა სულგრძელობას უნდა მოველოდეთ იმათგან? ამიტომ დიდად საჭიროა, რომ დაარსდეს აქეთ „შუამავალი“ პირდაპირ ამ საქმისათვის, რადგანაც აბრეშუმის მოვლა-მოშენებამ წლითიწლობით თანდათან იმატა... ამგვარი დაწესებულება ჩვენის დღევანდელ ჩაგრულ მეურნეთა ეკონომიკური წარმატების ლამპარია... „შუამავლის“ და ამხანაგობის დაარსება ერთობ კარგია, მაგრამ სად? ტრიფონ კალანდარიშვილი – წერილის ავტორი – ფიქრობს, რომ ამხანაგობა უმჯობესია დაარსდეს ახალსენაკში, მითუმეტეს, რომ სამეგრელოს შუაგული ადგილი ახალსენაკია. აქ მიმოსვლა უფრო ძლიერია, ვიდრე სხვაგან. უვლის რკინიგზა, რომელიც სანატრელია ამ საქმისათვის. ასეა თუ ისე, ახალსენაკისთანა მარჯვე და ხელმისაწვდომი ადგილი მთელს სამეგრელოში მეორეც არ მოიძებნება. ამიტომ ურიგო არ იქნება, უწინარეს ყოფლისა, ახალსენაკელებმა მოკიდონ ხელი ამ საზოგადო და სამადლო საქმეს. წერილის ავტორი მოუწოდებ-

და ახალსენაკის თავადაზნაურობას, ინტელიგენციას და ვაჭრებს, მხარი დაეჭირათ ამ სამომავლო და კეთილი საქმისათვის¹.

ტრ. კალანდარიშვილის წერილს გამოეხმაურა გაზეთი „ცნობის ფურცელი“. მართალია, ამჟამად სოფ. ძველ სენაკში დაარსდა სამეგრელოს ამხანაგობა „შუამავალი“, მაგრამ მისი მოქმედება ძველ სენაკში ვერაფერს ხეირს დააყრის ჩვენს დღევანდელს დაქვეითებულ მდგომარეობას. მით უფრო, რომ იგი მიყრუებულ ადგილას არის და იქიდან კონკურენციას ვერ გაუწევს ახალსენაკელ ჩარჩ ბერძნებს. ამიტომ ვურჩევ „შუამავლის“ დამაარსებელთ, თუ სურთ ჩარჩ-ბერძენთა მსხვერპლი მოძმეების ნივთიერი დახმარება და ხელშეწყობის აღმოჩენა, გადმოიტანონ იქ, სადაც ბერძნები უფრო აღვირახსნილად მოქმედებენ. აი, ამგვარი ადგილია ახალსენაკი და აქ უფრო სიკეთეს მოუტანს „შუამავალი“ მთელ სამეგრელოს მცხოვრებთ, ვიდრე სოფ. ძველ სენაკში².



სენაკის ბაზრის ძველი ფლიგელი. 1900-იანი წლები

¹ „ცნობის ფურცელი“, №212, 1897, გვ. 3.

² „ცნობის ფურცელი“, №242, 1897, გვ. 3.

გაზეთ „ჩვენი საქმის“ კორესპონდენტი „ამან“ 1909 წელს საყურადღებო ინფორმაციას აქვეყნებს დაბა ახალსენაკში მოქმედი ამხანაგობის შესახებ: „დღემდე საზოგადოება გულგრილათ ეკიდებოდა და ახალსენაკში რამოდენიმე პირის ინიციატორობით დაარსებულ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა „მეურნეს“, რადგან მას მასზე არ ქონდა ნათელი წარმოდგენა, მაგრამ ამან ოდნავ არ შეაშინა ამხანაგობის წევრები და განაგრძობდნენ მუშაობას: ამზადებდნენ მრავალ სხვადასხვა მცენარეთა დამყნობილ ნერგებს, განსაკუთრებით – ვენახებისას და სხვადასხვა საბოსტნე თესლებს. და ყველა ამათ ხელმისაწვდომ ფასათ აწვდიდნენ მსურველთ. დღეს ამხანაგობის სინდისიერმა მუშაობამ დააინტერესა მცხოვრებნი და ბლომით მოაწყდა მას. რაკი დაინახა ფართე ნიადაგი, ხსენებულმა ამხანაგობამ წევრთა მიღება განუსაზღვრელი გახადა. ღებულობენ ყველას, ვინც გადაიხდის საწევრო ფულს, რაიც უკანასკნელ გლეხისათვისაც მისაწვდომია. მარტო წარსულ იანვრის შუა რიცხვებიდან ამხანაგობა „მეურნეს“ წევრათ მიღებულ იქმნა 50-ზე მეტი კაცი. ახალი წევრები სარგებლობენ იმავე უფლებებით, როგორითაც ძველები. ამავე საზოგადოებამ მოისურვა სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლათ უფასო საჯარო ლექციების გამართვა სამეგრელოს სხვადასხვა დაბა სოფლებში, რისთვისაც იწვევენ მცოდნე პირებს“¹.

წერილში აღნიშნულია, რომ ამხანაგობის თხოვნით ახალსენაკში ლექცია წაუკითხავს ქუთაისიდან მოწვეულ ნ. თ. მკურნალს, შემდეგ თემაზე: „სამეგრელოში მეურნეობის შესახებ“. ამხანაგობების დაარსებას საერთოდ დიდი ყურადღება ექცეოდა 900-იან წლებში. გაზეთი „ჩვენი აზრი“ 1909 წელს წერდა, რომ კავკასიის ნამესტნიკი არაფითარ დაბრკოლებას არ შეუქმნის ამასწინათ მიწათმოწყობისა და მიწათმოქმედების მთავარ სამმართველოში დასამტკიცებლად წარდგენილ წესდებას დაბა ახალსენაკში ამხანაგობა „მეურნეს“ დაარსების შესახებ².

¹ „ჩვენი საქმე“, №18, 25. 02. 1909, გვ. 4.

² „ჩვენი აზრი“, №9, 9. 05. 1909, გვ. 4.



ადგილობრივი წარმოების აბრეშუმით ვაჭრობა ახალსენაკის ბაზარში.
ჟურნ. «Земледельческая газета», № 12, 1913.

იმავე გაზეთის ცნობით სენაკში არსებულ ამხანაგობა „მეურნეს“ დაუარსებია „საპაიო ამხანაგობა“¹.

გაზეთ „ფონის“ ინფორმაციით, ვ. ხორავამ, დ. ხუნწარია² და სხვებმა აღძრეს შუამდგომლობა სენაკში კოოპერატიული მოძმარებელი საზოგადოების დაარსების შესახებ და წესდებაც აგერ თვეზე მეტია, რაც წარუდგინეს მთავრობას დასამტკიცებლად. აღსანიშნავია, რომ წესდებით თითო საწევრო პაი ღირს ერთი მანეთი, რითაც საშუალება ეძლევა

¹ „ჩვენი საქმე“, №6, 1909, გვ. 4.

² შესაძლებელია ეს პიროვნება იყოს გაზეთ „ცნობის ფურცლის“ 1898 წლის №484-ში ახალსენაკის გილდიის ვაჭრად დასახელებული მარკოზ გიორგის ძე ხუნწარია, რომელსაც ისულას წმ. ბარბარეს ეკლესიისათვის შეუწირავს სულ 120 მან. ღირებულების საეკლესიო ნივთები (გარდამოხსნა, ბაირალი, სანაწილე, ხატების წინ დასადგამი სასანთლე, მაცხოვრის ხატი, ტრაპეზის წინ დასაგები ნოხი, საცეცხლორი, სტიქარი.

ღარც სოფელსაც, ჩაეწეროს წევრად ამ კოოპერატივში, რომელსაც, როგორც „ერთობის დუქანს“, უნდობლად და დაცინვით ეკიდება ზოგიერთი აქაური ვაჭარ-მეშხანი¹.

ამხანაგობებში გაერთიანებულებს შეჰქონდათ გარკვეული თანხა, რასაც განკარგავდა ამხანაგობის მიერ არჩეული გამგეობა. ამხანაგობის უმრავლესობას განსაზღვრული ჰქონდა მოქმედების ვადა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულმა ამხანაგობა „მეურნემ“ უკვე დაიწყო თავისი საქმიანობა, – წერდა გაზეთ „ფონის“ კორესპონდენტი „სტუმარი“, – ჯერჯერობით მასში ითვლება 150 წევრი. საწევრო ჰაი ღირს 5 მან. ამხანაგობამ აგვისტოს პირველ რიცხვებში აიწესა გამგეობა, რომელიც, იმედია, ფრთხილად და მუყაითად მოეკიდება ამ ერთადერთ სამეურნეო კოოპერატივს და მით გულს არ გაუტეხს ხალხს საზოგადო საქმისადმი².

ამხანაგობები არსდებოდა სენაკის მიმდებარე სოფლებშიც. ასე, მაგალითად, სოფ. უშაფათში გლეხებმა დააარსეს ამხანაგობა „ოდიში“, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული მეურნეობის რიგიანად შესწავლა და სამეურნეო ცოდნის გავრცელება სამეგრელოს გლეხთა შორის. ამ მიზნით შეიმუშავეს კიდევ წესდება და დასამტკიცებლად გააგზავნეს ქუთაისის გუბერნატორთან³.

გაზ. „ივერიის“ ცნობით ძველი სენაკის მეაბრეშუმეთა სამრეწველო ამხანაგობა „შუამავალი“ დაარსებულია 1897 წელს. მასში 1902 წლის მონაცემებით გაერთიანებული იყო 260 წევრი. ამხანაგობის გამგეობაში აიწესა ა. ს. წითლიძე, მოლარედ – თავადი ლ. ჩიჩუა, მდივნად – პ. ე. ლორთქიფანიძე, წევრებად – ს. ი. ენუქიძე და ბ. გ. ბერიძე, სარევიზიო კომისიის წევრებად – თავადი ოტია დადიანი, თავადი გიორგი ჩიჩუა და ბლა-

¹ „ფონი“, №5, 4. 10. 1909, გვ. 2-3.

² „ფონი“, №1, 6. 09. 1909, გვ. 7.

³ „ჩვენი საქმე“, №6, 1909, გვ. 4.

ლოჩინი მღვდელი ა. კალანდარიშვილი¹.

1916 წელს გაზეთ „თანამედროვე აზრში“ გამოქვეყნებული ცნობით, ძველ სენაკში ამას წინათ დახურულმა მომხმარებელთა საზოგადოება „შრომის კავშირმა“ ამ დღეებში კვლავ განაახლა მუშაობა. ამასთანავე, სენაკის მაზრის ყველა საკრედიტო ამხანაგობამ რჩევა მიიღო ბიუროსაგან, რომ ხელი შეუწყონ მომხმარებელი საზოგადოების დაარსებას. ამის შესახებ უმრავლესობას კიდევ მიუღია ზომები².

| მსოფლიო ომის პერიოდში თავი იჩინა სურსათის სიმცირემ და ფასების ზრდამ. 1919 წლის მონაცემებით სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში ერთი ფუთი სიმინდის ღირებულება 80 მან. ყოფილა³. მოსახლეობისათვის საჭირო რაოდენობის სურსათ-სანოვაგის მიწოდებას ქალაქის მმართველობა და ამხანაგობები უზრუნველყოფდა. 1915 წელს დაბა ახალსენაკმა ეკონომიური საზოგადოებისაგან გამოგზავნილი 1000 ფუთი სიმინდი მიიღო. აქედან 47 ფუთი სიმინდი არგუნეს აბელათის საზოგადოებაში მცხოვრებთ, და, როგორც გაზეთ „თანამედროვე აზრშია“ მითითებული, „კიდევ დარიგდა დანიშნულებისამებრ, რისთვისაც დიდ მადლობას სწირავენ პატივცემულ საზოგადოებას, ასეთ უკიდურეს გაჭირვებულ დროში დახმარებისათვის“⁴.

მეცხოველეობის პროდუქტთა შორის უმნიშვნელოვანეს როლს რძე და რძის ნაწარმი თამაშობდა. ახალსენაკის გარეუბნების (საქაჩიბაიო, საკინწურაშვილო, სალომიო, ნატოხაო...) მცხოვრებნი ძროხებს სწორედ რძის წარმოებისათვის ინახავდნენ, ხოლო რძის ნაწარმის უმი სახით გასაღების ვრცელ ბაზარს ახალსენაკი წარმოადგენდა. მეცხოველეობის დანარჩენი პროდუქტებიდან იყიდებოდა ძროხის, ხბოს, კამეჩის, ღორის

¹ „ივერია“, №75, 1902.

² „თანამედროვე აზრი“, №28, 1916.

³ მჭედლიძე გ., ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები (1892-1921 წწ.), ქუთ., 1993, გვ. 310.

⁴ „თანამედროვე აზრი“, №138, 1915.

ხორცი, ღორის ქონი, ტყავი, პირუტყვის ნამატი, დაკლული და ცოცხალი ფრინველი, ქათმის კვერცხი, ღინღლი და ბუმბული, თაფლი, სანთელი, სკა, აბრეშუმის ნედლი პარკი და ა. შ. მეცხოველეობის პროდუქტები გადიოდა მსოფლიო ბაზრებზე: მარსელში – აბრეშუმი და მატყლი, ლონდონში – კვერცხი და ა. შ.

საექსპორტო ვაჭრობის მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენდა აგრეთვე ბზა, სელი, თამბაქო, დაფნის ფოთოლი, კაკალი და კაკლის ხე, ხის ტკეჩი (საკასრე ფიცარი), შეშა, თევზეული და სხვ.¹

XIX ს-ის 80-იანი წლებიდან ახალსენაკი სამრეწველო აღმავლობას განიცდიდა. იქმნებოდა ახალი საწარმოები წვრილი ერთეულების სახით. 30-იანი წლებიდან დაწყებული საგრძნობი წინსვლა განსაკუთრებით რეფორმის შემდგომ პერიოდში დაჩქარდა, რასაც ხელი შეუწყო რკინიგზის მშენებლობამ და საგლეხო რეფორმის გატარების შედეგად თავისუფალი მუშახელის რიცხვის ზრდამ.

XIX ს-ის 90-იანი წლების დასაწყისში ქუთაისის გუბერნიაში სახაზინო ტყის ყველაზე მეტი ფართობი (33%) ლეჩხუმის მაზრაზე მოდიოდა; შემდეგ მოსდევდა ოზურგეთის მაზრა (23%), სენაკისა და ზუგდიდის მაზრები (2%), სადაც მემამულეთა ტყეები გაცილებით ჭარბობდა². ასეთი ისე სწორი ექსპლუატაცია წარმოებდა დადიანის მამულებში. მისი კუთვნილი ტყეები მდ. ტეხურაზე და სოფ. ჭალადიდის მიდამოებში მდებარეობდა. კუთვნილი ტყეები ჰქონდათ აგრეთვე აზნაურ გეგელიებს, მდ. აბაშაზე, და დადიანებსა და მხეიძეებს – მდ. რიონის პირას³. ლანჩხუთისა და ჭალადიდის ტყეებში საშეშე და ნაწილობრივ სამშენებლო მასალის დამუშავება წარმოებდა ამხანაგობების – „დიდია და ქავ-

¹ კიულ მურიე, სამეგრელო, გვ. 279-281.

² მუშკუდიანი ქ., ხე-ტყის დამუშავებელი მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი რევოლუციამდელ დასავლეთ საქართველოში, თბ., 1982, გვ. 23.

³ იქვე, გვ. 24-25.

თარაძე“, „დიდია და გაბელია“, აგრეთვე საზოგადოება „Золотое руно“-სა და სხვების მიერ¹. სენაკის მაზრის კერძო ტყეების ექსპლუატაციას 1900 წლიდან ეწეოდნენ ნავთის მრეწველი არამიანცი, ჯალალოვი, პოლემჩუკი და სხვანი².

საერთო სამრეწველო აღმავლობის პირობებში ვითარდებოდა ხე--ტყის დამმუშავებელი მრეწველობაც. სენაკის მაზრის ბუნებრივი სიმდიდრეების ასათვისებლად ახალ პერსპექტივებს შლიდა ამიერკავკასიისა და ფოთის ნავსადგურის მშენებლობა. 1881 წლის მონაცემებით თვით ქალაქ ფოთში მცირე სიდიდის 6 მექანიკური ქარხანა მუშაობდა, სადაც დასაქმებული იყო 62 მუშა და მზადდებოდა 45 000 მანეთის წლიური პროდუქცია³. 1886 წლისათვის აქ 8 სახერხია აღრიცხული⁴. ორთქლის ძრავით მომუშავე ქარხნები, გარდა ფოთისა, საექსპლუატაციო ტყის მასივების მახლობლად და, ამავე დროს, მზა ნაწარმის სარეალიზაციოდ, მოსახერხებელ ადგილებშიც იყო დაარსებული. სენაკის მაზრაში ასეთი იყო სოფ. ჭალადიდში მდებარე დ. გამსახურდიას სახერხი, სადაც 1884 წელს დასაქმებული იყო 6 მუშა. 3300 მან. ღირებულების წლიური პროდუქცია ადგილობრივ ბაზარზე სადღებოდა⁵.

1887 წელს სოხუმის მიდამოებისა და ფოთის მექანიკური სახერხების გარდა, დასავლეთ საქართველოში იყო კიდევ ოთხი მცირე სიდიდის საწარმო. ამათგან სამი შორაპნის და ერთიც სენაკის მაზრაში მოქმედებდა⁶. ერთ-ერთი მსხვილი კაპიტალისტური სამრეწველო საწარმო იყო ცნობილი პედაგოგის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის – ილია

¹ მუშკუდიანი ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 50

² Долгушин А. А., Леса Закавказья и их эксплуатация, Тиф., с. 60

³ მუშკუდიანი ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 51.

⁴ "Кавказский календар", 1882, с. 218.

⁵ სსცია, ფ. 254, ან. 3, საქ. 1508, ფურც. 297-319; მუშკუდიანი ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 79.

⁶ მუშკუდიანი ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 80, და იქვე მითითებული ლიტერატურა; საისტორიო მოამბე, №9, თბ., 1956, გვ. 104.

ოქრომჭედლიშვილის (1838-1898 წწ.) მიერ სადგურ სამტრედიასთან ახლოს, სოფ. საჭილაოში გახსნილი სახერხი ქარხანა, საიდანაც ხის მასალით მარაგდებოდა ბათუმის სამრეწველო საწარმოები. თვით ქარხანა მდ. ცხენისწყლის საშუალებით ხე-ტყეს სვანეთის მდიდარი ტყის მასივებიდან იღებდა¹. 1890 წლის იანვარში მან ლეჩხუმის მაზრაში, მდ. ცხენისწყლის ხეობაში, ნ. დადიანისაგან იჯარით აიღო 200000 დესეტინა ტყე, მოიწვია სპეციალისტი ინჟინერი, შეადგინა ცხენისწყლის კალაპოტის გაწმენდის ხარჯთაღრიცხვა, სახერხი ქარხნისათვის გამოიწერა მანქანები და ჩაატარა სხვა მოსამზადებელი სამუშაოები². აბაშის მახლობლად, რიონ-ცხენისწყლის შესართავთან მდებარე საჭილაოს ქარხანა გათვალისწინებული იყო მილიონ კუბურ ფუტზე მეტი ხე-ტყის გადასამუშავებლად³. ცალობით დაცურებული მორების შესახერხებლად ქარხნის ახლოს, მდინარეზე, ერთმანეთისაგან 4-5 არშინის დაცილებით, სამ მწკრივად იყო განლაგებული ხიმინჯებიანი ზღუდეები. მდინარეში ჩაყრილი მორების რაოდენობა 8-9 ათასს და ზოგჯერ მეტსაც აღწევდა, რომლებიც ნაპირზე 200-400 ცალობით იტვირთებოდა⁴. ქარხანაში დასაქმებული იყო დიდძალი მუშახელი, როგორც ახლომდებარე სოფლებიდან, ისე ქუთაისის გუბერნიის სხვა მაზრებიდან. მაგალითად, 1904 წლის მონაცემებით, ქარხანაში დასაქმებული იყო 100, ხოლო ქარხნის გარეთა სამუშაოებზე – 400 მუშა⁵.

საჭილაოს სახერხი ქარხნის გახსნით ილია ოქრომჭედლიშვილი, როგორც აღვნიშნეთ, მიზნად ისახავდა ბათუმის სამრეწველო საწარმოთა ხის მასალით მომარაგებას. ქარხანა აგებული იყო იქ, სადაც ცხენის-

¹ მუშკუდიანი ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 93.

² მუშკუდიანი ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 26-27.

³ Кавказское сельское хозяйство, 1894, стр. 82.

⁴ იქვე, გვ. 27-28.

⁵ გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, დოკ. №1980; მუშკუდიანი ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 29.

წყალს რკინიგზა კვეთდა. საჭილაო სამტრედიას დაშორებული იყო შ, ფოთს – 60, ხოლო ბათუმს – 97 ვერსით¹. „ქარხანაში შ სახერხი დაზგა იდგა, მათგან ორი ხარხოიანი, რომელიც საყუთე მასალას ამზადებდა და ერთი მრგვალხერხიანი. ისინი მოძრაობაში მოჰყავდა 30 ცხენისძალიანი ორთქლის ქვაბით მოქმედ „ჰორიზონტალურ“ მანქანას. ქარხანას წელიწადში ერთ მილიონამდე კუბური ფუტის მერქნის გადამუშავება შეეძლო“². საჭილაოში ქარხნის გახსნას ხელის შეშლის გარეშე არ ხაუვლია. ახალი საწარმოს გახსნას განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდა დადიანის მოურავი და ლეჩხუმის მაზრის ადმინისტრაცია. ცალკეულ პირებთან კონფლიქტის შესახებ ი. ოქრომჭედლიშვილი პრესაში წერდა, რომ „ეს ბრძოლა უფრო გამიჭირდა, ვიდრე კლდეთა და ქვათა რღვევა და მტვრევა“. 1894 წლის 20 აგვისტოს გაჩენილმა ხანძარმა ქარხნის დიდი ნაწილი დააზიანა, თუმცა გადარჩა ფიცრების საწყობი შენობა და მოსამსახურეთა სადგომი. ქარხნის დაწვით შეწუხებული საჭილაოს გლეხობა, რომელთაც სამუშაო ადგილზე ჰქონდათ და ტყის მასალის ყიდვაც ადვილად შეეძლოთ, ქარხნის აღდგენის მიზნით თავისი ხარკ-კამეხით სამუშაოდ გამოვიდა. მალე საწარმო განახლდა და კვლავ სრული დატვირთვით ამუშავდა³. 1894 წელს ქარხანაში 30 მუშა იყო დასაქმებული, ხოლო წლიური პროდუქციის ღირებულება 25000 მანეთს შეადგენდა⁴. 1897 წლისათვის 60-მდე გაიზარდა საწარმოს მუშების რიცხვი, ხოლო პროდუქციის რაოდენობა – 100 000 მანეთამდე. მუშის დღიური ხელფასი მერყეობდა 50-დან 80 კაპიკამდე, ხოლო ერთი უღელი ხარკ-კამეხით მომუშავე დღეში 1 მანეთსა და 60 კაპიკს იღებდა⁵. 1898 წელს საჭილაოს სახერხმა ქარხანამ ბათუმის ქარხანას 500-600 ათასი ცალი სა-

¹ გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, ი. ოქრომჭედლიშვილის არქივი, დოკ. №1978, გვ. 1; მუშკუდიანი ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 93.

² იქვე, გვ. 93.

³ გაზ. „ივერია“, №181, 1894; მუშკუდიანი ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 94.

⁴ Обзор Кут. Губ., 1895, в. №2.

⁵ მუშკუდიანი ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 94.

ყუთე მასალა მიაწოდა.¹

სავაჭრო-სახელოსნო დაბა-სოფლების კაპიტალისტურ საწარმოთა შესახებ მოძიებული ცნობების ანალიზის საფუძველზე მკვლევარი ლ. ბერძენიშვილი დაასკვნის, რომ XX საუკუნის პირველ ათწლეულში სავაჭრო-სახელოსნო დაბა-სოფლების სამრეწველო საწარმოები უწვრილესი საწარმოო ერთეულები იყვნენ. მათი აბსოლუტური უმრავლესობა „სახელოსნოების“ ხასიათს უფრო ატარებდა, ვიდრე „ფაბრიკისა“ ან „ქარხნისას“, ამ სიტყვის ნამდვილი მეცნიერული გაგებით, და, ამდენად, განეკუთვნებოდნენ წვრილ კაპიტალისტურ საწარმოებს. მათ რიცხვში შედიოდნენ ყველაზე პრიმიტიული საწარმოები – აგურის, კრამიტის, წყლის წისქვილები და სხვ. მათი მფლობელნი იყვნენ გლეხობის, ხელოსნების, ვაჭრებისა და, ძალიან იშვიათად, თავადთა წრიდან გამოსული, ან გარედან მოსული საქმოსნები. საწარმოთა ტექნიკური ბაზა უმეტესწილად მეტად პრიმიტიული იყო. ყველა საწარმოო ოპერაცია ხელით სრულდებოდა, მაგრამ ქვეყანა მაინც კაპიტალისტური ცხოვრებით სუნთქავდა და მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობის საფუძველზე მიმდინარეობდა².

ხელოსნობის მიმართულებით სენაკის მაზრაში არსებულ მდგომარეობაზე კარგ წარმოდგენას იძლევა სამაზრო ერობის ხმოსანთა 1918 წლის ყრილობაზე წარმოდგენილი ტექნიკური განყოფილების ანგარიში, რომლის მიხედვით მაზრაში მოწყობილი იყო საკუთარი სახელოსნო, სამი განყოფილებით: სადურგლო, საზეინკლო-სამჭედლო და თუჯის სადნობი... შემდეგში ვეცდებით, მოვაწყოთ საკუთარი ხე-ტყის სახეობის მანქანაო, – აღნიშნულია ანგარიშში³.

1 ЦГИА СССР, ф. 22, оп. 2, г. 1958, с. 134; მუშკუდიანი ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 95.

2 ბერძენიშვილი ლ., აღმოსავლეთ საქართველოს სავაჭრო-სახელოსნო დაბა-სოფლები 1865-1917 წლებში, თბ., 1990, გვ. 30.

3 სცსა, ფონდი 1863, აღწ. 1, საქმე 927, გვ. 31; დავითაია ბ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 15.

თავი VI. ახალსენაკის ბაზარი და ბანაკირა სოფლები

სამეგრელოში ვაჭრობის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შესახებ იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი (XVII ს.) გადმოგვცემს: „საქონლის ყიდვა-გაყიდვისათვის არც ღუქნები აქვთ და არც მოედნები. ისე, რომ ვერსად ვერ ნახავთ, რომ ხალხი იკრიბებოდეს სანოვაგის საყიდლად. მხოლოდ სომხების ქალაქში (რუხი – ავტ.), რომელიც აშენებულია აწინდელი მთავრის (ლევან II დადიანის – ავტ.) დროს, არის მოედანზე რამდენიმე ღუქანი, სადაც იყიდება ტილო და ირანული შალი“¹. საჭირო საქონლისა და სურსათ-სანოვაგის შეძენა, ლამბერტის თქმით, შესაძლებელი იყო ორი გზით – ბაზრობით, რომელიც ოდიშის რამდენიმე დასახლებულ პუნქტში (წიფურია, ილორი, ბედია, კორცხელი), ეკლესიების მახლობლად იმართებოდა, და შავი ზღვის ნაპირთან მომდგარი თურქეთის გემებით².

XVIII ს-ში სავაჭრო პუნქტებს წარმოადგენდა ხონი, მური, სენაკი, ლაილაში, ზუგდიდი, ნაოდალევი, ორპირი, ფოთი, ანაკლია, ილორი, ლანჩხუთი, სუჯუნა და სხვ.³

ოსმალთა ბატონობის პერიოდში შავი ზღვისპირა ნავსადგურები (ფოთი, ანაკლია...) მეკობრეებისა და ტყვეებით მოვაჭრეთა ბუნაგს წარმოადგენდა⁴. ქართველ ტყვეთა გატაცება-გაყიდვის გულშემზარავი სურათები შავი ზღვისპირა პუნქტებიდან უცხოელ მოგზაურებსაც აქვთ აღწერილი. ეს ადგილები, წერს ნ. ბერძენიშვილი, განაწამები ხალხის

¹ ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, გვ. 156.

² იქვე.

³ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. ტომის რედაქტორი მ. დუმბაძე, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 582.

⁴ ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 292.

წყველა-შეჩვენების, უსამართლობისა და უღვთოების ადგილები იყო¹.

XIX ს-ის I ნახევარში საქართველოში არ წარმოქმნილა არცერთი ახალი ქალაქი, არც ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი სავაჭრო-სახელოსნო დაბა. რაც არსებობდა, ყველა ადრევე იყო აღმოცენებული. დასავლეთ საქართველოს საგუბერნიო და სამაზრო ცენტრებიდან ასეთი იყო ქუთაისი, ზუგდიდი, ოზურგეთი, სოხუმი, ონი; სხვა „მცირე ქალაქები“ – ხონი, რუხი და სხვ; ზღვისპირა პუნქტები – ყულევი და ანაკლია².

რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოში სოფლის მეურნეობის უმეტესი დარგების საქონლიანობა აღწევდა კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ მაღალ დონეს. სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებისა და დარგობრივი სპეციალიზაციის გაღრმავების პარალელურად ფართოვდებოდა შიდა ბაზარი. იზრდებოდა როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობის ბრუნვა. საქონელწარმოებისა და მიმოქცევის პროცესში მეტნაკლებად საქართველოს ყველა რაიონი მონაწილეობდა³. სამეგრელოს სამთავროს საშინაო ვაჭრობაში ინტენსიურად იყო ჩაბმული ზუგდიდი, ანაკლია, სენაკი, სუჯუნა და სხვა პუნქტები. მუდმივი ბაზრობის გარდა, როგორც საშინაო ვაჭრობის ფორმა, ძველთაგანვე ცნობილი იყო საკვირაო და საპარასკევო ბაზრობები, რაც დამახასიათებელი იყო გვიანდელი პერიოდისთვისაც. ბაზრობები იმართებოდა იმერეთისა და გურია--სამეგრელოს შემდეგ პუნქტებში – საჩხერეში, ჩხარში, ხონში, კულაში, სენაკში, სუჯუნაში, ნაგომარში, ოზურგეთში, ასკანასა და სხვაგან. ქალაქებსა და დაბებში ბაზრობებს თვალყურს ადევნებდნენ ქალაქის მოურავები⁴.

¹ ბერძენიშვილი ნ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 297.

² იხ. მესხია შ.

³ ბენდიანიშვილი ალ., სოციალისტური რევოლუციის წინამძღვრები საქართველოში, თბ., 1971, გვ. 115.

⁴ იობაშვილი გ., დასავლეთ საქართველოს ქალაქები XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში, თბ., 1983, გვ. 29, და იქვე მითითებული წყაროები.

XIX ს-ის 30-40-იანი წლებიდან სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებისა და სავაჭრო-სამომოსვლო გზების მეტ-ნაკლებად გაუმჯობესებას მოჰყვა საქართველოს საშინაო ვაჭრობის თანდათან გაფართოება, რაც თავის მხრივ ნატურალური მეურნეობის აღმოფხვრას უწყობდა ხელს¹.

XIX ს-ის 50-იანი წლებში „სენაკი წარმოადგენდა მოსახერხებელ სა-ვაჭრო პუნქტს ტეხურის დაბლობსა და მდინარე აბაშის ქვემო წელზე მცხოვრები მოსახლეობის ალებ-მიცემობისათვის; სუჯუნა იზიდავდა რიონის ქვემო დინების მარჯვენა მხარის მოსახლეობას... ორპირი წარ-მოადგენდა მნიშვნელოვან პუნქტს ადგილობრივი საქონლის რუსულ და ევროპულ საქონელზე გაცვლისათვის“².

სენაკში გამართულ ერთკვირიან იარმარკაზე მეგრელების გარდა სა-ვაჭროდ მიდიოდნენ იმერლები, გურულები, აფხაზები და სვანები. აქ უმთავრესად ცხენებითა და რქოსანი საქონლით ვაჭრობდნენ. იარმარკის გარდა სენაკში ყოველკვირეული ბაზრობაც იმართებოდა. მარანსა და ლაილაშიში მუდმივი ყოველკვირეული ვაჭრობა წარმოებდა ადგილობ-რივი და უცხოური საქონლით და სხვ.³

სენაკის მაზრის შინამრეწველთა ნაკეთობის ერთ-ერთ მთავარ სარე-ალიზაციო პუნქტს ძველი სენაკი წარმოადგენდა. 1899 წელს „კვალში“ გამოქვეყნებული კორესპონდენციის მიხედვით, „ერთი კვირაა, აქ ბაზ-რობაა გამართული. რა ხალხი გნებავთ აქ არ იყოს – აფხაზი, ლეკი, ოსი და სხვა და სხვა... ეს მილეთის ხალხი ერთი მეორეში ირევა, ლოთობს, ქუჩაში შფოთს აყენებს. ვინაა პატრონი?! ესეც არ იყოს ვერ წარმოიდ-გენტ რა მხეცურათ და უმართებულთ ეპყრობიან სავაჭროთ ჩამოსული

¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 100-101.

² იობაშვილი გ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 77.

³ AKAK, VIII, #101, გვ. 182-186; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 101.

ურბები და სომხები აქაურ სოფლებს, გამოგლეჯენ ხელში შალს (უმთავრესათ აქ შალის ვაჭრობაა), გადაუგდებენ რვა მანეთიან შალში სამ-ოთხ მანეთს და თუ წაიღებს – წაიღებს, თუ არა და იმასაც არ აძლევენ. იმის მაგიერ, რომ მყიდველი ეხვეწებოდეს გამყიდველს, აქ უკანასკნელი დასდევს პირველს უკან და ეღრიჯება, ან შალი დამიბრუნე და ან ორიოდე გროში გამოიმეტეო. ვინ არის პატრონი, რომ დაიხსნას საცოდავი ხალხი ამ ძალ-მომრეობისაგან?!“¹



ონოჯე - ადგილი სოფ. ძველ სენაკში, სადაც იმართებოდა რეგიონში ცნობილი ბაზრობა

იარმუკობა იმართებოდა სოფლის ცენტრში მდებარე მინდორზე, რაც მოგვიანებით სტადიონად აქციეს. ამ ადგილს **ონოჯე/იარმუკა** ეწოდება. ონოჯე იგივეა, რაც „სახარე“. აქ დღესაც დგას საუკუნოვანი ცაცხვის ხეები. ადგილის სახელწოდება დაკავშირებულია საქონლით

¹ მკვიდრი, ადგილობრივი მმართველობა. ჟურნ. „კვალი“, №14, 1899, გვ. 222.

ვაჭრობასთან. იქვე, ოხოჯესთან მდებარე მინდორს ადგილობრივი მოსახლეობა საურთოს უწოდებს. გადმოცემით, მოსახლეობის მიერ იარაღობაზე გასაყიდად გამოტანილ საქონელს ძირითადად ურიები იძენდნენ (ურია „ებრაელი“). ოხოჯეზე თავს იყრიდა ახალგაზრდობა. იყო შეხვედრები გასათხოვარი ქალიშვილებისა და საცოლე ვაჭკაცებისა. ხშირად აქ ეყრებოდა საფუძველი მომავალ ოჯახებს. ზემს ქართული ჭიდაობა აგვირგვინებდა. ხალხის ტევა არ იყო საჭიდაო მოედანზე, „ბულვარში“ (დღევანდელი კულტურის სახლის ეზოში). მოჭიდავეთაგან განსაკუთრებით გამოიჩინებოდა ნესტორ ესებუა.

XIX საუკუნის მიწურულის ძველი სენაკის, როგორც ქუთაისის გუბერნიის მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტის, ვრცელი და საინტერესო დახასიათება მოცემულია დავით გეგენავას წიგნში: აქ იყო ორი უმაღლესი დაწესებულება (ორკლასიანი და ხუთკლასიანი), სასოფლო-სამეურნეო და სათავადაზნაურო სკოლა. აქ ყოველი წლის შემოდგომაზე „მარაშინობისას“ (მარაშინობა) დიდი ბაზრობა და სპორტული შეჯიბრებები (ცხენოსნობა, ჭიდაობა) იმართებოდა, რის გამოც ყოველთვის დიდძალი ხალხი იყრიდა თავს. მოდიოდნენ არამარტო სენაკის მაზრის სოფლებიდან, არამედ დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან: აფხაზეთიდან, აჭარაიდან. მოდიოდნენ ეტლით, ცხენებით, ურმებით და ქვეითადაც. ძველსენაკში განსაკუთრებით ბევრი სტუმარი ჩამოდიოდა „მარაშინობის“ დღეობაზე. აქაურ ბაზრობაზე ებრაელებს და სხვა ეროვნების ვაჭრებს გასაყიდად მოჰქონდათ ყოველგვარი საქონელი, განსაკუთრებით ფართლელი, ჭურჭელი, მზა ტანსაცმელი, თეხსაცმელი, ხოლო ადგილობრივ მკვიდრთ გამოჰქონდათ სურსათ-სანოვაგე და გამოჰყავდათ პირუტყვი.

თვითონ ძველსენაკიც საკმაოდ კეთილმოწყობილი დაბა იყო. ცენტრში, ვრცელი, განიერი ქუჩის ორივე მხარეს, ყურადღებას იქცევდა ერთი და ორსართულიანი, კრამიტით დახურული, ქვითკირის ლამაზად

ნაგები სახლები, რომელთა პირველ სართულზე, როგორც წესი, კერძო სავაჭროები იყო გამართული: ფართლეულის, სამეურნეო იარაღების, პირველი მოთხოვნილების საგნების, ავეჯეულობისა. აქვე იყო სამიკიტნოები, ღვინის სარდაფები, პურის საცხობი, ფენსაცმლის სახელოსნოები, სამჭედლოები, საწვრილმანოები და სხვ. ამ მუდმივად ახმაურებული ძალაზიების წინ, ქვაფენილის გასწვრივ, გზის ორივე მხარეს, მიჰყვებოდა კოპიტებისა და ჭადრების ხეივანი. დაბის დასაწყისში, ახალსენაკიდან შემოსასვლელ გზაზე, ეკლესიის გვერდით, გაშენებული იყო ასწლოვანი – ვერხვის, ჭადრების, კედრების – ფოთლოვანი და წიწვოვანი მცენარეების დიდებული პარკი.

„მარაშინობისას“ ძველსენაკში გარდა მუდმივი სავაჭროებისა, სახელდახლოდ ეწყობოდა დროებითი სავაჭრო ფიცრული – ყავრით გადახურული, სადაც იყიდებოდა ამ შემთხვევაში საგანგებოდ შემოზიდული ისეთი პირველი მოთხოვნილების საქონელი, რომლის შოვნა სხვა დროს ჭირდა ხოლმე.

დაბის შუაგულში ყათანი იყო. აქ ახლომანლო სოფლებიდან ჩამოსულნი ყიდდნენ ფქვილს, ღერღილს, სიმინდს, ლობიოს, სოიას, გოგრას, ნესვს, საზამთროს, ბოსტნეულსა და ბაღჩეულს, აგრეთვე ყველს და სოფლის სხვა ნაწარმს. ვის არ ნახავდით აქ, ადრე დილიდან გვიან საღამომდე, მთელი დღის განმავლობაში უთვალავი ხალხი ირეოდა.

აქ იყვნენ ვაჭრები, გადამყიდველები, მოხელეები, ხშირად დიდჩინიანებიც, სამხედროები, სამოქალაქო პირები – ინტელიგენტები, გლეხები, შეგირდები, ნოქრები, დიდგვარიანები – თავადები, აზნაურები, რომელთაც ძველი დიდებიდან თუმცა არაფერი შერჩენოდათ, მაგრამ თავი მოჰქონდათ გვარიშვილობით. შეხვდებოდით ქალაქიდან ჩამოსულ მუშებსაც. ყველას, ვინც აქ მოდიოდა, თავისი საქმე ჰქონდა¹.

¹ გეგენავა დ., როცა მზე ამოდოდა, თბ., 1969, გვ. 99-100.

XIX ს-ის 70-იანი წლებიდან ეროვნული ბაზრის განმტკიცების, ძირითადად, ქვემო სამეგრელოს სოფლის მეურნეობისა და შინამრეწველობის პროდუქციის რეალიზაციის საქმეში აქტიურად მონაწილეობდა აგრეთვე **ახალსენაკი**, როგორც სამეგრელოს მნიშვნელოვანი სავაჭრო-სახელოსნო პუნქტი. ახლადწარმოქმნილი დასახლების სავაჭრო-სახელოსნო ცენტრად გარდაქმნას ხელს უწყობდა მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა. იგი სენაკის მაზრის შუა ადგილზე მდებარეობდა, რის წყალობით აქ ბაზრობას საფუძველი ჩაეყარა XIX ს-ის 70-იანი წლებიდან¹. აქედან მოყოლებული, იგი დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების ყურადღების ცენტრში მოექცა. აქვე იქნა გადმოტანილი სამაზრო ცენტრი. გაზეთ „ივერიაში“ აღნიშნულია, რომ ახალსენაკში სიმინდი ბლომად მოსდით. აქაური ერთი ქცევა მიწა იძლევა 100 ფუთამდე სიმინდს. ამასთან, აქ ყოველგვარ ხელით ნაწარმს თუ მიწის მოსავალს კარგი გასავალი აქვს, რადგანაც ქალაქი ახლოსაა და რკინიგზის შემწეობით სხვაგანაც ადვილად შეუძლიათ თავისი ნაწარმის გატანა. ეს სიადვილე ვაჭრობისა და მიმოსვლისა არის მიზეზი, რომ ახალსენაკი ასე იზრდება და მრავლდება მის მცხოვრებთა რაოდენობა².

ისტორიკოსი ე. ხოშტარია შენიშნავს, რომ „რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოს სამეურნეო განვითარებისთვის დამახასიათებელი იყო სავაჭრო-სამრეწველო დაბა-სოფლების აღმოცენება და დაწინაურება. ეს განპირობებული იყო მათი ხელსაყრელი მდებარეობით სასოფლო-სამეურნეო რაიონების შუაგულში, სავაჭრო გზაჯვარედინებსა თუ რკინიგზის მაგისტრალზე და სხვ. ზოგიერთი ასეთი დაბა თავისი სავაჭრო ბრუნვით და წვრილი საქონლური წარმოების განვითარებით უთა-

¹ გადმოცემით, ბაზარი მდებარეობდა ქალაქის შუაგულში, კინოთეატრის მიდამოებში. იხ. დავითაია ბ., ბარკალაია ბ., სენაკის მატიანე, თბ., 2016, გვ. 32.

² „ივერია“, XII, 1894.

ნასწორდებოდა სამაზრო ცენტრებსაც კი“¹. თქმულის საილუსტრაცი-
ოდ მკვლევარი იმოწმებს 1888 წლის მონაცემებს, რომლის მიხედვით
სამტრედიაში ითვლებოდა 15 საეკლერო დაწესებულება, 171 ათასი მან.
ბრუნვით, ახალსენაკში 19 – 160 ათასი მან. ბრუნვით, აბაშაში – 15, 121
ათასი მან. ბრუნვით და ა. შ.²



ახალსენაკის ბაზარი. ბარონ დე ბაის ფოტო. 1901 წ.

¹ ხოშტარია ე., კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში რეფორმის შემდეგ (1865–1900 წწ.). ვაჭრობა და კრედიტი. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. V, თბ., 1970, გვ. 435.

² იქვე.

XIX საუკუნის 90-იან წლებში სიმინდის საწყობები იყო დაბა ყვირილაში – 13, ახალსენაკში – 9, ძველ სენაკში – 3, აბაშაში – 16, ანაკლიაში – 14 და სხვ. (სსცია, ფ. 254, ანაწ. 1, საქმე №5217). ზოგი საწყობის წლიური ბრუნვა 30-40 ათას მანეთს აღემატებოდა. შემსყიდველები იყვნენ ადგილობრივი გლეხები, რომელთაც, სიმინდის საწყობებს გარდა, იმავე სოფელში წვრილმანი საქონლის სავაჭრო დუქნებიც ჰქონდათ (ხომტარია ე., კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში რეფორმის შემდეგ (1865-1900 წწ.). ვაჭრობა და კრედიტი. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. V, თბ., 1970, გვ. 416).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმის შემდგომ ხანაში წარმოქმნილი ახალი დაბა-ქალაქების სავაჭრო ოპერაციები საკმაოდ მნიშვნელოვნად გამოიყურებოდა. მაგალითად, აბაშა – 155 900 მან., ახალი სენაკი – 145 000 მან. და სხვ. (ხომტარია ე., დასახელებული ნაშრომი, გვ. 421).

ბაზრის დაარსების აუცილებლობა კარგად ჰქონდა გააზრებული იმდროინდელ საზოგადოებას. არაერთხელ თქმულა და დაწერილა გაზეთებში ჩვენი დაბის ჩამორჩენის ამბავი, – ვკითხულობთ გაზეთ „ივერიაში“, – სხვაგან აარსებენ წიგნთსაცავ-სამკითხველოებს, მართავენ წარმოდგენებს სხვადასხვა საქველმოქმედო აზრით და აქ კი ყოველსავე ამას მოკლებულია ადამიანი. ამის ნაცვლად ერთმანეთის მტრობა-ქიშპობაში, ანდა „ბილიარდისა“ და „დუშაში“ შე-ოხეროს თამაშში აღამებენ ღღეებს. აი, პირველი საზრდო ჩლუნგის გონებისა და განათლებისა. ღვთის მადლით, სენაკში ბევრია ეგრეთ წოდებული სასტუმრო, სადაც ამგვარ გზადაბნეულებს შეუძლიათ თავის შეფარება და გართობა... აქაურ ღეპუტატებს ბევრი საქმე აქვთ გასაკეთებელი და მათ შორის უფრო-კი იარმუკობის დაარსებისთვის უნდა ეზრუნათ, მაგრამ ჯერ, როგორც მოვაჭრეები და მცხოვრებნი ამბობენ, თითიც არ გაუნძრევიათ. ჩვენის აზრით, აღნიშნავს ავტორი („ტელეფონი“), იარმუკობის დაარსება ახალსენაკში ერთი უპირველესი საზრუნავი საგანია, რადგანაც იმა-

ზეა დამოკიდებული ვაჭრობა და აღებმაცემობა, რომელიც ოდნავ მაინც წინ წასწევს დღევანდელს დაცემულს ვაჭრობასო¹.



გლეხი ახალსენაკის ბაზარში. ბარონ დე ბაის ფოტო. 1901 წ.

ახალსენაკში გაჩაღებული ვაჭრობა აქაურ მეღუქნეებს და მიკიტნებს დიდ შემოსავალს აძლევდა. დაბის ცენტრში, სახმელეთო გზის გასწვრივ, ჩამწკრივებული იყო სავაჭრო და საბაზრო ნაგებობანი. ახალსენაკი წარმოადგენდა ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ცენტრს, სახელოსნო და სავაჭრო საწარმოებით, ბაზრით, მწკრივად განლაგებული ფიცრული ნაგებობებით და ათეულობით კერძო მობინადრეთა შენობებით. დაბას სიცოცხლეს ჰმატებდა

¹ „ივერია“, №123, 12 ივნისი, 1898, გვ. 2.

ბაზრობა. აქ იყო ახლომახლო სოფლების მცხოვრებთა სავაჭრო ადგილი. აქ მოდიოდნენ ვაჭრები აბაშიდან, მარტვილიდან, ბანძიდან, ძველი სენაკიდან, თეკლათიდან, სახარბედიოდან, მენჯიდან, ნოსირიდან, ისულიდან, ძონძირიდან, რეკიდან, ხონიდან, სუჯუნიდან და სხვ.

ახალსენაკის ბაზრის განუყოფელ ნაწილს სასწორი წარმოადგენდა. მისი ადგილმდებარეობის გარშემო ატეხილი დავა, როგორც ჩანს, იმდენად მწვავე ხასიათისა იყო, რომ გაზეთი „ივერია“ თავის თურცლებზე არაერთხელ გამოეხმაურა ამ პრობლემას.

1895 წელს გაზეთი „ივერია“ წერდა, რომ იანვრის პირველ რიცხვებში იჯარით გაიცა ახალი საყანთროს აშენების შესახებ ნებართვა, მაგრამ ორი თვე სრულდება, რაც ძველი დაანგრიეს, ახალი კი არ აშენებულა¹.

„ამჟამად სენაკელების ერთადერთი დღიური ვარამი და საჭირბოროტო საქმე გახლავთ სასწორი (საყანთრო), – წერდა გაზეთი იმავე წლის №151-ში, – რომელმაც აქაურების დიდი ყურადღება მიიზიდა. საქმე იმაშია, რომ სენაკში „საყანთრო“ აშენებულა იმ დროსა, როდესაც აქ პირველად დაუწყიათ ღუქებისა და შენობების აგება. მას შემდეგ რასაკვირველია დაბამ ერთიასად იმატა, როგორც ღუქებისა რიცხვით, აგრეთვე მცხოვრებლებითაც. ამიტომ დღეს უნდათ ხსენებული საყანთრო შუა გულ ქალაქის ადგილში დადგან. ატყდა ქიშპობა, ატყდა მედგარი ბრძოლა, სასტიკი ბრძოლა თვითარსებობისთვის. სენაკი ორ დარად გაიყო. ამათ ერთს უნდა ახალს ადგილზედ გადაიტანოს საყანთრო (შუა ქალაქში), ზოგს ისევ ის ძველი ადგილი, სადაც ახლა არის. ამიტომაც თხოვნას თხოვნა მოსდევდა ბ. გუბერნატორთან. ასე და ამგვარად აირია მონასტერი. გუბერნატორმა ეს საქმე ადგილობრივ მაზრის უფროსს, ბატონ ი. ქავთარაძეს მიანდო გასარჩევად. ბატონ მაზრის უფროსმა უარი განაცხადა, რათა მასში მომხრეებს ეჭვი არ შეეტანათ. ამიტომ მაზ-

¹ „ივერია“, №47, 1895.

რის უფროსი სთხოვდა გუბერნატორს, იქიდან საგანგებოდ კერძო პირი გამოეგზავნა ამ საქმის გასარჩევად. ბ. გუბერნატორმა გამოეგზავნა გუბერნიის კანცელარიის უფროსი მმართველი ბ. მალევსკი, რომელიც მოვიდა სენაკში 24 ივნისს. 25-ში დაათვალიერა ჯერ ახალ-სენაკის ადგილმდებარეობა. შემდეგ ინახულა ძველი და ახალი ადგილი „საყანთროსი“, გასინჯა იგი კარგად და მოახდინა საზოგადო კრება, ვინც კი მონაწილეობას იღებდა ამ საქმეში. შემდეგ ამისა შეკრება ყოველივე ცნობა შემდგარ კომისიებისაგან და გაემგზავრა ქუთაისში. ახლა კი აქაურები დღე-დღეზედ მოელიან საყანთროს შესახებ გადაწყვეტილებას და იმას, თუ რომელ „პარტიას“ გაუღიმებს ბედი და ვის დარჩება გამარჯვების ბურთი და მოედანი. ჩვენდა სამწუხაროდ, თითოეული „პარტია“ ხელმძღვანელობს ამ საქმეში პირადი (კერძო) და არა საზოგადო ინტერესებით“¹.

სასწორისათვის ადგილის ამორჩევის გამო სენაკის მცხოვრებლებში და მეღუქნეებში, წოდებისა და სქესის განურჩევლად, ატეხილი დავა და უთანხმოება, როგორც ტრიფონ კალანდარიშვილის ერთ-ერთ კორესპონდენციაშია აღნიშნული, იმით დასრულებულა, რომ „საყანთრო“ გადატანილიყო ახალ ადგილზე, რადგან ქალაქის შუაგულ ადგილად ის ყოფილა დასახელებული².

ფრანგი მეცნიერ-არქეოლოგისა და საზოგადო მოღვაწის – ბარონ დე ბაის (1853-??) მიერ 1902 წელს გამოცემულ წიგნში („იმერეთში“) გვხვდება მეტად საინტერესო ეთნოგრაფიული, ისტორიულ-გეოგრაფიული და სხვა ფაქტობრივი ხასიათის მასალა ახალსენაკზე. ნაშრომს თან ერთვის ფოტოილუსტრაციებიც. იმერეთიდან ახალსენაკში (დედანში წერია ნოვო-სენაკი) წავედი სამეგრელოს გასაცნობად კი არა, მეგ-

¹ კალანდარიშვილი ტრ., დაბა ახალ-სენაკი. გაზ. „ივერია“, №151, 1895.

² „ივერია“, №47, 29 თებერვალი, 1896, გვ. 1.

რელების სანახავად, – წერს ბარონი დე ბაი, – ახალსენაკში ცხოვრობს სამი ათასი მეგრელი. მე იქ მოვხვდი ბაზრობის დღეს და შესაძლებლობა მომეცა, სურათი გადამეღო ნიშანდობლივი და საინტერესო სახეებისათვის. თავყრილობებში ქალები ნაკლებად ჩანან. სამაგიეროდ მამაკაცთა რა ლამაზი სახეებია. უმრავლესობას თანდაყოლილი ხელოვნებითა და გემოვნებით თავზე ყაბალახი ისე ახურავს, რომ მათ ნაკვეთებს მოუხდეს. ღარიბ გლეხებს რაღაც ბლუზისმაგვარი ასხიათ, ხოლო შეძლებული გლეხები და თავად-აზნაურები ატარებენ ჩოხას.

ახალსენაკის ბაზარი თვალწარმტაც სანახაობას წარმოადგენს, სადაც მოდიან ადგილობრივი მცხოვრებნი, თავიანთი ნაწარმის გასაყიდად და საყიდლებზე – ცხენით ან კამეჩშებმული ურმებით¹.



გლეხები ახალსენაკის ბაზარში. ბარონ დე ბაის ფოტო. 1901 წ.

¹ ბარონი დე ბაი, საქართველოში, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლეილა მალრაძემ. თბ., 2011, გვ. 98-99.

შინამრეწველობის სხვადასხვა დარგთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საფეიქრო მრეწველობას. აწარმოებდნენ სხვადასხვაგვარ შალეულს, აბრეშუმეულს, ნოხებს, ფარდაგებს. გავრცელებული იყო აგრეთვე ქარგვა, ქსოვა და სხვ. შინამრეწველური ნაკეთობიდან მოსახლეობა მოიხმარდა ყაბალახს, ნაბადს, ხურჯინს, მათრამას. განსაკუთრებით განვითარებული იყო ნაბდის წარმოება ყაბარდოელთა, დაღესტნელთა და ჩაჩანთა შორის, თუმცა ნაბდების შინამრეწველური წარმოება ხდებოდა სენაკის, ზუგდიდისა და ქუთაისის მაზრებში, სადაც მიმართავდნენ უმთავრესად შესყიდულ, მოტანილი მატყლის გადამუშავებას¹. შინამრეწველობის ნაწარმზე დიდი მოთხოვნილება იყო ახალსენაკის ბაზრობაზე.

გავრცელებული იყო შალის შინამრეწველობა. XIX საუკუნეში გლენობა და თავადაზნაურობა უმეტესად შალეულით იმოსებოდა. სენაკის მაზრის ბაზრებზე ჩვეულებრივ იმერულ შალს იქნდნენ. აბრეშუმის (დარაიას), აბრეშუმნარევი და ბამბანარევი შალის ქსოვას ქალები მისდევდნენ. შალი იყო მსუბუქი, ორიგინალური, მშვენიერი და ფასის მიხედვითაც უაღრესად ხელმისაწვდომი ბაზრის მომხმარებლისათვის. XX საუკუნის დამდეგიდან იმერული შალისაგან ევროპული კოსტიუმიც იკერებოდა.

XIX საუკუნის მიწურულიდან საურმე და საფოსტო გზების გაყვანამ ხელი შეუწყო შინამრეწველობის უძველესი დარგის – ურმის კეთების ფართოდ გავრცელებას. სოფლის შინამრეწველნი მისდევდნენ ღერძობორბლების (თვლების), რკინის (შინის), სოლების, მორგეების (ბოლქვების), ურმის ზედა ნაწილის, ე. წ. „ჩარდახის“ დამზადებას. ღერძობორბლებს და უღელს სპეციალური მუშა ამზადებდა. სამაგიეროდ ურმის უბის გაკეთება უფრო ადვილ სამუშაოდ ითვლებოდა, ისევე როგორც

¹ კაკაბაძე ე., შინამრეწველობა საქართველოში, ტფ. 1926, გვ. 170-177.

მარხილისა, და გლეხი მას თვითონ ამზადებდა თავისთვის¹. ურმის ცალ-კეული ნაწილების დამზადების ოსტატები თავიანთ პროდუქციას ასაღებდნენ მახლობელ სოფლებში, ან აგზავნიდნენ მეზობელ მაზრებსა და ბაზრებზე. იყიდებოდა აგრეთვე ყავარი, ხის ჯამ-ჭურჭელი – სათუთუნე, კოვნი, ჩიბუხი და ა. შ. წნული ჭურჭლიდან დიდი მოთხოვნილება იყო სხვადასხვა ზომის კალათებზე, გოდრებზე. მწარმოებელს და შემსყიდველ-ვაჭარს ბაზარზე გაჰქონდა ხალისაგან დაწნული ქუდები, ჭილოფები და სხვ. იყიდებოდა სახნისი, თონი, ნამგალი, ბარი, ნიჩაბი და სოფლის მეურნეობაში საჭირო სხვა იარაღი, აგრეთვე დანა, მაკრატელი, სამართებელი და ა. შ. მათ კეთებასა და შეკეთებას მჭედელ-ზეინკლები მისდევდნენ. ისინი მომსახურებას უწევდნენ სოფელს ან მთელ თემს, მაგრამ, ამასთანავე, თავისი ნაწარმი გაჰქონდათ მახლობელ ბაზრებზეც.



ახალსენაკის ბაზარში. ბარონ დე ბაის ფოტო. 1901 წ.

¹ გეგეშიძე მ., ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბ., 1956, გვ. 113.



ახალსენაკის ბაზრობა. ბარონ დე ბაის ფოტო. 1901 წ.

ხელოსნობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და გავრცელებულ დარგს მჭედლობა წარმოადგენდა. მჭედლობა რამდენიმე, ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებულ ხელობას მოიცავდა. ესენია რკინამჭედლობა, მესპილენძეობა, ოქრომჭედლობა და ნალბანდობა. მჭედლობას ძირითადად მისდევდნენ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებში – სენაკში, ახალსენაკში, აბაშაში, სუჯუნაში, ბანძაში, მარტვილში, სალხინოში, ლეძაძამესა და სხვაგან. კაპიტალიზმის განვითარებამ ხელი შეუწყო ამ დაბა--სოფლების ცენტრალურ ადგილებში განსაკუთრებული უბნების შექმნას, სადაც იყიდებოდა საქონელი და წარმოებდა ყიდვა-გაყიდვა. საყოველთაოდ ცნობილი ცენტრების გარდა, სამჭედლოები, სავაჭრო

დუქნები და სამიკიტნოები მოწყობილი იყო ცალკეულ სოფლებშიც.

მომხმარებელს იზიდავდა ოქრო-ვერცხლზე მომუშავე შინამრეწველთა ნაკეთობანი: ხმალი, სატეუარი, თოფი, დამბახა, ქამარი, ცხენის მოკაზმულობა. მოჭედვა-მოსევალების ოსტატები იყენებდნენ ვერცხლს, ოქროს, მინანქარს, ძვლისა და რქის მხატვრულ სამკაულებს. ცნობილი იყო აგრეთვე საოჯახო მოხმარების ნივთებისა და ტანსაცმელთა სამკაულების – კოფზის, საყურის, საათის, ძეწკვის, ბეჭდის, მუნდშტუკის, ჭიქა-ბუდისა და სხვ., წარმოება, ფილიგრანულ ნაკეთობათა დამზადება ვერცხლის მავთულისაგან...



ცხენოსანი ახალსენაკის ბაზარში. ბარონ დე ბაის ფოტო. 1901 წ.

სამეგრელოს მოსახლეობის ყოფაში ცხენი უძველესი დროიდან გამოიყენებოდა. ამიტომ მეცხენეობა ძალიან განვითარებული იყო. უნაგი-

რისა და ცხენის საკაზმის ოსტატს **სარაჯი//მეკეხე//მეყაიშე** ერქვა და ზოგჯერ „**მორნიკსაც**“ უწოდებდნენ (რუსული სიტყვაა და „მეუნაგირეს“ ნიშნავს). სამეგრელოში უნაგირის შესატყვისია **უნანგერი//ონანგერი**, ხოლო უნაგირის დამზადების ოსტატს **მეუნაგრი//მეუნარგე//მეუნაგერი** ეწოდება. მეუნაგირეობა, როგორც ხელოსნობის დარგი, განვითარებული ყოფილა სენაკის მაზრის დაბა ახალსენაკშიც. რეფორმის შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით სააღმშენებლო საქმიანობის განვითარების შემდეგ, ცხენის აღკაზმულობის დამზადების საქმეს დაბაში მრავალმა პროფესიონალმა ოსტატმა მიჰყო ხელი, რაც დასტურდება ჩვენ მიერ მოპოვებული ზეპირსიტყვიერი გადმოცემებით. ახალსენაკის ბაზრობაზე XIX ს-ის მიწურულიდან მოყოლებული, დიდი რაოდენობით იყიდებოდა მეუნაგირეების (სარაჯების) ნახელავი. ისინი თავიანთი ნაწარმით აკმაყოფილებდნენ ადგილობრივთ და მეზობელ სოფლებსაც. ცხენის აღკაზმულობისთვის საჭირო მრავალ საგანს – უნაგირს, კეხს, უნანგებს, აღვირს, სამუეს, თექალთოს, საოფლეს, გარსაკრავ ღვედებს, ბარგის ამოსაკრავ თასმებს, გვერდის საყბურებს, ფრთებს, მოსართავებს, ბალიშის მომჭერს, სამუცლეს, სამუხლეს, საბუზეს, საყელოს, ავშარას თუ მათრახს აქაური ხელოსნები ადგილზე ამზადებდნენ. უნაგირისთვის საჭირო სხვადასხვა ნაწილების მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ოქრომჭედელი, მეკეხე, აღვირისა და აბზინდის ოსტატ-ხელოსანი.

მეთუნუქეობის ცენტრი იყო სენაკის მაზრის სოფ. ნამიკოლაჲო. აქ დამზადებული ქვევრები, კოკები, დოქები, ჯამები, ქოთნები, კეცები და სხვ. გასაყიდად გამოჰქონდათ სენაკისა და ძველი სენაკის, ბანძის, ლეძაძამისა და მარტვილის ბაზრებზე.

ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ სენაკელები სახელოსნოებს ფლობდნენ სხვა დასახლებულ პუნქტებში, სადაც ვაჭრობა იყო განვითარებული. ასე, მაგალითად, 1888 წლის სამრეწველო და სავაჭრო და-

წესებულებათა გენერალური შემოწმების ჟურნალების მიხედვით ხონში 128 სახელოსნო იყო. ექვსი წლის მანძილზე სახელოსნოთა რაოდენობა ერთიორად გაზრდილა. ხონში მდებარე სახელოსნოების მფლობელთა ნახევარი ხონის ახლომახლო სოფლებიდან და აღმოსავლეთ სამეგრელოდან მოსული პირები იყვნენ. 1887 წლის მონაცემებით 128 სახელოსნოდან 66 ჩამოსულ პირებს ეკუთვნოდათ. მათ შორის 3 ჯიხაიშელი იყო, 1 – ზუგდიდელი, 2 – სენაკელი, 2 – აბაშელი, 2 – ქუთაისელი და ა. შ.¹



ახალსენაკელი ვაჭარი და საზოგადო მოღვაწე
მაქსიმე ჯარუას ძე მისაბიშვილი. 1915 წ.

¹ სცსსა, ფ. 264. საქ. 3746, ფურც. 62-102; მსჯელობისათვის იხ. ვაჭრიძე პ., ხონის ისტორიიდან, თბ., 1998, გვ. 93.

სახელოსნო იმავე დროს სავაჭრო წერტსაც წარმოადგენდა. პროდუქტები და პირუტყვი ბაზარში იყიდებოდა, ხოლო სამრეწველო საქონლით, ანუ, ე. წ. მანუფაქტურით, მაღაზიები ვაჭრობდნენ.

ახალსენაკში სავაჭრო საქმიანობას ეწეოდნენ ს. ნატოჩაოში მცხოვრები ვაჭრები – მუთუნია და მაქსიმე მისაბიშვილები. ამ უკანასკნელს ნატოჩაოს სამრეწველო სკოლის შეგირდებისთვის 1898 წელს დასარიგებლად გაუგზავნია სასწავლო ინვენტარი¹.

გაზეთ „ელვის“ 1909 წლის №6-ში დასახელებულია ახალსენაკელი ვაჭარი გრიგოლ ძიძიგური, რომელსაც სენაკში ვაჭრების პრისტავობა ბრალდებოდა. მდიდარი და წარმატებული ვაჭარი ყოფილა ილარიონ გრიგოლის ძე სიჭინავა. მას პირველი გილდიის ვაჭრის სტატუსი ჰქონდა. ახალსენაკში, ფოთსა და სოხუმში დუქნების მფლობელს თანამშრომლობა უხდებოდა რუსეთისა და საზღვარგარეთის ზოგიერთი დიდი სავაჭრო ქალაქის საქმიან წრეებთან და მოხელეებთან. ილარიონი ცნობილი იყო როგორც საზოგადო მოღვაწე. ახალსენაკში თავისი საცხოვრებელი სახლის პირდაპირ აუგია შენობა დაწყებითი ოთხკლასიანი სემინარიისათვის, სადაც მოუწვევია საუკეთესო მასწავლებლები თბილისიდან, პეტერბურგიდან (მაგალითად, მათემატიკის მასწავლებელი ა. რაჩინსკი) და გერმანიიდან (ჰერ ჰანს შტოლცი). მათთვის საცხოვრებლად თავისივე ეზოში ააგო მეორე სახლი, სადაც ხშირად იკრიბებოდნენ ახალსენაკის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები². ახალსენაკსა და ზანაში სავაჭრო საქმიანობას ეწეოდა ბეკოია ბოჯგუა³.

გაზეთ „განთიადის“ 1913 წლის №10-ში აღნიშნულია, რომ დაბა

¹ „ივერია“, №21, 1890; „ცნობის ფურცელი“, №471, 1898.

² ილარიონ ნაჭყეობას შვილი იყო გამომჩენილი პედაგოგი, კლინიცისტი და საზოგადო მოღვაწე ანტონ სიჭინავა (1899-1963 წწ.).

³ ზანელი მოვაჭრის – ბეკო ბოჯგუას სახლში ბლალოჩინ კონსტანტინე ბაქრაძეს დროებით განუთავსებია წერა-კითხვის სკოლა. იხ. „ცნობის ფურცელი“, №471, 1898.

ახალსენაკში ვაჭრები, ნოქრები, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით, 1907 წლის განკარგულების საფუძველზე, მუშაობენ დილის 6 საათიდან საღამოს 6 საათამდე. კვირა დღეს დუქნები იღება დილის 8 საათზე და იკეტება საღამოს 1 საათზე. საღამოს პოლიცია ფორმალურად უსტვენს – მაღაზიები დაკეტეთო, მაგრამ შიგნით ვაჭრობა მანც მიდის¹.

უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთ სამეგრელოს, მათ შორის სენაკის მოსახლეობას, ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს ცალკეულ მხარეებთან, პოლიტიკური დაქუცმაცებულობის პირობებშიც. მეგრელი გლეხები ჩადიოდნენ ხონის პარასკევობაზე და თავისუფლად ვაჭრობდნენ აქაურ ბაზარზე, რეფორმამდელ პერიოდშიც. იოჰან ანტონ გიულდენშტედტის (XVIII ს.) ცნობით, „ბაზრობაზე მყოფ ხალხში იყვნენ მეგრელებიც. ამ პროვინციის შესახებ ამათგან მივიღე ცნობები ისევე, როგორც დადიანის სხვა მხარეთა – ოდიშისა და ლეჩხუმის შესახებაც, რაც მათ შეეძლოთ ჩემთვის ეთქვათ, რადგან ეს ქვეყნები ვერ მოვიარე მათი ბატონების განწყობილების და თურქების მეზობლობის გამო“².

¹ „განთიადი“, №10, 1913.

² გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, თბ., 1962, გვ. 155.

**თავი VII. ახალსენაკის ბანაშენიანება და
ბარმბნული იმრსახე
XIX ს. II ნახევარსა და XX ს. ათიან
წლებში**

დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული და კოლორიტული ქალაქი სენაკი ყოველთვის თვალსაჩინო როლს თამაშობდა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. იგი დღესაც საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სარკინიგზო კვანძს წარმოადგენს. გასული საუკუნის 70-იან წლებში ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის გაყვანამ და რკინიგზის სადგურის მშენებლობამ ხელი შეუწყო ქალაქის წარმოქმნასა და შექმნა ზრდა-განვითარებას. სენაკმა თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით მალე დაიწყო სენაკის მაზრის (აღმოსავლელი ოლქის) ყოფილი ცენტრი, რომელსაც მოგვიანებით ძველი სენაკი ეწოდა, ხოლო დღევანდელ სენაკს – ახალსენაკი (Сенаки, Новоместечко).

ახალსენაკის ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტად (წინაქალაქად, დაბად) ფორმირება 1870 წლიდან იწყება. აქედან მოყოლებული, მისთვის მინიჭებული ფუნქციის მიხედვით, იგი წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ცენტრს და საფაქრო-სახელოსნო დაბას, სადაც განვითარებული იყო მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, შინამრეწველობა და სხვ. XIX ს-ის 70-იანი წლების დასაწყისამდე ახალსენაკის შემოგარენი, თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, იზრდებოდა სტიქიურად, რაიმე წინასწარდასახული გეგმის გარეშე. თუმცა, 70-იანი წლებიდან მის განაშენიანებაში უკვე გეგმითი საწყისები ჩნდება.

ამჟამინდელი ქალაქ სენაკის (ყოფილი ახალსენაკის), როგორც დასახლებული პუნქტის, დაწინაურება ფოთი-თბილისის სარკინიგზო მა-

გისტრალის გახსნას უკავშირდება. ახალსენაკში სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის ისტორია XIX ს-ის რეფორმის შემდგომ პერიოდს უკავშირდება. ნიშანდობლივია, რომ დაბის განაშენიანება და გარეგნული იერსახის ცვლა ასევე ემთხვევა ფოთი-თბილისის სარკინიგზო ხაზის გაყვანისა და ახალსენაკის ბურჟუაზიულ რელსებზე გადასვლის პერიოდს. მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი ზრდით გამოიკვეთა დაბის ცხოვრების თვისებრივად ახალი პერიოდი.

XIX ს. II ნახევარში ახალსენაკის სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მომხდარი ცვლილებები დადებითად აისახებოდა სავაჭრო-სახელოსნო დაბის გარეგნულ იერსახესა და განაშენიანებაზე, რაც გამოიხატებოდა ეროვნული ტრადიციული ხუროთმოძღვრული ფორმების ახალ კლასიკურ სამშენებლო არქიტექტურასთან შერწყმაში. დაბა სწრაფი ტემპით იძენდა დამახასიათებელ კოლორიტულ სახეს.

უნდა აღინიშნოს, რომ XIX ს-ის 70-80-იან წლებში სამშენებლო ტექნიკის მიმართულებით დაწყებული მნიშვნელოვანი ცვლილებები, სამშენებლო რეგლამენტაცია, მოგვიანებით, საბჭოთა პერიოდში მოექცა სამშენებლო კანონმდებლობის ჩარჩოებში – სამშენებლო არქიტექტურაში ფართოდ გავრცელებული ხის მასალა გასული საუკუნის 20-30-იანი წლებიდან უმეტესად ჩანაცვლა წითელმა აგურმა. ამ მხრივაც სენაკი დღესაც გამორჩეული ქალაქია დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებთან შედარებით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ქალაქის ტერიტორიაზე (აქაც და სხვაგანაც), სამწუხაროდ, თავი იჩინა ქაოსმა და თვითნებურმა მშენებლობებმა, რაც კოლორიტს უკარგავს სენაკს.

რამდენადაც ქალაქის იერსახის, მისი განუმეორებელი კოლორიტის განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის უმთავრესია საზოგადოებრივი და სამოქალაქო დანიშნულების ნაგებობების, მოსახლეობის განაშენიანების ხუროთმოძღვრული კომპლექტები და ქუჩების ქსელი, წინამდებარე თავში შევეცდებით, ახალსენაკის ახალი ისტორიის მნიშვნელოვანი

ფურცელი სწორედ ამ ჭრილში განვიხილოთ.

ახალსენაკის განაშენიანების შესწავლის თვალსაზრისით საინტერესოა გვართა დასახლებანი. ზედა სალომიოსა და მენჯის სანატორიუმს შუა მდებარეობს **საგეგენა** – გეგენაების უბანი. შხეფის აღმოსავლეთ ნაწილში, გრიგალაების გვარით დასახლებულ უბანს **საგრიგალო//საგირგალო** ეწოდება. მდ. ცივის ნაპირზეა **საეჯიბიო**. საეკლესიო გლეხები – ეჯიბიები სოფელ სახარბედიოს პირველმოსახლენი ყოფილან. ზედა სალომიოში თულაძეების გვარით დასახლებულ მიკროუბანს **სათულაძო** ჰქვია. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, საკინწურაშვილოსა და სახაჯალიოს შუა კალანდარიშვილების უბანი **საკალანდარიშვილო//საკალანდარისკუო** მდებარეობს. ორეკემთან მდებარეობს კვირკველების უბანი **საკვირკველიო**. შხეფის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ეკის მთასა და სახოფერიოს შუა მდებარე უბანს **საკინწურასკუო//საკინწურაშვილო** ჰქვია. გორდიდან სამი ძმა კინწურაშვილი ჩამოსულა, ერთმანეთის ახლოს დასახლებულან და გამრავლებულან. გვარის ორი შტოს მიხედვით არსებობს ორი ქვეუბანი: **მიკოხონარეფი** „აღმოსავლელნი; იქითურნი“ და **მდკოხონარეფი** „დასავლელნი; აქეთურნი“. საგრიგალოს დასავლეთით, საკუჭაღალის სათავესთან უცხოვრიათ კუჭავებს. ამიტომ ამ უბანს **საკუჭა(ო)** ერქვა. ქუთაის-სოხუმის სარკინიგზო მაგისტრალის გაღმა – გამოღმა მდებარეობს **ზედა სალომიო** (რკინიგზის ხაზის ჩრდილოეთით) და **ქვედა სალომიო** (რკინიგზის ხაზის სამხრეთით). შხეფის ჩრდილოეთ ნაწილში მოსახლეობენ ნინუები და, შესაბამისად, უბანს **სანინუო** ეწოდება. მას სამხრეთით ესაზღვრება **სასახოკიო** – სახოკიების უბანი შხეფის ციხესა და ტეხურისპირა ჭალას შუა, სოფ. ძველი სენაკის საზღვართან. ციის მარცხენა მხარეს ფილიების გვარის დასახლებას **საფილიო** ეწოდება. საკინწურაშვილოს დასავლეთით, ეკის მთისძირამდე მოსახლეობენ ქაჩიბაიები და უბანს ჰქვია **საქაჩიბაიო**. უწინ საქაჩიბაიო სოფლის სტატუსით (28 კომლი, 124 სული) თეკლათის სასოფლო საბ-

ჭოში ერთიანდებოდა¹.



ზემო თეკლათის (სალომიოს) დედათა მონასტერი

¹ისტორიული საარქივო დოკუმენტებით ცნობილია საქაჩიბაიოს გლეხთა 1850 წლის აჯანყება აზნაურ ხოფერიას წინააღმდეგ, რაც პრელუდია გამოდგა სამეგრელოს 1856 წლის გრანდიოზული აჯანყებისა (უტუ მიქაეას ხელმძღვანელობით). ბატონყმური ურთიერთობის დომინირების პირობებში გლეხი ესწრაფებოდა ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, რასაც ფეოდალთა ხელში მიწის საკუთრების მონოპოლიაზე იერიშის მიტანით ცდილობდა და მთავრობისათვის მიუღებელი საშუალებებით იბრძოდა ცალკეული მეზატონეებისა და მთლიანად ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ. XIX საუკუნის 40-50-იან წლებში გახშირდა ბეგარა-გადასახადებზე უარის თქმა, აყრა-გაქცევა, საძულველ მეზატონეთა მკვლელობა. ფართო მასშტაბი და დიდი გაქანება მიიღო გლეხთა მასობრივმა აჯანყებებმა. საქაჩიბაიოს 1850 წლის აჯანყება სწორედ ამ პროცესების გამოძახილი იყო. სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა ურჩი გლეხებისათვის ჭკუის სასწავლებლად დამსჯელი რაზმი გაგზავნა ვამეყ დადიანის ხელმძღვანელობით. ეს უკანასკნელი ჯოგის ჩამორთმევით, გლეხთა ბედლებისა და მარნების დაცარიელებით შეეცადა ამბოხებულთა მოწილების გზაზე დაყენებას. გლეხები ტყეში გაიხიზნენ, მათ კვალდაკვალ მიჰყვა დამსჯელი რაზმიც. ცხარე ბრძოლაში დაიღუპა ვამეყ დადიანი, ხოლო რამდენიმე გლეხი დაიჭრა. შეიარაღებულმა რაზმმა შეძლო აჯანყებულ გლეხთა წინააღმდეგობის გატეხა, აჯანყებულთაგან 9 კაცის შეპყრობა და დასჯა. ალ. ბენდიანიშვილი შეცდომით სოფლის სახელწოდებად მიუთითებს საქაჯიბაოს. სინამდვილეში ესაა საქაჩიბაიო. იხ. ბენდიანიშვილი ა., გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში, 1989, გვ. 73.

ტობაღელესა და საკუჭაღელეს შუა მდებარეობს ჩემიების უბანი **სა-ჩემიო**. სანინუოსა და სასახოკიოს შუა მდებარეობს საძიძიგურო, სადაც ორიოდ კომლი ძიძიგური სახლობს. აქვე, ტობაღელესა და ჯინაშ სუკს შუა მდებარე გორას **საძიძიგუროსუკი// საძიძიგუროგოლა** ჰქვია. საკუჭაღელესა და საკალანდარისქუს შუა დასახლებულ უბანს **სახოფერიო // სახუფერიო** ეწოდება. მდ. ცივის მარჯვენა მხარეს, **სახუხუოში** ხუხუას გვარისკაცი მოსახლეობენ. მხეფის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში უბანი იწოდება **საჯანჯლაოდ** (გვარი ჯანჯლა(ვა)).

ლონდონში გამომავალ გაზეთ "Daily News"-ში 1877 წლის 29 აგვისტოს დაიბეჭდა უცნობი ავტორის სპეციალური კორესპონდენცია კავკასიაში მოგზაურობის შესახებ, სადაც მნიშვნელოვან ცნობებს ვხვდებით ახალსენაკზე: „დაახლოებით ხუთი-ექვსი ვერსის გავლის შემდეგ მთავარი სავალი გზა ჯერ შედის, შემდეგ მიუყვება და უერთდება ყველაზე დიდ, დამთრგუნველ ჭანჭრობს, რომელიც საკმაოდ მოზრდილ მანძილზეა გადაჭიმული რიონის ორივე მხარეს ფოთამდე, კერძოდ, ზღვის სანაპირომდე... ზემოთ ხსენებული უშველებელი ჭანჭრობი გარშემორტყმულია ხშირი, უსიერი და მოზრდილი ტყეებით, დახლართული ეკალბარდებით, ჯუნგლებით. სიცოცხლისთვის საშიშ ამ ადგილებში აქა-იქ მცირე დასახლებებია გაბნეული, თუმცა ოდნავ უფრო შემალლებულ, საცხოვრებლად შედარებით ვარგის მიწებზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთელ მხარეში ციებ-ცხელებაა მოდებული. მიუხედავად ყველაფრისა, ფოთისა და სენაკის დამაკავშირებელი რკინიგზის გაყვანა სწორედ ამ ტერიტორიაზე გრძელდება. საუბარია დაახლოებით ოცდაათ მილზე. როგორც ამბობენ, გზის გაყვანამ ასობით რუსი ჯარისკაცის სიცოცხლე უკვე შეიწირა. ზატხულის მაღალი ტემპერატურის გამო. გასაოცარიცაა, უფრო სავალალო შედეგი რომ არ დადგა“¹.

¹გაზ. "Daily News", 29 აგვისტო, 1877.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ქუთაისიდან 50 ვერსით დაშორებულ სოფელ ძველ სენაკში ღამე გაატარა ქუჩაზე ჩამწკრივებულ ხის სახლთაგან ერთ-ერთის პირველი სართულის აივანზე, განთიადის დადგომისთანავე კი მოგზაურობა გააგრძელა. „ძველი სენაკი, რომელიც ერთ ღროს მნიშვნელოვანი, ანგარიშგასაწევი სავაჭრო პუნქტი გახლდათ, ნელ-ნელა უფასურდება და მდგომარეობაც შეუქცევადად უარესდება, რადგან აქ რკინიგზის გაყვანის შემდეგ ახალი სოფელი – ახალი სენაკი გაჩნდა. ორივე სოფელი 1500-2000 ფუტის სიმაღლეზე, ტყეებით შეფენილი მთაგრეხილის ქვედა კალთაზეა გაშენებული. ძველი სენაკის ზემოთ გრძელდება გზა, რომელიც იდუმალ, სუროთი დაფარულ ციხესიმაგრემდე (იგულისხმება შხეფის ციხე – ავტ.) ადის, საიდანაც თვალწარმტაცი ხედი იშლება. ეს ციხესიმაგრე ოდესღაც დადიანებს ეკუთვნოდა და სამეგრელოს მთავრებს მემკვიდრეობით გადაეცემოდა.



სახლი ახალსენაკში. ბარონ დე ბაის ფოტო. 1901 წ.

მთის ქვედა კალთას მიუყვება საფოსტო გზა. მისი ოთხი-ხუთი ვერსის ნელი ტემპით გავლის შემდეგ მივუახლოვდით ახალ სენაკს, რომლის განაპირად დგას მისტერ რაისის სახლი. ის განლაგებული ინგლისელი, რომელიც კარგა ხანია კავკასიაში ცხოვრობს... მისტერ რაისი შესანიშნავი მებაღეა და ცნობილია თავისი ატმების, ნექტარინისა (ვაშლატამა) და სხვა არაერთი ხილის მოშენებით... მისის რაისი და მისი ქალიშვილები დამატებით საქმიანობასაც ეწევიან. მათ თავად იტვირთეს ჩაის, სურსათ-სანოვაგისა და ყოფის შემამსუბუქებელი ნივთების დარიგება იმ დაჭრილ-დაავადებული ჯარისკაცებისთვის, რომლებიც ბრძოლის ველიდან ჯერ ადგილობრივ ლაზარეთში, მოგვიანებით კი ქუთაისისა და სურამის საავადმყოფოებში გადაანაწილეს. ჩემი იქ ყოფნისას ას ოც მებრძოლამდე მოიყვანეს, უფრო მეტად დაავადებული, ვიდრე დაჭრილი“¹. რაისის მიერ ახალსენაკში გაშენებული ბაღის შესახებ წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ფელეტონში გ. ჩიჩუა წერს: „ახალსენაკში დავრჩით ორი დღე... დავიარეთ თ-დ დიმიტრისა და ფარნაოზის ეზოები, რომელთაც აქვთ ბევრი სხვა-და-სხვა გვარი თვალისათვის სასიამოვნო და ბალ-სახლის დასამშვენებელი მცენარენი. დავიარეთ ძველი, თუ ახალი ბაღები, საცა მრავალი იყო სხვა-და-სხვა ყვავილები, ხეხილები და ზვრები, რაისისაგან გაშენებული ბაღი (ეხლა აზნაურის ანტონ ქავთარაძისა). რაისის შემოუღია აქ მარწყვის მოყვანა. მარწყვს ისე კარგად უხარწია, რომ ბევრს ხელი მოუკიდნიათ მის მოყვანისათვის და შემოსავალსაც კარგს იღებენ...“².

¹ იქვე. უთუოდ ეს ინგლისელი მებაღე მისტერ რაისი უნდა იგულისხმებოდეს ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის – თედო სახოკიას (1868-1956 წწ.) შემდეგ ცნობაში: „იყო ერთი აქ დასახლებული ინგლისელის ეზო-ბაღი, სადაც მარტვილის სიმინდს გარდა, ვხედავდით სხვადასხვა ტროპიკულ და კულტურულ მცენარეებს, რომელთა აღმოცენება აქაურ ნიადაგს შეეძლო და ჩვენ კი სასწაულად მიგვაჩნდა“. იხ. სახოკია თ., როგორ ვიზრდებოდით ძველად, თბ., 1955, გვ. 168.

² „ივერია“, №12, 18 იანვარი, 1894.

აღნიშნული კორესპონდენცია (გაზეთი "Daily News") ინტერესს იწვევს XIX ს-ის 70-იანი წლების ახალსენაკის ისტორიის რამდენიმე მომენტის დასადგენად: 1. ფოთი-სენაკის რკინიგზის დაახლოებით 30-მილიანი მონაკვეთის გაყვანა განხორციელებულა ადამიანის სიცოცხლისათვის მეტად საშიშ, ციებცხელებიან ადგილებში; 2. აქა-იქ გაბნეული დასახლებები საცხოვრებლად შედარებით ვარგის მიწებზე, შემაღლებაზე მდებარეობდა; 3. ერთ დროს მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწვევი პუნქტის – ძველი სენაკის გაუფასურება მას შემდეგ დაიწყო, რაც რკინიგზის გაყვანის შემდეგ ახალი სოფელი – ახალსენაკი გაჩნდა. ორივე სოფელი მთის ქვედა კალთებზე იყო გაშენებული და აქვე გადიოდა საფოსტო გზა ძველი სენაკიდან ახალსენაკის მიმართულებით; 4. ახალსენაკში ამ დროისათვის არსებობდა ლაზარეთი, სადაც ომში დაჭრილი და ციებ-ცხელებით დაავადებული ჯარისკაცები მკურნალობდნენ.

მაშასადამე, ახალსენაკის, როგორც დასახლებული პუნქტის, წარმოქმნას, კორესპონდენციის ავტორი სწორედ რკინიგზის ხაზის გაყვანას უკავშირებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის პირველი უბანი ფოთიდან ყვირილამდე 1871 წლის 14 აგვისტოს გაიხსნა¹.

ეს იყო მთავარი სამიმოსვლო-სავაჭრო გზა საქართველოში, რამაც ბიძგი მისცა საგუბერნიო ქალაქებსა და მხარეებს შორის ახალი სამიმოსვლო გზების გაყვანას, ხიდების მშენებლობას, ახალი სამრეწველო-სახელოსნო პუნქტებისა და ქალაქების (სამტრედია, აბაშა, ახალსენაკი, ზესტაფონი...) წარმოქმნას და მათ ირგვლივ მოსახლეობის თანდათან დაჯგუფებას². ახლადწარმოქმნილ პუნქტებში ხელოსნობისა და მრეწველობის განვითარებამ ხელი შეუწყო ადგილობრივი და შემოტანილი

¹საქ. ცსია, ფ. 17, ს. 8990, ფურც. 85.

²საქ. ცსია, ფ. 17, ს. 8990, ფურც. 92.

პროდუქციის მეტად გავრცელებას¹.

უნდა აღინიშნოს, რომ ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის გაყვანა, ახალი ქალაქებისა და დაბების წარმოქმნასთან ერთად, ძველ და უკვე არსებულ ქალაქებზეც ახდენდა გავლენას. მ. ნიკოლეიშვილის შეფასებით, „იწყება ამ ქალაქების სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები. ისინი იწყებენ გარდაქმნას ბურჟუაზიულ ქალაქებად, მაგრამ ეს პროცესი არ ყოფილა ერთგვაროვანი ყველა ქალაქისათვის. ზოგიერთი ქალაქი, რომლებიც ხსენებული რკინიგზის ხაზის გარეთ დარჩა, დაქვეითებას იწყებს და თანდათან ქრებიან ასპარეზიდან. ისინი ადგილს უთმობენ ახლად წარმოქმნილ ქალაქებს, მაგრამ ამ პროცესსაც არ ჩაუვლია უმტკივნეულოდ. იწყება მათ შორის მეტოქეობა-დაპირისპირება“².

1873 წელს ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე წერდა: „ქალაქ ქუთაისის მოსახლეობა ყოველდღიურად სულ უფრო ხმამაღლა აცხადებს საჩივარს ვაჭრობისა და ამ ქალაქის ეკონომიური მნიშვნელობის არაჩვეულებრივი დაქვეითების გამო. რკინიგზის გახსნით, რომელმაც ქალაქს 7,5 ვერსით აუხვია გვერდი, ქუთაისმა თანდათან დაიწყო დაცარიელება, დაქვეითება და უმთავრესად სავაჭრო და სამრეწველო ქალაქი დაეშვა მესამე ხარისხოვან ადმინისტრაციული ცენტრის დონემდე. სახლები სანახევროდ დაცარიელდა, – ძველმა ფასებმა ორჯერ და სამჯერ დაიწია. მალაზიები უიმედოდ ელოდებოდა ნისიად მყიდველებს და მთელი ქალაქის ცხოვრება ტრიალებს სასამართლო და საპოლიციო სამმართველოების ან მრავალრიცხოვანი აუქციონ-

¹ საქ. ცსია, ფ. 17, ს. 8990, ფურც. 105-106.

² ნიკოლეიშვილი მ., დასავლეთ საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სარკინიგზო მშენებლობის ისტორიიდან (XIX ს. რეფორმისშემდგომი პერიოდი), ქუთ., 1994, გვ. 39-40.

ნერგების ირგვლივ...“¹

ქუთაისის ეკონომიკური მნიშვნელობის დაქვეითების ნიკოლაძისეული დახასიათება შეიძლება განზოგადდეს ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი მაგისტრალის გარეშე დარჩენილ სავაჭრო ცენტრებზეც. ფოთი-თბილისის ხაზის საგუბერნიო ქალაქიდან მ კმ-ის დაშორებით გაყვანამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ქუთაისს. სამაგიეროდ ქვემო სამეგრელოში აბაშამ და ახალსენაკმა დაიწყო აღორძინება. ეს პუნქტები ბანძის, ძველი აბაშის, ძველი სენაკისა (ყოფილი სენაკი) და მარტვილის სერიოზული კონკურენტები შეიქნა. სენაკის (ახლანდ. ძველი სენაკის) ნაცვლად ახალსენაკი დაწინაურდა, ძველ აბაშას აბაშა ჩაენაცვლა, ორპირს – სამტრედია, რედუტ-კალეს (ყულევს) – ფოთი და ა. შ.

1879 წელს კავკასიაში ჩამოვიდა ცნობილი ფრანგი ჟურნალისტი ჟიულ მურიე, რომელიც ხანგრძლივად ცხოვრობდა თბილისსა და ზუგდიდში. მან მოკლე, მაგრამ საინტერესო ცნობები შემოგვინახა დაბის განაშენიანების შესახებ. მურიეს ცნობით, ახალსენაკი სამაზრო ცენტრს წარმოადგენს 1870 წლიდან. აქ გადის ფოთი-ტფილისის რკინიგზის სადგური 80 კომლით, ერთი ეკლესია და ორი სკოლა. ამათგან ერთი სკოლა ნახევრად სემინარიაა. ასევე აქ არის ნაჩალნიკის რეზიდენცია, მომრიგებელი სასამართლო, წერილებისა და ცხენების ფოსტა, ხაზინა და ტელეგრაფი. ახალსენაკი გარშემორტყმულია ჭაობებით და ზაფხულში მძვინვარებს ციებ-ცხელება. ქარსაცავეები ძალიან ცოტაა და ხშირად უბერავს აღმოსავლეთის ქარი². წიგნში მოგზაური ცალკე გამოყოფს 140-კომლიან დასახლებულ პუნქტს – სენაკს (ახლანდ. ძველ სენაკს), ერთი სკოლითა და ერთი ეკლესიით, რაც, მისი თქმით, წინათ

¹ ნიკოლაძე ნ., თხზულებანი, ტ. I, 1962, გვ. 559.

² ჟიულ მურიე, სამეგრელო (ძველი კოლხეთი), ფრანგულიდან თარგმნა ვლადიმერ ანთელავამ. ორიგინალს შეადარა, შეასწორა და გამოტოვებული ადგილები თარგმნა ანა ჭეიშვილმა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ბეჟან ხორავამ. თბ., 2018, გვ. 240.

აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენციას და სამაზრო ცენტრს წარმოადგენდა, ხოლო ამჟამად აქ რამდენიმე უმნიშვნელო სავაჭრო დუქანია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მარტსა და აგვისტოში სამი დიდი ბაზრობა იმართება¹. ინტერესს იწვევს ახალსენაკის მახლობლად მდებარე სოფელ თეკლათის შესახებ მურიეს შემდეგი მსჯელობაც: აქ ორი ეკლესია და 418 კომლია. ქუთაისიდან მომავალი გზა მას ორ ნაწილად ყოფს. ეს გზა სოფელს საშუალებას აძლევს სწრაფად დაუკავშირდეს მარანს, ქუთაისსა და ზუგდიდს. სავაჭრო გზას წარმოადგენს აგრეთვე პატარა ნაგებობათვის სანაოსნოდ გამოსადეგარი მდინარე ცივი, რომელიც რიონს ერთვის. თეკლათი სამეგრელოს ერთ-ერთი ყველაზე იღბლიანი სოფელია, რომელსაც აქ გამავალი რკინიგზის გამო შეუძლია უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინოს². თეკლათის „იღბლიანობა“ იმაში მდგომარეობდა, რომ XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან, როცა ფართო გაქანება მიეცა რკინიგზის მშენებლობას, სწორედ მისი ტერიტორიის ხარჯზე გაფართოვდა თეკლათს, ძონძირსა და შხეთს შორის აღმოცენებული დაბა ახალსენაკი.

XIX ს-ის II ნახევარსა და XX საუკუნის ათიან წლებში ახალსენაკის ცხოვრებაში მომხდარმა არაერთმა მნიშვნელოვანმა ამბავმა ასახვა ჰპოვა იმდროინდელ ქართულ პრესაში. ეს ცნობები ზოგჯერ სულაც მწირი და ერთი შეხედვით უმნიშვნელოა, თუმცა დაბის ყოველდღიურობასა და სოციალურ-ეკონომიკურ ყოფაზე, განაშენიანებასა და გარეგნულ იერსახეზე მრავალფეროვან და საინტერესო ინფორმაციას შეიცავს, ზოგჯერ კი სრულიად უჩვეულო რაკურსით გვაჩვენებს ამა თუ იმ მოვლენას და გვიხსნის მნიშვნელობას. საგულისხმო ცნობების შემცველია აგრეთვე ცნობილი საზოგადო მოღვაწეების – შალვა დადიანის, თედო სახო-

¹ იქვე.

² იქვე.

კიას, იპოლიტე ვართაგავასა და სხვათა მოგონებები...

ცნობილი მწერალი, ეთნოგრაფი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია (1868-1956 წწ.) XIX ს-ის 70-80-იანი წლების ახალსენაკის საინტერესო აღწერას გვაძლევს. 1882 წელს სასწავლებლის მარტვილიდან აქ გადმოტანამ დიდად შეუწყო ხელი დაბის წინსვლას, აქ აღებ-მიცემობის განვითარებას. 1876 წელს აქ სულ ათიოდე სამიკიტნო და ორიოდე საფართლო ხის დუქანი თუ იყო, შარავ ზის იქით-აქეთ. ახლა კი ქვითკირის დუქნები გაჩნდა ფართლელისა და საბაყლო დუქნებით¹. გამრავლდა სამიკიტნოების რაოდენობა და მათი მუშტარაც. 350 სულამდე შეგირდი, მათი ხშირად ჩამომსვლელი მშობლები და სასწავლებლის მასწავლებლობა, რა თქმა უნდა, ისე დიდ საზოგადოებას ქმნიდა, რომელსაც შეეძლო ხელი შეეწყო დაბის ზრდა-განვითარებისათვის. სულ უკანასკნელი, ასი მღვდელი მაინც მოიყრიდა თავს სენაკში სამი-ოთხი დღით. ყველანი აქაური სასაღილოების მუშტარები იყვნენ და ყოველ კრებაზე, სულ უკანასკნელ 200-300 მანეთს დასტოვებდნენ სენაკში².

რკინიგზის გაყვანას მოჰყვა ბურჟუაზიული დასახლებისათვის დამახასიათებელი საწარმოო, სახელოსნო, სავაჭრო, საფინანსო, ადმინისტრაციული ობიექტებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესე-

¹ **საბაყლო** – დუქანი, გასტრონომიული მაღაზია, საწყობი. ბაყალი – სურსათ-სანოვაგით, მზა საკვები პროდუქტებითა და წვრილმანებით მოვაჭრე ძველ საქართველოში. ი. გრიშაშვილის „ქალაქური ლესიკონის“ მიხედვით: **ბაყალი** 1. მეხილე, მწვანელიეულობით მოვაჭრე; 2. ხილით მოვაჭრე. იხ. გრიშაშვილი ი., ქალაქური ლესიკონი (საარქივო მასალა). გამოსაცემად მოამზადა რუსუდან კუსრაშვილმა, თბ., 1997, გვ. 304). **ბაყალი** (არაბ. **ბაკალ**) – სურსათ-სანოვაგის, სანელებლების გამყიდველი, სურსათ-სანოვაგით (ხმელი და ნედლი ხილი, ბოსტნეული კულტურები, ტკბილეული), მზა საკვები პროდუქტებითა და წვრილმანებით მოვაჭრე. ქსე, ტ. II, თბ., 1977, გვ. 248). თურქულ ენაში **ბაყალი** და **დუქანი** მნიშვნელობით ერთმანეთთან დაახლოებული ცნებებია. ორივე **სადახლოს**, ანუ დახლის მქონე სავაჭრო ადგილს ნიშნავს.

² სახოკია თ., როგორ ვიზრდებოდით ძველად, 1955, გვ. 182-183; მსჯელობისათვის იხ. გრიგოლავა რ., დასახლებული ნაშრომი, გვ. 16-17.

ბულებების დაარსება-ჩამოყალიბება.

ბ. დავითაია და ბ. ბარკალაია აღნიშნავენ, რომ სარკინიგზო მაგისტრალის თბილისი-ზესტაფონის მონაკვეთის ამოქმედებამ კიდევ უფრო გაზარდა დაბა ახალსენაკის როლი და მნიშვნელობა. რკინიგზის სადგური გაშენდა ქალაქის სამხრეთ მხარეს, დღევანდელი მშვიდობის (ყოფილი სტალინის) ქუჩაზე, ამჟამინდელი გადასასვლელი ხიდის დასავლეთ მხარეს. სადგურის წინა ბაქანი წარმოადგენდა ერთსართულიან, გადახურულ ნაგებობას, რომელსაც უკანა მხარეს ჰქონდა ორსართულიანი მინაშენი, მეორე სართულზე ასასვლელი ხის კიბით, სადაც 1930-იან წლებში ოჯახთან ერთად უცხოვრია სადგურის უფროსს – კოტე ჯაიანს¹.

საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის დამკვიდრებამ ხელი შეუწყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გამოცოცხლებას, რაც, თავის მხრივ, იწვევდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებას და გზების კეთილმოწყობას, დამატებით ახალი გზების გაყვანას, ბაზრების, იარმარკების (ბაზრობების) დაფუძნებას და სავაჭრო-სახელოსნო დაწესებულებების რიცხვის ზრდას.

აღმოსავლეთ სამეგრელოში ასეთი სავაჭრო უბნები მოეწყო ახალსენაკში, ძველ სენაკში, ბანძაში, ნაოღალევში (მარტვილი), ნოქალაქევში, სალხინოში, ლეძაძამეში, სუჯუნასა და აბაშაში. კვირის გარკვეული დღეები, ბაზრობის დღეები დაინიშნა მასობრივი ვაჭრობისათვის.

ასევე ცალკე შენობაში ხდებოდა ბაზარზე გასაყიდად გამოტანილი მარცვლეულის აწონვა. ის ადგილი, სადაც საამისოდ განკუთვნილი ხის ფიცრული ნაგებობა იდგა, **საყანთროს** სახელით არის ცნობილი. ეს არაბულ-თურქული სიტყვა ქართული ენის დასავლურ კილოებს – გურულსა და იმერულს, ასევე მეგრულ ენასაც, **ყანთარი** ფორმით უსესხებია,

¹ დავითაია ბ., ბარკალაია ბ., სენაკის მატიანე, თბ., 2016, გვ. 37.

რაც „სასწორს, ცალსასწორას“ ნიშნავს; საყანთრო კი ის ადგილია, სადაც სასწორი დგას (ან იდგა)¹.

XIX საუკუნის 70-80-იანი წლებიდან იწყება კერძო მობინადრეთა საცხოვრებელი სახლების დაბის ცენტრში კონცენტრაცია, რაც იმ გარემოებით უნდა აიხსნას, რომ მწარმოებელი ძალა დაინტერესებული იყო საკუთარი ნაწარმის რეალიზაციით. ამიტომ ცდილობდა თავისი საცხოვრებელი და სავაჭრო-სახელოსნო ფართის იქ მოთავსებას, სადაც მომხმარებელთან დაკავშირების უკეთესი საშუალება იქნებოდა. ცხადია, საამისოდ ყველაზე ხელსაყრელი პირობები ბაზრის გარშემო მდებარე გზებზე იყო შექმნილი და სხვადასხვა სოფლებიდან გადმოსახლებული ვაჭარ-ხელოსნები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რათა ასეთი ადგილები ახალსენაკში ღროულად დაეკავებინათ. ქალაქის ახლანდ. III საჯარო სკოლის ტერიტორიაზე (რუსთაველის ქ.) სავაჭრო სახლი ჰქონია მიხა ცაავას.

ახალსენაკი, როგორც სარკინიგზო კვანძი, სწრაფად ვითარდებოდა. „კაცმა მართალი უნდა თქვას, – წერდა 1878 წელს მ. ღებელა გაზეთ „ღროების“ ფურცლებზე, – მდებარებით და სიწმინდით ეს პატარა ქალაქი მშვენიერია: ჯვარედინათ გადაბმული ფართე როჭკით ქუჩები, ქუჩების პირწმკრივ გაწყობილი ფიცრული დუქნები, შუაგულ ბაზარში ბესედკა, რომელიც საბაჟოს მაგიერია, მწვანე მინდორზე ლაზათიანად ამოყვანილი შადრევანი და აქვე მახლობლად რკინის გზის სტანცია – მშვენიერ სურათს წარმოუდგენენ მნახველს.

მაგრამ ერთი უმთავრესი ნაკლოვანება ფოლავს (ფარავს – ავტ.) ამ ქალაქის სიმშვენიერეს. ის, რომ ძრიელ ჭაობიანი ადგილია და მასთან დამპალი წყალი, რომლის გამოისობით აქ ციებ-ცხელებას ღრმად გა-

¹ ცხადაია ა., დასახლებული ნაშრომი, 2010, გვ. 228.

უდგამს ფერსოები და აღარ შორდება ამ პატარა დაბას“¹.

ცნობილი კრიტიკოსი, მწერალი და პედაგოგი იპოლიტე ვართაგავა (1872-1967 წწ.) თავის მოგონებებში საინტერესო ცნობებს გვაწვდის მისი მოწაფეობის პერიოდის (XIX ს-ის 80-90-იანი წწ.) ახალსენაკის გარეგანი იერსახის შესახებ: დაბის ქუჩები არ იყო მოკირწყლული და იდგა ტალახი. აქა-იქ ქუჩებში ხის ფარღალა სახლები იდგა. ერთი ქვის ან აგურის, და ჯიჯინების ქვის ორთვალისანი დუქნის გარდა, სხვა არაფერი იდგა. ასახელებს აგრეთვე ქალაქის ყასაბის – აზნაურ ბახვა ლაბახუასა და მისი მეუღლის – ლოლუას მშენიერ კარ-მიდამოს (სადაც მასთან ერთად მდგმურად იდგა გუდუ კობახიძე და კიდევ ხუთი მოსწავლე), რომელიც იდგა განაპირა უბანში, ინალიშვილის ოჯახს, ჯობავას ხის სახლს და სამიკიტნოს, ვაჭარ ჭანტურიას, რომელსაც ჰყავდა „დროგები“ და „ფურგონები“, ასევე ბზის ხეებით მოვაჭრე ივანე კეშელავას².



ახალსენაკის ერთ-ერთი ქუჩა. ბარონ დე ბაის ფოტო. 1901 წ.

¹ „დროება“, №192, 23. 09. 1878.

² ვართაგავა ი., მოგონებები, I, თბ., 1956, გვ. 29-31, 32-33, 36, 37, 39.

დაბის სწრაფი ზრდა-განვითარების შესახებ ახალსენაკის სასწავლებლის მოწაფე, შემდეგში ცნობილი მწერალი თედო სახოკია წერდა: გაიზარდა თვით მოსახლეობა დაბისა, ეგრეთ წოდებული მოქალაქენი, ქალაქურ წესზე მცხოვრებნი. თუ ამ ათი წლის წინათ სულ ათი სახლი არ იდგა აქ და დაბის გარშემო ადგილები ჭაობებს და ღორ-კამეჩების საგორებელ საფლობებს წარმოადგენდა, ახლა არხები გაჭრეს, დაწრიტეს წყალი და ზოგი ხისა და ზოგიც ქვითკირის სვეტებზე სამთვალთან და ოთხთვალთან შენობები წამოჭიმეს. გაჩნდა სასტუმრო რესტორნებით ან როგორც აქ ეძახდნენ – რესტორაციები. გაჩნდა ქუჩებიც, სხვადასხვა ხელოსნებიც. ერთი სიტყვით, საძირკველი ჩაეყარა მომავალ ქალაქს, რომელსაც, თავისი მდებარეობის წყალობით ზრდა-განვითარების დიდი პერსპექტივები გააჩნდა. თვით დაბის გარშემო მდებარე სოფლებს და მის უბნებსაც სწრაფი ზრდა დაეცყო. დაბამ შორეული ადგილებიდან მოიზიდა ხალხი იმ ადგილისაკენ, სადაც ცხოვრება ქალაქური იყო და ცხოვრებისათვის საჭირო წყარო მრავალნაირი. ყოველივე ამის მთავარი მიზეზი იყო სასწავლებელი. აქაურ მოსახლეობას მოწაფეობა დიდ შეღავათს აძლევდა. რა თქმა უნდა, მთავარი საარსებო საშუალება ხვნათესვა (სიმინდისა) და საქონლის მოვლა იყო, მაგრამ მეორე ადგილი მოწაფეების შენახვას ეჭირა. ოჯახი არ იყო, სულ უკანასკნელი ხუთი მოწაფე არ ჰყოლოდა პანსიონერად და თან არ ცდილიყო თავისი სახელი, როგორც მოსწავლეების კარგი შემნახველისა, უფრო და უფრო გაეთქვა¹.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ რკინიგზის ხაზის გაყვანის შემდეგ ახალსენაკში სწრაფი ტემპით დაიწყო სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო, სავაჭრო და სახელოსნო ობიექტების, სასტუმროების, რესტორნების,

¹ სახოკია თ., როგორ ვიზრდებოდით ძველად, 1955, გვ. 182.

კერძო მობინადრეთა საცხოვრებელი სახლების, სკოლებისა და სხვათა, მშენებლობა, რისთვისაც სამშენებლო მასალის მოპოვება შესაძლებელი იყო დაბის დასავლეთით, ნახევარ ვერსზე მდებარე სოფელ ზემო თეკლათში არსებულ ქვის კარიერში. ამ სოფელში ორას კომლზე მეტი მცხოვრებია, – წერდა გაზეთი „ივერია“, – ეს სოფელი შესანიშნავია დაფნის ტყით, რომელსაც დიდძალი მუშტარი ჰყავს. უფრო საზღვარგარეთ მიაქვთ. ამავე სოფელშია ქვის ქარხანა, რომელშიაც დიდი მუშაობაა. ახალსენაკის შენობებისათვის აქედან მიდის ქვა. ეს ქვა ვგონებთ სხვადასხვა დაბა-ქალაქებშიც კი მიაქვთ. ამ ქვისას კირსაც კი სწვავენ... პუბლიკაციაში ყურადღება გამახვილებულია სენაკის მოუწესრიგებელ გზაზე. არ არის ხიდეები, – გვაუწყებს ავტორი, – გზაზე ისეთი ტლაპოა, რომ ზოგს ურემი ემსხვრევა, ზოგს ხარ-კამეჩი ეფლობა, ზოგს ცხენჯორი და სხვა. მიცვალებულის ეკლესიაში წაღებაც კი უჭირთ¹.

ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, რომ ოქტომბრის რევოლუციამდე ახალსენაკში თავმოყრილი იყო ხელოსნური მწარმოებელი მასის საგრძნობი რაოდენობა. დაბის ცენტრალურ უბანში, ბაზრის ქუჩაზე განლაგებული იყო სამჭედლოები. ზოგს იგი საკუთარ სახლში ჰქონდა გამართული. ქალაქის III საჯარო სკოლასთან, რუსთაველისა და ნინოშვილის ქუჩების კვეთაზე, რკინეულობის სამჭედლო ჰქონიათ მიხა და სამსონ ფოფხაძეებს (საბჭოთა პერიოდში აქ იყო საჩუქრების მაღაზია). სამჭედლო ყოფილა აგრეთვე აღმაშენებლის ქუჩაზე (სახარბედი-ოსკენ მიმავალ გზაზე, საკირის გადასახვევთან, იქ, სადაც ამჟამად ბენზინგასამართი სადგური „ფენიქსი“ მდებარეობს).

სამეურნეო-ეკონომიკური ხასიათის ძვრებთან ერთად გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა განათლების სფეროშიც, რაც არსებითად შეესატყვისებოდა ახალსენაკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეტაპს

¹ „ივერია“, №50, 1898.

XIX ს-ის 70-90-იან წლებში.

ვ. გუნიას ცნობით, ახალსენაკის ნორმალური სასწავლებელი გაიხსნა 1880 წელს¹. 1886 წელს აქვე დაარსდა პირველი დაწყებითი სასწავლებელი. სკოლები გაიხსნა ახალსენაკის სანახებში მდებარე შემდეგ სოფლებშიც: ნოსირში (1873 წ.), ძველ სენაკში (1874 წ.), ეკში (1874 წ.), ფოცხოში (1883 წ.)².

1881 წელს ხანძარს შეეწირა მარტვილის სასულიერო სასწავლებელი, რის შემდეგაც იგი ჯერ ქუთაისში, ხოლო შემდეგ ახალსენაკში იქნა გადატანილი. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ნატოჩაოს წმ. გიორგის ეკლესიის დეკანოზმა ნიკოლოზ კალანდარიშვილმა, რომელსაც უშუალოდ, სამსახურებრივად ევალებოდა ეს საქმე, და როგორც ისტორიკოსი რევაზ გრიგოლავა აღნიშნავს, კომისიასთან ერთად დავალება უმოკლეს დროში წარმატებით შეასრულა – აღნიშნული სასწავლებლისათვის ახალ-სენაკში ორი შენობა დაიქირავა. ერთი შენობა ბაზართან მდებარეობდა და ახნაურ ჯიჯიხიას ეკუთვნოდა³, ხოლო მეორე, დიდი და ვრცელი შენობა იდგა ახლანდ. სენაკის №1 გიმნაზიის ძველი შენობის ადგილას, ფიცულელის ნაპირას, და თავად ნაკაშიძის საკუთრებას წარმოადგენდა⁴.

სასწავლებლის შენობის დაწვის შემდეგ ახალი შენობა მარტვილში არ აღმოჩნდა, ხოლო ახალი შენობის აგება მალე ვერ მოხერხდებოდა. სენაკს ყველა უპირატესობა ჰქონდა მარტვილთან შედარებით, მათ შორის მთავარი ის იყო, რომ სენაკი ცენტრალურ ადგილად ითვლებოდა

¹ გუნია ვ., საქართველოს კალენდარი, 1892, გვ. 234.

² იქვე, გვ. 235.

³ ედიშერ ბალათურის მიერ მოძიებული ეთნოგრაფიული მასალით, სავარაუდოდ, ესაა დღევანდელი კერძო სკოლა „მარიოტას“ ეზო.

⁴ გრიგოლავა რ., მოწამე მთავარხუცესი, დეკანოზი მამა არისტარქო (კალანდარიშვილი), თბ., 2012, გვ. 15; მსჯელობისათვის იხ. დავითაია ბ., ბარკალაია ბ., სენაკის მატიანე, თბ., 2016, გვ. 37.

მთელი სამეგრელოს სამღვდელოებისათვის, ამიტომ, – წერს თედო სახოკია, – სამეგრელოს სამღვდელოების კრებამ გადაწყვიტა ახალსენაკში ორი შენობის დაქირავება სასწავლებლისათვის და 1882 წლის იანვრიდან სწავლის დაწყება¹. საინტერესოა მწერლის შემდეგი ცნობებიც სასწავლებლის შესახებ: „სასწავლებლისათვის მთლიანი შენობის მოვნა, რა თქმა უნდა, გაჭირდა. სამაგიეროდ, იმოვნეს ორი შენობა: ერთში მოთავსდა მესამე და მეოთხე კლასი, მეორე შენობაში – მეორე და პირველი, სამი მოსამზადებელი კლასი, მასწავლებლის კანცელარია და სამმართველო“². თედო სახოკია შენიშნავს, რომ ქვეყნიერებას ასე მოწყვეტილად სენაკში კაცი არა გრძნობდა თავს. იგი ცენტრალურ ადგილად ითვლებოდა მთელი სამეგრელოს სამღვდელოებისათვის. აქ იყო ფოთი-თბილისის რკინიგზის სადგური, მისვლა-მოსვლა თბილისს, ქუთაისსა და სხვა რკინიგზის ხაზზე მდებარე ადგილებთან, მარტვილთან შედარებით, ერთი-ათად გაადვილებული იყო. ამასთანავე, აქ იყო მაზრის სხვადასხვა დაწესებულება: აფთიაქი, ორკლასიანი სასწავლებელი, ხაზინა, აბანო, სატუსალო... ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც იმდროინდელ სამაზრო ქალაქს ახასიათებდა³.

მარტვილიდან ახალსენაკში, „განათებულ ადგილას“ სასწავლებლის გადმოტანას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო სენაკისათვის, არამედ თვით სასწავლებლის მოწაფეების, მათი მშობლებისა და პედაგოგებისთვისაც, რომლებიც აქ უფრო კომფორტულად გრძნობდნენ თავს. სასწავლებლის საბოლოოდ აქ გადმოტანამ პედაგოგთა და მოწაფეთა მრავალრიცხოვანი კონტიგენტით, კიდევ უფრო შეუწყო ხელი 1870 წელს დაფუძნებული ახალსენაკის აღორძინებასა და აღმავლობას, – შე-

¹ სახოკია თ., როგორ ვიზრდებოდით ძველად, თბ., 1955, გვ. 167.

² იქვე.

³ იქვე.

ნიშნავს რეზო გრიგოლავა¹.

დაბის ცენტრში არსებობდა კლუბი, სადაც ხშირად იმართებოდა თეატრალური წარმოდგენები, იმჟამად ახალსენაკში მცხოვრები ქართველი მსახიობის, დრამატურგ ავქსენტი (ასიკო) ცაგარლის მეუღლის – ნატო გაბუნას (1859–1910 წწ.) თაოსნობით.

იმ პერიოდის ახალსენაკისთვის უცხო როდი იყო გაუფრთხილებლობით, შურისძიებით, ან გამიზნულად, დაზღვეულ ქონებაზე – შენობა–ნაგებობებზე ხანძრის გაჩენის შემთხვევები. 1894 წლის ხუთ ივნისს, ნაშუაღამევს, პირველ საათზე, ცეცხლი გაუჩნდა თავად ფარნაოზ მხეიძის². შენობას, – წერდა გაზეთი „ივერია“, – რომელშიც ამ რამდენიმე წლის წინათ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი იყო მოთავსებული. ცეცხლი უცებ გადავიდა იქვე ახლო ბესარიონ ხოჭოლავას სახლზეც და ორივე სახლი ორი საათის განმავლობაში სულ ერთიანად ფერფლად იქცა. როგორც ამბობენ, ორივე შენობა დაზღვეული ყოფილა. მხეიძის შენობაში არავინ ცხოვრობდა და ხოჭოლავა კი თითონ ცხოვრობდა თავის ცოლ–შვილით. ხოჭოლავას სტუმრები ჰყოლია. ყველა ცდილობდა, რომ რაიმე გადაერჩინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერი გადაარჩინეს³.

1898 წელს უცნობმა ბოროტმოქმედმა კლუბის შენობას ცეცხლი წაუკიდა და ნაცარტუტად აქცია. ახლა აქაური საზოგადოება, წერს გაზეთი „ივერია“, ხელმეორედ შეუდგა კლუბის დაარსებაზე ზრუნვას. ამ

¹ გრიგოლავა რ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 15–16.

² თავადი ფარნაოზ დავითის ძე მხეიძე (17. 08. 1839–25. 01. 1903) დაქორწინებული იყო თავად ერასტი ჩოლოყაშვილის ასულ სოფიოზე. ჰყავდა სამი ვაჟიშვილი. ფარნაოზი იყო პოლკოვნიკი, 1857–1864 წწ. კავკასიისა და 1877–1878 წწ. რუსეთ–თურქეთის ომის მონაწილე, სენაკის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი. დაჯილდოებული იყო წმ. ანას II ხარისხის, წმ. ანას II და წმ. სტანისლავის III ხარისხის ორდენებით. 1854 წლიდან მსახურობდა გურიის მილიციაში. 1860 წლიდან გადაყვანილ იქნა იუნკერად გვარდიის კავკასიურ ესკადრონში. მონაწილეობდა სხვადასხვა სამარ ოპერაციებში.

³ კა–შვილი ტ., ახალ–სენაკი, 6 ივნისი. გაზ. „ივერია“, №123, 1894.

დღეებში ამ საქმის თაობაზე მოლაპარაკება ჰქონდათ აქ და დაადგინეს, რომ ხელახლა ვითხოვოთ კლუბის დაარსების ნებართვა¹.

პრესაში აქა-იქ წავაწყდებით ინფორმაციებს დაბაში არსებული ბულვარის² შესახებ. ავტორი შენიშნავს, რომ სამი წლის წინ გაკეთებული ე. წ. ბულვარი (ბაღი) უყურადღებოდაა მიგდებული და ეკლესიის აშენება ისევე გრძელდება³.

როგორც ირკვევა, ბულვარი დაბაში ბევრად ადრე არსებობდა. ამასთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის გაზეთ „ივერიაში“ 1894 წელს გამოქვეყნებული შექმნილი პუბლიკაცია: მოვიდა თუ არა ახალი მაზრის (იგულისხმება სენაკის მაზრა – ავტ.) უფროსი, ბატონი ქავთარაძე, უწინარეს ყოვლისა თავისი ყურადღება ქალაქის სისუფთავეს მიაქცია. სხვათა შორის, განახლდა ჩვენი მრავალი წლის გაუქმებული „ბულვარი“, რომელიც ოთხფეხა საქონლის საძოვრად იყო გადაქცეული. მაზრის უფროსმა ქალაქის დეპუტატებს გამოუცხადა, რომ დასაჯდომი სკამები გაემართათ და გაიმართა კიდეც. ამ ბულვარის ნაკლოვანება ის არის, რომ გრძელია და განი არა აქვს. ამის გამო მაზრის უფროსმა ამ საგნის თაობაზე აღძრა ლაპარაკი და სურს ის შუაგული ადგილი ქალაქის „ბულვარად“ გადაკეთდეს. ღმერთმა ინებოს, თუ ეს საქმე გამოვა⁴.

ეკლესია ქალაქის ტიპის დასახლებისთვის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა. ამიტომაც, ბუნებრივია, დაბის მესვეურები განსაკუთრებულ დანტერესებას გამოიჩინდნენ მისი მშენებლობის საქმისადმი. გაზეთი „ივერია“ უფრო ადრე, 1890 წელს იუწყებოდა, რომ ახალსენაკს 15 ოქტომბერს ეწვია ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ეგ-

¹ „ივერია“, №212, 1898.

² ფართო ხეივანი ქუჩის გაყოლებაზე, ჩვეულებრივ, შუაზე.

³ „ივერია“, №121, 1902.

⁴ „ივერია“, №162, 1894.

ზარქოსი პალადი¹. მან ქალაქის მოსახლეობას გრძნობით აღსავსე სიტყვით მიმართა და დაავალა, რომ თუ გინდათ ქალაქმა წინ წაიწიოს, ეკლესია უნდაა ააგოთო. მაშინვე აირჩიეს კომისია და მემამულეებსაც სთხოვეს დახმარება. ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კნეინა სალომე მხეიძისამ და დაიწყო ხელმოწერები ფულის შესაგროვებლად. ასევე კრებდა ფულს აწ უკვე გარდაცვლილი ბლალოხინი, დეკანოზი ნიკოლოზ კალანდარიშვილი. კომისია სთხოვდა თეკლათის საზოგადოებას, სადაც 600-ზე მეტი მცხოვრები იყო, დახმარებოდა ეკლესიის მშენებლობას სამშენებლო მასალით².

მაზრის უფროსი დიდად დაინტერესებული ყოფილა ეკლესიის მშენებლობით. როგორც გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი პუბლიკაციით ირკვევა „ეს ერთი თვე იქნება, რაც ახალსენაკში მოვიდა მთავრობისაგან ახლად დანიშნული სენაკის მაზრის უფროსი ბატონი რეზანოვი. მან ეკლესიის მშენებლობას შესწირა 50 მანეთი. აგრეთვე იკისრა შემოწირულობათა შეგროვება, ეკლესიის სასარგებლოდ. მაზრის უფროსს მხარს უჭერს სენაკის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი ფარნაოზ მხეიძე, რომელიც ამ ეკლესიის აღმშენებელ კომისიის თავმჯდომარედ ამას წინად იქნა არჩეული“³.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1904 წლის 20 ივნისის ნომერში აუწყებდა მკითხველს, რომ ახალსენაკის ახალი ეკლესიის აშენება ერთ თვეში დასრულდება. ეს ეკლესია დაბის შუაგულ ადგილას არის და კარგ გეგმაზეა აშენებული. მის აშენებას აგერ ათი წლის წინ შეუდგინენ, მაგრამ უსახსრობის გამო დღემდე დაუმთავრებელი იყო. ეკლესი-

¹ მიტროპოლიტი პალადი, ერისკაცობაში პავლე ივანეს ძე რაევი, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარი, სანქტ-პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტი. საქართველოს ეგზარქოსი 1887-1892 წლებში.

² „ივერია“, №222, 1890.

³ „ივერია“, №105, 1902.

ას კანკელი და სხვა მორთულობა ჯერაც არა აქვს¹.

გაზეთი „ივერია“ ამასთანავე იუწყებოდა, რომ რკინიგზის სადგურის ქალაქისკენ გადმოტანის მაგიერ ხიდი გააკეთეს, მაგრამ ეს ხიდი ერთობ მოუხერხებელია².



ნატოჩაოს წმ. გიორგის ეკლესია

ეკლესიის შესახებ ხშირად ქვეყნდებოდა ინფორმაცია პრესის ფურცლებზე. სენაკი იზრდება და ეკლესია არა აქვს, – წერდა იგივე გაზეთი 1895 წელს, – აქაური ეკლესია ისეთი პატარაა, ორმოცი კაცი ძლივს თავსდება. მცხოვრებთა რიცხვი მატულობს. ამას დაეუმატოთ მოსწავლეთა რიცხვი, რომელიც შეიდასს აღემატება. აქ ახალი ეკლესიის მშენებლობაზე ზრუნვა დაიწყო აწ უკვე განსვენებულმა ამა ეკლესიის დეკანოზმა ნ. კალანდარიშვილმა, შეაგროვა ფული და ასე შემდეგ. განსვენებულმა სიკვდილის წინა დღით სთქვა: „ნუგეშათ ის მიმაქვს, რომ

¹„ცნობის ფურცელი“, №2530, 20. 06. 1904, გვ. 3.

²„ივერია“, №86, 1902.

ჩემის სურვილის განხორციელებას ჩემი მოადგილე აღასრულებს, რადგანაც საძირკველი ჩამიყრია და ფულიც ცოტაოდენი მაქვსო“. მაგრამ, სამწუხაროდ, აღასრულა თუ არა განსვენებულის მოადგილემ ზემოთსენებული სურვილი? ორი წელიწადია, რაც საძირკველჩაყრილი ეკლესია უპატრონოდ არის მიტოვებული. დღევანდელი მოძღვარი ამ საქმეს სრულიად ყურადღებას არ აქცევს. ხალხში უნდა გააღვიძოს სურვილი...“¹

XIX ს-ის 90-იანი წლების დასაწყისისათვის ახალსენაკში მსხვილი ადმინისტრაციული ცენტრის არსებობაზე მიუთითებს დეკანოზ ნიკოლოზ კალანდარიშვილის გარდაცვალების შესახებ გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ნეკროლოგი (გარდაიცვალა 1892 წლის სექტემბრის მიწურულს, 53 წლისა). დამკრძალავ საგანგებო კომიტეტს, სხვა საჭირო ღონისძიებებთან ერთად, დაკრძალვის ცერემონიალის გეგმაც ჰქონდა შემუშავებული. გეგმის მიხედვით სასულიერო პირის დაკრძალვის პროცესიაში მონაწილეობდნენ: ახალსენაკის თავადაზნაურობა, აქაურ საერო დაწესებულებათა წარმომადგენელი და მოხელენი, ახალსენაკის სამხედრო გარნიზონი ორ რიგად, ახალ-სენაკის სასულიერო და ნორმალური სამოქალაქო სასწავლებლების, საეკლესიო-სამრევლო სკოლების მოსწავლეები და მგალობელთა გუნდი, უმაღლესი წოდება, ინტელიგენცია, თავად-აზნაურთა წინამძღოლები, ქალაქისთავები, კერძო დაწესებულებათა მფლობელები და ა. შ. გარდაცვლილს წესი აუგეს ნატოხაოს წმ. გიორგის ეკლესიაში. ამ განრიგის შესაბამისად წესრიგს საგანგებოდ არჩეული 25 კაცი იცავდა².

მოგვიანო ხანის ახალსენაკის განაშენიანების შესახებ ყურადღებას იპყრობს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული ინ-

¹ კალანდარიშვილი ტრ., ახალ-სენაკი, 10 იანვარი. „ივერია“, №10, 1895.

² გრიგოლავა რ., მოწამე მთავარხუცესი, დეკანოზი მამა არისტარქო (კალანდარიშვილი), თბ., 2012, გვ. 27-30.

ფორმაცია, საიდანაც ირკვევა, რომ სენაკში, გიმნაზიის ქუჩაზე, ცნობ-
რობდა გ. გამზარდია, რომლის სახლშიც განთავსებული ყოფილა სენა-
კის სამაზრო ურობის გამგეობის კანცელარია¹.



ბოლშევიკების მიერ დანგრეული „სობოროს“ ქვებით აგებული კიბე სენაკში,
დღევანდელი აგარაკის ქუჩაზე

¹„საქ. რესპუბლიკა“, 1919.



სენაკის ცენტრალური პარკი, სადაც იდგა ახალსენაკის მთავარი ეკლესია (სობორო)

ახალსენაკი არ უჩიოდა რესტორნებისა და სასტუმროების ნაკლებობასაც. აქ არსებული რესტორნების, ასევე დასახლების განაშენიანების შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის რუსი მწერალ-მოგზაური და ეთნოგრაფი ევგენი მარკოვი. მან XIX საუკუნის დამლევეს იმოგზაურა კავკასიაში და დაგვიტოვა სქელტანიანი ნაშრომი „კავკასიის ნარკვევები“. წიგნი სამჯერ დაიბეჭდა (1887, 1904 და 1913 წლებში). იგი წერს, რომ ძველი სენაკის დუქნებში ვახშმობის შემდეგ უკუნეთ დამეში გაემგზავრა ახალი სენაკისკენ. ცხენებისა და გამყოლის ქირაობა ძალიან იაფი დაუჯდა, რომელსაც თავის ჩანაწერებში ხაზგასმით აღნიშნავს. ახალსენაკში მას უნახავს ახალგაზრდა ინგლისელის ბაღი (იგულისხმება ინგლისელი რაისი), რომელმაც გააოცა. მიწის არც თუ დიდი ნაწილისგან ინგლისელი საკმაოდ შემოსავალს ღებულობდა, რადგან თავის ბაღში გაშენებული ჰქონდა იშვიათი მცენარეები და ხილი. როგორც მარკოვი აღწერს, სენაკში უკვე არა მხოლოდ დუქნებია, არამედ არაერთი ევროპული ტიპის სასტუმროც. ის გაჩერდა სასტუმრო „კავკაზ-პოტელში“, რომლის განათებულმა დარბაზმა და ღია აივნებმა ძალიან მო-

ნიბლა, სადაც ორი გენერალი მადიანად ვახშობდა. ამ სასტუმროს მაღალი დონის ყველა ნომერი დაკავებული იყო, ამიტომ სტუმრებს მოუწიათ შედარებით მოკრძალებულ სასტუმროში გაჩერება „კავკაზ-პოტელის“ მოპირდაპირე მხარეს. ამ სასტუმროში შესაძლებელი იყო უფრო ხარისხიანი ღვინის ყიდვაც, ვიდრე ბაზრის დუქნებში. მარკოვი სასტუმროს ნომრით კმაყოფილია და წერს, რომ ცხენით რამდენიმედღიანი სიარულის შემდეგ ნომრის სუფთა და რბილი საწოლი განსაკუთრებით კომფორტული ეჩვენა.

1885 წლის გაზაფხულზე ცაიშიდან ახალსენაკში ჩამოსულმა¹ დიდმა ილია ჭავჭავაძემ ღამე გაათენა სასტუმროში, რომლის მეპატრონე იყო თეიმურაზ კაკაბაძე. მან საუცხოო მასპინძლობა გასწია, თვითონ ითამადა და თქვა: „იონა მეუნარგიასი მადლობელი ვარ, მეფისტოლა კაცის მასპინძლობის ღირსი რომ გამხდაო“. გამგზავრებისას ილიასა და მის თანმხლებ პირებს სასტუმროს მეპატრონემ ქირა არ გადაახდევინა².

1919 წელს აქ რესტორანი ჰქონია ბოლშევიკურად განწყობილ თეოფილე კარანაძეს. ამ რესტორნის ერთ-ერთ კაბინეტში 1919 წლის აგვისტოში ჩატარდა ბოლშევიკთა სამაზრო კონფერენცია. პირველი სხდომა ღამით ჩატარდა სოფელ ახალსოფელში, მეორე – ქალაქ ახალსენაკში, სასტუმრო „თრანციაში“, მესამე – მდ. ტეხურის პირას, ახალსენაკიდან 2 კმ-ის დაშორებით, ხოლო მეოთხე და უკანასკნელი ახალსენაკის ზევით, თეკლათის დედათა მონასტრის გზის სიახლოვეს, ტყეში. რესტორანი

¹ ბ. დავითაიასა და ბ. ბარკალაიას ცნობით, ქართველ მოღვაწეთა ჯგუფი ილია ჭავჭავაძის მეთაურობით 1885 წელს გამოემგზავრნენ და ბანძიდან ზუგდიდისკენ მიმავალნი ახალსენაკში შეჩერდნენ ღამის გასათევად. იხ. დავითაია ბ., ბარკალაია ბ., სენაკის მატთანე, გვ. 38. იყო კი პირიქით: ბანძიდან ცაიშში ჩასული ილია სტუმრობდა ჯერ იონა მეუნარგიას, ცაიშიდან კი ახალსენაკში ჩამოსულმა ღამე გაათენა კაკაბაძის სასტუმროში და მეორე დღეს მატარებლით გაემგზავრა თბილისში.

² პაჭკორია მ., ილია ჭავჭავაძე დაბა ახალსენაკში. გაზ. „კოლხეთი“ (ცხაკაია), 23. 10. 1969; მისივე, ვიცნობდეთ კულტურის ძეგლებს, თბ., 1975, გვ. 38-39.

ჰქონია აგრეთვე სტრატეგიკ კილასონიას, სადაც 1919 წლის ოქტომბრის
შუა რიცხვებში გამართულა ახალსენაკის სამაზრო კომიტეტის ხდომა.



გუსარ (იაკობ) მანუჩარის ძე დგებუაძე - სასტუმრო „ფრანციის“
მეპატრონე ახალსენაკში



იაკობ (გუსარ) ღვებუაძე



გუსარ დგებუაძე და თებრონე სტვილია ბავშვებთან ერთად

ახალსენაკის რკინიგზის სადგურის მახლობლად მდებარეობდა სასტუმრო „ფრანცია“ და რესტორანი. მათი მფლობელი ყოფილა თამაკონელი იაკობ (გუსარ) მანუჩარის ძე დგებუაძე (1860-1926 წწ.). სახელწოდება, როგორც გადმოგვცემენ, დაკავშირებულია სასტუმროში ფრანგი მზარეულის საქმიანობასთან. 1910-იან წლებში გუსარ დგებუაძე გაკოტრდა და იძულებული გახდა, რომ საცხოვრებლად თბილისში გადასულიყო (ცხოვრობდა ვერაზე, ჯანაშიას ქუჩაზე). ჰყავდა მეუღლე თებრონე სტვილია და შვიდი შვილი: თაჩუ//პარასკევა (1894-1960 წწ), პელაგია/-

/პაშა (1896-1945 წწ.), ნიკოლოზი//კოლია (1898-1974 წწ., ცნობილი მეცნიერი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი), ნუცა (1907-1980-იანი წლები), გრიგოლი//ბუკა (1915-1990 წწ.), მარიაში (1914-1989 წწ.) და კიდევ ერთი ქალიშვილი, რომლის სახელიც უცნობია. გუსარ დგებუაძის შვილები 1918 წლისათვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სენაკის განყოფილების წევრები იყვნენ. გუსარი მეუღლესთან ერთად დაკრძალულია თბილისში, ვერის სასაფლაოზე¹.

XIX ს-ის 80-იანი წლებისათვის ახალსენაკი საკმაოდ დაწინაურებულ დასახლებას წარმოადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ მისი, როგორც მნიშვნელოვანი სახელოსნო-სავაჭრო და კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრის, მოსახლეობის სწრაფი ზრდა რეფორმის შემდგომი პერიოდის ერთ-ერთი არსებითი და დამახასიათებელი ნიშანია. პროფესორ მიხეილ ნიკოლეიშვილის მართებული შეფასებით, „ქალაქის მოსახლეობის განსაკუთრებით სწრაფი ზრდა აღინიშნება მას შემდეგ, რაც დამთავრდა ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობა და გაიხსნა მოძრაობა თბილისზე გავლით ბათუმიდან ბაქომდე, რამაც უდაოდ გააადვილა და ხელი შეუწყო მოსახლეობის მოძრაობის გაძლიერებას, მის ტერიტორიულ ადგილგადანაცვლებას. ყოველივე ამან სერიოზული როლი შეასრულა და არსებითად განაპირობა მხარის მივარდნილი რაიონებიდან და კუთხეებიდან სოფლის მოსახლეობის ქალაქში მოზღვავეების მძლავრი პროცესი“².

ზემოთ თქმულის სიცხადეში ადვილად დავრწმუნდებით, თუკი გავიხსენებთ იმას, რომ 1886-1897 წწ. თბილისის მოსახლეობა გაიზარდა 103, 5%-ით. ამავე წლებში ორჯერ მოიმატა მოსახლეობის რაოდენობამ

¹დამოწმებული ცნობები გუსარ დგებუაძის შვილიშვილისგან, 100 წლის გიორგი გიგობერიასაგან ჩაუწერია ქალბატონ მარი დგებუაძეს. მადლობას ვუხდით მას ჩანაწერებით სარგებლობისათვის.

²ნიკოლეიშვილი მ., დასახლებული ნაშრომი, 1994, გვ. 19-20.

ბათუმში¹.

1887 წლის მონაცემებით სამეგრელოს სხვადასხვა სოფლებიდან ახალსენაკში საცხოვრებლად გადმოვიდა 1213 მოსახლე. 1893 წელს ახალსენაკში ცხოვრობდა 1000 ადამიანი, ხოლო 1897 წლის მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა ყოფილა 1248 ადამიანი. მ. შ. 927 კაცი, 321 ქალი².

მცხოვრებთა რიცხვის საგრძნობლად ზრდასთან ერთად დაბის ცხოვრების მეორე, ასევე უმთავრესი, დამახასიათებელი მოვლენა იყო სწრაფი ეკონომიკური განვითარება კაპიტალისტური გზით, რაც გამოინატებოდა ახალი სავაჭრო დაწესებულებების ზრდასა და ტერიტორიის გაფართოებაში.

ახალსენაკის ზრდა-განვითარება დღის წესრიგში აყენებდა სხვადასხვა სახის სახელმწიფო დაწესებულებების დაარსებასაც. საარქივო და პრესის მასალებიდან ირკვევა, რომ აქ არსებობდა სასამართლო დაწესებულებანი, სახაზინო პალატა, სამაზრო ციხე³ და ა. შ. ცნობილია სხვადასხვა ღრის აქ მოღვაწე სახელმწიფო მოხელეთა ვინაობაც. მაგალითად, ახალსენაკში მომრიგებელ მოსამართლეებად სხვადასხვა ღრის მუშაობდნენ მაქსიმოვი, ჰავლე მოსიძე, ნოტარიუსად – მელქისედეკ ვერულაშვილი, სასამართლო ბოქაულად – ექვთიმე კვიციანიძე, ნესტორ

¹ ტყეშელაშვილი ნ., ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან, თბ., 1958, გვ. 52.

² https://primo.nlr.ru/primoexplore/fulldisplay?docid=07NLR_LMS005207168&context=L&vid=07NLR_VU1&lang=ru_RU&search_scope=default_scope&adaptor=Local%20Search%20Engine&tab=default_tab&query=any,contains,%D0%A1%D0%B5%D0%BD%D0%B0%D0%BA%D0%B8&facet=tlevel,include,online_resources.

³ სენაკის მაზრის სატუსალო წარმოადგენდა ორსართულიან, ქვითკირის ნაგებობას, რაც მოგვიანებით საცხოვრებელ სახლად გადაკეთდა. იგი დაანგრიეს გასული საუკუნის 70-იან წლებში. სატუსალო მოქმედებდა 40-იან წლებამდე, ქალაქის დასავლეთ უბანში, დღევანდელი ვახანიას ქუჩაზე. იხ. დავითაია ბ., ბარკალაია ბ., სენაკის მატანი, გვ. 32.

ახვლედიანი¹, სახაზინო პალატის მმართველად – ვასილ პროტოპოპოვი, ხაზინადარად – ვასილ ლომინაძე. მომრიგებელი შუამავალნი ყოფილან სენაკის განყოფილების თავმჯდომარე დიმიტრი მხეიძე², მეორე განყოფ-

¹ ნესტორ ახვლედიანის შესახებ მწერალი შ. დადიანი იკონებს: „მამა ჩამოვიდოდა სენაკში თუ არა, ის მაშინვე გაჩნდებოდა მასთან და იყო მათი დაუსრულებელი ბაასი და ხშირად კამათიც. ნესტორი განათლებული კაცი იყო და ცოტა ნილილისტური, მაგრამ მაინც განსაკუთრებული შეხედულება ჰქონდა მაშინდელ ქართველ საქმეებზე: ბანკზე, რომელიც იმ დროს ჩვენში თითქო „ზემსტვოს“ მაგიერობას ეწეოდა, პრესაზე, თეატრზე და და სხვ. უფრო ხშირად მცდარი იყო მისი აზრი ამა თუ იმ საგანზე. მაგრამ ბუნებით ნიჭიერი კაცი იყო, მახვილი ენის პატრონი და ცოტა სუსტი აზროვნების პატრონი ადვილად აიყოლებდა. ბავშვობისას მე ყოველთვის მიხაროდა მასთან შეხვედრა, რადგან არსებითად ბუნებით კეთილი კაცი იყო, ახალგაზრდობის მოყვარული, და როდესაც მარტო ვრჩებოდით, დიდად მართობდა და შემიქცევდა თავისი საყურადღებო საუბრით. მხოლოდ შემდეგ ში, ჩემი დავაჟკაცებისას, შევამჩნიე, რომ მე არავითარ მაცთურ აზრს არ მინერგავდა. ბოლოს ის თბილისში გადმოსახლდა, გაერია იქაურ ინტელიგენციაში, მაგრამ მათ საქმიანობას სიტყვიერად მუდამ კრიჭაში უდგა და თითქო განზე იყო გამდგარი. ბოლოს დაერწმუნდი, რომ ბუნებით შემკული კაცი, მომზადებულიც, მაშინდელი ღუხჭირი ღროის წყალობით გზას იყო აცდენილი და, უთუოდ თავისი რბილი ხასიათის გამო, თავისი თავი ვერ გამოეყენებინა საზოგადო ცხოვრებისათვის, თუმცა ამის შესაძლებლობა ჰქონდა. არც თუ პრაქტიკულად იყო ძლიერი. ცოლთან არ იყო გაყრილი, მაგრამ მაინც, განსაკუთრებით თბილისში, უოჯახოდ ცხოვრობდა. იყო შეყუჟული სადღაც იაფუფასიან სასტუმროს №-ში და დილით რომ გამოვიდოდა გოლოვინის პროსპექტზე (ენლანდელი რუსთაველი), გვიან ღამემდე თითქმის შინ არ შედიოდა. არსად არ მსახურობდა. იყო ნამდვილი „ბულვარდი“ – ბოჰემურის მიდრეკილების პატრონი. თუმცა მოწინავე ინტელიგენციაშიც ხშირად ტრიალებდა და ამ ინტელიგენციას ერთგვარად უყვარდა კიდევ, ოღონდ ნანობდნენ, რომ ამ კაცმა, რომელიც ერთ დროს თავის დარგში კარგ იმედებს იძლეოდა (აგრონომი იყო უმაღლესი განათლებით), ერთ დროს თბილისის ახლოს, კიკეთში, საუცხოო ფერმაც კი გაიჩინა და მეყველეობის საქმე სანიმუშოდაც კი დაიყენა თურმე – შემდეგ ში ბოლო ვერ მიაყოლა ამ სამუშაოს... ერთ დროს სამეგრელოში სიმინდის ადებ-მიცემობის საზოგადოების დაარსებაც მოინდომა, მთავრობას საზოგადოების წესდებაც კი დაამტკიცებინა, მაგრამ საქმემ როგორღაც ვერ იხეირა“. იხ. დადიანი შ., რჩეული თხზულებანი, V, 1962, გვ. 43-45)

² გაზეთ „იმერეთში“ გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით თავადი პროპორშიკი შამშე (იგივე დიმიტრი) ივანეს ძე მხეიძე გარდაიცვალა 1913 წლის 30 აგვისტოს და დაუკრძალავთ შ სექტემბერს, ახალსენაკის წმ. გიორგის ეკლესიის ეზოში. გარდაცვალებას იუწყებდნენ მისი ოჯახის წევრები: ძმა, თავადი ვლადიმერ (ბარდლა) ივანეს ძე მხეიძე, და კნენია ალექსანდრა (გინატრე) ივანეს ასული მხეიძე-ჩიჩუასი, რძალი ოლგა ნიკოლოზის ასული

ფილებსა – ბესარიონ მხეიძე და მესამე განყოფილებისა – გვარდიის პოლკოვნიკი ალექსანდრე ტარიელის ძე მიქელაძე. სენაკის მაზრის უფროსებად სხვადასხვა დროს (1890-1900-იან წლებში) მუშაობდნენ კაპიტანი მიხეილ ნიკოლოზის ძე ხმელნიცკი, გიორგი გურგენიძე, გიორგი ბებურიშვილი, ივანე ქავთარაძე, ნიკოლაი რეზანოვი, ქელბაქიანი, მიტკევიჩი¹; მაზრის უფროსის თანამემწეები – ილია ჯაჯანაშვილი და ირაკლი კალანდარიშვილი... 1890-იან წლებში სამაზრო მმართველობის უფროსის თანამემწედ უმუშავია ლაზარენკოს, ხოლო სეკრეტარად – დგებუაძეს. სენაკის ბოქაული ერთ დროს ყოფილა ტრიფონ ასათიანი, 1911 წლის ცნობით – ფილიპე კეიღია², სამაზრო ციხის ზედამხედველებად მუშაობდნენ იულონ გაგუა, არ. თოფურიძე და ა. შ. საინტერესოა ქართველი საზოგადო მოღვაწის, პედაგოგისა და ფოლკლორისტის, მღვდელ მელიტონ კელენჯერიძის (1864-1942 წწ.) წიგნში – „გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა“ (1913 წ.) მოცემული ცნობა, რომ ახალსენაკის სამაზრო სასამართლოში ერთ დროს მსაჯულად მსახურობდა ვინმე ბორისოვი.

დაბის ტერიტორიაზე მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობის კონცენტრაციამ დღის წესრიგში დააყენა სასაფლაოს გახსნის საკითხიც. „ჩვენს დაბას დღემდე სასაფლაო არა ჰქონდა, – ვკითხულობთ გაზეთ „ივერიაში“, – რის გამოც მეტის-მეტად შეწუხებული ვიყავით. ამას წინათ აქაურ მემამულეს, თავად ხურუშია მიქელაძეს მიმართა ქალაქის გამგემ, რომელიც სთხოვდა ცოტა იათად დაეთმო თავისი მიწა ქალაქისთვის. ქველ-მოქმედმა თავადმა ერთ ქცევაზედ მეტი ადგილი

მხეიძისა და ძმისწულნი – სოფიო ჯაყელისა და თავადი მხეიძის ასული ნინო. „იმერეთი“, №134, 3 სექტემბერი, 1913, გვ. 1.

¹ იხსენიება 1908 წელს. გაზეთ „დროებაში“ აღნიშნულია, რომ სენაკის მაზრის უფროსი მიტკევიჩი ჩადენილი დანაშაულისათვის თანამდებობიდან გადააყენეს და სასამართლოს გადასცეს. იხ. „დროება“, №21, 12 დეკემბერი, 1908, გვ. 4; №23, 14 დეკემბერი, 1908, გვ. 4.

² იხ. „კოლხიდა“, №152, 1911.

უფასოდ დაუთმო ქალაქს სასაფლაოსთვის“¹.



სენაკის მაზრის პირველი უფროსი კორნელი ბოროზდინი (1828-1896 წწ.)

¹ „ივერია“, №227, 1892.



გიორგი ბებურიშვილი – სენაკის მაზრის უფროსი (მარჯვნივ) და ლეჩხუმის
სამხარეო განყოფილების მომრიგებელ-შუამავალი. 1898

ამ ცნობიდან ძნელია იმის გარკვევა, თუ დაბის რომელ სასაფლაოს გულისხმობს კორესპონდენციის ავტორი და ვერც იმის დადგენა შეუძლებლით, თუ სად ცხოვრობდა თავადი მიქელაძე, მაგრამ, სავარაუდოდ, აქ უნდა იგულისხმებოდეს ე. წ. ძმათა სასაფლაო, რაც მდებარეობს ახ-

ლანდ. ქუთაისის ქუჩაზე, ქალაქიდან თეკლათის დედათა მონასტრისკენ მიმავალ გზაზე.

XIX ს-ის მიწურულს გვხვდება ცნობები ახალსენაკში გამართული დოღის შესახებ. 29 ივნისს, პეტრე-პავლობას, – გვაუწყებს გაზეთი „ივერია“, – გაიმართა ბურთაობა, რასაც წინ უსწრებდა დოღი. შუადღის თორმეტ საათამდე დოღი გათავდა, რამაც დიდად ასიამოვნა საზოგადოება და 25 ცხენში ათი ვერსის (დანიშნულ ადგილამდის) მანძილში პირველი ჯილდო მიიღო ორზოლიას ცხენმა. ნაშუადღევს ხუთ საათზე დაწყებულ ბურთაობაში მონაწილეობას იღებდნენ თავადები, მაგრამ ცოტა არ იყოს, ბოლოს სამდურავი ისმოდა, რადგანაც რიგიანად არ ყოფილან განაწილებულნი, თუ ვის საით უნდა წაეღო ლელობურთი... ამ დღის სერის სანახავად იმერეთიდან, გურიიდან და სამეგრელოდან მრავალი ქალ-კაცი იყო ჩამოსული. მოხუცებს არ უნახავთ ამდენი თავმოყრილი ხალხი ახალსენაკში. თითქმის მთელი ქალაქი გადაჭყდილი იყო ქალით თუ კაცით. დღეობამ და ჯვარიანობამ მხიარულად და უნიფათოდ ჩაიარა. არავითარი ჩხუბი და აყალმაყალი არ ყოფილა. ამისი მადლობელი უნდა ვიყვეთ მაზრის უფროსის, ბატონ ი. ქ. ქავთარაძისა და ბოქაულის ტ. ა. ასათიანისა, რომლებიც სულითა და გულით მონდობებულნი იყვნენ, რომ მშვიდობიანობა არ დარღვეულიყო. როგორც ხმა დადის, მომავალი წლის ივნისის თვეში იარმურკობა იქნება. წერილის ავტორი ტრიფონ კალანდარიშვილი აღნიშნავს, რომ ამავე დღეს, ქუთაისის დრამატული დასის წევრებს, კნენა ანეტა მხეიძისა და ბატონ ვ. ალექსი მესხიშვილის მონაწილეობით, წარმოუდგენიათ ისტორიული დრამა ხუთ მოქმედებად – „თამარ ბატონიშვილი“, და ვოდვეილი ერთ მოქმედებად, ვ. ბალანჩივაძის „უბედური დღე“. იმავე საღამოს დასს საგანგებოდ გაკეთებულ ვეებერთელა თარღულში დაუდგამს ისტორიული დრამა „სამშობლო“. ამ დღეს კარგი ვაჭრობა ჰქონდათ მეფუტკრე-

ებსა და სურსათ-სანოვაგით მოვაჭრე მიკიტნებსაც...¹

პეტრე-პავლობის დღესასწაულზე ხალხმრავლობა ახალსენაკისთვის უცხო არ ყოფილა მომდევნო წლებშიც. იმავე გაზეთის 1903 წლის №139-ში ვკითხულობთ: „ამ უამად ახალ-სენაკს ცოტა ფერი მიეცა, რადგან პეტრე-პავლობის დღესასწაულისთვის მრავალ ხალხმა იყარა თავი, როგორც სამეგრელოდამ, ისე საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხიდანაც. იმართება ჭიდაობა გამოჩენილის მოჭიდავე ნესტორ ესებუასი. ქუთათური ქართული სცენის მოყვარენი წარმოდგენებს მართავენ. 29 ივნისს მარულა იქნება. ლუდ-ლიმონათები ხომ იყიდება და იყიდება“².



ახალსენაკელი იურისტები და ციხის თანამშრომლები.
მარჯვნიდან პირველი ზის გიორგი ფაჩულია. 1915 წ.

¹კალანდარიშვილი ტრ., წერილი ახალ-სენაკიდან. „ივერია“, №145, 1898.

²„ივერია“, №139, 1903.



ახალსენაკის სატუსაღოს ერთ-ერთი შემორჩენილი ნაგებობა

1892 წლიდან ახალსენაკში მოქმედებდა გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა – ბანკი¹. ბუნებრივია, ბანკსაც ცალკე შენობა ექნებოდა დათმობილი. გადმოცემით, აღნიშნული ბანკის შენობა მდგარა ახლანდ. წმ. ნინოს ქუჩაზე, ყოფილი კინოთეატრ „რუსთაველის“ მიმდებარე ტერიტორიაზე. არსებობდა აგრეთვე სავაჭრო-სამრეწველო ბანკი „მეგრბანკი“².

დაბას ჰქონდა საკუთარი სამაზრო საპყრობილე. გაზეთი „ელვა“ იუწყება, რომ სენაკის საპყრობილეში მხოლოდ 36 ტუსაღის ადგილია და მოთავსებულია ასი პოლიტმატიმარიო³. ახალსენაკში არსებულია ე. წ. ტანცმეისტერის სახლი, სადაც ნოქრები თავისუფალ დროს ატარებ-

¹ გუნია ვ., საქართველოს კალენდარი, 1892, გვ. 184.

² „ჩვენი სიტყვა“, №8, 1907.

³ „ელვა“, №7, 1906.

დნენ. ამასთან დაკავშირებით გაზ. „თანამედროვე აზრი“ წერდა: „არ შეიძლება არ უსაყვედურო ადგილობრივ ნოქრებს, როდესაც ყველა ადგილობრივი მოწინავე პირები ცდილობენ საზოგადო საქმეში მონაწილეობის მიღებაზე. აქაური ნოქრები, ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეუწყონ და ენერგიული დახმარება გაუწიონ საზოგადო საქმეს, ისინი ბაღდადურების და მაზურკის სწავლას ანდომებენ თავისუფალ დროს, ყოველ საღამოობით მოიქარაიან დანიშნულ ადგილზე (,ტანცმეისტერის“ სახლში) და იქ ატარებენ თავისუფალ დროს. ამ მხრივ ისინი ძლიერ ნიჭსა და ენერგიას იჩენენ და დანიშნულ დროზე, ყოველთვის თავის ადგილზე არიან. ამავ დროს მათში ძლიერ ცოტანი მოიპოვება ისეთი, რომელნიც ჟურნალ-გაზეთებს კითხულობენ. სამწუხაროდ, მათ ბაძავენ შეგირდები“¹.

მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა კომუნალური მეურნეობის საწარმოთა მშენებლობის საკითხსაც. ახალსენაკი უჩიოდა წყლის პრობლემას. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „დროება“ 1876 წელს წერდა: „ახალსენაკს, რომელიც დღეს უეზდის ქალაქია ჩვენში, სრულიად არა აქვს წყალი. აქ მდინარე 2.5 ვერსზე ახლო არ არის. ჭის წყალი, რომელსაც აქ ხმარობენ, ერთობ მავნეა, რადგანაც ჭაობიანი ადგილი არის, მატლი და სხვადასხვა ჭიები ხშირად შეგხვდებათ ხოლმე და გემოც არა აქვს სასიამოვნო და თერიც. ამასთან უბედურება ის არის, რომ ეს ჭებიც ხშირად შრებიან ხოლმე. ამისთანა შესამჩნევი ნაკლოვანება, როგორც უწყლობაა, დიდად აფრთხობს ხალხს, თორემ უეჭველია ეს ქალაქი ეხლა კარგად გაშენებული და გაცხოველებული იქნებოდა ვაჭრობით და სხვა გვარ საზოგადოებრივი ცხოვრებით. წყლის მოყვანა აქ თუმცაღა შეიძლება, მაგრამ ერთობ ძვირად დაჯდებაო, ლაპარაკობენ და საშუალებაც არ არისო. ქალაქის საზოგადოება ჯერ ძლიერ ცოტა და ღარი-

¹ „თანამედროვე აზრი“, №186, 1915.

ბია, და რაც საშუალება ჰქონდა ქალაქს წყლის გამოსაყვანად, ისიც დაუკარგეს“¹.

1877 წლისათვის ქალაქის წყლით მომარაგების პრობლემა უკვე მოგვარებული ყოფილა, რაზეც ცნობას გვაწვდის გაზეთი „დროება“: „ერთი ჩვენი ახალსენაკელი მცხოვრები დიდ მადლობას გვითვლის, რადგან, თქვენის გაზეთის წყალობით, ჩვენ წყალი გაგვიჩნდაო. კორესპონდენტი გვეუბნება, რომ ჩვენს ქალაქში წყლის გამოყვანის თაობაზე ზრუნვა განსაკუთრებით მას შემდეგ დაიწყო, რაც „დროებაში“, ამ საგნის თაობაზე რამდენიმე შენიშვნა იყო დაბეჭდილიო. და ამ მეცადინეობას უნაყოფოდ არ ჩაუვლიაო. ახალსენაკის უეზდის უფროსის უფ. ბერსის თაოსნობით ერთის ახლო ალაგიდამ თუჯის მიღებით გამოუყვანიათ წყალი და ქალაქის შუა ალაგზე ჩინებული, დიდი აუზი გაუკეთებიათ, და ამჟამად იმდენი წყალია, რომ ორ ამოდენა ქალაქსაც კარგათ ეყოფაო.

ამ გარემოებას უნდა მივაწეროთ ისაო, ამბობს ჩვენი კორესპონდენტი, რომ ახალსენაკში ახლა უფრო მსწრაფლად მიდის სახლების შენებაო; თუმცა ომიანობას მოელიან, მაგრამ ეს არავის აშინებსო“².

900-იანი წლების ახალსენაკში კომუნალური მეურნეობის საწარმოთა მშენებლობის მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, რადგან წყალსადენი და ელექტროგანათება ბურჟუაზიული სავაჭრო დაბა-სოფლების აუცილებელ და ძირითად კომპონენტს წარმოადგენდა. სენაკში „იყო ბუხრიანი სახლებიც, — იგონებს თედო სახოკია, — რასაც მარტვილში ვერსად დაფინანსავდით. გარდა ამისა, ვხედავდით, რომ სენაკელები მზის სინათლეს არა სჯერდებოდნენ და ღამით ხელოვნურად ანათებდნენ დაბას ნავთის ლამპებით, რაც, ცოტა არ იყოს, გვაკვირვებ-

¹„დროება“, №65, 27 ივნისი, 1876, გვ. 3.

²„დროება“, №4, 12. 01. 1877.

და. ერთი სიტყვით, მიყრუებულ, ღვთისა და კაცისაგან მოძულეობული ადგილიდან გადმოვდიოდით განათებულ ადგილას, სადაც ცივილიზაციის ნაყოფს უნდა ვზიარებოდით“¹.

1902 წელს სენაკის მაზრის უფროსად დაინიშნა რეზანოვი, რომლის თაოსნობით დაბა ახალსენაკის მთავარ ქუჩებში დაიდგა სამი ელექტრონ-ბენზინის ახალი სისტემის ფარანი. თითოეულ ფარანს ათასი სანთლის სინათლე ჰქონდა. „ტელეფონის“ ფსევდონიმს ამოფარებული ავტორი პუბლიკაციაში შენიშნავს, რომ ახლა კიდევ სურთ სამი ამგვარივე ფარანის შექმნა და დადგმა².

ახალსენაკის ელექტროგანათების შესახებ მცირე ინფორმაციას ვაწყდებით გაზეთ „ცნობის ფურცლის“ 1904 წლის ერთ-ერთ ნომერში. კერძოდ, ტრიფონ კალანდარიშვილი, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღებას ქუჩების განათებაზეც ამახვილებს და წერს: ღამიანობით სხვა პატარა ფარნებს გარდა დაბას ანათებს ახლის სისტემის (გალკინის) ოთხი ფარანი. კიდევ უნდათ რამდენიმე ამგვარი ფარანი მოუმატონ. რა თქმა უნდა, კარგი საქმეა ესა, – დასძენს ავტორი, – მაგრამ რატომ ჩვენი მამები მარტო ფარნებზე ზრუნავენ და სხვა კი არაფერზე, მაგალითად, ქუჩებზე?³

ამ ბოლო ხანებში ახალსენაკსაც დაეტყო გამოცოცხლება, – წერდა 1909 წელს გაზეთი „ფონი“, – აქაც არსდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. 31 აგვისტოს აკურთხეს უფასო სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელიც გახსნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივმა განყოფილებამ. 2 სექტემბერს დაიწყო მეცადინეობა ქალბატონ ფულარის მიერ გახსნილმა ქალთა პროგიმნაზიამ. მეცადინეობის დაწყებამდე გადახ-

¹ სახოკია თ., როგორ ვიზრდებოდით ძველად, 1955, გვ. 168.

² „ივერია“, №121, 1902.

³ „ცნობის ფურცელი“, №2530, 20. 06. 1904, გვ. 3.

დილ იქნა პარაკლისი. მადლობის ღირსია ქალბატონი ფულარიასი, იმ შრომისათვის, რომელიც მან გასწია ამ იათ-თასიან პროგიმნაზიის დასაარსებლათ, რითაც მან საშუალება მისცა აქაურ ღარიბ მცხოვრებთ ცოტაოდენი განათლება მისცენ თავიანთ შვილებს¹. ქალთა პროგიმნაზიის დამაარსებელი იყო ცნობილი მწერალი და პედაგოგი მარია მ (ფუცუ) დგებუაძე-ფულარია (1887-1969 წწ.), ავტორი ისტორიული რომანისა – „ოქროს ბეჭედი“. იგი 1909-1917 წლებში განაგებდა აღნიშნულ სკოლას.



სენაკში ჩამოყვანილი პირველი ავტომობილი და იმდროინდელი სენაკის საზოგადოება: სენაკის მაზრის უფროსი ბებური შვილი, ავტომობილის მეპატრონე ვარლამ გვათუა, მისი ნათესავი ჭიჭიკო იოსავა და სხვა უცნობი პირები. 1907 წ.

ახალსენაკი ზუგდიდს, მარტვილსა და ახლომახლო მდებარე სოფლებს უკავშირდებოდა არცთუ ისე რიგიანად მოწესრიგებული გზებით. 1903 წლის ცნობით, ახალსენაკსა და ზუგდიდს შორის მანძილი 42 ვერ-

¹ „ფონი“, №7, 1909.

სია. ომნიბუსები დადის ყოველდღე. დილის რვა საათზე ახალსენაკიდან გასული ომნიბუსი ხეთის სადგურზე იყო დილის ათ საათზე, ხოლო ზუგდიდში – 12 საათსა და 45 წუთზე. ზუგდიდიდან 2 საათზე გამოსული ტრანსპორტი ხეთაში იყო 4 საათზე, ხოლო ახალსენაკში – 6 საათსა და 15 წუთზე. ახალსენაკიდან ხეთამდე და ზუგდიდიდან ხეთამდე ერთი მგზავრის ადგილი ღირდა 1 მან. და 10 კაპ., ხოლო ახალსენაკიდან ზუგდიდამდე – 1 მან. და 20 კაპ. ერთი ფუთი ბარგის ღირებულება შეადგენდა 21 კაპიკს. ბავშვები, რომლებიც ხელით სატარებელნი იყვნენ, მგზავრობის საფასურს არ იხდიდნენ, ხოლო ათი წლის ბავშვის სამგზავრო თანხა ნახევარი ფასი იყო. გადაადგილების მნიშვნელოვანი და უმთავრესი საშუალება იყო ამიერკავკასიის რკინიგზა. იმავე წლის მონაცემებით სამიმოსვლო ბარგის ფასები რკინიგზაზე ასეთი იყო: ახალსენაკამდე – I კლასი – 7, 90 კაპ., II კლასი – 4, 74 კაპ., III კლასი – 8 მან და 16 კაპ.



სავაჭრო ცენტრი და ორსართულიანი სახლი.
ახალსენაკი. აგებულია 1908 წელს და დღესაც შემონახულია

XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ჩატარებული საქალაქთმშენებლო სამუშაოები ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს

ახალსენაკის ახალი სივრცული სისტემის შექმნის თვალსაზრისით. რკინიგზის ხაზის გაყვანით გამოწვეულმა სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა დიდი გავლენა იქონია დაბის დაგეგმარებით სტრუქტურაზე. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ამ პერიოდში ჩასახული გზები და მათი ტრანსფორმაცია დაბის ცენტრის ფორმირების სხვადასხვა ეტაპზე.

ახალსენაკში განაშენიანების ყველაზე ძველ უბნად მიჩნეულია ამჟამინდელი რუსთაველისა და ჭავჭავაძის ქუჩები, სადაც XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო სავაჭრო-სახელოსნო ყოფისათვის დამახასიათებელი ობიექტების მშენებლობა, რომელთა უმეტესი ნაწილი სადღეისოდ უკვე გამქრალია, ზოგ ადგილზე კი გვხვდება უკვე რეკონსტრუირებული შენობები. ამ ქუჩებზე იწყებს ჩამოყალიბებას ახალი უბანი, ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობებით. უნდა ითქვას, რომ ამ ორ ქუჩას დიდი მნიშვნელობა აქვს XIX ს-ის უკანასკნელი მესამედისა და 900-იან წლებში განხორციელებული საქალაქო მშენებლობის დასახასიათებლად. ესაა ეკის მთისძირში, აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით გაშლილი დასახლება, რას სწორედ რუსთაველის ქუჩაზე ვითარდებოდა, რასაც, უპირველეს ყოვლისა, ხელს უწყობდა სწორი რელიეფი და ბაზართან სიახლოვე. სწორედ ამ ცენტრალური ქუჩით უკავშირდებოდა ახალსენაკი გარესამყაროს. ეს გზა ნოქალაქევ-ძველი სენაკიდან მოემართებოდა, გამოივლიდა ქვაშიხორს (სოფ. შხეფში) და ახალხორს, ჩაუვლიდა ახალსენაკის ბაზარს და მიემართებოდა სოფელ თეკლათისაკენ; აქედან კი გზის ერთი შტოთი შესაძლებელი იყო შავიზღვისპირა ქალაქ თოთში, ხოლო მეორე შტოთი ზუგდიდში მოხვედრა. „რუსთაველის ქუჩა, არა დღევანდელი მასშტაბით, მაგრამ თავიდანვე მთავარი ქუჩა უნდა ყოფილიყო, – წერენ ბ. დავითაია და ბ. ბარკალაია, – რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ იყო მიმართული. დაბის ცენტრში მას არაერთი მოკლე ქუჩა კვეთდა, სამხრეთიდან ჩრდილოეთი-

საკენ და, პირიქით“¹.

გადმოცემით, ახალსენაკსა და ზუგდიდს შორის პირველი საფაეტონო გზის გაყვანა და მოწესრიგება დაკავშირებულია ცნობილი მეწარმის – გუსარ მანუჩარის ძე დგებუაძის სახელთან.

ქალაქის განაშენიანებასა და გარეგნულ იერსახეს სათანადო ყურადღება ექცეოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში. სენაკის სამაზრო ერობის ხმოსანთა მეორე ყრილობის (1919 წ., 5 აპრილი) სხდომის ჟურნალში აღნიშნულია, რომ ერობის ტექნიკურმა განყოფილებამ პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა ახალსენაკსა და ნოქალაქევს შორის დილიჯანის მოძრაობისათვის, რომლის მოგვარებაც დაუჯდა 12850 მანეთი. 1918 წლის 20 დეკემბრიდან დაიწყო ავტომობილების მოძრაობა აბაშა-ბანძასა და ახალსენაკ-ზუგდიდს შუა. ამასთანავე, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისაგან მიიღო სამი ავტომობილი. ერობა ზრუნავდა მაზრაში არსებული ხიდების შესაკეთებლად. ამ მიზნით ტექნიკური განყოფილების უფროსმა გრ. ცეკვაშვილმა 1919 წლის 22 მარტს თბილისიდან ჩამოიტანა 11 ვაგონი სხვადასხვა საქონელი და იარაღები, ჩამოიყვანა ერთი მილიონი მანეთის ღირებულების ორი ავტომობილი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ გზების გაყვანისა და ხიდების მშენებლობის პროცესში. ტექნიკურმა განყოფილებამ მოახდინა ხიდების აღწერა და მათ შესაკეთებლად ხის მასალის რაოდენობის დაანგარიშება².

ქალაქის საბჭომ გარკვეული ნაბიჯები გადადგა ადმინისტრაციული საზღვრების დასადგენად. 1919 წლის 2 ივნისის სხდომის ოქმის მონაცემებით არჩეულ იქნა ქალაქის ადმინისტრაციული საზღვრების გამწესებელი აღმასრულებელი კომისია. კომისიის წევრებად საბჭომ ერთხმად

¹ დავითაია ბ., ბარკალაია ბ., სენაკის მატიანე, თბ., 2016, გვ. 37.

² ცსია, ფ. 1863, საქმე 1432. ჟურნალი სენაკის სამაზრო ერობის ხმოსანთა მეორე მორიგი ყრილობის 1919 წლის 5 აპრილის სხდომისა.

აირჩია ქალაქის ხმოსნები – გიორგი გამზარდია და გრიგოლ ხუნწარია, ხოლო ქალაქის გამგეობიდან – გამგეობის ერთი წევრთაგანი. აღმასრულებელი კომისიის წევრები იყვნენ: გიორგი მალნარაძე, ბიქტორ ხარბე-დია, პოლიკარპე ლორთქიფანიძე, ლავრენტი გეგენავა და ალექსი ხორა-ვა. კომისიას დაევალა დასკვნის მომზადება და წარმოდგენა საბჭოში. გ. მალნარაძემ საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ თეკლათის აგარაკი და ქალაქ სენაკის ფარგალი ერთმანეთისაგან არ იყო გამიჯნული და მოი-თხოვა, რომ კომისიას ნება მიეცეს, თვითონ დასახოს ზღვარი, ე. ი. წარ-მოადგინოს სრული ცნობები საბჭოში, ქალაქის ერობასთან შეთანხმე-ბით. მეორე საკითხი ითვალისწინებდა ქალაქის ფარგლებში მდებარე მი-წების ნორმის რაოდენობის განსაზღვრას. ქალაქისთავის – ლორთქიფა-ნიძის აზრით, ნორმის ფარგლებში უნდა ყოფილიყო 5 დესექტინამდე, ვი-ნაიდან ამ ქალაქში მოქალაქეთა დიდი უმრავლესობა მეურნეობით ცხოვრობდა¹.

ახალსენაკის ერობათა კავშირს 1920 წლისათვის შემუშავებული ჰქონდა ხარჯთაღრიცხვა ქალაქის ქუჩების მოხრეშვისა. აღნიშნული სა-არქივო დოკუმენტი საინტერესო ცნობებს გვაწვდის ახალსენაკის ქუ-ჩების სახელდებისა და განაშენიანების ზოგიერთი საკითხის შესახებ. ამ პერიოდისათვის არსებობდა **სახარბედიოს, ჭავჭავაძის, მთისკალთის, რუსთაველის, დავით აღმაშენებლის** ქუჩები, რომელთა მოსახრეშად სა-ჭირო იყო სულ 50 000 მან. ღირებულების სამუშაოს შესრულება. ახალ-გაყვანილი ქუჩების ჩამონათვალში დასახელებულია **სადგურის, აბაშის, მთისკალთისა და შავი ზღვის** ქუჩები. განზრახულია, რომ ამ ქუჩების შეკეთებაში მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი მცხოვრებნი. და-გეგმილია წყალსადენი არხის გაყვანა ორივე მხარეს და ხრეშის დაყრა

¹მაგანია ბ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართვე-ლობის ორგანოები, თბ., 2014, გვ. 314-315.

ქუჩებზე, – აღნიშნულია ხარჯთაღრიცხვაში. ამასთანავე, გათვალისწინებული იყო მდ. ფიცუს ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება ექიმ ნოფერის საცხოვრებელთან და ქვედა ფიცუს ნაპირას, ანუ **მონგი-რის** ქუჩაზე; დამბის, ანუ კედლის ამოშენება ქვედა ფიცუს ნაპირას, **ძონძირის** ქუჩაზე. დაგეგმილია დავით აღმაშენებლის ქუჩაზე ორი ახალი ხიდის გაშენება და ხიდების მახლობლად არხების ქვაფენილით გაკეთება, არხების გათხრა-გაწმენდა, არსებული ხიდების შეკეთება; ქალაქ სენაკში, მთისკლათის ქუჩაზე, ბეჟან გრიგოლაიას სახლის წინ წყალსადენი არხის გათხრა და ქვით ამოლაგება; ქალაქის ქუჩების განათება 17 ფარნით; მდ. ტეხურის ნაპირას მდებარე სასაკლავოს შეკეთება და მისი ეზოს შემოკავება ეკლის ხის ბოძებითა და ეკლიანი მავთულით¹.

ახალსენაკის საერთო-სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების დღემდე მოღწეული ნაგებობებიდან უნდა გამოიყოს ამჟამინდელი საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის შენობა, ყოფილი სატუსალო, რაც ამჟამად ადგილობრივი მოსახლეობის მიერ საპირფარეშოდ და საკუჭნაოდ არის გადაკეთებული! გასული საუკუნის დასაწყისშია აგებული აგრეთვე ცენტრალური ბაზრის შესასვლელში მდგარი ერთსართულიანი ნაგებობა, სადაც იარაღის საწყობი ყოფილა. 1902 წელს დაბის ცენტრში ძიგურის წითელი აგურით აშენდა ორსართულიანი შენობა, რაც დღესაც დგას დ. ვახანიას ქუჩაზე (№10). ამჟამინდელი მეპატრონის თქმით, ამ სახლში თავდაპირველად ჰოსპიტალი, ხოლო შემდეგ აფთიაქი იყო განთავსებული. 20-იან წლებში სახლი პედაგოგ მალრაძეს (თუ მალნარაძეს?) ეკუთვნოდა. 1960 წელს სახლი შამელა გამზარდიას შეუძენია, ახლა კი მისი შვილიშვილის – ეკა გამზარდიას საკუთრებას წარმოადგენს. მეორე სახლში უწინ განთავსებული ყოფილა ჯერ ღვინის სარდაფი, შემდეგ – პურის საცხობი, ამჟამად კი სავაჭრო ობიექტია. სახლი

¹შავანია ბ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 357-362.

ჯუმბერ ჩარგაზიას შთამომავალთა საკუთრებაშია¹. ძველი შენობებიდან საინტერესოა აგრეთვე სავაჭრო ცენტრი და ორსართულიანი სახლი, აგებული 1908 წელს (დღესაც შემონახულია). გარკვეული კულტურული, მხატვრული და ყოფითი ღირებულების მქონე ეს შენობები აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს.

ჩვენ მიმოვიხილეთ, თუ რა სახის არქიტექტურული ტრანსფორმაცია განიცადა ახალსენაკის შინაარსობრივად საკმაოდ დატვირთულმა ცენტრალურმა ნაწილმა XIX ს-ის უკანასკნელ მეოთხედში. თუმცა ბოლო სახეცვლილება ქალაქის აღნიშნულმა მონაკვეთმა (რუსთაველისა და ჭავჭავაძის ქუჩები) XX ს-ის I ნახევარში განიცადა, როცა შეიცვალა როგორც გამზირის მასშტაბი, ისე მისი განაშენიანების ხასიათი. შეიცვალა სივრცული სტრუქტურა, განაშენიანების მასშტაბიც გაცილებით გამსხვილდა. ქუჩების სივრცე თითქმის მთლიანად იქნა ათვისებული მათ გასწვრივ განლაგებული შენობებით.

ამ სახეცვლილების ფონზე ზემოთ აღნიშნული ქუჩების ცენტრალურმა მონაკვეთმა ჩასახვის პერიოდთან დღემდე ქალაქის ცენტრალური არტერიისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეინარჩუნა, რაც ყველა ეტაპზე სხვადასხვა არქიტექტურული გადაწყვეტით იყო მიღწეული.

¹ღავითაია ბ., ბარკალაია ბ., სენაკის მატიანე, გვ. 85-86.

თავი VIII. ახალსენაკის საკრედიტო დაწესებულებების ისტორიიდან

XIX ს-ის 60-იანი წლებიდან საქართველოში იწყება სააქციო-კომერციულ საკრედიტო დაწესებულებათა დაარსება, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკურ განვითარებაში. მათ შორის შეიძლება დასახელდეს თბილისის კომერციული ბანკი (დაარსდა 1871 წელს), თბილისის სასესხო-საკრედიტო საზოგადოება (1872 წ.), თბილისის საადგილმამულო ბანკი (1875 წ.), ქუთაისის საადგილმამულო ბანკი (1876 წ.), თბილისის საქალაქო-საკრედიტო საზოგადოება (1881 წ.), სახელმწიფო სათავადაზნაურო ბანკის კავკასიის განყოფილება (1890 წ.), ბათუმის სასესხო-საკრედიტო საზოგადოება (1895 წ.), ფოთის სასესხო-საკრედიტო საზოგადოება და ა. შ.¹ სასესხო ოპერაციებს პრიმიტიულ ფორმებში აწარმოებდნენ აგრეთვე წვრილი შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობები.

საინტერესოა, რომ ქუთაისში საადგილმამულო ბანკის დაარსების დროს სამეგრელოს თავადაზნაურობამ დააყენა საკითხი მეგრელებსათვის საკუთარი საკრედიტო დაწესებულებების დაარსების შესახებ. ამ მხრივ გარკვეული მუშაობა გაიშალა კიდევ, მაგრამ შემდეგ სამეგრელოს თავადაზნაურობამ გადაწყვიტა თავისი ხვედრი საბანკო კაპიტალის დასავლეთ საქართველოს ერთიან საადგილმამულო ბანკში გაერთიანებინა². 1875 წლიდან 1885 წლამდე ქუთაისის გუბერნიაში დაარსებულა 20 სასოფლო ბანკი³. ეს ის პერიოდია, როცა გლეხობის კლა-

¹შველიძე ნ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 24-25.

²შველიძე ნ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 47.

³„დროება“, 20 დეკემბერი, 1868.

სობრივი დაშლა სულ უფრო მეტად შესამჩნევი გახდა სოფლად და იწყება კულაკურ-გლეხური ელემენტების ხელში თავადაზნაურული მიწების ბურჟუაზიული მობილიზაცია. გლეხური მიწათმფლობელობის ზრდაზე საუბრისას იგულისხმება გლეხთა კულაკური ნაწილი, რომელიც მემამულური მფლობელობის შემცვლელად გამოდის. ნ. შველიძის მართებული შეფასებით, „გლეხობის დაშლა, მისი ძირითადი ნაწილის გადატაკება სრულებითაც არ ამცირებდა გლეხური მიწათმფლობელობის სივრცეს, იგი მხოლოდ მისი ერთი, მდიდარი ნაწილის ხელში გროვდებოდა და სასაქონლო ხასიათს ღებულობდა“¹. მამულის გამყიდველთა შორის პროცენტულად საგრძნობლად ჭარბობდა თავადაზნაურობა, გაყიდულ მამულებს კი გლეხობა იძენდა. 1886 წლის 17 აპრილს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით, ბესარიონ დავითის ძე ქავთარაძეს ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანკში მოკლე ვადით დაგირავებული ჰქონდა სენაკის მაზრის დაბა ახალსენაკში მდებარე ორსართულიანი ქვითკირის სახლი და 263 კვ. საყენი მიწა, რომლებსაც ბანკი გადასახადის გადაუხდელობის გამო ყიდდა.

ქვეყნის წინსვლის ერთ-ერთ საიმედო ძალას სწორედ გლეხობა წარმოადგენდა. ამიტომ მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა მოითხოვდა, რომ თავად-აზნაურთა მიერ გაყიდული მამულები უცხო პირებს არ ჩავარდნოდა ხელში და გლეხკაცობის სახით წესიერ მეურნეს შეეძინა. „როდესაც დიდ მემამულეს ჟამთა ვითარებისა და უწყალო ბედის მოტრიალების გამო მამული ხელიდან ეცლება, ყველანი უნდა ეცადონ, ეს დიდი მამული ან მთელ სოფელს გადაეცეს საერთო მოსახმარებლად, ან წვრილ-წვრილად დაიკუწოს და ისე დაიყიდოს გლეხკაცებს შორის. ეს ყველასათვის სასარგებლოა, როგორც გლეხკაცობისათვის და თვითონ

¹შველიძე ნ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 103.

დიდი მამულის პატრონთათვის, ისე მთელი სახელმწიფოსათვის“¹. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა პერიოდული პრესის ფურცლებზე სავაჭროდ დანიშნული მამულების შესახებ სპეციალური მიმართვის, შეტყობინების გამოქვეყნება. საჯარო ვაჭრობაში მოხვედრილი მამულის შესახებ ინფორმაცია პრესის საშუალებით ხელმისაწვდომი იყო დაინტერესებულ პირისათვის.



შენობა სოფ. ძველი სენაკის ცენტრში, სადაც განთავსებული ყოფილა ბანკი

XIX ს-ის 90-იან წლებში ბანკიდან სესხის ამღებ გლეხს ქუთაისის გუბერნიაში არანაკლებ 6-10 დესეტინა მიწა მაინც უნდა ჰქონოდა. სხვა შემთხვევაში გლეხობასთან სასესხო ოპერაციების წარმოება ფართო მასშტაბით შეუძლებელი იყო, რადგან თვით გლეხური მეურნეობაც არ

¹„დროება“, 2 აგვისტო, 1884; მსჯელობისათვის იხ. შველიძე ნ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 105.

იძლეოდა ამის შესაძლებლობას, თავისი მცირეპიწიანობის გამო. საადგილმამულო ბანკიდან სწორედ ამ მიზეზით სესხის აღება ხელმისწავდომი იყო მხოლოდ გლეხობის ყველაზე მდიდარი, კულაკური ნაწილისათვის¹.

გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, სენაკის მაზრაში გლეხ სანიკიძის მიერ დაგირავებული მამული შეადგენდა 11 დესეტინას². ბანკში მამულების დაგირავებით, რაც შედარებით გახშირდა 90-იანი წლებიდან, გლეხი უმეტესწილად მოკლევადიან სესხს იღებდა, რადგან დაგირავებულ მამულთა უმეტესობა ბალ-ვენახებს შეადგენდა.

ახალსენაკის საკრედიტო დაწესებულებების შესახებ, სამწუხაროდ, მწირი მასალა გაგვაჩნია. ვ. გუნიას ცნობით, 1892 წლიდან დაბაში მოქმედებდა გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა – ბანკი³.

გაზეთ „ივერიის“ 1893 წლის №58-ში გამოქვეყნებულია ცნობა ახალსენაკის ბანკის, სამკითხველოსა და სხვა საკითხებზე. ბანკთან დაკავშირებით აღნიშნულია შემდეგი: „როგორც მოგეხსენებათ, აქ არსებობს შემნახველ-გამსესხებელი ბანკი. მარტის 12 ბანკის წევრთა კრება იყო. აღმოჩნდა, რომ ბანკის საქმე წლითი-წლობით თანდა-თან სასურველს წარმატებაში მოდის. როგორც წარსულ წლებში, ეხლაც რამდენიმე ნაწილი მოგებისა გადადებულ იქმნა საქველმოქმედო საქმის სასარგებლოდ...“⁴.

სოფლად წვრილმა კაპიტალისტურმა საკრედიტო დაწესებულებებმა აღორძინება დაიწყო 900-იანი წლებიდან. ასეთი დაწესებულებანი განახორციელებდნენ შემდეგი სახის ოპერაციებს: 1) გრძელვადიანი და

¹შველიძე, ნ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 107.

²„დროება“, 2 ივლისი, 1883.

³გუნია ვ., საქართველოს კალენდარი, 1892, გვ. 184.

⁴„ივერია“, №58, 19. 03. 1893.

მოკლევადიანი სესხების გაცემას; 2) ფულის მიღებას შესანახად. „სესხის გაცემა შეიძლებოდა როგორც უძრავი ქონების გირაოს ქვეშ, ისე პირადი ნდობითა და თავდებობითაც; ამასთან, საკრედიტო დაწესებულებებს საკრედიტო საქმიანობასთან ერთად შეეძლოთ საშუამავლო ოპერაციებიც ეწარმოებინათ“¹.

1910 წლიდან დაიწყო თბილისის ბანკის სასესხო ოპერაციების ზრდა, რასაც ხელი შეუწყო იმან, რომ ფინანსთა სამინისტროს ნებართვით თბილისის საადგილმამულო ბანკს უფლება მიეცა ქალაქის მამულის უფლებით გაეცა სესხი კოჯორის, აბასთუმნის, სურამის, ბორჯომის, ზუგდიდის, ხონის, ახალსენაკისა და სხვა, კურორტებსა და დაბებზე².

სენაკის საურთიერთო ბანკისა და „მეგრბანკის“ შესახებ ინფორმაციას ვხვდებით გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე. 1921 წელს სამეგრელოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი იუწყებოდა, რომ „თითო აქცია ღირს 1.000 მან. და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად 100 მან. თითო ხმის უფლებას ანიჭებს 10 აქცია. ამ თავითვე შემოტანილ უნდა იქნას აქციის ნახევარი ღირებულობა 500 მან. და საორგანიზაციო ხარჯებისთვის 100 მან. ე. ი. თითო აქციაზე 600 მანეთი. საზოგადო ოფიციალურ ხელის მოწერა აქციებზე და ფულის შემოტანა დანიშნულია ამა იანვრის 13 დღით ხუთშაბათიდან – იანვრის 18 სამშაბათამდე 1921 წ.; სენაკში – საურთიერთო ბანკში, თბილისში ცენტრობანკში, ბათომში – ცენტრობანკის განყოფილებაში და ფოთში – ქართულ სავაჭრო ბანკში³.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 1921 წელს გამოქვეყნდა ინფორმაცია, რაც საინტერესოა აღნიშნული ბანკის ისტორიის შესასწავლად. ქალაქ სენაკში არსებული სამეგრელოს სავაჭრო-სამრეწველო

¹შველიძე ნ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 113-114.

²იქვე, გვ. 129.

³„საქართველო“, №9, 14 იანვარი, 1921, გვ. 1.

ბანკის – მეგობანკის საორგანიზაციო კომიტეტი აცხადებდა, რომ კვირას, 13 თებერვალს, 11 საათზე, ადგილობრივ პირველდაწყებით უმაღლეს სასწავლებელში დანიშნულია ზემოხსენებული ბანკის აქციონერთა დამფუძნებელი კრება, სადაც გაიჩევა შემდეგი საკითხები: 1) სამეგრელოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკის (მეგობანკის) გახსნა ქალაქ სენაკში და მიღება სენაკის საურთიერთო ნდობის საზოგადოების აქტივისა და პასივისა; 2) ახლადდაარსებული ბანკის წლიური ხარჯთაღრიცხვა; 3) ბანკის გამგეობის საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევა; 4) სხვადასხვა საკითხები. განცხადებას ახლდა შენიშვნა: „თუ აქციონერი რაიმე მიზეზით ვერ ესწრება საზოგადო კრებას, შეუძლია მას თავის უფლება სხვას გადასცეს, ისევე ხმის უფლებიან აქციონერს, მაგრამ ერთსა და იმავე პირს არ შეუძლია საზოგადოთ ორ ვექილობაზე მეტი ქონდეს. ვექილობა ხმის მისაცემად უნდა დაიწეროს წერილის სახით, რაიც უნდა წარედგინოს საორგანიზაციო კომიტეტს და მათ რწმუნებულებს არაუგვიანეს სამი დღისა საზოგადო კრების დღემდე“¹.

აღნიშნულ ინფორმაციაში, როგორც ვხედავთ, სენაკის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის – „მეგობანკის“ დაარსების თარიღად 1921 წლის თებერვალია მიჩნეული. მაგრამ ეს ასე არ არის. აღნიშნული ბანკის დაარსების შესახებ ინფორმაციას ვხვდებით ბევრად ადრე, 1907 წელს. კერძოდ, გაზეთ „ჩვენი სიტყვის“ ცნობით, ბანკის დაარსება ფინანსთა მინისტრის ნებართვით მოხდა და ძირითადი თანხა ხუთ მილიონ მანეთს შეადგენდა². არც ის არის გამორიცხული, რომ ქალაქ სენაკში სამეგრელოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკის („მეგობანკის“) გახსნაში 1907 წელს დაარსებული და შემდეგ გაუქმებული ბანკის ხელახალი აღდგენა იგულისხმებოდეს.

¹„საქართველოს რესპუბლიკა“, №20, 28 იანვარი, 1921, გვ. 1; №26, 4 თებერვალი, 1921, გვ. 1.

²„ჩვენი სიტყვა“, №8, 1907.

თავი IX. ახალსენაკში საქალაქო თვითმმართველობის შემოღებისათვის ბრძოლის ისტორიიდან

რეფორმამდელ პერიოდში რუსეთის იმპერიის ქალაქების ცხოვრებას ეკონომიკური ლოგიკა კი არ ქმნიდა, არამედ – ადმინისტრაცია. „ქალაქის“ ცნებაში განიხილებოდა არა ფაქტობრივად არსებული დიდი, ცოცხალი საქალაქო დასახლება, ეკონომიკური ცენტრი, არამედ ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი, რომელიც ზემოდან, ბრძანებით იქმნებოდა და ახალი ადმინისტრაციული ცვლილებების პირობებში კვლავ უქმდებოდა¹. 1860-იანი წლების დამდეგისათვის რუსეთის იმპერიის საშუალო-სტატისტიკური ქალაქი მცირე ზომის ადმინისტრაციული ცენტრი იყო, რომლის ქალაქად გამოცხადების მიზეზს მხოლოდ შიდა მმართველობის სისტემისათვის ჩამოყალიბებული ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრის ქონის საჭიროება წარმოადგენდა².

კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარების, ქალაქების ზრდისა და მესამე წოდების გაძლიერების ფონზე რუსეთის ცარიზმი იძულებული გახდა გარკვეული უფლებები მიეცა ეკონომიკურად მოძქლავრებული ახალი კლასისათვის და დათმობაზე წასვლა ქალაქის მართვა-გამგეობის ზოგიერთ სფეროში მოქალაქეთა მონაწილეობაზე თანხმობით გამოეხატა.

1870 წლის 16 ივნისს აღექსანდრე II-ის მიერ დამტკიცებული ახალი საქალაქო დებულების საფუძველზე დაიწყო საქალაქო რეფორმის გატარება. დებულება საარჩევნო თანრიგების საფუძველად აცხადებდა არა მოქალაქეთა სოციალურ წარმოშობას, არამედ ეკონომიკურ მდგომარეობას. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ენიჭებოდა ქალაქში უძ-

¹ქალაქი. საქალაქო თვითმმართველობის რეფორმა და მუნიციპალური პოლიტიკა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. 1917-1921. თბ., 2021, გვ. 18.

²იქვე, გვ. 19.

რავი ქონების მფლობელ, შესაფერისი გადასახადის გადამხდელ, 25 წლის მოქალაქეს, თუ მასზე არ ირიცხებოდა გადასახადთა ნარჩენები. ეკონომიკური კატეგორიების შესაბამისად ქალაქებში სამი თანრიგი, სამი საარჩევნო კრება ყალიბდებოდა. პირველ თანრიგში მსხვილი მესაკუთრენი – სახლთმფლობელები და ვაჭარ-მრეწველები შედიოდნენ, მეორეში – საშუალო შეძლების მოქალაქენი და მესამეში – საქალაქო გადასახადების გადამხდელი წვრილი მესაკუთრენი. დებულების საფუძველზე საქალაქო თვითმმართველობის განმკარგებელ ორგანოდ ცხადდებოდა სათათბირო, რომელსაც ევალდებოდა თანამდებობის პირთა არჩევა და მათი ჯამაგირის განსაზღვრა, ქალაქის ბიუჯეტის დამტკიცება, ქალაქის სახელით სესხების აღება, საქალაქო საქმეთა განხილვა, სხვადასხვა საკითხზე მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა და სხვ¹.

ქალაქის თავის, სათათბიროს ხმოსნების, გამგეობის წევრებისა და სხვა თანამდებობის პირთა არჩევა ხდებოდა 4 წლის ვადით. საქალაქო თვითმმართველობა განაგებდა კომუნალურ მეურნეობას. მას ხელი უნდა შეეწყო აგრეთვე ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის, გაეხსნა და დაეფინანსებინა სკოლები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, საავადმყოფოები, საქველმოქმედო დაწესებულებები. არჩევით პრინციპზე დამყარებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ცარისტული რეჟიმის პირობებში დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ეს ორგანოები მკვეთრად დაუპირისპირდნენ აბსოლუტური მონარქიის სახელმწიფო-ბიუროკრატიულ სისტემას. ქალაქებში რამდენადმე აილაგმა ადმინისტრაციის მოხელეთა თვითნებობა. საზოგადოებრივ ძალებს სამოქმედოდ ფართო ასპარეზი შეექმნათ².

¹ ვანიშვილი შ., ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში, 1864-1917 წწ., თბ., 1989, გვ. 215-216.

² ვანიშვილი შ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 216.

თბილისში საქალაქო რეფორმის გატარების სამზადისი 1874 წლის განათხულებზე დაიწყო, თვით არჩევნები კი ნოემბერში ჩატარდა. საქალაქო სათათბიროს ხმოსანთა არჩევნები 1875 წლის სექტემბერში ჩატარდა ქუთაისში. რიგით მესამე ქალაქი, სადაც საქალაქო რეფორმა განხორციელდა, ფოთი იყო (1882 წლის ნოემბერი). ბათუმში თვითმმართველობის შემოღების თაობაზე უმაღლესი ბრძანება გაიცა 1889 წლის 28 აპრილს. თვითმმართველი ქალაქების სტატუსი სხვადასხვა დროს მიიღეს გორმა, ახალციხემ, სოხუმმა, თელავმა, სიღნაღმა, ახალქალაქმა, ოზურგეთმა და ღუშეთმა¹. „საქალაქო თვითმმართველობა თანდათან მეტ როლს ასრულებდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, — წერს შ. ვანიშვილი. თვითმმართველობის მნიშვნელობის ზრდასთან ერთად შეიძლებოდა წინააღმდეგობის გამწვავება ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის. მსხვილი ბურჟუაზია ცდილობდა თვითმმართველობის ორგანოებში გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნებას. არც ქალაქელი თავადაზნაურობა აპირებდა თავისი პოზიციების დათმობას და წვრილი ბურჟუაზიის ნაღებიც შესაფერადგელს მოითხოვდა საქალაქო თვითმმართველობაში. ბრძოლაში აქტიურად ებმებოდა პროგრესული ინტელიგენცია, რომელიც მოსახლეობის დემოკრატიული ფენების ინტერესებს გამოხატავდა“².

XIX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში დაწყებული ბრძოლა საქალაქო თვითმმართველობის შემოღებისათვის საგანგებოდ შეისწავლა პროფ. მიხეილ ნიკოლეიშვილმა, თავის სადოქტორო დისერტაციაში³. 1994 წელს წიგნად გამოცემულ მონოგრაფიაში ამ საკითხს ცალკე პარაგრაფი აქვს დათმობილი. მოთხოვნას საქალაქო თვითმმართველო-

¹ იქვე, გვ. 218-219.

² იქვე, გვ. 221-222.

³ შ. ნიკოლეიშვილი, დასავლეთ საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სარკინიგზო მშენებლობის ისტორიიდან, ქუთ., 1994.

ბის შემოდებისას, აღნიშნავს მკვლევარი, ბურჟუაზია აყენებდა, რითაც ცდილობდა თავისი ეკონომიკური მდგომარეობის პოლიტიკურად განმტკიცებასაც. ბურჟუაზიის ასეთი მოთხოვნა მოწინავე საზოგადოების ინტერესებს ემსახურებოდა და ამიტომაც ამ უკანასკნელის წარმომადგენლებიც სულ უფრო იმაღლებდნენ ხმას მის მოსაპოვებლად... ქალაქის თვითმმართველობას თავისი პირდაპირი მოვალეობის შესასრულებლად სისტემატური ბრძოლა უხდებოდა ადმინისტრაციასთან. იმართებოდა განუწყვეტელი დავა, იწერებოდა საჩივრები. დავა უმეტეს შემთხვევაში უშედეგოდ ან ძალზე უმნიშვნელო შედეგებით სრულდებოდა. საქალაქო თვითმმართველობის ისტორია არსებითად ადმინისტრაციისა და თვითმმართველობის ბრძოლის ისტორიაა, ქალაქების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. რა თქმა უნდა, ეს ბრძოლა ყველა ქალაქში არ იყო ერთნაირი. იგი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რას ეხებოდა სადაო საკითხი და როგორი კუთხით იყო იგი დაყენებული. თვითმპყრობელობა, ცხადია, ხელაღებით ვერ უარყოფდა თვითმმართველობის ყველა მოთხოვნას, რადგან ეს მის პოზიციებს შეასუსტებდა. ასევე, თვითმმართველობას არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია თვითმპყრობელობისათვის, რადგან ეს უკანასკნელი მისთვის საიმედო დასაყრდენი იყო ხალხთა მასობრივი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ ორივე მხარე ცდილობდა, რომ ეს ბრძოლა უკიდურესობამდე არ გაემწვავებინა. საქალაქო თვითმმართველობა იბრძოდა თვითმმართველობის შემოდებისათვის იმ ქალაქებში, რომლებშიც იგი არ იყო შექმნილი. XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოში თითქმის არ დარჩენილა არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ქალაქი, დაბა ან საქალაქო ტიპის დასახლება, რომ საქალაქო თვითმმართველობის უფლება არ მოეთხოვოს. ამ პერიოდის დასავლეთ საქართველოს ქალაქებიდან თვითმმართველობა მოაზოვა ქუთაისმა, ბათუმმა, ფოთმა, სოხუმმა და ოზურგეთმა. სხვა ქალაქებს, იმის მიუხედავად, რომ უარი მიიღეს, საქალაქო თვითმმართველო-

ბის მიღებისთვის ბრძოლა არ შეუწყვეტიათ¹.

1890-იანი წლებისათვის ქუთაისის გუბერნიაში შემდეგი ქალაქები აღიზიანებოდა:

ქუთაისი (თვითმმართველობა გამოცხადდა 1892 წლის დებულებით); სოხუმი (თვითმმართველი ქალაქი 1892 წლიდან); ფოთი (თვითმმართველი ქალაქი 1892 წლიდან) და რედუტ-ყალე (ყულევი) (თვითმმართველობის გარეშე).

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქალაქო თვითმმართველობის შემოსაღებად გარკვეული ნაბიჯი გადადგეს დაბა ახალსენაკის მცხოვრებლებმა. პირველი ცნობა ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა 1893 წელს, გაზეთ „ივერიაში“, სადაც აღნიშნულია, რომ დაბა ახალი სენაკი სასურველ ზრდასა და წარმატებას აღწევს. შესაძლებელია მან მალე მიიღოს ქალაქის სახელი². ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის, სარკინიგზო სადგურის, სავაჭრო-სახელოსნო დაწესებულებების კონცენტრაციის წყალობით მოსალოდნელი იყო, რომ ახალ-სენაკის ქალაქად გარდაქმნის საკითხი დადებითად გადაჭრილიყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რადგან საქმის ინიციატორებმა სათანადო ბრძოლისუნარიანობა ვერ გამოიჩინეს და ეს საკითხიც შეჩერდა. 1900 წელს ქალაქად გარდაქმნის საკითხი განხილულ იქნა 2 ივლისს ახალსენაკის სამაზრო სამმართველოში გამართულ კრებაზე, რასაც ვაჭრები, დაბისა და ახლომდებარე სოფლების მოსახლეობა, სულ 250 კაცი დაესწრო. კრების ძირითად

¹ ნიკოლეიშვილი მ., დასავლეთ საქართველოს ქალაქების... , გვ. 124-126; ბენდიანიშვილი ალ., საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში. თბ., 1982.

² გაზეთ „ივერია“, №167, 1893. დაბას სულხან-საბა ორბელიანი განმარტავდა როგორც მომცრო ქალაქს, რომელიც „მოზღუდვილი იყო“. იხ. ორბელიანი ს.-ს., სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის რედ., თბ., 1942, გვ. 84. XIX ს-ის მეორე ნახევარში დაბისათვის „მოზღუდვილობა“ ანუ გაღავანი არ იყო დამახასიათებელი. ამიტომ, ისტორიკოს პ. ვაჭრიძის აზრით, დაბა ერქვა ქალაქის ტიპის დასახლებას, რომელსაც საქალაქო მმართველობა არ ჰქონდა. იხ. ვაჭრიძე პ., ხონის ისტორიიდან, თბ., 1998, გვ. 136.

მიზანს ახალსენაკის ქალაქად გარდაქმნის შესახებ მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა შეადგენდა. აღინიშნა, რომ ეს საკითხი ადრეც იდგა დღის წესრიგში, თუმცა მთავრობამ, სათანადო მონაცემების უქონლობის გამო, ადრინდელი მოთხოვნა ვერ დააკმაყოფილა¹. მთავრობის მოთხოვნის შესაბამისად, კრებაზე შემუშავდა კონკრეტული გეგმა. 14 კაცის შემადგენლობით არჩეულ კომისიას დაევალა დაბის შემოსავალ-გასავლის რაოდენობის დაანგარიშება². კომისიის მიერ განხორციელებული მუშაობის შედეგად გამოიჩვენა, როგორი იქნებოდა დაბა ახალსენაკის შემოსავალ-გასავალი, თუკი ქალაქად იქნებოდა დამტკიცებული. დაბის შემოსავალი 10000 მანეთამდე იზრდებოდა, ხოლო გასავალი 8000 მანეთი ჯდებოდა. დაბის მცხოვრებთა თხოვნა მთავრობის მიერ არც ამჯერად იქნა დაკმაყოფილებული. „მაშასადამე, მთავრობის მომიზეზება სათანადო საცნობარო მასალების უქონლობის შესახებ, – წერს მ. ნიკოლეიშვილი, – ეს იყო საბაბი დაბის მცხოვრებთა თხოვნაზე უარყოფითი პასუხის გასაცემად“³. საქალაქო თვითმმართველობის მოპოვებისათვის ბრძოლაში საწადელს ვერ მიაღწიეს დაბა ყვირილის (ზესტაფონის) და სამტრედიის მცხოვრებლებმაც⁴.

მ. ნიკოლეიშვილის მართებული შეფასებით, სავაჭრო-სამრეწველო დაბა-სოფლები, რომლებიც აყენებდნენ მოთხოვნას გაქალაქებისა და თვითმმართველობის შემოღების შესახებ, სოციალურ-ეკონომიკური გაგებით ქალაქებს წარმოადგენდნენ, მაგრამ ქალაქის მესვეურებს ეს არ აკმაყოფილებდათ და იურიდიული უფლების მისაღებად ბრძოლას იმიტომ აწარმოებდნენ, რომ ამით გარკვეულწილად გაუმჯობესებულიყო მათი არა მარტო პოლიტიკური, არამედ, ეკონომიკური მდგომარეო-

¹ გაზ. „ივერია“, №146, 8 ივლისი, 1900.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ გაზ. „ივერია“, №146, 8 ივლისი, 1900, გვ. 141-144.

ბაც¹.

მიუხედავად დიდი მცდელობისა, ახალსენაკში საქალაქო თვითმმართველობის შემოღება XIX საუკუნის 90-იან წლებში დადებითად ვერ გადაიჭრა, თუმცა, მას გააჩნდა ქალაქისათვის დამახასიათებელი ისეთი ნიშნები, როგორცაა ვაჭრობის განვითარების მაღალი დონე, კაპიტალისტური საწარმოების არსებობა, მოსახლეობის რაოდენობა-სიმჭიდროვე, თავისუფალი მუშახელის არსებობა, ახლომანლო მდებარე სოფლების ხარჯზე დაბის ზრდის პერსპექტივები და ა. შ.



ახალსენაკის ელიტა XX ს-ის 10-იან წლებში.

ქალაქის სტატუსის მისაღებად არგუმენტაცია მრავალფეროვანი იყო: საქალაქო ყაიდის დასახლების არსებობა, ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი შენობების სიმრავლე, სავაჭრო დუქნებისა და სამრეწველო პუნქტების არსებობა, მოსახლეობის შესაფერისი რაოდენობა

¹ იქვე, გვ. 145.

და საქალაქო დებულების ამოქმედების სურვილი, ასევე პოტენციალი, რომ ისინი შეძლებდნენ ქალაქის საქმეების საკუთარი ძალებით გაძღვლას, არ იქნებოდნენ ცენტრის სუბსიდიებზე დამოკიდებული და, მეტიც, ამ დაბების გაქალაქება სახელმწიფოსათვის მომგებიანი იქნებოდა¹. უნდა ითქვას, რომ რიგმა პატარა ქალაქმა პრაქტიკაში აჩვენა წარმატებული თვითმმართველი პოლიტიკის რელიურობა.

1917 წლის ივლის-დეკემბერში განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქების სტრუქტურა და მოხდა თვითმმართველობის ორგანოთა ფორმირება. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (ზათხულიდან) დაიწყო თვითმმართველობის სისტემის დამკვიდრება მაზრებში, სამაზრო თვითმმართველობის – „ერობების“ სახით.



ახალსენაკის მოწინავე საზოგადოება. 1918-1919 წწ.

¹ ქალაქი. საქალაქო თვითმმართველობის რეფორმა და მუნიციპალური პოლიტიკა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. 1917-1921. თბ., 2021, გვ. 157.

1918 წლისათვის ქალაქების მცირე ნაწილი ძველ, კლასიკურ ქალაქებს წარმოადგენდა, რიგი პატარა ქალაქებისა – საკურორტო დასახლებებს და სატრანსპორტო კვანძებს, ნაწილი კი, ახლადდაფუძნებული ქალაქების სახით, გარდამავალი ტიპის დასახლებებს (დაბა-სოფლიდან ქალაქისაკენ). სატრანსპორტო კვანძების შემთხვევაში ინტრასტრუქტურა და ინვენტარი სარკინიგზო კვანძების დასახლებებში იყო კონცენტრირებული, რომელზეც თვითმმართველობას ჯერჯერობით ადვილად არ მიუწვდებოდა ხელი – ქალაქის დანარჩენი ნაწილი, სადგურის ნაწილთან შედარებით, არასახარბიელოდ გამოიყურებოდა ხოლმე. „ახლადდაფუძნებული პატარა ქალაქების გამოწვევა კი მათი ერთგვარი „ექსკლუზიური ეკონომიკური პროფილი“ იყო – ისინი დამოკიდებული იყო ან მხოლოდ ვაჭრობაზე (როგორც ძველი სავაჭრო დაბები), ან მიმდებარე ზონების მეურნეობასა და წარმოებაზე. ამიტომ საქალაქო ბიუჯეტისათვის ახალი წყაროების გამოძებნა ძალიან ძნელი იყო“¹.

ახალსენაკი მესამე, გარდამავალი ტიპის დასახლებათა რიგში უნდა განვიხილოთ, რომელმაც დროებითი მთავრობის ადგილობრივი, სამხარეო ხელისუფლების, ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის („ოზაკომის“) განკარგულებით, ქალაქის სტატუსი თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის 20 აგვისტოს (ძველი სტილით) მიიღო.

ძალე თვითნებურად გაიმართა საქალაქო არჩევნები და ჩამოყალიბდა ქალაქის საბჭო, მასში შემავალი შემდეგი პარტიებით: სოციალ-დემოკრატიული პარტია (26 ხმოსანი), სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალისტ-ფედერალისტები (6 ხმოსანი). ქალაქის საბჭოს ხმოსანთა

¹ ქალაქი. საქალაქო თვითმმართველობის რეფორმა და მუნიციპალური პოლიტიკა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. 1917-1921. თბ., 2021, გვ. 112-113

რიცხვი 21-ით განისაზღვრა. ახალი არჩევნები აღარ ჩატარებულა¹. ქალაქის თავად არჩეული იყო პ. ზ. ლორთქიფანიძე, მეორე ვერსიით – ნ. ე. ლორთქიფანიძე².

ამის შემდეგ ქალაქის თვითმმართველობამ გადადგა გარკვეული ნაბიჯები საქალაქო ჯანდაცვისა და სანიტარიის, საყოველთაო უფასო და სავალდებულო განათლების სისტემის, საქალაქო წარმოებისა და კომუნალური მეურნეობის, საქალაქო ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციის მიმართულებით.

¹ იხ. მცველი, ახალ-სენაკის ქალაქის თვითმმართველობა. გაზ. „ერთობა“, №179, 24 აგვისტო, 1918.

² სეა, სცსსა, ფონდი №1923, ანაწერი №1, საქმე №36, გვ. 88; მსჯელობისათვის იხ. ქალაქი. საქალაქო თვითმმართველობის რეფორმა და მუნიციპალური პოლიტიკა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. 1917-1921. თბ., 2021, გვ. 89. სენაკისათვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭების დროის შესახებ არსებობს სხვა მოსაზრებაც. კერძოდ, ეს უნდა მომხდარიყო 1917 წლის მაის-ივნისში, ადგილობრივი ინიციატივების საფუძველზე. ქალაქის სტატუსი ამ დროს მიენიჭა კოჯორს, შემდეგ კი დამატებით 11 ქალაქს — ართვინს, ყარსს, გუდაუთას, ოჩამჩირეს, ზუგდიდს, სენაკს, სამტრედიას, ჭიათურას, ხონს, აბასთუმანს და შულავერს. მაგრამ ქალაქის სტატუსს ბევრად მეტი მცირე დასახლება ითხოვდა და მოთხოვნას იმით ასაბუთებდა, რომ მათ საქალაქო ინფრასტრუქტურა, ქალაქის ტიპის განაშენიანება გააჩნდათ და ადგილობრივ საეკონომიკურ ცენტრებს წარმოადგენდნენ (ლაილაში, ცაგერი, ჭრებალო). ამ ტენდენციის ოპონენტები ასეთ ქალაქებს „ჩხენკელის ქალაქებს“ უწოდებდნენ, ახალი ურბანული ცენტრების მხურვალე მხარდამჭერის, ოზაკომის წევრის – აკაკი ჩხენკელის გამო. აღნიშნული ტენდენცია გრძელდება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბების შემდეგაც. ასე, მაგალითად, 1919 წლის ზაფხულში სტატუსი მოითხოვეს ანაკლიამ, ლავოდეხმა და ონმა. გაქალაქების „მაძიებელი“ დაბებიდან მხოლოდ ონს მიენიჭა ქალაქის სტატუსი. სეა, სცსსა, ფონდი №1863, ანაწ. №1, საქმე №966; კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული №12, 20. 08. 1919, დეკრეტი №105 – დაბა ონის სოფელ მოედნითურთ ქალაქ ონად გამოცხადებისა, 1919 წ., ივლისის 18, გვ. 191; ქალაქი. საქალაქო თვითმმართველობის რეფორმა..., 2021, გვ. 157.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ადამია ი., შხეფის ციხესიმაგრე. „ქეგლის მეგობარი“, №51, 1979.

ახობაძე ე., ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია და რევოლუციური მოძრაობა საქართველოში (1901-1907 წწ.), თბ., 1977.

ბაბლოძე კ., აგრარული ურთიერთობა დასავლეთ საქართველოში XIX-XX სს-ის მიჯნაზე, წ. I, ბათ., 1952

ბარონი დე ბაი, საქართველოში, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლეილა მაღრაძემ. თბ., 2011.

ბალათურია ე., ქალაქის ბრენდინგი, როგორც პოსტსაბჭოთა პატარა ქალაქის შემოქმედებითი ტრანსფორმაცია (სენაკის მაგალითი). თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. სამაგისტრო ნაშრომი საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2018.

ბენდიანიშვილი ალ., აგრარული ურთიერთობანი საქართველოში, თბ., 1967.

ბენდიანიშვილი ალ., საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში. თბ., 1982.

ბენდიანიშვილი ა., გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში, თბ., 1989.

ბენდიანიშვილი ალ., სოციალისტური რევოლუციის წანამძღვრები საქართველოში, თბ., 1971.

ბერაძე თ., ოდიშის სამთაროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, „მაცნე“, ისტორიის სერია, 3, თბ., 1971.

ბერაძე თ., ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1981.

ბერძენიშვილი ლ., აღმოსავლეთ საქართველოს სავაჭრო-სახელოსნო დაბა სოფლები 1865-1917 წლებში, თბ., 1990.

ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964 .

- ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990.
- ბროსე მ., არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოსა და აფხაზეთში. ტექსტი ფრანგულიდან თარგმნა ხათუნა წიკლაურმა, თბ., 2011.
- ბოროზდინი კ., სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861. მოგონებანი. თბ., 1934.
- გამყრელიძე გ., ბიოგეოგარემოს ზეგავლენის შესახებ ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე. წგნ. სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში, თბ.,-ზუგდ., 1999.
- გეგეშიძე მ., ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბ., 1956.
- გეგენავა დ., როცა მზე ამოდოდა, თბ., 1969.
- გოგაძე ე., კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნა-მოსახლართა კულტურა, თბ., 1982.
- გრიგოლავა რ., მოწამე მთავარსუცესი, დეკანოზი მამა არისტარქო (კალანდარიშვილი), თბ. 2012.
- გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. II, თბ., 1956.
- გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, ტ. III, თბ., 1959.
- გურული ვ., საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918) წ. III, თბ., 2019
- დადიანი შ., რჩეული თხზულებანი, V, 1962.
- დავითაია ბ., სენაკის მაზრის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა ოქტომბრის რევოლუციამდე. წგნ.: „ახალი ცხოვრების გარიჟრაჟზე“, თბ., 1976.
- დავითაია ბ., ბარკალაია ბ., სენაკის მატიანე, თბ., 2016.
- დავითაია ბ., ყიული შარტავას სახელობის სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სენაკი, 2021.
- დავითაია ბ., ახალი-სენაკის დაარსებიდან 165 წელი შესრულდა.

გაზ. „კოლხეთი“, №17-18 (9535-9536), 1-30 სექტემბერი, 2022.

ელიავა გ., სენაკის რაიონის ტოპონიმია, თბ., 1989.

ელიავა გ., რიონისპირეთის ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, გმპ VI, სამეცნ. სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, ქუთ., 1965.

ვანიშვილი შ., ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში, 1864-1917 წწ., თბ., 1989.

ვაჭრიძე პ., ქალაქ წულუკიძის ისტორიიდან, თბ., 1977.

ვაჭრიძე პ., ხონის ისტორიიდან, თბ., 1998.

ზაქარაია პ., ნოქალაქევი 1973-977 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, I, თბ., 1981.

ზაქარაია პ., შხეფის ციხე. გაზ. „კოლხეთი“, №15, 27 ოქტომბერი, 1988.

ზაქარაია პ., კაპანაძე თ., ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება. თბ., 1991.

ზაქარაია პ., საქართველოს ციხე-ქალაქები, ციხესიმაგრეები, ციხედარბაზები, ციხეგალავნები, თბ., 2001.

იაშვილი მ., ზაქარაია პ., შხეფის ციხე. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, II, თბ., 1987.

იაშვილი მ., ზაქარაია პ., ნოსირის აბანო, კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, III, თბ., 1993.

იობაშვილი გ., დასავლეთ საქართველოს ქალაქები XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში, თბ., 1983.

კალანდარიშვილი გ., მენჯი. გაზ. „კოლხეთი“, №121(4697), 13 ოქტომბერი, 1970.

კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფ., 1921.

კაკაბაძე ე., შინამრეწველობა საქართველოში, ტფ. 1926.

კეკელია ი., ოდიშარია დ., სენაკის რაიონის ოიკონინთა ისტორიისათვის. კრ. „ქართველური ონომასტიკა“, V, თბ., 2011.

კეკელია ი., ტეხურის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში, ქუთ. 2012.

კეკელია ი., ოდიშარია დ., სენაკის რაიონის დასახლებული პუნ-ქტების სახელწოდებანი. ქუთ., 2012.

კეკელია ი., ნაქალაქევის გეოგრაფიული სახელწოდებანი, ქუთ. 2013.

კეკელია ი., სოფელ ბანძაში სარკინიგზო ხაზის მშენებლობის მცდელობის ისტორიიდან. ჟურნ. „დისკუსია“, №4-5, 2020.

კეკელია ი., ბანძა – ესკიზები სოფლის წარსულიდან, I, ქუთ., 2020.

კეკელია ი., ბანძა – ესკიზები სოფლის წარსულიდან, II, ქუთ., 2021.

კეკელია ი., ბანძა – ესკიზები სოფლის წარსულიდან, III, ქუთ., 2021.

კვერნაძე ა., სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ქუთაისის მაზრაში XIX საუკუნის 60-90-იან წლებში. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ქუთ., 2005.

კიკვიძე ა., საქართველო XIX-XX საუკუნეებში, თბ., 1950.

ლაშხერტი ა., სამეგრელოს აღწერა, თბ., 1991

ლომიტაშვილი დ., ცენტრალური კოლხეთი ძვ. წ. VIII — ახ.წ. VI სს. (ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი). დისერტაცია ისტ. მეცნ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2003

ლომოური ნ., ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხეგოჯი (ისტორიული ნარკვევი). კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, I, არქეოლოგიური გათხრები (1973-1977), თბ., 1981.

მეუნარგია ი., სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დაუთ დადიანი, ტფ., 1939, მიქელაძე თ., კოლხეთის ადრეერკინის ხანის სამაროვნები, თბ., 1985.

მიქელაძე თ., კოლხეთის ადრეგრეკინის ხანის სამაროვნები, თბ., 1985.

მურღულია ნ., ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-VI საუკუნეები (არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყალობის მიხედვით). არქეოლოგიის დოქტ. აკადემ. ხარის. მოსაპ. წარდგენილი დისერტ., თბ., 2012.

მჭედლიძე გ., ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები (1892-1921 წწ.), ქუთ., 1993.

ნიკოლაძე ნ., თხზულებანი, ტ. I, თბ., 1962.

ნიკოლეიშვილი მ., დასავლეთ საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სარკინიგზო მშენებლობის ისტორიიდან (XIX ს. რეფორმის შემდგომი პერიოდი), ქუთ., 1994.

ნიკოლეიშვილი მ., სამტრედიის ისტორიიდან (XIX ს. 60-იანი წლებიდან 1921 წლამდე), ქუთ., 2005.

ოთხოზორია ნ., უცხოური კაპიტალის როლი ქალაქ ფოთში XIX ს-ის II ნახ.- XX ს-ის დამდეგს. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბ., 2006.

ორბელიანი ს.-ს., სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის რედ., თბ., 1942.

პაჭკორია მ., ფოთის წარსულიდან, თბ., 1967.

პაჭკორია მ., ილია ჭავჭავაძე დაბა ახალსენაკში. გაზ. „კოლხეთი“ (ცხაკაია), 23. 10. 1969.

პაჭკორია მ., ვიცნობდეთ კულტურის ძეგლებს, თბ., 1975.

მკვიდრი, ადგილობრივი მმართველობა. ჟურნ. „კვალი“, №14, 1899.

ჟან შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, თარგმანი ვასილ ბარნოვისა, აკ. გაწერელიას წინასიტყვაობით, თბ., 1955.

ჟიულ მურიე, სამეგრელო (ძველი კოლხეთი), ფრანგულიდან თარგმნა ვლადიმერ ანთელავამ. შენიშვნები და საძიებლები დაურთო ბეჟან

ნორაგამ. თბ., 2018.

საბანტარიშვილი ვ., დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში 1905 წ., თბ., 1975.

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ტფ., 1930.

სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმი, კრებული III, თბ., 1968.

სიჭინავა ა., საქართველოში მეაბრეშუმეობის ისტორიიდან (ბასა სიჭინავას აბრეშუმსახვევი საწარმო სოფელ ლესიჭინეში). „მოამბე“, I, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმის სამეცნიერო-შემოქმედებითი ჟურნალი. ჩხოროწყუ, 2012.

სიჭინავა ა., ეკის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, თბ., 2016.

სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), I, თბ., 1973.

სტაროსელსკი ვ. ა., გლქთა მოძრაობა ქუთაისის გუბერნიაში, თბ., 1928.

ტულუში ა., სამეგრელოს სამთავროს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა. წიგნ. სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში.

ტულუში ა., სამეგრელოს სამთავროს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XVI-XIX სს-ში, თბ., 2009.

ტულუში ა., ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან, თბ., 2022.

ტყეშელაშვილი ნ., ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან, თბ., 1958.

უთურაშვილი ი., გლქობის კლასობრივი დიფერენციაცია საქართველოში XIXს. II ნახევარში, თბ., 1957.

ურუშაძე ა., ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ.,

1964.

ფარულავა გ., აღებ-მიცემობა და ხელოსნური საქმიანობა მხარეში ოქტომბრის რევოლუციამდე. გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის IV სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და თეზისები. ქუთ., 1965.

ქალაქი. საქალაქო თვითმმართველობის რეფორმა და მუნიციპალური პოლიტიკა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. 1917-1921. თბ., 2021.

ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საქართველოს საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), თბ., 1970.

ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი. ტ. II, თბ., 2001.

ყაუხჩიშვილი თ., ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951.

ყაუხჩიშვილი ს., ნოსირის ბერძნული წარწერები. თსუ შრომები, XVIII, თბ., 1941.

შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

ჩაგანავა პ., ადამიანთა ჯანმრთელობის მოამაგე. გაზ. „განახლებული აბაშა“, №5, 12 ნოემბერი, 1970.

ცანავა ა., ქართული ფოლკლორის საკითხები (მეგრული მასალების მიხედვით, თბ., 1990.

ცხადაია პ., გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000.

ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VII, სენაკის რაიონი, თბ., 2013.

ძაგანია ბ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (რეგიონალური ასპექტები). თბ., 2014.

წერეთელი გ., პირველი ნაბიჯი, თბ., 1991.

წულუკიძე ალ., თხზულებანი, 1943.

ჭითანავა დ., ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელო-

ში (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2010.

ჭითანავა დ., ხორავა ბ., ციმინტია ქ., შენგელია ი., სამეგრელოს სოფელი ძველად და ახლა (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), თბ., 2021.

ჭუმბურიძე მ., ეგრისის სამეფოს თავდაცვის სისტემა (ახ. წ. აღ. I-VIII სს.). თბ., 2009.

ხოშტარია ე., მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება მე-19 ს. საქართველოში. ტ. II, თბ., 1968.

ხოშტარია ე., კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში რეფორმის შემდეგ (1865-1900 წწ.). ვაჭრობა და კრედიტი. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. V, თბ., 1970.

ხოშტარია ნ., სოფ. ყულევის არქეოლოგიური გამოკვლევა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, N1-2, თბ., 1946.

ხუხუა ო., „სანაკი“ თუ „სენაკი?“ ანუ ვინ არიან სანიკები, სანიგები, სანიხები? ჟურნ. „სათანო“, №4, მარტვი, 2007.

ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატეგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია, თბ., 1997.

ჯიშკარიანი პ., ზუგდიდის მაზრის სოციალ-ეკონომიური და კულტურული მიმოხილვა (1870-1921 წწ.). გაზ. „მებრძოლი“, №3, 4 იანვარი, 1963.

ჯიშკარიანი პ., ზუგდიდის რაიონის მშრომელები სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლის პერიოდში. თბ., 1968.

გაზ. „განთიადი“, №10, 1913.

გაზ. „დროება“, 20 დეკემბერი, 1868.

გაზ. „დროება“, №18, 7 (19) მაისი, 1870.

გაზ. „დროება“, №25, 26 ივნისი, 1871.

გაზ. „დროება“, №34, 27 აგვისტო, 1871.

გაზ. „დროება“, №65, 27 ივნისი, 1876.
გაზ. „დროება“, №4, 12 იანვარი, 1877.
გაზ. „დროება“, №192, 23 სექტემბერი, 1878.
გაზ. „დროება“, 1 აგვისტო, 1881.
გაზ. „დროება“, №119, 23 ივნისი, 1883.
გაზ. „დროება“, 2 ივლისი, 1883.
გაზ. „დროება“, №252, 14 დეკემბერი, 1883.
გაზ. „დროება“, 2 აგვისტო, 1884.
გაზ. „დროება“, №40, 21 თებერვალი, 1885.
გაზ. „დროება“, №21, 12 დეკემბერი, 1908.
გაზ. „დროება“, №23, 14 დეკემბერი, 1908.
გაზ. „ელვა“, №7, 1906.
გაზ. „ერთობა“, №179, 24 აგვისტო, 1918.
გაზ. „ერთობა“, №289, 19 დეკემბერი, 1919.
გაზ. „თანამედროვე აზრი“, №138, 1915.
გაზ. „თანამედროვე აზრი“, №186, 1915.
გაზ. „თანამედროვე აზრი“, №28, 1916.
გაზ. „ივერია“, №21, 1890.
გაზ. „ივერია“, №222, 1890.
გაზ. „ივერია“, №227, 1892.
გაზ. „ივერია“, №58, 1893.
გაზ. „ივერია“, №126, 16 ივნისი, 1893.
გაზ. „ივერია“, №144, 8 ივლისი, 1893.
გაზ. „ივერია“, №167, 1893.
გაზ. „ივერია“, №12, 1894.
გაზ. „ივერია“, №86, 1894.
გაზ. „ივერია“, №123, 1894.
გაზ. „ივერია“, №162, 1894.

გაზ. „ივერია“, №181, 1894.
გაზ. „ივერია“, №10, 1895.
გაზ. „ივერია“, №47, 1895.
გაზ. „ივერია“, №151, 1895.
გაზ. „ივერია“, №47, 29 თებერვალი, 1896.
გაზ. „ივერია“, №50, 1898.
გაზ. „ივერია“, №123, 12 ივნისი, 1898.
გაზ. „ივერია“, №145, 1898.
გაზ. „ივერია“, №191, 5 ნოემბერი, 1898.
გაზ. „ივერია“, №212, 1898
გაზ. „ივერია“, №219, 1898.
გაზ. „ივერია“, №141, 6 ივლისი, 1899.
გაზ. „ივერია“, №75, 1902.
გაზ. „ივერია“, №86, 1902.
გაზ. „ივერია“, №121, 1902.
გაზ. „ივერია“, №105, 1902.
გაზ. „ივერია“, №139, 1903.
გაზ. „ივერია“, №15, 2 იანვარი, 1904.
გაზ. „იმერეთი“, №150, 1911.
გაზ. „იმერეთი“, №134, 3 სექტემბერი, 1913.
გაზ. „ისარი“, №269, 6 დეკემბერი, 1907.
„კვალი“, №37, 1895.
„კვალი“, №43, 1898.
გაზ. „კოლხიდა“, №152, 1911.
გაზ. „კოლხიდა“, №182, 28 აგვისტო, 1911.
გაზ. „კოლხიდა“, №186, 1911.
გაზ. „მეგობარი“, №67, 15 დეკემბერი, 1906.
ქურნ. „საისტორიო მოამბე“, №9, თბ., 1956.

- გაზ. „საქართველო“, №9, 14 იანვარი, 1921.
- გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919.
- გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №20, 28 იანვარი, 1921.
- გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №26, 4 თებერვალი, 1921.
- გაზ. „სხივი“, №3, 1905.
- გაზ. „ფონი“, №1, 6 სექტემბერი, 1909.
- გაზ. „ფონი“, №5, 4 ოქტომბერი, 1909.
- გაზ. „ფონი“, №7, 1909.
- გაზ. „შრომა“, 21 ივლისი, 1882.
- გაზ. „ჩვენი აზრი“, №9, 9 მაისი, 1909.
- გაზ. „ჩვენი საქმე“, №6, 1909.
- გაზ. „ჩვენი საქმე“, №7, 12 თებერვალი, 1909.
- გაზ. „ჩვენი საქმე“, №18, 25 თებერვალი, 1909.
- გაზ. „ჩვენი სიტყვა“, №8, 1907.
- გაზ. „ცნობის ფურცელი“, №212, 1897.
- გაზ. „ცნობის ფურცელი“, №242, 1897.
- გაზ. „ცნობის ფურცელი“, №471, 1898
- გაზ. „ცნობის ფურცელი“, იანვარი, 1901.
- გაზ. „ცნობის ფურცელი“, №2530, 20 ივნისი, 1904.
- გაზ. „ხომლი“, №26, 13 აგვისტო, 1908.

გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, ი. ოქრომჭედ-ლიშვილის არქივი, დოკ. №1978.

გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, დოკ. №1980.

სსცია, ფ. 2, აღწ. 2, ს. 684, ფურც. 88-89.

სცსსა, ფ. 4, აღწ. 1, ს. 652, ფურც. 11-14.

სცსსა, ფ. 1863, აღწ. 1, საქმე 616, გვ. 45.

სცსსა, ფ. 17, ს. 8990, ფურც. 105-106.

სცსსა, ფ. 12, აღწ. 8, საქმე 3025, ფურც. 2.

სცსია, ფ. 254, აღწ. 3, საქ. 3546, გვ. 23-25; საქ. 3513, გვ. 7-12, საქ. 3384, გვ. 1-7.

სცსია, ფ. 254, აღწ. 3, საქ. 2229, გვ. 603-611, 1013, 838-842, 1040-1046, 1166-1170, 1176-1178, 1181-1183.

სცსია, ფონდი 1863, აღწ. 1, საქმე 927.

სცსია, ფ. 254, ან. 3, საქ. 1508, ფურც. 297-319.

სცსია, ფონდი 1863, აღწ. 1, საქმე 927, გვ. 31.

სსცია, ფ. 254, ანაწ. 1, საქმე №5217.

სცსია, ფ. 264, საქ. 3746, ფურც. 62-102.

სცსია, ფ. 487, აღწ. 6.

სცსია, ფ. 2, აღწ. 2, ს. 684, ფურც. 88-89.

სცსია, ფ. 4, აღწ. 1, ს. 652, ფურც. 11-14.

სცსია, ფ. 17, ს. 8990, ფურც. 85.

სცსია, ფ. 17, ს. 8990, ფურც. 92.

სცსია, ფ. 17, ს. 8990, ფურც. 105-106.

სცსია, ფ. 1863, საქმე 1432.

სცსია, ფონდი №1923, ანაწერი №1, საქმე №36.

სცსია, ფონდი №1863, ანაწ. №1, საქმე N966; კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული №12, 20. 08. 1919, დეკრეტი №105 – დაბა ონის სოფელ მოედნითურთ ქალაქ ონად გამოცხადებისა, 1919 წ., ივლისის 18.

ნიკო ნიკოლაძის არქივი, საბ. 31/17-24.

ქუთაისის სახელმწიფო არქივი – შემოკლებით: ქსა, ფ. 16, საქმე 75, ფურც. 6.

ქსა, ფ. 108, ს. 2372, ფურც. 87.

ქსა, ფ. 108, ს. 425, ფურც. 3.

ქსა, ფ. 108, ს. 425, ფურც. 5-7.

ქსა, ფ. 108, ს. 2373, ფურც. 22.

ქსა, ფ. 108, ს. 2373, ფურ. 47.

ქსა, ფ. 108, ს. 2373, ფურ. 51.

ქუთაისის ისტორიული მუზეუმი — შემოკლებით: ქიმ, №1292; N1069; №1090.

Джанашвили М., от Ново-Сенака до сёло Дихазурга. Изв. кавказского отделения импер. московского археологического общества, вып. II, Тифлис, 1907.

Эристави Р., Путевая заметки про Мингрелий. Кавказская сторона, №3, 1873, с. 73-77.

Закарая П., Древне крепости Грузии, Тб., 1969.

Иваненко В. Н., Гражданское управление Закавказьем, Тифлис, 1901.

Кавказское хозяйство (кх), №12, 1910.

Мелитаури К., Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии, кн. II, Тб., 1972.

Месхия Ш., Города и городской строй феодальной Грузии (XVII-XVIII вв.), Тб, 1959.

Отчет о деятельности Кавказской шекловодственной станции в 1906 г.

Первая всеобщая перепись населения Российской империи, 1897 г, под ред. Н.А. **Троицкого**, LXVI Кутаисская губерния, [СПБ], 1905.

Санблидзе С. М., Сенакское сельское общество. СМОМПК, выпуск десятый, Тифлис, 1890.

Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из семейных списков 1886 г. Тифлис. 1893.

Сербина К., Очерки из социально-экономической истории русского города 1954.

Отчет о деятельности Кавказской шекловодственной станции в 1906.

Журн. «Кавказское сельское хозяйство», №435, 1902.

Журн. «Кавказское сельское хозяйство», №420, 1902.

Цагарели А., Грамоты и др. исторические документы XVIII столетия, 1898, т. II, вып. 1.

Lordkipanidze V., Khorava B., Chitanava D., Tsimintia Q., Migration processes in the Principality of Mingrelia in the First Half of the 19th Century, Bulletin of the Georgian National Academy of sciences, vol.15, no.1, 2021.

Oliphant, L., The Trans-Caucasian Campaign of the Turkish Army under Omar Pasha: A Personal Narrative, Edinburgh/London, 1856.

Serena, C., Excursions in the Caucasus: From the Black Sea to the Caspian Sea 1875-1881, ed. P. F. Skinner, New York, 2015.

Telfer, J. B., The Crimea and Transcaucasia: Being the Narrative of a Journey in the Kouban, in Gouria, Georgia, Armenia, Ossety, Imeritia, Swannety, and Mingrelia, and in the Tauric Range, vol. 2, London, 1876.

**This is how Senaki Began
(From the history of the formation and development of Senaki)**

Senaki, one of the vibrant and remarkable cities in Western Georgia, has always played a special role in the socio-economic, cultural, and educational life of Georgia. The laying of the Poti-Tbilisi railway line and the construction of the railway station in the 1870s contributed to the formation and further development of Senaki, which is now one of the major railway junctions in Georgia. Due to its advantageous geographical location, it quickly surpassed the former district center, which was later renamed Dzveli (Old) Senaki, and the modern Senaki became known as Akhali (New) Senaki.

Senaki began to take shape as a city in 1870 and served as an administrative center and trade-workshop district, with a focus on agriculture, cattle breeding, cottage industry, and more. In Georgian historiography, the main reason for the formation of new trade and industrial areas and cities, including Samtredia, Orpiri, Akhali Senaki, Kvirila (Zestafoni), Abasha, and others, was the construction of railways and railway stations in Georgia.

In the second half of the 19th century, competition arose between the old and newly created cities, with victory usually going to the latter, mainly located along the railway line or in other environments conducive to their growth and development.

Akhali Senaki (now Senaki) is a typical example of a pre-city formed due to the aforementioned reasons, which quickly moved towards capitalist development and became an economic and cultural-educational center of Western Georgia.

This work examines the history of Senaki's social, economic, and cultural growth and development, from the 1870s-90s in the Democratic Republic of Georgia to 1921. It analyzes the role of railway transport in the city's development, its cultural and physical appearance, the challenges of establishing credit institutions, and the problem of city self-government. The primary sources include historical archives, periodicals, memoirs, and critical analysis of scientific literature, making this a unique and comprehensive study of Senaki's history.

Так начинался Сенаки

(Из истории образования и развития Сенаки)

Один из выдающихся и колоритных городов Западной Грузии, город Сенаки, всегда играл особую роль в общественно-политической, социально-экономической и культурно-образовательной жизни Грузии. Проведение железнодорожной линии Поти-Тбилиси в 70-ые годы XIX века и строительство железнодорожной станции сыграло важную роль в основании города и, впоследствии, в его росте и развитии. Он и сегодня является важным железнодорожным узлом. Из-за своего выгодного географического положения Сенаки вскоре затмил бывший центр уезда, который позднее был переименован в Дзвели (Старый) Сенаки, а современный Сенаки в Ахали (Ново) Сенаки.

Формирование Сенаки как города началось с 1870 года. Начиная с этого момента, согласно присвоенной ему функции, он представлял собой административный и торгово-мастерской центр, в котором было развито сельское хозяйство, животноводство, кустарное производство и др. В грузинской историографии совершенно справедливо считать основной причиной образования торгово-промышленных районов и новых городов (Самтредиа, Орпири, Ново-Сенаки, Квирила (Зестафони), Абаша и др.) проведение железной дороги и строительство железнодорожных станций в Грузии.

Во второй половине XIX века начинается соперничество между старыми и новосозданными городами. Как правило, во время этого соперничества победа оставалась за новообразованными городами, которые в основном располагались вдоль железнодорожной линии, или они оказались в другой обстановке, что создало реальные условия для их роста и развития.

Ново-Сенаки (ныне Сенаки) представляет собой типичный пример предгорода, образованного в результате указанных причин, который быстро перешёл на путь капиталистического развития и превратился в экономический и культурно-образовательный центр Западной Грузии.

В данной работе впервые изучена история социально-

экономического и культурного роста и развития Сенаки с 1870-90-х годов до периода Грузинской Демократической Республики 1921 года на основе исторических источников, в том числе архивных материалов, периодической прессы, а также критического анализа мемуарной и научной литературы. Здесь также анализируется роль железнодорожного транспорта в его развитии как города, его обустройство и внешний облик, вопросы основания кредитных учреждений и борьбы за городское самоуправление.

ავტორთა შესახებ

იგორ კეკელია – მეცნიერი, პუბლიცისტი, პედაგოგი.

დაიბადა 1979 წლის 23 მარტს, მარტვილის (ყოფილი გეგეჭკორის) რაიონის სოფელ ბანძაში. 1996 წელს წარჩინებით დაამთავრა ბანძის საშუალო სკოლა. პროფესიით ისტორიკოსია. მუშაობდა გაზეთ „ჭყონდიდის ხარის“ რედაქტორად. 2007-2014 წლებში იყო მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი. 2008 წლიდან არის ფაზისის საერო აკადემიის წევრი. 2014 წელს დაიცვა დისერტაცია, თემაზე – „სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია“, და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუბლიცისტურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს 2014 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით მიენიჭა ისტორიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 2019 წლიდან პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ფოთის №15 საჯარო სკოლაში (ასწავლის ისტორიას და სამოქალაქო განათლებას).

მისი სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიმართულებაა ქართველური ონომასტიკის, ისტორიული გეოგრაფიის, წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის, მხარეთმცოდნეობისა და თეორიული ფილოსოფიის საკითხები. გამოქვეყნებული აქვს 400-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და 40-მდე წიგნი. არის არაერთი რესპუბლიკური და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების ინიციატორი და ორგანიზატორი, რედაქტორი და რეცენზენტი არაერთი კრებულისა.

ედიშერ ბალათურია – ურბანისტი, საქართველოს მცირე და საშუალო სიდიდის ქალაქების მკვლევარი.

დაიბადა 1991 წლის 19 მარტს, სენაკში. 2008 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა სენაკის I საჯარო სკოლა. 2012 წელს წარჩინებით დაამთავრა თსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი და იქვე სწავლა განაგრძო დიპლომატიისა და საგარეო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამაზე (დაამთავრა 2018 წელს). 2020 წლიდან არის ამავე უნივერსიტეტის ურბანისტიკის დოქტორანტი, მუშაობს სადისერტაციო თემაზე – „საქართველოს მცირე და საშუალო სიდიდის ქალაქების ურბანული გამოწვევები და პერსპექტივები (სენაკის მაგალითზე)“. არის 2 აკადემიური პუბლიკაციის ავტორი და 1 წიგნის თანაავტორი. გამოქვეყნებული აქვს სტატიები საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების თემაზე. არის არაერთი სემინარის, ტრენინგისა და კონფერენციის მონაწილე. სხვადასხვა დროს მუშაობდა კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ „კავკასიურ სანლში“, ანალიტიკოსად, ასევე მკვლევრად კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრში; მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტში; „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსა“ და სხვა კვლევით ორგანიზაციებში.

2018 წლიდან მუშაობდა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში, 2019 წლიდან – სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციაში, ტურიზმის განვითარებისა და პროექტების მენეჯერად, ასევე საერთაშორისო პროექტ „კრეატურის“ კონსულტანტად.

2022 წლიდან არის სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ასევე საზოგადოებრივი გაერთიანება „ჩვენი სენაკის“ დამფუძნებელი.

სარჩევი

წინათქმა	3
თავი I. ძველი სენაკის ისტორიის ზოგიერთი საკითხი.....	9
თავი II. ახალსენაკის წარმოქმნის წინაპირობები. სენაკის/საკალანდარიშვილოს ციხე ეგრის-ლაზიკის გამაგრების სისტემაში	38
თავი III. რკინიგზის მნიშვნელობა ახალშენის წარმოქმნაში. ახალსენაკი და ამიერკავკასიის რკინიგზა	84
თავი IV. სავაჭრო-სამომოსვლო და სარკინიგზო გზების მშენებლობის საკითხისათვის (XIX ს.)	122
თავი V. ახალსენაკის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება XIX ს. 80-იან – XX ს. 10-იან წლებში	146
თავი VI. ახალსენაკის ბაზარი და განაპირა სოფლები	176
თავი VII. ახალსენაკის განაშენიანება და გარეგნული იერსახე (XIX საუკუნის II ნახევარი — XX საუკუნის დასაწყისი)	197
თავი VIII. ახალსენაკის საკრედიტო დაწესებულებების ისტორიიდან	246
თავი IX. ახალსენაკში საქალაქო თვითმმართველობის შემოღებისათვის ბრძოლის ისტორიიდან	252
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა	262
Igor Kekelia, Edisher Baghaturia, This is how Senaki Began (From the history of the formation and development of Senaki) (რეზიუმე ინგლისურ ენაზე)	276
Игорь Кекелия, Эдишер Багатуриа, Так начинался Сенаки (Из истории образования и развития Сенаки) (რეზიუმე რუსულ ენაზე).....	277

წიგნში გამოყენებულია საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის, Georgian Travel Guide-სა
და ედიშერ ბატაიურას ფოტოები.

Igor Kekelia, Edisher Baghaturia

This is How Senaki Began

Kutaisi

2023

ქალაქის ზომა 1/16

ნაბეჭდი თაბახი 17,75

დაიბეჭდა ი. მ. მარიაშვილის მიერ

ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი 25-ა

ტელ.: 599 18 20 98, 592 02 25 55, 579 10 13 23

